

ლ ე ვ ა ნ თ ო ნ ი ა

**ინგერვენსიას
ოკუპაციას
ქალღაფანებითი
გასაბჭოებას
უაქვობრივი პნექსიას**

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის
თებერვალ-მარტის ომის უეფანეგინათვის

კოოპერაციული გამომცემლოგა

„ივერთა მხარე“

1991

ნაშრომში განზოგადებულია დიდძალი ფაქტობრივი მასალა, რომელშიც წარმოჩენილია საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების მრავალი ასპექტი, ნაჩვენებია, რომ საქართველოში 1921 წლის დამდეგს არავითარი სახალხო აჯანყება არ მომხდარა, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი დამთავრდა წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციით, რასაც შემდეგ ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა.

ჩვენი საზოგადოებრიობა ცხოველ ინტერესს იჩენს იმ ბოლოდროინდელი პუბლიკაციებისადმი, რომლებშიც გაანალიზებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის — რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის ამსახველი მასალები. მკითხველთა ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ ამ პრობლემის მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. წითელი არმიის მიერ საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოებას ზოგიერთი ავტორი მართლზომიერ აქციად მიიჩნევს. მათი აზრით, ამ არმიამ, რომლის შემადგენლობაში ქართველებიც იყვნენ, დააჩქარა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გარდაქმნა, რითაც მან თავისი ინტერნაციონალისტური ვალი მოიხადა საქართველოს მშრომელების წინაშე. სხვა მკვლევარები, მკითხველმა იცის, წითელი არმიის მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და, საერთოდ, მის მიერ აქ 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებულ აქციას უწოდებენ „ოკუპაციას“, „ძალდატანებით გასაბჭოებას“, „ანექსიას“ და ა. შ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა ახალი არ არის. იგი დასაბამს თვით 1921 წლის თებერვალ-მარტიდან იღებს. საქმე ის გახლავთ, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია (პარტიული კუთვნილების მიუხედავად), II ინტერნაციონალის პარტიები და თითქმის მთელი საზღვარგარეთული ისტორიოგრაფია ამტკიცებდნენ, 1921 წლის თებერვალში საქართველოში არ ყოფილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგო საერთოსახალხო (საქართველოს მშრომელთა) აჯანყება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის წითელმა არმიამ დამყარაო. წითელი არმიის მიერ განხორციელებულ ამ აქციას ისინი, ცხადია, ოკუპაციას უწოდებენ.

საბჭოური ისტორიოგრაფია კი გულმოდგინედ და უკანასკნელ დრომდე თითქმის ერთსულოვნად ამტკიცებდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აჯანყებულ ქართველ მშრომელთა რაზმებისა და წითელი არმიის ერთობლივი მოქმედების შედეგად.

ცოდვა გამხელილი ჯობია და ვიტყვი, რომ მსგავს დებულებას ჩემს ადრინდელ ნაშრომებშიც ვხვდებით. ამჟამად კი უნდა გავიზიარო იმ მკვლევართა შეხედულება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში არყოფილა ქართველ მშრომელთა არავითარი აჯანყება (მით უმეტეს საერთო-სახალხო) და რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მხოლოდ და მხოლოდ წითელი არმიის მიერ განხორციელებული აქციაა. გამობო უნდა გავიზიარო-მეთქი, რადგან, როგორც ითქვა, ეს შეხედულება სხვადასხვა ნიუანსით, სხვა მკვლევარებმა ოფიციალურად ჩემზე ადრე გამოთქვეს.

მართალია ამ პრობლემაზე ადრე სპეციალურად არ მიმუშავია და, ბუნებრივია, არც სპეციალური გამოკვლევა დამიწერიია, მაგრამ პროფესიონალ რევოლუციონერთა ბიოგრაფიულ ნარკვევებსა თუ სხვა სახის ნაშრომებში (ადრე რომ ვაქვეყნებდი), წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის ფაქტი არ დამიდასტურებია. დავასახელებ მხოლოდ ერთ მაგალითს. ნაშრომში „შალვა ელიავა. ბიოგრაფიული ნარკვევი“ (თბ., 1965, გვ. 59) ვწერდი: „25 თებერვალს, დილით, აჯანყებულთა რაზმები და წითელი არმიის ნაწილები ქ. თბილისში შემოვიდნენ. წითელ ლაშქარს... წინ შ. ელიავა და ა. გეკერი მოუძღოდნენ“.

ეს დებულება, ცხადია, სწორი არ არის, რასაც მაშინ, სამწუხაროდ, ვერ ვგრძნობდი. 25 თებერვალს თბილისში მხოლოდ და მხოლოდ წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ. მართალია, მათს შემადგენლობაში ქართველებიც ერივნენ, მაგრამ ისინი წითელი არმიის წარმომადგენლები იყვნენ და არა „აჯანყებულთა რაზმებისა“. შალვა ელიავას ვერც ის „გუსაყედეურე“, რომ იგი თვით შემოუძღვა მე-11 წითელ არმიას

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად (ფაქტობრივად საქართველოს დასაპყრობად). შეიძლებოდა ეს იმითაც აგვეხსნა (და არა გაგვემართლებინა!), რომ „მაშინ სხვა დრო იყო“, „სხვანაირად წერა არ შეიძლებოდა“, მაგრამ ისტორიკოსის ზნეობრივი მოვალეობა მავალდებულებდა სიმართლე დამეწერა. არც იმით შეიძლება თავის მართლება, რომ მაშინ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნამდვილი ისტორია არ ვიცოდით. არ შეიძლება, რადგან ოპონენტი მეტყვის: „თუ არ იცოდით, რად წერდით, ჭერ შეგესწავლათ საკითხი და შემდეგ გამოგეთქვათ აზრიო“. ამ სამართლიან საყვედურს ვერაფრით ვერ ავცდები. მისგან იქნებ სამომავლო გაკვეთილი გამოვიტანო. მინდა ეს „აღსარება“ მკითხველმა ნაშრომის გაცნობამდე მოისმინოს.

იქნებ არც იმის აღნიშვნა იყოს ზედმეტი, რომ ამ პრობლემის განსაკუთრებული აქტუალობა, მისდამი საყოველთაო-სახალხო ყურადღება ეროვნული მოძრაობის არნახულმა აღმავლობამ განაპირობა. პირადად ჩვენ მისი შესწავლა დავიწყეთ 1988 წლის შემოდგომიდან.

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს გაზეთ „კომუნისტის“ 1989 წლის 3, 10, 11-12, 14-16 ნომბრის ნომრებში გამოქვეყნებული ჩვენი სტატიების სერიალის („მხოლოდ სიმართლე. კვლავ იმის შესახებ, იყო ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითა გასაბჭოება თუ...“) შევსებულ ვარიანტს, შევეცდებით მკითხველს შევახსენოთ ზოგიერთი უკვე ცნობილი დოკუმენტი და მასალა, რომელთა მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა ვითარებაში მოხდა საქართველოს გასაბჭოება (ბუნებრივია, „ახალ მასალებსაც“ მოვიშველიებთ). მკვლევართა ერთობლივი მეცადინეობით უნდა დადგინდეს ისტორიული სინამდვილე, ითქვას სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. ეს არის, შეიძლება ითქვას, უპირველესი საზოგადოებრივი დაკვეთა. წარსულის შესახებ სიმართლის თქმა, მისი მიუკერძოებელი შეფასება გავვიადვილებს ისტორიული გამოცდილებიდან სწორი დასკვნის გამოტანას, უკეთესი მერმისის შენებას.

1. ვ. ი. ლენინი: „ჩვენ რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვმოხდეს...“

როგორ აფასებდა ვ. ი. ლენინი საქართველოში წითელი არმიის მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტს, იცოდა თუ არა მან, რომ 1921 წლის თებერვალში ქართველი ხალხი არ აჯანყებულა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ?

ამ კითხვებზე ნაწილობრივ არის გაცემული პასუხი თვით ვ. ი. ლენინის სიტყვაში, რომელიც მან მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომაზე წარმოთქვა 1921 წლის 28 თებერვალს, ვ. ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 3 დღის შემდეგ. გავეცნოთ ამ სიტყვის ნაწილს, რომელიც 1921 წლის თებერვლის ამბებს ეხება.

„მესამე საერთაშორისო საკითხია, — განაცხადა ვ. ი. ლენინმა ამ სხდომაზე, — კავკასიის ამბები. იქ ამ ბოლო დროს დიდი მასშტაბის ამბები მოხდა, რომლებიც დაწვრილებით ჯერ არ ვიცით, მაგრამ რომელთა აზრი ის არის, რომ ჩვენ დიდი ომის მიჯნაზე ვიმყოფებით. სომხეთისა და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენ არ აველელებინეთ, და ამ ამბებმა გამოიწვიეს ის, რომ სომეხ-ქართველთა ომი აჯანყებად იქცა, რომელშიც რუსეთის ჯარების გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა. და ეს იმით გათავდა, რომ სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობა ჩვენს წინააღმდეგ, დღემდე მაინც, მის წინააღმდეგვე შებრუნდა და შებრუნდა ისე, რომ თბილისში, უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული, საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა (ტ ა შ ი). ჩვენ ვიცით, რომ აჯანყება დაიწყო სომხეთში, სწორედ იმ ნეიტრალურ ზონაში, რომელიც საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარეობს და რომელიც საქართველომ ანტანტის იმპერიალისტების ნებართვით დაიკავა... ქართველი მენშევიკების ხე-

ლში იყო სომეხი გლეხობის სურსათის გასაღები — საერთო რკინიგზა.

არავის არ ეყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დებუებო, განცხადებანი და პროტესტები, რომლებითაც ჩვენ მივმართავდით საქართველოს ამის გამო. ჩვენ რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონოდა (?! — ლ. თ.), ჩვენ რაც შეიძლება უფრო მეტს ხანს უნდა გაგვეჭიანურებინა საქმე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სომეხი გლეხობა ასე როდი უყურებდა ხელშეკრულებას, და საქმე იმით გათავდა, რომ თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც საოცარი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომეხს, არამედ ქართველ მოსახლეობასაც. ცნობები იქიდან ძლივსღა მოდიოდა, და უქანასკნელმა ცნობამ, რომელიც ჩვენ გვქონდა, გაამართლა ის, რასაც მოველოდით. ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ ქართველი ბურჟუაზია და ქართველი მენშევიკები ეყრდნობიან არა მშრომელ მასებს, არამედ თავიანთი ქვეყნის კაპიტალისტებს, ეს კაპიტალისტები კი შარს ეძებენ, რათა საომარი მოქმედება დაიწყონ, მაგრამ ჩვენ სამი წელია ერთი ვარაუდით ვცხოვრობთ და უქანასკნელ ამოსუნთქვამდე გვექნება ეს ვარაუდი, — ესაა ვარაუდი მშრომელი მასებისა, თუნდაც ჩამორჩენილი და ჩაგრული ქვეყნის მშრომელი მასებია. ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა ფრთხილნი ვიყოთ, რაც უნდა დავძაბოთ ჩვენი ძალები წითელი არმიის განსამტკიცებლად, ჩვენ მთელ ღონეს ვიხმართ, რათა ჩავაქროთ ხანძარი, რომელმაც კავკასიაში იფეთქა. და იმას, რაც ჩვენ შევძელით დასავლეთისათვის გვეჩვენებინა — სადაც საბჭოთა ხელისუფლებაა, იქ ეროვნულ ჩაგვრას ადგილი არა აქვს, — ამას ჩვენ ვუჩვენებთ აღმოსავლეთსაც. უქანასკნელი ანგარიშით ამაზეა დამოკიდებული მთელი ბრძოლა და, ბოლოს და ბოლოს, მუშათა და გლეხთა ძალა კაპიტალისტურზე უფრო მაღალი და მეტი აღმოჩნდება, რადგან მუშები და გლეხები კაპიტალისტებზე გაცილებით მეტნი არიან“.¹

ვ. ი. ლენინის ამ სიტყვის მიმართ შენიშვნები გვაქვს, ამიტომაც მივიჩნიეთ აუცილებლად ვრცელი ციტატის მოყვანა.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 175-177.

იგი უნდა დაგვეხმაროს ვ. ი. ლენინის აზრის ყოველი ნიუანსის აღქმაში.

როგორც ვნახეთ, ვ. ი. ლენინის ციტირებული სიტყვის ზოგიერთი ადგილი ზუსტად არ ასახავს საქართველოში იმ დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას. ვ. ი. ლენინის სიტყვაში არის ისეთი ადგილებიც, რომლებიც ლოგიკურად არ ჯდება ტექსტში და აბუნდოვანებს საკითხს, რაც, შეიძლება, ჩაუსწორებელი სტენოგრაფის ბრალიც იყოს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

„სომხეთსა და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენ არ ავედელვებიანეთ, და ამ ამბებმა გამოიწვიეს ის, რომ სომეხ-ქართველთა ომი აჯანყებად იქცა, რომელშიც რუსეთის ჯარების გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა“ — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი.

აქ უზუსტობა ის არის, რომ საქართველოს გასაბჭოებისათვის წითელი არმიის მიერ 1921 წლის თებერვალში განხორციელებულ საომარ ოპერაციებს ვ. ი. ლენინი „სომხეთსა და საქართველოს შეტაკებად“, „სომეხ-ქართველთა ომად“ მიიჩნევს. სხვათა შორის, ამ საკითხს ასევე აშუქებდა იმდროინდელი გაზეთი „პრავედა“, რაც, რასაკვირველია, არასწორია.¹

„სომეხ-ქართველთა ომი“, რომელიც „აჯანყებად იქცა“ — განაგრძობს ვ. ი. ლენინი — „...იმით გათავდა, რომ სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობა ჩვენს წინააღმდეგ, დღემდე მაინც, მის წინააღმდეგვე შებრუნდა და შებრუნდა ისე, რომ თბილისში... საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა“.

ციტირებულ გამონათქვამში ახსნას მოითხოვს სულ ცოტა ორი რამ: რა კავშირშია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ „სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობა“ თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან და როგორ შეეძლო თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას სომხეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეებრუნებინა ის მზაკვრობა, რასაც თვითონ იჩენდა საბჭოთა რუსეთის მიმართ.

¹ იხ. „პრავედა“, 1921 წლის 16, 18, 23 თებერვალი და სხვ.

საფიქრებელია, სტენოგრაფიაში ზუსტად ვერ აისახა ვ. ი. ლენინის გამონათქვამი, რაც აბუნდოვანებს მის აზრს.

„ჩვენ რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონოდა, ჩვენ რაც შეიძლება უფრო მეტ ხანს უნდა გაგვექიანურებინა საქმე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სომეხი გლეხოზა ასე როდი უყურებდა ხელშეკრულებას, და საქმე იმით გათავდა, რომ თებერვლის დამდევს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც საოცარი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც“ — ამბობა ვ. ი. ლენინი.

აქაც ბევრი რამ დასაზუსტებელია. რას ნიშნავს, მაგალითად, ვ. ი. ლენინის ფრაზა „ჩვენ რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონოდა“. რა, არ იყო ასეთი ხელშეკრულება და არ იცოდა ეს ვ. ი. ლენინმა? რასაკვირველია, იყო და იცოდა, მაგრამ მისი ციტირებული სიტყვიდან ეს არ ჩანს. ან კიდევ რა ესაქმებოდა „სომეხ გლეხოზას“ ამ ხელშეკრულებასთან? არც ის არის სწორი, რომ თითქოს აჯანყება „მოედო არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც“. ისტორიამ არ იცის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგო „ქართველი მოსახლეობის“ აჯანყება 1921 წლის თებერვალში.

კიდევ ერთი ადგილი ვ. ი. ლენინის სიტყვიდან: „ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ ქართველი ბურჟუაზია და ქართველი მენშევიკები ეყრდნობიან არა მშრომელ მასებს, არამედ თავიანთი ქვეყნის კაპიტალისტებს, კაპიტალისტები კი შარს ეძებენ, რათა საომარი მოქმედება დაიწყონ...“

ვ. ი. ლენინის ეს გამონათქვამიც დამატებით ახსნას მოიტხოვს. ალბათ უხერხულია ლაპარაკი ქართველი ბურჟუაზიისა და ქართველი მენშევიკების ერთიან საყრდენ ბაზაზე, მით უმეტეს, თუ ასეთ საყრდენად კაპიტალისტებს მივიჩნევთ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ მენშევიკების პარტიაში 80000-მდე კა-

ცი ირიცხებოდა. კაპიტალისტი კი საქართველოში თითო-ორ-ოლა იყო. გარდა ამისა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველი კაპიტალისტები შარს ეძებდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის დასაწყებად.

ასეა თუ ისე, ამ სიტყვაში გამოკვეთილია ვ. ი. ლენინის აზრი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ეს სიტყვა ითვლება ერთ-ერთ პირველწყაროდ, რომელშიც მოცემულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ასეთი სქემა: 1921 წლის თებერვალში მოხდა სომხეთისა და საქართველოს შეტაკება, სომეხ-ქართველთა ომი აჯანყებად იქცა, იგი სომხეთში დაიწყო და მოედო არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც. აჯანყებულებს დაეხმარა წითელი არმია.

ეს სქემა ემყარება იმ ცნობებს, რომლებსაც ვ. ი. ლენინს უგზავნიდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო გ. კ. ორჯონიკიძის მეთაურობით.

შეიძლება გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის ადრინდელი გამონათქვამებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. ავიღოთ თუნდაც მისი გამოსვლა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 29 ივლისს. ამ დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სულ რაღაც 2 თვისაა. ვ. ი. ლენინმა კლასობრივი პოზიციებიდან შეაფასა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იმდროინდელი მდგომარეობა და ოკუპანტები უწოდა გერმანიის ჯარის ნაწილებს, რომლებიც საქართველოს იმდროინდელმა ოფიციალურმა მთავრობამ მოიწვია რესპუბლიკაში. „ჩვენ ვიცით,— განაცხადა ვ. ი. ლენინმა, — რომ კავკასიაში ჩვენი ამხანაგი კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგან ირგვლივ მათ ლალატობდნენ მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ კავშირს ჰკრავდნენ გერმანელ იმპერიალისტებთან, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით.

თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქარფველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანიის იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტე-

ბის კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ...“¹

ასეთი პოლიტიკური შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. სწორედ ეს შეხედულება იყო გაბატონებული მაშინ ბოლშევიკთა შორის.

იბადება ასეთი კითხვა: საზოგადოება იცნობს ზოგიერთ ისეთ დოკუმენტს, რომელიც აშკარად ადასტურებს, რომ ვ. ი. ლენინი უკრძალავდა გ. კ. ორჯონიკიძეს საქართველოში წითელი არმიის შემოყვანას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. როგორ უნდა გავიგოთ ეს? განა ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წინააღმდეგი იყო და ორჯონიკიძე თვითნებობდა?

ასეთი დოკუმენტები მართლაც არის გამოქვეყნებული ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრულ კრებულსა (მე-5 გამოცემა) და ზოგიერთ ადრინდელ გამოცემებშიც. შეტანილია ისინი ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 ქართულ გამოცემაშიც. უმთავრესად ეს გახლავთ გ. კ. ორჯონიკიძისათვის ვ. ი. ლენინის მიერ გამოგზავნილი დეპეშები, რომლებიც ქრონოლოგიურად აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების მომდევნო დღეებს ემთხვევა. მათს შესახებ ქვემოთ ვიმსჯელოთ.

2. აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმედეგ

წითელი არმიის მიერ ამიერკავკასიის გასაბჭოება, როგორც ეტყვიან, „დღის წესრიგში“ უშუალოდ დააყენეს 1920 წლის გაზაფხულიდან. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის მიერ გ. კ. ორჯონიკიძისათვის 1920 წლის 17 მარტს გაგზავნილი დეპეშა: „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქვთ წარმართეთ, ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 7-8.

დევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ. ქარების გადაყვანაზე შე-
უთანხმდით მთავარსარდალს. ლენინი“¹.

ასე რომ, ვ. ი. ლენინი პრინციპში არ არის და თავისი პო-
ლიტიკური მრწამსის გამო არც შეიძლებოდა ყოფილიყო წი-
ნააღმდეგი წითელი არმიის მეშვეობით ამიერკავკასიაში საბ-
ჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ოღონდ აშკარად ჩანს,
რომ იგი მეტი დიპლომატიურობისა და სიფრთხილის გამოჩე-
ნას მოითხოვდა.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შე-
მდეგ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და
XI წითელი არმიის ხელმძღვანელობა შესაძლებლად მიიჩნე-
ვდნენ საქართველოს გასაბჭოებასაც. გადაიღვა გარკვეული
ნაბიჯებიც, რასაც ვ. ი. ლენინიც გამოეხმაურა.

დავიმოწმით რამდენიმე კონკრეტული მაგალითი. აზერ-
ბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება 1920 წლის აპრილის დამ-
ლევს დამყარდა. ქართველ ბოლშევიკებს ამ დროს სათანადო
მზადებაც ჰქონდათ. განზრახული იყო მოეწყოთ აჯანყებები
საქართველოს სხვადასხვა რაიონში, რაც საბაბს მისცემდა აზ-
ერბაიჯანში დაბნაკებულ XI წითელი არმიის ნაწილებს და-
ხმარება აღმოეჩინათ აჯანყებულთათვის. 1920 წლის მაისის
დამდეგს თბილისში მართლაც მოხდა ბოლშევიკთა შეიარაღე-
ბული გამოსვლა (თავდასხმა იუნკერთა სასწავლებელზე), მა-
გრამ იგი ადვილად უვნებელყვეს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკის მთავრობის დამცველმა ძალებმა. სწორედ ამ დროს
(კერძოდ, 2 მაისს) გადმოლახა XI წითელმა არმიამ საქართვე-
ლოს საზღვრები (ამ ფაქტს ჩვენი ისტორიოგრაფია სათანადო
ყურადღებას არ აქცევდა). წითელი არმია თბილისისაკენ მოი-
წევდა. 1920 წლის 3 მაისს გ. კ. ორჯონიკიძემ მოსკოვს აც-
ნობა, რომ იმედი აქვს არა უგვიანეს 15 მაისისა თბილისს
აიღებს. მეორე დღესაც, 4 მაისს გ. კ. ორჯონიკიძე კვლავ გზა-
ვნის დებუშას: „მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს. ბაქო,
1920 წლის 4 მაისი. მეორედ გპასუხობთ. ამბები ისე დატრია-
ლდა, რომ იმედი გვაქვს თორმეტს მაინც თბილისს ვიქნეთ. სა-
ამისოდ ყველაფერი გაკეთებულა. ბრწყინვალედ გამოვა. სა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 470.

კითხის სხვაგვარი გადაწყვეტა აჯანყებულთა საშინელ ხოცვა-
ჟლეტას გამოიწვევს. ორჯონიკიძე“.¹

გ. კ. ორჯონიკიძემ სცადა გამოეყენებინა რევოლუციური
სამხედრო საბჭოს წევრის ი. ტ. სმილგას ავტორიტეტიც. მას
სთხოვდა ეცნობებინა ვ. ი. ლენინისათვის, რომ მხარს უჭერს
საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ორჯონიკიძისეულ გეგმას. „დამერწმუნე, ბრწყინვალედ გამოვაო“,
სწერდა გ. კ. ორჯონიკიძე ი. ტ. სმილგას. ყველაფერი ეს ხდებ-
და 1920 წლის მაისის პირველ რიცხვებში, საბჭოთა რუსეთსა
და საქართველოს შორის საზავო მოლაპარაკების დროს. ი. ტ.
სმილგამ თავის მხრივ ურჩია გ. კ. ორჯონიკიძეს, დაეინებოთ
მოითხოვე, რომ ვ. ი. ლენინმა „ხელეები გაგვიხსნას — მას არ
დაჭირდება ჩვენი ჯარების გადარჩენაცო“.²

მაგრამ მოსკოვში საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს
ურთიერთობის საკითხი სხვანაირად წყდებოდა. 1920 წლის 4
მაისს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბი-
უროს სხდომა, რომელმაც განიხილა გ. კ. ორჯონიკიძისაგან
მიღებული დებუშები და დაადგინა დაუყოვნებლივ ეცნობე-
ბინათ გ. კ. ორჯონიკიძისათვის, რომ მას ეკრძალება „საქართვე-
ლოს თვითგამორკვევა“. პოლიტბიურად დაადგინა აგრეთვე
რომ გაგრძელდეს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობას-
თან.³

¹ მლი ცხა, ფ. 461, საქ. 33508, ფურც. 2 (სკვპ ცვ-თან არსებული მარ-
ქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივის მე-5,
მე-17, 85-ე, 461-ე და 558-ე ფონდებიდან დამოწმებული მასალების, აგ-
რეთვე ი. ირემაშვილის მოგონების ნაწყვეტის თარგმანი ეკუთვნის რედაქ-
ტორს ბაკალაიას).

² დამოწმებულია ა. ირემაძის წიგნიდან — „განთავის სათავეებთან“,
თბ., 1984, გვ. 235. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის
7 მაისის საზავო ხელშეკრულების ირგვლივ ცნობილ მოღვაწეთა (ი. ბ.
სტალინი, გ. კ. ორჯონიკიძე, გ. ვ. ჩიჩერინი, ს. მ. კიროვი, ა. ს. ენუქიძე,
ლ. ე. დუმბაძე, და ბ. მ. კვიციანი) საუბრები, რომლებსაც ჩვენ შემდეგ
ვიმოწმებთ, მაგრამ საარქივო ან ლიტერატურულ წყაროებს არ ვუთით-
ებთ, ციტირებულია ა. ირემაძის დასახელებული წიგნიდან, იბ. გვ. გვ.
233-235, 237-239, 242.

³ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, მეხუთე გამო-
ცემა (რუს.), ტ. 51, გვ. 424, 208-ე შენიშვნა.

ამის შემდეგ, 1920 წლის 4 მაისსვე ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ასეთ დებეშას უგზავნიან გ. კ. ორჯონიკიძეს:

„ბაქო როსტოვით

კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს
ორჯონიკიძეს

ჩაბარდეს პასუხისმგებელი პირების მეშვეობით, ჩაბარების შემდეგ ეცნობოს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს სკლიანსკის.

ცენტრალური კომიტეტი გავალბთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან.

თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის.

დაუყოვნებლივ გვაცნობეთ მთელი უზუსტესი ცნობები აჯანყებულთა შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს დავალებით ლენინი, სტალინი“¹.

იმავე საღამოს ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით ელაპარაკა გ. კ. ორჯონიკიძეს, რომელსაც ერთხელ კიდევ გაუმეორა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალება, რომ მიეღო „ყველა ზომა ნაწილების რუსეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებთან გასაყვანად“ და უარი ეთქვა „საქართველოს წინააღმდეგ, როგორც არ უნდა იყოს, შეტევით მოქმედებაზე. მე მოვედი აპარატთან, — ამბობს ი. ბ. სტალინი, — რომ გაგიმეორე ცენტრალური კომიტეტის ეს მოთხოვნა, მხედველობაში მიიღო, რომ ცენტრალური კომიტეტის ეს მოთხოვნა ნაკარნახევია ახლანდელი საერთაშორისო ვითარებით“.

საპასუხო დებეშაში (1920 წლის 7 მაისი) გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი აცნობებდნენ ვ. ი. ლენინს: „თქვენს ბრძანებას ზუსტად შევასრულებთ... აჯანყების რაიონია: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხი, აფხაზეთი და თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია. საზღვრებისკენ ჩვენი წაწევისას

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 474.

აჯანყება აღნიშნულ რაიონებში გარდაუვალია. რას გვიბრძანებთ — დაეუჭიროთ მხარი თუ ჩვენთვის ვიყოთ“.¹

როგორც ვხედავთ, გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი ამწვიდებდნენ ვ. ი. ლენინს, თქვენი ბრძანება ზუსტად შესრულდებაო, მაგრამ იქვე ჩამოთვლიან (ვ. ი. ლენინის მოთხოვნის თანახმად) აჯანყებისათვის მომზადებულ საქართველოს რაიონებს და თითქოს „განაწყენებულნი ეკითხებიან“ („ЧТО ПРИКАЖЕТЕ ДЕЛАТЬ?“) ვ. ი. ლენინს, თუ ეს რაიონები აჯანყდნენ, დავეხმართ თუ არა მათო.

რამ გამოიწვია მოსკოვიდან ასეთი დეპეშების გამოგზავნა? ნუთუ შეიძლება დავიკვროთ, რომ წითელმა არმიამ ცენტრის ნებართვის გარეშე გადმოლაზა საზღვარი? რასაკვირველია, არა. პასუხი ჩვენს კითხვაზე მოცემულია თვით ვ. ი. ლენინის მიერ 1920 წლის 4 მაისს გ. კ. ორჯონიკიძისათვის გამოგზავნილი დეპეშის ტექსტში, სადაც ნათქვამია, თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან გამოირიცხული არ არისო.

საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ამ დროს (1920 წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე) მოსკოვში გამალებული მუშაობა მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად. ქართული მხარე, შეიძლება ითქვას, უფრო აქტიურობდა. ეს ბუნებრივია, რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ნათელი იყო, რომ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ სულ მალე საქართველოს ჯერიც დადგებოდა. ეს კი საბჭოთა რუსეთთან ომს ნიშნავდა, რაც საქართველოსთვის არაჩელსაყრელი იყო. ეს საშიშროება საქართველოსთვის იმ დროს უკვე რეალობად იქცა — საბჭოთა აზერბაიჯანში განლაგებული წითელი არმიის ნაწილების მიერ 1920 წლის მაისის დამდეგს დაწყებული შეიარაღებული ბრძოლა, საქართველოს გასაბჭოებას რომ ისახავდა მიზნად, ფაქტობრივად რუსეთ-საქართველოს ომი იყო. ამიტომ საბჭოთა რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ხსნად ჩა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, მეხუთე გამოცემა (რუს.), ტ. 51, გვ. 424, 209-ე შენიშვნა.

ნდა. თუმცა, ზოგიერთი იმდროინდელი მოღვაწე, კერძოდ, საქართველოს ჯარის ყოფილი მთავარსარდალი, გენერალი გ. ი. კვინიტაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, პირადად, ნ. ნ. ჟორდანიას შეცდომად მიიჩნევს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას. მისი აზრით, საქართველოს მაშინ შეეძლო დაემარცხებინა მე-11 წითელი არმია და გასაბჭოებული აზერბაიჯანიც კი დაეკავებინა.¹

¹ იმდროინდელი საერთაშორისო კონიუნქტურის გამო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით დაინტერესებული აღმოჩნდა თვით საბჭოთა რუსეთიც, რადგან მის წინაშე მაშინ არაერთი რთული პრობლემა იდგა: ომი პოლონეთთან და თეთრგვარდიელი გენერლის ვრანგელის საჯარისო შენაერთებთან (ყირიმში). ახალი სერიოზული საომარი კერის გაჩენა კი სარისკო იყო. თუ საქართველოს გასაბჭოება უმტკივნეულოდ მოხდებოდა, ამის წინააღმდეგი, ცხადია, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო არ იქნებოდა, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, როგორც ითქვა, უვნებელყვეს. თბილისელ ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა და სასტიკი წინააღმდეგობაც გაუწიეს საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილ წითელი არმიის ნაწილებს, რაც ახალ გართულებას ქმნიდა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება კი საბჭოთა რუსეთს საშუალებას აძლევდა მთელი ყურადღება მთავარი საფრთხისათვის მიექცია. მით უფრო, რომ რუსეთს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა.

¹ კიდევ ერთი მომენტი: 1920 წლის 4 მაისს გ. ვ. ჩიჩერინმა შეატყობინა ვ. ი. ლენინს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის მოთხოვნა („კერზონის რადიო“), რომ საბჭოთა მთავრობას გამოეცხადებინა საერთო ამნისტია და შემრიგებლური დამოკიდებულება გამოეჩინა დამარცხებული თეთრგვარდიელი გენერლებისადმი. კერძოდ, კერზონი მოით-

¹ იხ. Генерал Г. И. Квиниатадзе. Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917—1921. პარიზი, 1985, გვ. 7.

ხოვდა, რომ შეჩერებულყო საომარი მოქმედება ყირიმსა და კავკასიაში. გ. ვ. ჩიჩერინი წინადადებას იძლეოდა: „დავეთანხმეთ ვრანგელის ამნისტიას და შევაჩეროთ შემდგომი წინსვლა კავკასიაში, სადაც ჩვენ ყველაფერი ძვირფასი უკვე ხელთ ვიგდეთ, და შეიძლება დაუყოვნებლივ ეუბასუხოთ თანხმობით“.¹

იმავე 1920 წლის 4 მაისს ვ. ი. ლენინი სწერდა ლ. დ. ტროცკის: „ამხ. ტროცკი ჩემი აზრით, ჩიჩერინი მართალია: ასლავე უბასუხეთ თანხმობით 1) საომარი მოქმედების შეჩერებაზე (ა) ყირიმში და (ბ) კავკასიაში...“²

კავკასიაში საომარი მოქმედებისა და შემდგომი წინსვლის შეჩერებაზე რომ ლაპარაკობენ, კერზონი, ჩიჩერინი და ლენინი, ცხადია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის წითელი არმიის მიერ 1920 წლის მაისის დამდეგს დაწყებულ ბრძოლას გულისხმობენ. ჩიჩერინი კი, როცა ამბობს, კავკასიაში ყველაფერი ძვირფასი უკვე ხელთ ვიგდეთო, პირველ რიგში, უეპველია, ბაქოს ნავთობს გულისხმობს.

აი, ასეთ ვითარებაში დაევალა გ. კ. ორჯონიკიძეს წითელი არმიის ნაწილების გაყვანა საქართველოს ფარგლებიდან. აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა კერზონის მოთხოვნამ და საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის იმ დროს მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებამ. ყოველივე ამან შეუძლებელი გახადა მაშინ საქართველოს გასაბჭოება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ბოლშევიკები ხელშეკრულების წინააღმდეგი იყვნენ. მათი აზრით საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადება გაართულებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

ცნობილია ასეთი ფაქტიც. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად, საქართველოს მთავრობის რწმუნებულებით, მოსკოვში გაემგზავრა დამფუძნებელი კრების წევრი გრ. ურატაძე, რომილოც პირადად იცნობდა ვ. ი.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ

² იქვე, გვ. 371-372.

ლენინს. ყოველ შემთხვევაში, იგი სწავლობდა იმ პარტიულ სკოლაში (ლონეიუმი), რომელსაც სხვებთან ერთად ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამ მოტივსაც (ვ. ი. ლენინისა და ვ. ი. ურატაძის პირადი ნაცნობობა) უწევდა ანგარიშს, როცა გრ. ურატაძე აღნიშნული დიპლომატიური მისიის შესასრულებლად შეარჩია.

„საქართველო იყო დამოუკიდებელი, — წერს ნოე ჟორდანია, — მის შინაგან მტერის არ გვეშინოდა, ხალხი ჩვენთან იყო და ნაძირალებს ადვილათ უმკლავდებოდით, მაგრამ ასეთი მდგომარეობა სანამდე უნდა გაგრძელებულიყო. სახელმწიფო არსებობს არა მარტო თავისთვის, შინაურული წესით, არამედ გარეშეებისთვისაც, ნაციონალურათ და ინტერნაციონალურათ. ამ მხრით ევროპიდან არაფერი სანუგეშო მოგვედიოდა. ვერსალის კონფერენცია გათავდა, ჩვენ კი დავრჩით უცნობი, ცხადი იყო, რუსეთს, წაქეუულ რუსეთსაც, დიდ ანგარიშს უწევდენ და არ სურდათ მისი დანაწილების დადასტურება. საჭირო იყო ამ საკითხისადმი მიდგომა სხვანაირათ, შემოვლით. რაკი პირდაპირი მიდგომით, ევროპის წინაშე შუამდგომლობით და იქ პროპაგანდით არა გამოდიოდა რა, ცხადი გახდა, საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა. ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დადასტურა, ამ თამასუქით წარვდგებით ევროპის აეროპაგის წინაშე და ეს უეჭველათ გასჭრის. გადავწყვიტე, ჯერ ჩემს გულში, მოსკოვში კაცის გაგზავნა. დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინის და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი. ვიფიქრე და გავჩერდი გრ. ურატაძეზე. ის იყო სტოგოლმისა და ლონდონის კონგრესებზე და იცნობდა ყველას. დაუძახე გრიშას და მოველაპარაკე. მან მაშინვე თანხმობა განაცხადა, თუმცა „გზა იყო ეკლიანი“, უნდა გაეფლო მრავალნაირი საომარი ფრონტები. მისი თანხმობის შემდეგ, წავედი საგარეო სამინისტროში, ვნახე საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი და გავუზიარე ჩემი აზრი. მან მითხრა — აგერ ერთი თვეა ერთი ქართველი კომუნისტი მეხვეწება გამატანეთ ვინმე თქვენი კაცი მოსკოვში და იქ მოვახერხებ დავითანხმო ლენინი საქართველოს დამოუკიდებლობის

ცნობაზეო. დამისახელა გვარიც (ალარ მახსოვს)...¹ გრიშაზე დათანხმდა და ორ კვირაში გავისტუმრეთ რუკეთისავენი შავი ზღვით. ამ მისიის ერთი მთავარი პირობა იყო მისი საიდუმლოება, ე. ი. საქართველოს კომუნისტებს არ გაეგოთ არავითარ შემთხვევაში, თვარა უეჭველად ჩაშლიდნენ.

მთელი ეს ამბავი, გრიშას გამგზავრება და იქ მუშაობა, საქართველოში არავის გაუგია. მე ახლაც მიკვირს, რატომ მოსკოვმა არ შეეკითხა თავის ხალხს თფილისში. ჩვენთვის მთავარი იყო ეცნო მოსკოვს ორი დებულება: დამოუკიდებლობა და საზღვრები. ყველა დანარჩენი პირობები იქნებოდა მეორე ხარისხოვანი, რაიცა იქნებოდა საგანი მოლაპარაკების. ასეთი ინსტრუქცია მივეცი გრ. ურატაძეს. ის წავიდა მარტო“.²

გზაზე, საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, როსტოვში შეაფერხეს გრ. ურატაძის მოსკოვში გამგზავრება. რატომ? ბუნებრივია, იმიტომ, რომ გარკვეული ძალები (უმთავრესად სამხედრო) ამზადებდნენ საქართველოს გასაბჭოებას, რაც ზედმეტს ხდიდა სამშვიდობო მოლაპარაკებას. ვიმეორებთ, ეს ის დროა, როცა წითელმა არმიამ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ საქართველოს საზღვარიც გადმოლახა. გრ. ურატაძემ მაინც ჩააღწია მოსკოვში (საქმეში ე. ი. ლენინიც ჩაერია), და მისი მისია საქართველოს დიპლომატიის გამარჯვებით დაგვირგვინდა — 1920 წლის 7 მაისს რუსეთის სფს რესპუბლიკამ და საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმეს. საბჭოთა რუსეთის მხრიდან მას ხელი მოაწერა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ მიხეილის ძე კარახანმა, რომელიც აღჭურვილი იყო რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ე. ი. ლენინისა და რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის მიერ ხელმოწერილი სპეციალური

¹ პროფესორმა გურამ შარაძემ საზოგადოებრობას უკვე ამცნო, რომ ეს პიროვნება იყო ძველი ბოლშევიკი ა. კ. კობახიძე (მირსკი). მანვე დააზუსტა, რომ საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად მოსკოვში საქართველოდან გაგზავნილი დელეგაციის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე დავით საღირაშვილი.

² ნოე ჟორდანიას ჩემი წარსული (მოგონებანი), თბ., რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“, 1990, გვ. 112-113.

რწმუნებულებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან კი ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ.

ამრიგად, 1918 წლის 26 მაისის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მათიანეში კვლავ გაჩნდა მნიშვნელოვანი თარიღი — 1920 წლის 7 მაისი.

საქართველოს დამოუკიდებლობა ბევრმა სახელმწიფომ აღიარა, მაგრამ, ექვევარეშეა, რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველივე ამაში საბჭოთა რუსეთის მხრიდან, ბუნებრივია, გადამწყვეტი როლი ვ. ი. ლენინს ეკუთვნოდა. ეს დადასტურებული აქვს თვით ნოე ჟორდანიასაც: „აშკარა იყო მოსკოვის ორი ტენდენცია: ერთი — პოლიტიკური და მეზობლური, მეორე იმპერიალისტური. ამ უკანასკნელს მეთაურობდა ტროცკი, სამხედრო მინისტრი და სტალინი, ეროვნებათა მინისტრი (კომისარი). პირველს კი ლენინი“¹, — წერს იგი.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისა და საერთოდ საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისადმი ი. ბ. სტალინის დამოკიდებულების დასახასიათებლად, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება მისი ბავშვობის მეგობრის, სოციალ-დემოკრატი მენშევიკის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საბჭოთა ორგანოების მიერ 1922 წელს საზღვარგარეთ (გერმანიაში) გადასახლებული იოსებ ირემაშვილის მოგონება, რომელიც დამოწმებული აქვს ლ. დ. ტროცკის თავის საზღვარგარეთ გამოცემულ წიგნში „სტალინი“ (ტ. II, გვ. 49-50). რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ ი. ირემაშვილი წერს: „სტალინი ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო. არ უნდოდა, რომ მისი სამშობლო რუსეთის სახელმწიფოსაგან გამოთიშული ყოფილიყო და იქ მისთვის საძულველ მენშევიკებს თავისუფლად ეხელისუფლათ... პატივმოყვარეობა უბიძგებდა საქართველოზე ბატონობისაკენ, სადაც მშვიდობიანი, გონიერი მოსახლეობა ურყევი სიმტკიცით ეწინააღმდეგებოდა მისი დამანგრეველი პროპაგანდის წარმატებას. მას

¹ ნ. ჟორდანიას ჩემი წარსული (მოგონებანი)... გვ. 117.

ძილს უფრთხობდა იმის წადილი, რომ შური ეძია მენშევიკთა ბელადებზე, რომლებმაც რახანია უთხრეს, მხარს ვერ დავუჭერთ შენს უტოპიურ გეგმებსო, და თავისი რიგებიდანაც მოკვეთეს იგი. ლენინის ნების წინააღმდეგ, საკუთარი ეგოისტური ინიციატივით, სტალინმა მიაღწია თავისი სამშობლოს ბოლშევიზაციას თუ სტალინიზაციას... 1921 წლის 11 თებერვალს სტალინის ბრძანებით წითელი არმიის მნიშვნელოვანმა ნაწილებმა უგულვებელყვეს ლენინის მიერ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება და საქართველოში შემოიჭრნენ... სტალინმა მოსკოვიდან მოაწყო თავისი ექსპედიცია საქართველოში და იქიდანვე ხელმძღვანელობდა მას. 1921 წლის შუა ივლისი იდგა, როცა იგი თვითონ შემოვიდა თბილისში, როგორც გამარჯვებული“.

იოსებ ირემაშვილი იოსებ სტალინზე განაწყენებულია, ამიტომ სტალინზე მის თავისებურ მსჯელობაში შეიძლება სრულ ობიექტურობას ვერც იცავდეს, მისი ზოგიერთი აზრი, შეიძლება, უფრო მეტად ემოციებს ეფუძნებოდეს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საკითხში სტალინის პოზიციას იგი, ძირითადად, მაინც სწორად გადმოგვცემს. უკვე ითქვა, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგი სხვა ქართველი ბოლშევიკებიც იყვნენ. რაც შეეხება ირემაშვილის განცხადებას, რომ სტალინმა საქართველოს „ბოლშევიზაცია“ „ლენინის ნების წინააღმდეგ“ და თავისი „ეგოისტური ინიციატივით“ მოახდინა, ეს, რასაკვირველია, ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს. სტალინის ინიციატივა ლენინის თანხმობის გარეშე, ცხადია, განუხორციელებელი დარჩებოდა.

იმის შესახებ, თუ როგორ ესახებოდათ მენშევიკებს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შემდგომი ურთიერთობა, ლაპარაკია დებეშაში, რომელიც ნოე ჟორდანიამ გაუგზავნა გრ. ურატაძეს სამშვიდობო ხელშეკრულების დადების მესამე დღეს, 1920 წლის 10 მაისს: „საქართველოს წარმომადგენელს მოსკოვში გრ. ურატაძეს. მოგილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადებას. გადაეცით „სოვნარკომს“, რომ ზავის ამბავს ხალხი ღრმა კმაყოფილებით და აღტაცების გრძნობით შეხვდა. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან რუსეთსა და საქართველონ

შორის მოისპობა ყოველივე გაუგებრობა და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავენ ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად. სალამი მეგობრებს, ამხანაგებსა და ნაცნობებს. ნოე ჟორდანიანი“.¹

როგორც ვხედავთ, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას ნ. ჟორდანიანი ერთობ ოპტიმისტურად უყურებს, იგი იმედოვნებს, რომ მომავალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა რუსეთი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავენ ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად.

უნდა ვიფიქროთ, ნ. ნ. ჟორდანიანი არ ეცოდინებოდა იმ დეპეშის შინაარსი, რომელიც ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა 1920 წლის 4 მაისს გაუგზავნეს გ. კ. ორჯონიკიძეს საქართველოს ფარგლებიდან წითელი არმიის ნაწილების გამოყვანის თაობაზე, მაგრამ იმაში კი ალბათ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ 7 მაისის შემდეგ საბჭოთა აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ჯარის ნაწილები შეწყვეტდნენ საომარ მოქმედებას და უკან გაბრუნდებოდნენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საომარი ოპერაციები ამის შემდეგაც გრძელდებოდა, რასაც ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა (სათანადო ცნობები ქვეყნდებოდა იმდროინდელ პრესაში). საქართველოს სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარი 7 მაისის შემდეგაც იძულებული იყვნენ იარაღით აღედგინათ და შეენარჩუნებინათ რესპუბლიკის საზღვარი. უკანასკნელი გაბრძოლება 16 მაისს მოხდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეწყდა ბრძოლები. „აზერბაიჯანის მთავრობა საქართველოს მთავრობას აცნობებს, რომ მათ 16 მაისიდან შესწყვიტეს ყოველგვარი საომარი მოქმედება“ — იტყობინებოდა მთავრობის მოამბე „საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 წლის 20 მაისს.

და მაინც ძნელია ახსნა, თუ რატომ 4 მაისიდან, მით უფრო 7 მაისიდანვე არ შეწყდა საომარი მოქმედება, საქართველოს საზღვრებს მაისის მეორე ნახევარშიც კვლავ რატომ ემუქრებოდა საშიშროება? საბჭოთა აზერბაიჯანიდან რომელი სამხე-

¹ ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ა. მ ე ნ თ ე შ ა შ ე ი ლ ი. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. — გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 8 ივნისი.

დრო ძალა უტევდა საქართველოს? ამ კითხვასთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიას აღნიშნავა:

„1920 წლის აპრილში მოხდა აზერბაიჯანის მართლა გასაბჭოება. ე. ი. უიარაღოთ და უბრძოლველათ. შესრულდა ოსმალეთის ნება-სურვილი, გამოჩნდა, რომ აზერბაიჯანი არის აგენტურა ოსმალეთის და მოქმედებს მისი კარნახით. მოსკოვს ეგონა ასე ადვილათ მოხდებოდა საქართველოს მოსპობა და უბრძანა თავის ჯარებს „გააგრძელონ მსვლელობა ბაქოდან ბათუმამდე“. მოგვადგენ საზღვარზე მაისის დასაწყისს. მივიღეთ სასწრაფო ზომები, გამოვაცხადეთ სამხედრო წესები, გვარდიის მობილიზაცია და სხვ. მთავარ სარღლათ დაინიშნა ღენ. კვინიტაძე, ყველა ჩვენ ღენერლებსა და პოლკოვნიკებს შორის ეს პირი მიგვაჩნდა აქტიური, სწრაფი, მოქმედი, მხოლოდ ჯიუტი და მიუკარებელი. მაგრამ უკეთესი არავინ იყო და უნდა შევერიგებოდით ამას. ამ დროს თფილისში დიდი პანიკა იყო, ამბობდნენ რუსი მოდის და ვინ გაუძლებსო! რადგანაც მთავარი მეომარი ელემენტი იყო გვარდია, როგორც გადაჭრით ანტიბოლშევიკური, გადავსწყვიტეთ მორალი მისი გაგვემაგრებია ხმის გავრცელებით, მოდის არა რუსის, არამედ აზერბაიჯანელთა ჯარი, აზერბაიჯანელთა მთავრობის ბრძანებით. ხერხმა გასჭრა. გვარდიელები ყალყზე დადგნენ, როგორ გვიბედავენ... ომსო. პირველი შეტაკება მოხდა წითელ ხიდზე, მტერი დაამარცხა გვარდიამ, მხოლოდ გაკვირვებით ამბობდნენ — თათრები ყველა გაიქცნენ და მათ შორის არეულ რუსებმა თავი შემოგვაკლესო, მოკლულები აღმოჩნდნენ ყველა რუსი, არც ერთი აზერბაიჯანელი! ეს გარენოება ძალიან აფიქრებდა ბევრს, ვინ გვებრძვის — მართლა რუსი თუ თათარიო. საზოგადოთ რუსის შიში დიდი იყო. თუ რუსეთი დაიძრა, ვერას გავაწყობთო. საჭირო იყო დიდი მუშაობა, რომ ასეთი პანიკური განწყობილება შეგვესუსტებია. სწორედ ამ დროს მოხდა მოსკოვთან ხელშეკრულების დადება და მით ომიც შეჩერდა“¹.

ნოე ჟორდანიას მართალს ამბობს. 1920 წლის მაისში აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრებს საბჭოთა რუსეთის წითელი არმია უტევდა.

¹ ნოე ჟორდანიას ჩემი წარსული (მოგონებანი)... გვ. 116-117.

ასევე ძნელია იმის დაჯერებაც, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო და მე-11 წითელი არმიის ხელმძღვანელობა ანგარიშს არ უწევდნენ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას. ერთი კი უნდა ითქვას, ამ ხელშეკრულებას ზოგიერთი იმდროინდელი მოღვაწე (მათ შორის ქართველი ბოლშევიკებიც) არცთუ უსაფუძვლოდ თავიდანვე დროებით მოვლენად, საბჭოთა რუსეთის იძულებით მანევრად მიიჩნევდნენ. გ. კ. ორჯონიკიძემ ლ. ე. დუმბაძესთან პირდაპირი მავთულით ერთ-ერთი საუბრის დროს თქვა: „რუსეთისა და მენშევიკური საქართველოს დაზავება მიჩნეულია შესვენებად, რომელიც ლენინს სჭირდებოდა პოლონეთის ფრონტის სწრაფი ლიკვიდაციისა და იმისათვის, რომ პროვოკაციები აღეკვეთა“.¹

ბევრი გულწრფელად ფიქრობდა ასე. გარდა ამისა, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს საზავო ხელშეკრულების ასეთი შეფასებით ამშვიდებდნენ იმ ქართველ ბოლშევიკებს, რომლებმაც უარყოფითად შეაფასეს ეს ხელშეკრულება და რომელთა აზრით დაზავებამ დალუპვისაგან გადაარჩინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ბ. მ. კვიციანი და ლ. ე. დუმბაძემ (იყვნენ სხვებიც) გ. კ. ორჯონიკიძესთან პირდაპირი მავთულით საუბრის დროს განაცხადეს: „დაზავების აქტით ჩვენ არა მარტო განვამტკიცეთ მენშევიკი გაიძვერების პოზიციები, არამედ შევასუსტეთ კიდეც განუწყვეტლივ მზარდი რევოლუციური ტალღა მასებში, რადგან საბოლოოდ შევურყიეთ საბჭოთა რუსეთისადმი რწმენა და იმედი. ამის შესახებ აცნობეთ ცენტრს, რომ დაზავების ერთ-ერთ პირობად მაინც მოსკოვმა მოითხოვოს პარტიის ლეგალიზაცია, დაპატიმრებულთა განთავისუფლება და ჩვენი იმ ამხანაგების დევნის შეწყვეტა, რომლებიც ბატონმა რამი-წილმა ამოსაწყვეტად და სატანჯველად გასწირა, რომ ამით მაინც ნაწილობრივ შევიმსუბუქეთ დანაშაული მათ წინაშე და გავიადვილოთ მომავალში მუშაობის პირობები“.

1920 წლის 30 აგვისტოს ს. მ. კიროვმა დაუდასტურა გ. ვ. ჩიჩერინს: „ხელშეკრულების დადების ფაქტმა, მართლაც რომ

¹ მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 311, ფურც. 1.

მეტად უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ ამსანაგებზე“.

ს. მ. კიროვი მართალს ამბობდა. საქმე ის იყო, რომ ქართველ ბოლშევიკთა უმრავლესობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დღეები 1920 წლის მაისისათვის უკვე დათვლილად მიაჩნდათ. „მენშევიკები იმდენად უძლურად გრძნობენ თავს, რომ ისინი მოხარული იქნებიან უკიდურეს შემთხვევაში დამოუკიდებლობის იურიდიული მოჩვენებითობა მაინც შეინარჩუნონ, მოგვცემენ რა ფაქტურ უფლებას ჩავერიოთ მათს შინაურ საქმეებში“ — აუწყებდა ამ დღეებში ბ. მ. კვიციანი გ. კ. ორჯონიკიძეს.

ერთი სიტყვით, ქართველი ბოლშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ, და ეს ბუნებრივიცაა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიეღოთ საბჭოთა რუსეთ-საქართველოს მათთვის არასასურველი დაზავებისაგან. კიდევ უფრო ოპტიმისტურაა გ. კ. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის დეპეშა, რომელიც ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისს გაეგზავნა ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს და გ. ვ. ჩიჩერინს. გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს გარეშე აზერბაიჯანის შენარჩუნება შეუძლებელია, ის აგრესიულ ზომებს იღებს აზერბაიჯანის წინააღმდეგ „ხელს გვიშლის კავკასიაში“ და ასკვნის: „ჩვენი აზრით საქართველოსთან ზავის დადების პირობად უნდა იყოს აუცილებელი მოთხოვნა იმისა, რომ საქართველოში გამოცხადდეს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენი ცნობებით მენშევიკები მზად არიან დათანხმდნენ ამას, ოღონდ ბევრს ივაჭრებენ“.¹

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება საბჭოთა რუსეთს ზავის პირობად არ წამოუყენებია. იგი უკვე თვით იყო დაინტერესებული, რომ საზავო მოლაპარაკება აღარ გაქიანურებულიყო. „ჩვენი ნაწილებისა და აგრეთვე აზერბაიჯანის ნაწილების ზოგიერთი გამოსვლა რომ არ გვირევედეს კარტს და არ გვიშლიდეს ჩვენი პოლიტიკის გატარება, ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იქნებოდა“ — თითქოს გულისტკივილით ატყობინებდნენ ი. ბ. სტალინი და ა. ს. ენუქიძე გ. კ. ორჯონიკიძეს, ამასთან ურჩევდნენ მას დაერ-

¹ შლი ცპა, ფ. 461, საქ. 33507, ფურც. 2.

წმუნებიანა „როგორც საქართველოს სასაზღვრო ნაწილები, ასე სხვა მემბოხეები საქართველოს შიგნით, რომ ნუ აჩქარდებიან გამოსვლაში... როგორც ჩვენი, ისე აზერბაიჯანის ნაწილების მხრივ საქართველოს წინააღმდეგ შეტევეითი მოქმედება არ იქნება და ჩვენ ხვალვე დავდებთ ხელშეკრულებას საქართველოსთან... როგორც სომხეთის, ისე საქართველოში მიმართ აზერბაიჯანმა უნდა დაიკავოს თავისი ტერიტორიის თავდაცვის უმკაცრესი პოზიცია, მთელი ძალებით დაცვა საზღვრები“.

ყველაფრიდან ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთმა ამჯერად ნაადრევად მიიჩნია საქართველოს გასაბჭოება. მართალია, გ. კ. ორჯონიკიძე არწმუნებდა მოსკოვს მენშევიკები შეიძლება დათანხმდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებაზე, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა არც ამ დიპლომატიურ ხერხს მიმართა მაშინ. „ის, რასაც შენ ამბობ საქართველოს მთავრობაზე, აბსოლუტურად სწორია, — ეუბნებოდა ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით გ. კ. ორჯონიკიძეს, — მაგრამ ვითარება ისეთია, რომ... ახლა საქართველოს მიმართ აჩქარების — მისი საბჭოურად გარდაქმნის აზრით — მომხრე ჩვენ არ ვართ. სულ ერთია, რამდენიმე თვის შემდეგ, თუ კომუნისტები ლეგალიზებული იქნებიან, იგი ისედაც საბჭოთა რესპუბლიკა გახდება, მას სხვა გზა არა აქვს“.

სამწვიდობო ხელშეკრულების თანახმად საქართველოს კომუნისტებს მართლაც მიეცათ ლეგალური მოღვაწეობის საშუალება. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, თუმცა მან მაინც ვერ უზრუნველყო ქართული მოსახლეობის უმრავლესობის აქტიური მხარდაჭერა კომუნისტებისათვის. საბჭოთა რუსეთისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების ის მუხლიც, რომლის თანახმად საქართველოს ტერიტორია უნდა განთავისუფლებულიყო საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი შეიარაღებული ძალებისაგან (მაგ., ინგლისელთა საოკუპაციო ჯარები ბათუმის ოლქში და სხვ.) და არ გადაქცეულიყო იგი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

ცოტათი უკან დავბრუნდეთ. მოვიგონოთ, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთზე ადრე თურქეთმა, ერმანიამ და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომაც აღიარეს. გე-

რმანია, მაგალითად, გასაგები მიზეზების გამო, იმაზეც კი ზრუნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა თვით საბჭოთა რუსეთს ეცნო. ზურაბ ავალიშვილის მოწმობით გერმანიის წარმომადგენელი საქართველოს დელეგაციას 1918 წლის ივნისში ასეთ რჩევას აძლევდა: „გავაკეთოთ ისე, რომ ბაქოს ნავთობის რეწვის რაიონი სავსებით არ მოსწყდეს რუსეთს, მაინც, მათი აზრით, უფრო გაიოლდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს ცნობის საკითხი. ეს მოსაზრებები — განაგრძობს ზ. ავალიშვილი, — მე ძალზე საინტერესოდ მეჩვენება. ისინი ავლენენ გერმანული დიპლომატიის პრაქტიკულ მცდელობას, მოიაზრონ კომპრომისის დასამყარებელი გზა მოსკოვისა და თბილისის მთავრობებს შორის. ჩხენკელს ეს აზრები არ ექაშნიკა: რუსეთმა ისედაც უნდა გვაცნოსო, ამბობს იგი, ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვიყავით, ჩვენ არ დავუპყრივართ, კავკასიის სხვა პროვინციების მსგავსად, და ა. შ.“¹

საბჭოთა რუსეთის ეკონომიკური, სამხედრო ძლიერების შესუსტებისა და საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოების მომხრე გერმანიას ნამდვილად იყო მოწადინებული, რომ რუსეთს ჩამოშორებოდა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასიაც. მანამ ძალა შესწევდა იგი გარკვეულ ნაბიჯებსაც დგამდა, რასაც, ბუნებრივია, საბჭოთა რუსეთის მთავრობის მხრივ, სათანადო რეაგირება მოჰყვებოდა. „ყუბანის რესპუბლიკა რუსეთის ნაწილია, — სწერდა ი. ბ. სტალინი გ. ვ. ჩიჩერინს 1918 წლის 5 ივლისს, — დაყინებით უნდა მოვითხოვოთ ყუბანის, როგორც რუსეთის ნაწილის, ხელშეუხებლობა. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ვცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა, ოღონდ კი გერმანიამ ოფიციალურად აღიაროს, რომ ყუბანის, სომხეთის, აზერბაიჯანის საკითხი საშინაო საკითხია რუსეთისა, სადაც გერმანელებმა ცხვირი არ უნდა ჩაყონ“.²

¹ ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. I. მოგონებანი. ნაკვეთები. თბ., საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამოცემა, კოოპერატივი „ნიამორი“, 1990, გვ. 108.

² მლი ცპა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 241.

1. დავიმოწმით რამდენიმე ადგილი ი. ბ. სტალინის კიდევ ერთი წერილიდან, რომელიც მან 1918 წლის 8 ივლისს გაუგზავნა ბაქოს კომუნის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ს. გ. შაუმიანს. „რადგან დრო ცოტა მაქვს, პირდაპირ საქმით ვიწყებ... ამიერკავკასიის საკითხზე ჩვენი საერთო პოლიტიკაა ვაძულოთ გერმანელები, რომ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საკითხები აღიარონ რუსეთის საშინაო საკითხებად, რომელთა გადაწყვეტაში გერმანელები არ უნდა მონაწილეობდნენ. სწორედ ამიტომ ჩვენ არ ვცნობთ გერმანიის მიერ ცნობილ საქართველოს დამოუკიდებლობას.

2. შესაძლებელია, რომ გერმანელებს დაეუთმოთ საქართველოს საკითხში, მაგრამ ამ დათმობაზე ჩვენ წავალთ ბოლოს მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ აღიარონ გერმანიის ჩაურევლობა სომხეთისა და აზერბაიჯანის საქმეებში.

3. გერმანელები თანახმანი არიან დაგვიტოვონ ბაქო და გვთხოვონ ექვივალენტად დაეუთმოთ ნავთობის რაღაც რაოდენობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ ეს „თხოვნა“.

4. თქვენი წარმატებანი გვახარებს, მაგრამ გვინდა, რომ გერმანელებთან გართულების თავიდან ასაცილებლად, ელისავეტპოლს არ გასცდეთ, ე. ი. არ შეიჭრათ საქართველოს ფარგლებში, რომლის დამოუკიდებლობაც გერმანიამ ოფიციალურად ცნო...

ნათქვამი ყველაფერი მიიღეთ არა როგორც ჩემი პირადი აზრი, არამედ როგორც ლენინის წინადადება. მას გუშინ პირდაპირი მავთულით ველაპარაკე ყველა საკითხზე, რომელსაც კი აქ შეეხებ.

გაცნობებთ, რომ მემარცხენე ესერთა პარტიამ (თავისი ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით) მოკლა მირბახი და მამლაყინწური აჯანყება მოგვიწყო მოსკოვში. აჯანყება ჩახშობილია, მაგრამ რა ვიცი რას და როგორ უპასუხებს გერმანია ამ აქტს. მემარცხენე ეს-ერებს მოსკოვში აპატიმრებენ, ხდება მათი რაზმების განიარაღება. მიიღეთ ზომები, რომ თავიდან აიცილოთ ექსცესები გერმანიის წინააღმდეგ ომის ამ უბადრუკ პროვოკატორთა მხრივ. აბა, ხელს გართმევ. მოკი-

თხვა მეგობრებს. ი. სტალინი. ცარიცინი, 1918 წლის 8 ივნისი“.¹

ი. ბ. სტალინის ხელიდან გამოსული ეს დოკუმენტი მრავალნაირივანა საინტერესო, მაგრამ ამჟერად მხოლოდ ერთ მონენტზე გავამახვილებთ ყურადღებას. მათი ანალიზი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო კონიუნქტურის მიხედვით წყვეტდა. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ 1918 წლის ივლისში ი. ბ. სტალინი (და, როგორც იგი აღნიშნავდა, ვ. ი. ლენინიც) რუსეთისაგან ფაქტობრივად ჩამოშორებულ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს კვლავ რუსეთის ნაწილებად მიიჩნევს, თუმცა თვლის, რომ იმავე საერთაშორისო ვითარების გამო საბჭოთა რუსეთს შეუძლია დაუთმოს გერმანიას მხოლოდ და მხოლოდ „საქართველოს საკითხში“. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ საბჭოთა რუსეთი ამ დროს ურიგდება (დროებით მაინც) საქართველოს დამოუკიდებლობას. იმისათვის, რომ არ გართულდეს საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის იმ დროს არსებული ურთიერთობა, ი. ბ. სტალინს მიზანშეუწონლად მიიჩნია ბაქოს კომუნის სამხედრო ძალების შექრა გერმანიის მიერ უკვე ოფიციალურად ცნობილ საქართველოში.

უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ. ი. ბ. სტალინი რუსეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი უაღრესად გავლენიანი ხელმძღვანელი იყო. რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ყველა არარუსულ და არასაბჭოთა რესპუბლიკას, მათ შორის დემოკრატიულ საქართველოსაც, იგი საბჭოთა რუსეთის ინტერესების პრიზმით უყურებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმ მოძღვრებისა და იმ ქვეყნის რენეგატის როლში აღმოჩნდებოდა, რომელთაც გულწრფელად ემსახურებოდა მთელი თავისი სიცოცხლე. ი. ბ. სტალინი ყველაზე მაღლა აყენებდა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს, რომლებიც, მისი ღრმა რწმე-

¹ С. Г. Шаумян. Статьи и речи. 1917—1918 гг. Баку, 1929, с. 292-293. ამ კრებულში ბარათის დაწერის თარიღად შეცდომით 8 ივნისია მითითებული. მომდევნო გამოცემებში სპეციალისტებმა დააზუსტეს, რომ ბარათი დაიწერა 1918 წლის 8 ივლისს.

ნით, სავსებით შეესაბამებოდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ხალხთა სწორადგაგებულ ეროვნულ ინტერესებსაც. რუსეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთავარი საზრუნავი ყოველთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, საბჭოთა ქვეყნის გადარჩენა, მისი გაძლიერება და სოციალიზმის მშენებელ სახელმწიფოთა გეოგრაფიის გაფართოება იყო. ამ სტრატეგიული ამოცანის განხორციელების ინტერესები განსაზღვრავდნენ ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ამავე მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ, ბოლშევიკთა ეროვნული პოლიტიკა, რომლის განხორციელებაში ი. ბ. სტალინმა ერთობ დიდი წვლილი შეიტანა. აქ, მიუხედავად უდიდესი პოლიტიკური გამოცდილებისა, ი. ბ. სტალინს შეეძლო შემცდარიყო, ან არ შემცდარიყო, მაგრამ მას არ ჰქონდა არც მორალური, არც არანაირი უფლება თუნდაც ოდნავ უგულებელეყო საბჭოთა რუსეთის ინტერესები, არ განეხორციელებინა ის პოლიტიკა, რომელიც მისი აზრით მთელ მსოფლიოსთან დაპირისპირებულ საბჭოთა რუსეთისათვის იყო ხელსაყრელი. ასეთი იყო ი. ბ. სტალინის არა მარტო როგორც პარტიული და საბჭოთა ლიდერის, არამედ მისი, როგორც ინდივიდის, მრწამსი, სამოქმედო პროგრამაც სწორედ ეს გახლდათ არარუსი სტალინის ფენომენის ერთი განმსაზღვრელი ნიშანი.

და მაინც, ი. ბ. სტალინს ასეთი მოქარბებული, მეტისმეტრი, მისებურად გაგებული გულმოდგინება რომ არ გამოეჩინა რუსეთისადმი, იქნებ უმჯობესი ყოფილიყო პირველ რიგში თვით რუსეთის, ხოლო შემდეგ რუსეთთან დაკავშირებული რესპუბლიკებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ დანარჩენი მსოფლიოსთვისაც. მაგრამ, ალბათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში ი. ბ. სტალინი იძულებული იყო მხოლოდ ეს გზა აერჩია. არარუსული წარმომავლობა რუსეთისა და სსრ კავშირის ჯერ ერთ-ერთი, შემდეგ კი ერთპიროვნული ხელმძღვანელისათვის დამოკლეს მახვილის როლს ასრულებდა. ეს მომენტი უთუოდ ბევრ რამეს განაპირობებდა ი. ბ. სტალინის მოღვაწეობაში.

ეს, ისე, ფაქტის ახსნისა და არა გამართლებისათვის. რაც შეეხება საქართველოსადმი ველიკორუსული, ველიკოდერჟავული, ე. ი. ძირშივე მცდარი დამოკიდებულების ცალ-

კეულ გამოვლენებს, რაც ი. ბ. სტალინის თეორიულ თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში უხვად შეიმჩნეოდა, ქართველი ხალხი ობიექტურად განსჯის, დაგმობს და აქედან სამომავლო გაკვეთილებსაც გამოატანინებს თავის აღზევებულ შვილებს.

ჩვენ ზოგადად დავახასიათებ ვ. ი. ლენინისა და პარტიის სხვა ლიდერთა პოზიციას, რომელიც მათ საქართველოს მიმართ ეკავათ 1920 წლის მაისში, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო მოლაპარაკების დროსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მომდევნო დღეებში. ეს პოზიცია იმ ეტაპზე დაადასტურა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პრეზიდიუმმაც, რომელმაც 1920 წლის 15 ოქტომბერს განიხილა საკითხი „იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიქცეოდეთ საქართველოში“ და დაადგინა: „თანამედროვე მომენტით ნაკარნახევი ქცევის წესი მშვიდობის პოლიტიკაა“.¹

ახლა ვნახოთ რა ხდებდა სომხეთის გასაბჭოების შემდეგ. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება 1920 წლის ნოემბრის დამლევს დამყარდა. მთელს კავკასიაში მარტო საქართველო დარჩა გაუსაბჭოებელი, რაც სანარუნავს უქმნიდა როგორც საბჭოთა რუსეთსა და მასთან დაკავშირებულ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს, ისე, და უფრო მეტად, თვით საქართველოსაც. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ყველა გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდებოდა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში, საქართველოშიც შეიცვლებოდა სახელმწიფო წყობილება. სხვა გამოსავალი არ ჩანდა და, საფიქრებელია, ამას კარგად ხედავდა თვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც, რომელიც სომხეთის მაგალითს აუცილებლად უნდა დაეფიქრებინა.

და მართლაც, ჯერ კიდევ სომხეთის გასაბჭოებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობაში კვლავ გაჩნდა აშკარა უნდობლობის ელემენტები. 1920 წლის 26 ოქტომბერს ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინს აცნობა: „საქართვე-

¹ შლი ცპა, ფ. 17, აღწ. 2, საქ. 232, ფურც. 1.

ლო ემზადება ჩააბაროს ანტანტას ბათუმი და, შეიძლება უკანდასახევი გზაც კი გაუხსნას ვრანგელს, აგრეთვე ბაქოს მიმართულებით შეტევისთვისაც“.¹

„უეჭველად მიმაჩნია, — უდებეშებდა ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს 1920 წლის 29 ოქტომბერს, — რომ საქართველო ბათუმს მისცემს ანტანტას, ალბათ, საიღუმლოდ და რომ ანტანტა გამოილაშქრებს ბაქოს წინააღმდეგ. მოიფიქრეთ და საჩქაროდ მოამზადეთ ბაქოს სახმელეთო და საზღვაო მისადგომების გამაგრების, მძიმე არტილერიის. მიზიდვის ზომები და სხვა. გვაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილება“.²

ამ პერიოდისათვის საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელ წრეებში მართლაც ფიქრობდნენ, რომ ინგლისის შეიარაღებული ძალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით კვლავ მოახდენდნენ ბათუმისა და მასი ოლქის ოკუპაციას, რაც, ცხადია, აშკარად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ ვ. ი. ლენინმა საჭიროდ მიიჩნია კონტრზომების მიღება. „...საკმარისია თუ არა კავკასიის ფრონტზე დანიშნული მაშველო ძალები? შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა საქართველოსთან და სომხეთთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარება და რა საფუძველზე? შემდეგ, სავსებით სერიოზულად მიმდინარეობს თუ არა ბაქოს მისადგომთა გამაგრების სამუშაოები? გთხოვთ აგრეთვე ცნობებს თურქეთისა და სპარსეთის შესახებ მოკლედ დეპეშით, უფრო დაწვრილებით — წერილით“³ — სწერდა ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს 1920 წლის 13 ნოემბერს.

ორი დღის შემდეგ, 1920 წლის 15 ნოემბერს ი. ბ. სტალინმა ბაქოდან კვლავ გაუგზავნა დეპეშა ვ. ი. ლენინს, რომელსაც აცნობებდა, რომ აუცილებელი იყო კავკასიის ფრონტის დამხმარე ძალების გაძლიერება ბაქოს წარმატებით დასაცავად საქართველოს მხრივ შესაძლო თავდასხმისაგან⁴. ვ. ი. ლენინისათვის ბაქოდან გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში კი ი. ბ.

1 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 676, 72-ე შენიშვნა; ა. ირემაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 325.

² იქვე, გვ. 441.

³ იქვე, გვ. 492.

⁴ იქვე, გვ. 677, მე-80 შენიშვნა.

სტალინი აღნიშნავდა: „თუ ანტანტა დაიკავებს ბათუმს... მაშინ ჩვენ უნდა გადავიდეთ შეტევაზე, დავიკავოთ თბილისი და ავაფუტქოთ გვირაბი სურამის გადასასვლელთან, ე. ი. საჭიროა ვაწარმოოთ აქტიური თავდაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში დავკარგავთ ელიზაბეტპოლს... და შეიძლება დავკარგოთ ბაქოც“. ამ დროს თურქეთი საბჭოთა რუსეთს იარაღს სთხოვდა. საბჭოთა მთავრობა თურქეთისათვის იარაღის მიწოდების ერთ-ერთ პირობად თვლიდა, რომ თურქებს ეკისრათ „ანტანტის განდევნა ბათუმიდან, თუ იგი იქ შევა“. შემდეგ, ი. ბ. სტალინი გ. ვ. ჩიჩერინს აცნობებდა, რომ „...საჭიროა ახლავე შევაგროვოთ ძალები საქართველოში შესაქრელად იმ მომენტში, როცა ბათუმი იქნება ოკუპირებული ანტანტის მიერ...“ მოსკოვიდან კი ი. ბ. სტალინს აცნობეს, რომ „გადაწყვეტილების მიღება საქართველოს საზღვრებში შესვლის შესახებ ნაადრევია“. ი. ბ. სტალინი თავის აზრს არ იცვლის. იგი ვ. ი. ლენინს აცნობებს, რომ შექმნილ ვითარებაში „არსებობს ერთადერთი გზა — დავიკავოთ თბილისი და... სურამის უღელტეხილი“¹.

საბჭოთა მთავრობამ დიპლომატიური გზითაც სცადა საკითხის მოგვარება. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა 1920 წლის 16 ნოემბერს რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელს გ. მახარაძეს გაუგზავნა ნოტა, ხოლო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს კერზონს — რადიოდეპეშა. გ. ჩიჩერინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა მთავრობას ბათუმის ოკუპაცია მიაჩნია კავკასიაში ახალი ომის გაჩაღებისა და საბჭოთა რესპუბლიკის უშიშროებისათვის პარდაპირი მუქარის შექმნის ცდად. გ. ჩიჩერინი სერიოზულ ყურადღებას მიაპყრობდა ამასთან დაკავშირებულ მძიმე შედეგებს, რომელთა გამო პასუხისმგებლობა, აღნიშნავდა იგა, მთლიანად დაეკისრებოდა ოკუპანტებსა და მათს ხელშემწყობებს².

ამავე პერიოდში (არა უგვიანეს 20 ნოემბრისა) ვლადიკავკაზში მყოფმა ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინს პირდაპირი მა-

¹ ა. ი. რემაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 326, 331-333.

² იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 765, მე-13 შენიშვნა.

ვსულით გადასცა გ. კ. ორჯონიკიძისაგან მიღებული ინჟოქ-
მაცია ამიერკავკასიაში, თურქეთსა და სპარსეთში იმ დროს
აწესებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. გ. კ. ორჯონი-
კიძე (ტყობინებოდა, ინგლისე ხრიკებს მიმართავს ამ რაიონ-
ში, საქართველოს მენშევიკური მთავრობა ემუქრება საბჭო-
თა აზერბაიჯანს, ანტანტა საქართველოს დემოკრატიული რე-
სპუბლიკის მეშვეობით ამზადებს ომს საბჭოთა აზერბაიჯანის
წინააღმდეგო. იყო ცნობა თურქების მიერ სომხეთის ოკუპა-
ციის საფრთხის შესახებაც. ი. ბ. სტალინი სთხოვდა ვ. ი. ლე-
ნინს დაეჩქარებინა საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვრების დაც-
ვისათვის საჭირო მაშველი ძალების გამოგზავნა და საერთოდ
მიეცა მითითებები ყველა დასმულ კითხვაზე¹.

„პოლიტბიუროს მოუწვევლად, — აღნიშნა ვ. ი. ლენი-
ნმა ი. ბ. სტალინთან პირდაპირი მავთულით საუბრისას, —
არავითარი პასუხის მოცემა არ შემიძლია. გირჩევთ, ან ახლა-
ვე შემოიტანოთ კონკრეტული წინადადება და დაუყოვნებ-
ლოდ დააყენოთ პოლიტბიუროში, ან თვითონვე იმოქმედოთ
სტალინისთვის მიცემულ რწმუნებათა ზუსტი შესაბამისობით,
ანდა, ბოლოს, დააჩქაროთ თქვენი ჩამოსვლა მოსკოვში
წელიწად მთელი კავკასიის საკითხის გადასაწყვეტად. ყოველ
შემთხვევაში აუცილებელია ვაძლიერდეს და დაჩქარდეს მა-
შველი ძალების მიყვანა. მაცნობეთ, სახელდობრ როგორია
თქვენი გადაწყვეტილება“².

აი, ი. ბ. სტალინის გადაწყვეტილება: „ლენინს. პასუხი
ბარათზე. ამაღამ მოვდივარ მოსკოვში. ორჯონიკიძეს განკა-
რგულებას ვაძლევ აწარმოოს მოსამზადებელი მუშაობა და
ელოდოს მითითებებს მოსკოვიდან. ფრონტს მოველაპარაკე-
ბი გადმოყვანის დაჩქარების შესახებ“³.

ინგლისთან მიმართებაში ბათუმ-საქართველოს საკითხს
ვ. ი. ლენინი შეეხო გ. ვ. ჩიჩერინისადმი 1920 წლის 19 ნოე-
მბერს გაგზავნილ ბარათშიც. ამ დროს საბჭოთა რუსეთი უა-
ღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნეოდა ინგლისთან სავაჭრო მო-
ლაპარაკებას, რასაც ლონდონში ლ. ბ. კრასინი ეწეოდა, მით

¹ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 678 (83-ე შენიშვნა); ვ. ი. ლე-
ნინი, თხზ. სრ. კრ., (რუს.), ტ. 52, გვ. 347, 22-ე შენიშვნა.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 497.

³ იქვე.

უფრო, რომ მიღებული ცნობის თანახმად ამერიკა „მაშინვე შეუერთდებოდა“ რუსეთისა და ინგლისის საეკონომიკურ შეთანხმებას. ამასთან საბჭოთა რუსეთი იღებდა ზომებს, რომ საეკონომიკურ შეთანხმების საფასურად მეფისდროინდელი ვალები არ დაეკისრებინათ მისთვის. ერთი სიტყვით, საბჭოთა რუსეთისა და ინგლისის ურთიერთობაში გარკვეული კეთილი საწყისები ჩნდება. ორივე ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები არღვევენ იდეოლოგიურ ბარიერებს. აქეთ ვითარებაში ძნელია ვთქვათ, თუ რამდენად რეალური იყო ინგლისის მიერ ბათუმის ოკუპაციის (როგორც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ანტანტის ბრძოლის პლაცდარმის) ახალი ცდის საფრთხე, რის შესახებაც ი. ბ. სტალინი და გ. კ. ორჯონიკიძე იტყობინებოდნენ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც აქეთი შესაძლებლობა იყო გამორიცხული. გარდა ამისა, ამიერკავკასიიდან მიღებული ცნობების ანგარიშგაუწვევლობა და მათი სრულიად უყურადღებოდ დატოვებაც არ შეიძლებოდა. ასეა თუ ისე, ვ. ი. ლენინი სწერს გ. ვ. ჩიჩერინს, რომ თუ საკითხი ასე დგას: ომი თუ მშვიდობა, „იგი უნდა დაუკავშირდეს ბათუმსა და საქართველოს“.¹

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით კატეგორიულად არც იმის თქმა შეიძლება, თუ მოვლენათა როგორი განვითარება იგულისხმება ვ. ი. ლენინის ამ ფრაზაში, კონკრეტულად როგორ უნდა დაეკავშირებინათ ბათუმისა და საქართველოს საკითხი ომისა და მშვიდობის საკითხთან, ან კიდევ, ვინ ვისთან იწყებდა ომს.

ერთი კი ცხადია. აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაუსაბჭოებელი საქართველო გარკვეულ „დისონანსს“ ქმნიდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა დაემხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. იგი ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ საქართველოს მშრომელები არ გამოდიოდნენ რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ და მიაჩნდა, რომ 1920 წლის დამლევსაც შეიძლებოდა წითელი არ-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 45, გვ. 10.

მისი მიერ საქართველოს გასაბჭოება. კავშიუროსა და XI წითელი არმიის ხელმძღვანელობა საბაბს ეძებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დასაწყებად. ვინც იცის, იქნებ ამიტომაც აზვიადებდნენ ინგლისის მიერ ბალუმის ხელახალი ოკუპაციის საფრთხეს და სწორედ ამ „საფრთხით“ ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ცენტრი საქართველოს გასაბჭოების აუცილებლობაში.

ცენტრი კი ამჯერადაც თავს იკავებდა. საქართველოს გასაბჭოებაზე იგი საბოლოოდ ხელს არ იღებდა, მაგრამ ცდილობდა, რომ ამას საერთაშორისო გართულება არ მოჰყოლოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ვ. ი. ლენინისადმი რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის კამენევის 1920 წლის 30 ნოემბრის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „...კავკასიაში რომ ომი წამოვიწყოთ, კერძოდ, საქართველო რომ დავიკავოთ, ამის უახლოესი შედეგი იქნება ანტანტასთან ჩვენი ურთიერთობის უეჭველი გამწვავება. ანტანტა, უპირველეს ყოვლისა, გააძლიერებს მუშაობას იმისათვის, რომ ჩვენს წინააღმდეგ აამხედროს ყველა ჩვენი დასავლეთელი მეზობელი, ფინეთით დაწყებული და რუმინეთით გათავებული. ამასთან ის კარგ ნიადაგს პოუვს იმიტომ, რომ საქართველოს მხარეს ჩვენ მოსაზღვრე წვრილ-წვრილ ქვეყნებს გარდაუვლად გაუღვიძებს ჩვენი პოლიტიკისადმი უნდობლობას, თავისი ბედ-იღბლისათვის შიშს და ამით უბიძგებს მათ ჩვენს წინააღმდეგ გასაერთიანებლად.“¹ რასაკვირველია, არც ის იყო შემთხვევითი, რომ ვ. ი. ლენინმა ამ ბარათზე წააწერა „სტალინს“.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ამ ეტაპზეც არ ცვლის თავის პოლიტიკას საქართველოს მიმართ. 1920 წლის 15 დეკემბერს ვ. ი. ლენინი გაეცნო გ. კ. ორჯონიკიძის მიერ იმავე დღეს ბაქოდან გამოგზავნილ დეპეშას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავშიურომ, კავკასიის ფრონტის წარმომადგენლებსა და პარტიული და საბჭოთა მუშაკების მონაწილეობით ღიილო დადგენილება საქართველოს საზღვრების გადალახვის შესახებ. იმავე დღეს ვ. ი. ლენინმა და ლ. დ. ტროცკიმ აცნობეს გ. კ. ორჯონიკიძეს:

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 11 აგვისტო.

„ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს. ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ დართავს ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ გადაწყვეტილების შესრულების შეჩერებას და გაუქმებას“¹.

ასე. მოსკოვმა ერთხელ კიდევ აუკრძალა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ხელმძღვანელობას ძალით გაესაბჭოებინა საქართველო, რომელთანაც საბჭოთა რუსეთს სამშვიდობო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. საბჭოთა რუსეთი შემდეგაც ადასტურებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მშვიდობიანი ურთიერთობის აუცილებლობას.

17 დეკემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა კავბიუროს 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე (16 დეკემბერს, გათენებისას საქართველოს საზღვრების გადალახვის შესახებ) და დაადგინა: „დადასტურდეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კავკასიაში რსფსრ მშვიდობიანი პოლიტიკის შესახებ და დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სამხედრო უწყებებს მიიღონ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პოლიტიკის წარმატებით განხორციელება“².

როგორც ვხედავთ, მშვიდობიანი პოლიტიკის უზრუნველყოფა სამხედრო უწყებასაც დაევალა. მიუხედავად ამისა, მე-11 წითელი არმიის სარდალმა, თბილისის № 1 (ადრინდელი პირველი გიმნაზია) სკოლის აღზრდილმა ა. ი. ჰეკერმა კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს განაახილველად 1920 წლის 18 დეკემბერს წარადგინა მოხსენება, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი აზრი „თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ., 44, გვ. 373. ამ ტომში, ისევე როგორც ვ. ი. ლენინის თხზ. სრ. კრ. (რუს.) 51-ე ტომში დეპეშის თარიღად შეცდომით მითითებულია „1920 წლის არა უადრეს 7 — არა უგვიანეს 12 მაისისა“. როგორც სპეციალისტებმა დაადგინეს დეპეშის ზუსტი თარიღია 1920 წლის 15 დეკემბერი (იხ. В. И. Ленин. Биографическая хроника, т. 9, с. 562).

² გ. ევანია. „საერთაშორისო ნორმების დაცვით“, თუ ოკუპაცია? გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 11 აგვისტო.

მიღებული მხედველობაში აწისათვის.“ დოკუმენტიდან ჩანს, რომ აიპის სარდალი დასაყრობი ქვეყნის მდგომარეობაა კარგად იცნობდა. ილუზიებით არ იყვებებოდა. იცოდა, რომ წითელ არმიას მძიმე ბრძოლები ექნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალებთან. ა. ი. ჰეკერი აღიარებს, რომ მოსახლეობა „მტრულადაა განწყობილი წითელი არმიის მიმართ“. ყველაზე მეტად გულსატკენი მაინც ის იყო, რომ თბილისელ ა. ი. ჰეკერს ასე მიაჩნდა: „საქართველოზე თავდასხმა“, თბილისზე შეტევა „უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს“. ჰეკერის აზრით: „თუ მეთერთმეტე არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ ქიაზიმ ქარაბეგირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიქვრენ, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა, და, უპირველეს ყოვლისა, თბილისის, უფრო რეალური გახდება“.¹

1920 წლის 21 დეკემბერს, საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე, ვ. ი. ლენინი კვლავ შეეხო საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას. ფრაქციის სხდომაზე ვ. ი. ლენინმა საბჭოთა რუსეთში კონცესიების დაწესებასთან დაკავშირებით მიღებულ ბარათებს უპასუხა. შეკითხვაზე „აგვიხსენით ანტანტის პოლიტიკა თურქეთის მიმართ და ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება“ ვ. ი. ლენინმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, ოფიციალურ მოხსენებაში ამ საკითხზე აზკარად ლაპარაკი უხერხულია, იმიტომ რომ აქ ურთიერთობა მეტისმეტად დახლართულია. აქ ყველაფერი დამოკიდებულია ურთიერთობათა რთულ თამაშზე ბურჟუაზიულ საქართველოში, რომელიც კატასტროფის წინაშე დგას. დარწმუნებული ვარ, ამით დაინტერესებული ამხანაგები ინტერესით მოისმენენ ამხ. მეშჩერიაკოვის, „პრავდის“ რედაქტორის, მოხსენებას, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს მათ. ამხ. მეშჩერიაკოვი დაბრუნდა საქართველოდან, სადაც მან რამდენიმე კვირა მაინც დაჰყო, თუ რამდენიმე თვე არა, და უაღრე-

¹ ი. ი. ჰეკერი „განთიადი“, 1990, № 2, გვ. 137, 138 (პუბლიკაცია მ. რეზვიაშვილისა).

სად საინტერესო მასალა შეკრიბა მენშევიკთა სამეფოზე. საქართველო კატასტროფის წინაშე დგას. თურქეთის შეტევა ჩვენ წინააღმდეგ იყო ნავარაუდევო. ანტანტა ჩვენ გვითხრიდა ორმოს, თვითონ კი ჩავარდა შიგ, რადგან ჩვენ საბჭოთა სომხეთი მივიღეთ.. პირადად ჩვენ კავკასიის მიმართ უაღრესად შშვიდობისმოყვარული ვიყავით და ვართ და, კავკასიულ ემხანავთა საყურადღებოდ ვამბობ, არ დავუშვებთ ოდნავ დაღვრათს. ლებლობასაც კი, რომელიც შეეძლება ჩვენი იმეო ჩათრევა. ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა აქამდე ისეთი კარგია იყო, რომ ანტანტა ნერვიულობს, გადამქრელ ზომებს იღებს ჩვენ წინააღმდეგ, მაგრამ თავის წინააღმდეგ კი გამოსდის“¹.

„რა მოელის საქართველოს?“ — ეკითხებოან ვ. ი. ლენინს. „ეს მუსლიმანთა ალაჰმაც კი არ იცის, — პასუხობს ვ. ი. ლენინი, — მაგრამ თუ მტკიცედ ვიქნებით, სრულიად უხიფათოდ რაიმეს შევიძენთ“².

ვ. ი. ლენინს ეს გამოსვლა მხოლოდ 1963 წელს გამოქვეყნდა. იგი მრავალმხრივია საინტერესო. ყურადღებას იპყრობს ვ. ი. ლენინის გამოთქმა, რომ საქართველო კატასტროფის წინაშე დგას (იგი ამ აზრს ორჯერ იმეორებს). ვ. ი. ლენინი ირონიით ლაპარაკობს ქართველ „მენშევიკთა სამეფოზე“ და გარკვევით მიუთითებს, საბჭოთა რუსეთი კავკასიაში სიფრთხილეს გამოიჩინს, რათა ომში არ ჩაითრონო. აქ, პირველ რიგში, ცხადია, საქართველოსთან ომი იგულისხმება. ყველაზე დამაფირქებელია მაინც პასუხი კითხვაზე „რა მოელის საქართველოს?“. ვ. ი. ლენინი აღიარებს, რომ ძნელია აქ რაიმეს გადაჭრით თქმა, მაგრამ იქვე დასძენს, თუ მტკიცე პოლიტიკას გავატარებთ, შეიძლება რაიმე შევიძინოთ. მოვიგონოთ ვ. ი. ლენინის ზემოციტირებული განცხადება სომხეთის თაობაზე: ანტანტა ჩვენ გვითხრიდა ორმოს, მაგრამ თვითონ ჩავარდა შიგ, რადგან ჩვენ საბჭოთა სომხეთი მივიღეთო. უეჭველია, ვ. ი. ლენინი „უხიფათოდ რაიმეს შეძენაში“ საქართველოს გასაბჭოებას გულისხმობს. მაშასადამე, აშკარად ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დე-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 42, გვ. 260-261.

² იქვე, გვ. 261.

მოკრავთულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას ვ. ი. ლენინი 1920 წლის დეკემბერში უკვე სხვა თვალთ უყურებს. იქნებ ადრეც? არც ესაა გამოცხადებული. ყოველ შემთხვევაში საფუძველი ასეთი ვარაუდისათვის ნამდვილად არსებობს. ზოგიერთი უცხო წყაროც აშკარად მიგვანიშნებს ამაზე. დავიმოწმით თურქი ავტორის, გენერალ ალი ფუად ჯებესოის წიგნი „მოსკოვური მოგონებანი“ (სტამბოლი, გამომცემლობა „ვათანი“, 1955, გვ. 73), რომელშიც გადმოცემულია ვ. ი. ლენინთან ქემალისტური თურქეთის დელეგაციის 1920 წლის 14 აგვისტოს საუბრის შინაარსი.¹ გავიხსენოთ, ამ დროს სომხეთსა და საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება. საუბრის ერთი მონაკვეთი ალი ფუად ჯებესოის წიგნში ასეა აღწერილი: „თურქებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად სომხების გამუდმებული თავის მართლებისა, ისინი არცთუ ისე უცოდველნი არიან. ლენინი ამაზეც დაეთანხმა და უბასუხა: „შემკველია ის ფაქტი, რომ უახლოეს დროში მოიძებნება მიზეზი სომხეთსა და საქართველოში ჩვენი შესვლისაო“.²

ბუნებრივია, მკითხველი ეკვის თვალთ შეხედავს ჯებესოის ცნობის სანდოობას, რადგან მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ჭეშმარიტად დიდი პოლიტიკოსი ვ. ი. ლენინი ასეთ საიდუმლოებას გაანდობდა თურქეთის დელეგაციას. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ „დიდმა პოლიტიკამ“ აიძულა საბჭოთა რუსეთის მეთაური დაეიმედებინა ქვეყანა, რომელთანაც კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობას ეძებდა. გარდა ამისა, როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, საბჭოთა რუსეთმა რამდენიმე თვეში მართლაც „მოძებნა მიზეზი“ სომხეთსა და საქართველოში წითელი არმიის შეყვანისათვის.

თუ ალი ფუად ჯებესოის დაეჯერება, სომხეთსა და საქა-

¹ იხ. დ. აბაშიძე. საგულისხმო ფაქტი. — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წლის 7 ივლისი.

² თანამედროვე უცხოური ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა (სერია: ისტორია და ხელოვნებათმცოდნეობა). საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორი, რეფერატების კრებული. თბ., 1980, გვ. 114 (თარგმანი ლ. კეკელიძისა).

რთველოში წითელი არმიის შემოყვანისათვის საბაბის გამო-
ძებნაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის სხვა წარმომადგენ-
ლებთანაც ყოფილა საუბარი. 1920 წლის 19 ივლისს რსფსრ
საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ლ. მ. კა-
რახანს თურქეთის დელეგაციასთან საუბარში განუცხადებია,
რომ „ასეთ ვითარებაში სომხეთში შექრა უარყოფით გავ-
ლენას მოახდენდა დასავლეთისა და ამერიკის საზოგადოებ-
რიობაზე, ვინაიდან ამის საბაბი არ არსებობდა.“¹

ჯებესოის ნაშრომში აღნიშნულია: „როგორც შემდეგ
გამოირკვა, ბოლშევიკები თვალს უხვევდნენ თურქებს. 1920
წლის 4 აგვისტოს კარახანთან მეორე მიღება შედგა. კარახან-
მა თქვა, რომ „სომეხთა რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედე-
ბების საპასუხოდ საბჭოთა ჯარი ნახიჩევანში შევიდა და იქ
მყოფ თურქულ ნაწილებთან კონტაქტი დაამყარა. ჩვენ შევი-
ტყვეთ, რომ ანკარის მთავრობამ ნოტა გადასცა სომხეთს,
სადაც მოითხოვს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დადგენილი საზ-
ღვრების დაცვას. თურქეთის ან თუნდაც თურქეთისა და რუ-
სეთის ერთობლივი პრეტენზია სომხეთისადმი, ზოგიერთი მი-
ზეზის გამო, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ძველი რუსე-
თის შემადგენლობაში მყოფი სომხეთის საკითხს ჩვენ მოვაგ-
ვარებთ. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთთან ომი არ გვსურს,
საომრად მაინც მზად ვართ, ომის საბაბს გამოვძებნით“².

თურქეთის დელეგაციის მეთაურს ანკარისათვის შეუტყო-
ბინებია: „მოლაპარაკების შედეგად შეიქმნა ისეთი აზრი,
რომ საბჭოთა მთავრობა პრინციპში თანახმაა ჩვენს დახმა-
რებაზე, მაგრამ იმის გამო, რომ დაკავებულნი არიან პოლო-
ნეთის ფრონტზე და ვრანგელის წინააღმდეგ, არ არიან დარ-
წმუნებულნი აზერბაიჯანელებისა და ყაზახების გულწრფელ
დამოკიდებულებაში, და სანამ არ გააუვნებლებენ ვრანგელს.
სომხეთში შექრას ერიდებიან. ყირიმსა და კავკასიაში სანამ

¹ თანამედროვე უცხოური ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის
ლიტერატურა (სერია: ისტორია და ხელოვნებათმცოდნეობა). საქ. სსრ.
მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორ-
მაციის სექტორი, რეფერატების კრებული. თბ., 1980, გვ. 63 (თარგმანი
ლ. კეკელიძისა).

² იქვე, გვ. 113.

მთლიანად მდგომარეობის ბატონ-პატრონი არ გახდებიან, სა-
სომხეთთან და საქართველოსთან ომი ხელს არ აძლევთ“.¹

ასეთია თურქი დიპლომატიისა და სამხედრო მოღვაწის
თვალთ დანახული ურთიერთობა საბჭოთა რუსეთისა სომ-
ხეთსა და საქართველოსთან 1920 წლის ზაფხულში, რაც, შეი-
ძლება ითქვას, არაა დაშორებული სინამდვილისაგან. აქ მთა-
ვარი მაინც ის არის, რომ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენ-
ლები უცხოელებთან შეხვედრის დროსაც კი არ ერიდებიან
სომხეთსა და საქართველოში წითელი არმიის შეყვანისათვის
საბაბის გამოძებნაზე საუბარს.

უფრო მეტიც. კავკასიიდან მოსკოვს დაბრუნებულმა ი. ბ.
სტალინმა 1920 წლის 30 ნოემბერს გაზეთ „პრავდის“ ფურ-
ცლებზე ოფიციალურად განაცხადა: „საქართველოს კატასტ-
როფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია,
რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნა-
ვენ. ატლანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც
ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პუ-
რი, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმ-
პერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და
ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყა-
რა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკ-
ნელ დღეებს ითვლის. ტყუილად კი არ მოხდა, რომ მომაკვ-
დავი II ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა ბ-მა კაუ-
ცკიმ, რევოლუციის ტალღის მიერ ევროპიდან გატყორცნილ-
მა, თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ, ანტანტის ბადეში გახ-
ვეულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მე-
დუქნეებთან. არა გეგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს
ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი
მიატოვა“.²

აქ ყველაფერია ნათქვამი, თანაც პრესის ფურცლებზე. ამ
შემთხვევაში არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმის გარ-
კვევას, თუ რამდენად ობიექტურია საქართველოს სამეურნეო
და სასურსათო მდგომარეობის ი. ბ. სტალინისეული შე-
-

¹ თანამედროვე უცხოური ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის
ლიტერატურა... (რეფერატების კრებული), გვ. 75.

² ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 4, გვ. 446-447.

სება. აშკარაა, რომ იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკა სხვადასხვა მიზეზების გამო მართლაც სავალალო მდგომარეობაში იყო, და ამას ვერც ქართველი მენშევიკები მალავდნენ. მაგრამ განა ი. ბ. სტალინმა არ იცოდა, რომ უკეთესი მდგომარეობა არც საბჭოთა რუსეთში იყო? ცხადია, იცოდა, მაგრამ ყურადღებას მხოლოდ საქართველოზე ამახვილებს, მხოლოდ მას დასცინის, რადგან სულ მალე სწორედ საქართველოსთვის უნდა მიენიჭოს „კატასტროფულ სამეურნეო და საფინანსო მდგომარეობას“ საბედისწერო მნიშვნელობა. ასეთი საქართველო სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის — გამოაქვს განაჩენი ი. ბ. სტალინს. ბრალდება? იგი ერთობ სერიოზულია: საქართველო გახვეულია ანტანტის ბადეში, იგი გადაიქცა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად, მას მტრული ურთიერთობა აქვს რუსეთთან და ა. შ.

სტატიის გამოქვეყნების დროს სომხეთი უკვე გასაბჭოებულია. სომხეთის მაგალითით ი. ბ. სტალინი მუქარანარევ გაფრთხილებას აძლევს საქართველოს. იგი წერს: „ანტანტის შანსები სომხეთსა და საქართველოშიც მნიშვნელოვნად დაეცა ვრანგელის განადგურების შემდეგ. დაწინაურებული სომხეთი დაეცა, უეჭველია, როგორც მსხვერპლი ანტანტის პროვოკაციისა, რომელმაც იგი თურქეთს მიუხია და შემდეგ სამარცხვინოდ მიუტოვა თურქებს საჯიჯგანად. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ სომხეთს არ დარჩენია ხსნის არავითარი შესაძლებლობა, გარდა ერთისა: საბჭოთა რუსეთთან კავშირისა. ეს გარემოება ეჭვი არ არის, გაკვეთილი იქნება ყველა ხალხისათვის, რომელთა ბურჟუაზიული მთავრობები არ იშლიან მონურად ქედის მოხრას ანტანტის წინაშე, და უწინარეს ყოვლისა — საქართველოსთვის“.¹

დიახ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სერიოზული გაფრთხილება მიიღო. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მისი დღეები მართლაც დათვლილი იყო. ამის შესახებ ლაპარაკს არ ერიდებოდნენ არც საიდუმლოდ, არც ოფიციალურად. რას ნიშნავდა ყოველივე ეს? მთავრობას, რომელთანაც სამშვიდობო ხელშეკრულება აქვთ დადებული დამხობით

ემუქრებიან. იქნებ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იმ ზომამდე დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომ საბჭოთა რუსეთს უფლება მიეცა ანგარიში აღარ გაეწია მისთვის? სამართლიანობა მოითხოვს იტყვას, რომ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტები ორივე მხრიდან შეინიშნებოდა, მაგრამ არც ერთი ეს „ფაქტი“ არც ერთ მხარეს არ აძლევდა ომის დაწყების საბაბს. რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, იგი პოლიტიკურად ისეთი ბეცი არ იყო, რომ თვითონ წამოეწყო ომი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. სურვილს რომ თავი დაეანებოთ, საამისოდ მას არანაირი საიმედო ძალა არ გააჩნდა. ერთი სიტყვით, საბჭოთა რუსეთს თვით საქართველოსაგან არავითარი ომის საშიშროება არ ემუქრებოდა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა საქართველო რომელიმე სხვა ძალას, ვთქვათ ანტანტას, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გამოეყენებინა? ანტანტას მართლაც შეეძლო ასეთი საშიშროების წინაშე დაეყენებინა საბჭოთა რუსეთი. საქართველო მისდა უნებურად შეიძლებოდა გამხდარიყო დიდ სახელმწიფოთა შორის ომის პლაცდარმი. მაგრამ იყო კი ეს საშიშროება იმ დროს რეალური? ვთქვათ და რეალური ყოფილიყო. ამის გამო საბჭოთა რუსეთს ძალდატანებით უნდა დაემყარებინა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში? ერთი კი ცხადია, ანტანტა 1920 წელს იძულებული გახდა „შერიგებოდა“ ჯერ აზერბაიჯანის, შემდეგ კი სომხეთის გასაბჭოებას. ვითომ მაინცდამაინც საქართველოსთვის გამოიდებდა თავს, ან კიდევ მაინცდამაინც საქართველო გადაიქცეოდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად? აკი თვით ი. ბ. სტალინი, როგორც ვნახეთ, სავსებით გარკვევით და არაორაზროვნად ამბობდა: „არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“.

მიუხედავად ამისა, წითელი არმიის მეშვეობით საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების მომხრეები, უწინარეს ყოვლისა, ი. ბ. სტალინი, ყველაზე მეტად ანტანტის კოზირს იყენებდნენ, საქართველოსა და ამიერკავკასიაში წითელი არმიის შემოყვანას რევოლუციის ინტერესებით ამართლებდნენ. იგულისხმება არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო სო-

ციალისტური რევოლუციის ინტერესები. „რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი — ბაქო, ბათუმი — თავრიზი, ბათუმი — თავრიზი — არზრუმი).

ყოველივე ამას ითვალისწინებს ანტანტა, რომელსაც ამჟამად ხელთ აქვს კონსტანტინოპოლი, შავი ზღვის ეს გასაღები, და სურს შეინარჩუნოს აღმოსავლეთისაკენ ამიერკავკასიაზე მიმავალი პირდაპირი გზა.

ბოლოს და ბოლოს ვინ მოიცილებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთითა და აზიის სიღრმეში მიმავალი უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა, — ეს არის მთელი საკითხი“.¹

ი. ბ. სტალინის პირით აქ ქეშმარიტება დადადებს. ნედლეული, სათბობი, სურსათი, აზიის სიღრმეში მიმავალი უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული გზები. აი, რისთვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს რევოლუცია და ანტანტა კავკასიაში. საკითხი „ვინ-ვის?“ რევოლუციის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო ასე რომ, დაარღვევდა თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 1920 წლის ხელშეკრულებას, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა (ეს მხოლოდ „საბაბად“ გამოდგებოდა). რევოლუციის ინტერესებს საბოლოოდ მაინც უნდა ეზეიმათ. ე. ი. საქართველოში ან თვით ქართველ ხალხს უნდა დაემყარებინა საბჭოთა ხელისუფლება (თუნდაც წითელ არმიის დახმარებით), ანდა მხოლოდ წითელ არმიას უნდა გაესაბჭოებინა იგი. სხვა გამოსავალი რევოლუციას არ ჰქონდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა 1920 წლის მეორე ნახევარში საგრძნობლად შენელდა. წინა წლებისაგან განსხვავებით ბოლშევიკური აჯანყებები აღარ ეწყობოდა. ამ პერიოდში აჯანყებებს თვით ბოლშევიკური პარტიაც კრძალავდა. წითელი არ-

¹ ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 4, გვ. 444.

მის დაუხმარებლად გამარჯვების იმედი არ ჰქონდათ და ზედმეტ სისხლისღვრას ერიდებოდნენ. საქართველოში წითელი არმიის შემოყვანას იმ დროს შეიძლებოდა საერთაშორისო გართულებებიც მოჰყოლოდა. ამიტომაც იყო, რომ რკპ(ბ), ცენტრალურმა კომიტეტმა ბოლო მომენტში, როგორც ვნახეთ, რამდენჯერმე აუკრძალა ამიერკავკასიელ ბოლშევიკებს საქართველოს ძალით გასაბჭოება. მაგრამ დრო გადიოდა. საერთაშორისო ვითარება საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ იცვლებოდა. რუსეთმა მთელ მსოფლიოს უჩვენა თავისი ძალა, ანტანტა იძულებული გახდა დაეთმო პოზიციები. საქართველოში კი მშრომელთა აქტიურ (შეიარაღებულ) გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ჯერ პირი არ უჩანდა. მაშასადამე დარჩა ერთი გზა — წითელი არმიის მიერ საქართველოს გასაბჭოება, საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება. საბაბის მოძებნა სიძნელეს არ წარმოადგენდა. კაცმა რომ თქვას, ამ ომის საბაბად იმ ბრალდებების გამოყენებაც მოხერხდებოდა ი. ბ. სტალინმა რომ ზემოციტირებულ სტატიაში წაუყენა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (სხვა ამბავია, არსებობდა თუ არა საფუძველი ასეთი ბრალდებებისათვის), მთავარი იყო ამ აქციას საერთაშორისო გართულებები არ მოჰყოლოდა. როგორც კი საამისო გარანტია იქნებოდა შეიძლება ითქვას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედიც მაშინვე გადაწყდებოდა.

ასეთი იყო რეალური ვითარება, რომლის გადასხვაფერება ან შელამაზება არასაკადრისია და შეუძლებელიც. შეუძლებელი იმიტომ, რომ სინამდვილე მთელმა მსოფლიომ იცის, იცის დოკუმენტურად. განსაკუთრებით მყარია ეს ცოდნა ქართველ ხალხში, რაც ცოცხალი ისტორიული მენსიერებითაცაა განპირობებული.

8. „მსოფლიო რევოლუციის“ ილუზიები. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა და საქართველო

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესვეურებო, რომლებიც საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელებიც იყვნენ, არათუ კავკასიას, არამედ მთელ მსოფლიოსაც სოციალისტუ-

რი რევოლუციის პრიზმით უყურებდნენ. ამიტომაც ისინი საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოებაში საჩოთიროს თითქმის ვერაფერს ხედავდნენ, რადგან მათი აზრით საქართველოც იმ ქვეყნებს განეკუთვნებოდა, სადაც დამოუკიდებლობა მოჩვენებითი იყო და ხალხი კაპიტალის უღლის ქვეშ გმინავდა. შესაძლოა, იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლების ლოზუნგით ზოგიერთი ბოლშევიკი ხელმძღვანელი ყოფილი დიდმპყრობელი ერის იმპერიულ ინსტიტუტებს (მისწრაფებებს) ფარავდა, მაგრამ მთავარი მაინც მათი იდეოლოგიური კრედო და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება იყო. მათ შეუტრყევლად სწამდათ კაპიტალის უღლისაგან ყველა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებაში მსოფლიო რევოლუციის უდიდესი კეთილისმყოფელი როლი. ამ იდეისათვის უნაგაროდ იბრძოდნენ და სიცოცხლისაც სწირავდნენ. არც ერთი წუთითაც არ ფიქრობდნენ, რომ მსოფლიო რევოლუციის იდეა შეიძლება ილუზია ყოფილიყო. მას დღე-დღეზე ელოდნენ. დამახასიათებელი შტრიხი: 1918 წელს სისხლის სამართლის დამნაშავეისათვის ყველაზე მცირე სასჯელს (რაც ჩვენდროინდელი 15 დღე-ღამის მსგავსს) ზოგიერთი სასამართლო ორგანო ასეც განსაზღვრავდა — „ჩაისვას ციხეში მსოფლიო რევოლუციის დაწყებამდე“.¹

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ბურჟუაზიამ ჩაახშო პროლეტარული რევოლუციები, აშკარა გახდა, რომ მსოფლიო რევოლუციის ქრონოლოგია და გეოგრაფია აღარ ემთხვეოდა იმ იდეის ავტორთა წარმოდგენებს.

ამ დროს გარკვეულ იმედებს იძლეოდა აღმოსავლეთა, აზია, სადაც იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის ახალი ტალღა აზვირთდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა თურქეთში შექმნილი მდგომარეობა. ყურადღების ცენტრიც აქეთკენ იქნა გადმოტანილი. საბჭოთა რუსეთი დაუახლოვდა თურქეთს, რომელიც ანტანტასაც ებრძოდა და თითქოს ოქტომბრის რევოლუციის ძირითად პრინციპებსაც არ თვლიდა აბსოლუტურად მიუღებლად. ყოველ შემთხვევაში სიტყვით ასე ჩანდა.

¹ ვ. ს ი რ ო ტ კ ი ნ ი. ნების გაკვეთილები. — გაზ. „იზვესტია“, 1989 წლის 10 მარტი.

მოკლე ისტორიული ექსკურსი დაგვეხმარება უფრო ღრმად ჩავწვდეთ მოვლენებს. თურქეთი პარველ მსოფლიო ომში დამარცხების (იბრძოდა გერმანიის მხარეზე) შემდეგ ანტანტის უღელქვეშ მოექცა. 1918 წლის შემოდგომაზე ანტანტის ქვეყნების ჯარებმა დაიპყრეს სტამბოლი, დარდანელის სიმაგრეები. იმავე ქვეყნების სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში შემოდის და თურქეთის პორტებს იკავებს. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ მანდატის უფლება მოიპოვონ სტამბოლზე, სრუტეებზე, აღმოსავლეთ ანატოლიასა და სომხეთზე. 1919 წლის მაისში ანტანტის ფლოტის მხარდაჭერით საბერძნეთის ასიათასიანი არმია შეიჭრა იზმირში და ქვეყნის სიღრმისაკენ დაიძრა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვილსონი ევროპიდან თურქების გაყრას და თურქეთის გაყოფას მოითხოვდა.

1918 წლის ოქტომბერში თურქეთის მთავრობის გადაყენებული მეთაური თალათ-ფაშა მარშალმა აჰმეთ იზეთ-ფაშამ შეცვალა. თურქეთში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც 1919 წლის მაისიდან სათავეში ჩაუდგა პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდა გენერალი მუსტაფა ქემალი. 1920 წლის აპრილში მუსტაფა ქემალი თურქეთის დიდი ეროვნული კრებისა და მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

მუსტაფა ქემალის მთავრობის პირველი საგარეო-პოლიტიკური აქტი იყო მიმართვა საბჭოთა რუსეთისადმი, რომელსაც დახმარებას სთხოვდა ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალი ვ. ი. ლენინს სწერდა, რომ თურქეთი ვალდებულებას იღებს საბჭოთა რუსეთთან ერთად იბრძოლოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა რუსეთთან. 1920 წლის 12 ივლისს კი თურქეთის დიდი ეროვნული კრება ატყობინებდა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ მთავრობის ყველა წევრი მხარს უჭერს პოლიტიკას, რომელიც რუსეთის დიდი რევოლუციის ძირითად პრინციპებს შეუფარდებს თურქეთის რელიგიურ და ეროვნულ ტრადიციებს. იქვე იყო ნათქვამი, რომ თურქეთის მთავრობა საგარეო პოლიტიკაში თავის მოკავშირეებად და ნამდვილ ამხანაგებად თვლის რუსეთის სფს რესპუბლიკას და

აღმოსავლეთის მუსლიმანთა მოკავშირე და მეგობრულ სახელმწიფოებს.¹

ეს ის დროა, როცა თურქეთის თითქმის მთელი ტერიტორია ხელთ აქვთ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის გაერთიანებულ ძალებს. ასეთ პირობებში მუსტაფა ქემალს, რომელიც ანტანტის უღლისაგან თურქეთის განთავსუფლებას ისახავდა მიზნად, მხოლოდ საბჭოთა რუსეთის იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა, რუსეთისა, რომელმაც უკვე უჩვენა თავისი ძალა ამ ქვეყნებს.

მუსტაფა ქემალის ალლო სწორი გამოდგა. საბჭოთა რუსეთი დადებითად მოეკიდა თურქეთის თხოვნას და შეძლებისდაგვარ დახმარებასაც უწევდა მას. საბჭოთა რუსეთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ანტანტის სახელმწიფოთა მიერ თურქეთის გაყოფის იდეის წინააღმდეგ.

ანტანტასთან ბრძოლაში საბჭოთა რუსეთი იარაღითა და ფულითაც ეხმარებოდა თურქეთს. ასე, მაგ., თურქეთის პირველივე დელეგაციის წევრს ოსმან-ბეის თურქეთში გასაგზავნად გადაეცა მოსკოვსა და როსტოვში შეგროვებული იარაღის დიდი პარტია. 1920 წლის ზაფხულში თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ძალებმა საბჭოთა რუსეთიდან კვლავ მიიღეს იარაღი: 6000 შაშხანა, 5 მილიონზე მეტი ვაზნა, 13 ათასამდე საარტილერიო ჭურვი. მაშინვე აღმოუჩინა საბჭოთა რუსეთმა თურქეთს ფულადი დახმარებაც — 5 მლნ მანეთი ოქროთი. 1920 წლის სექტემბერში რსფსრ მთავრობამ თურქეთის წარმომადგენლებს ერზერუმში გადასცა 200,6 კგ. ოქრო ზოდებით². 1920 წლის 27 დეკემბრიდან 1921 წლის 9 იანვრამდე კავკასიის ფრონტის სარდლობამ ტუაფსეში თურქეთის მისიას გადასცა 6 ქვემეხი და 9 ათასი ყუმბარა. 1921 წლის 14 თებერვალს (დავაკვირდეთ თარიღებს) იმავე ტუაფსედან თურქეთში ზღვით გაიგზავნა 3733 შაშხანა და 5 მილიონზე მეტი ვაზნა³.

¹ იხ. А. Р. Юсупов. Стамбул. М., 1970, с. 116-119; С. И. Кузнецова. Установление советско-турецких отношений. М., 1961, с. 19; Архив внешней политики СССР, ф. 132, оп. 3, папка 2, д. 1, л. 36

² იხ. «Документы внешней политики СССР». Т. 3, М., 1959, с. 675; А. Р. Юсупов. Стамбул. М., 1970, с. 119.

³ იხ. ა. რ. იუსუპოვის დასახ. წიგნი, გვ. 113.

თურქეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ვ. ი. ლენინი პირადად იღებდა თურქეთის დელეგაციებს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ 1920 წლის 14 აგვისტოს ვ. ი. ლენინი ესაუბრა თურქეთის დელეგაციას, რომელსაც ბექირ სამი მეთაურობდა, 1921 წლის 26 თებერვალს კი ვ. ი. ლენინმა მიიღო თურქეთის დელეგაცია იუსუფ ქემალის მეთაურობით. ბექირ სამს ეკუთვნის სიტყვები: „ლენინი ერთობ ალერსიანი და გამბედავი კაცია. ჩვენ დავინახეთ ჩვენდამი და მუსლიმანი ხალხებისადმი კეთილგანწყობილება“¹.

1921 წელს, როცა საბჭოთა რუსეთი და ინგლისი სავაჭრო ხელშეკრულებას დებდნენ, ინგლისელები შეეცადნენ ხელშეკრულების ტექსტის პრეამბულაში შეეტანათ ისეთი პირობები, რომელთა თანახმად რუსეთის სფს რესპუბლიკას უნდა შეეწყვიტა დახმარება თურქეთისადმი, მაგრამ საბჭოთა დელეგაციამ არც კი განიხილა ეს საკითხი, რითაც საშუალება არ მისცა ინგლისის დიპლომატიას ჩრდილი მიეყენებინა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობისათვის².

საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის დაახლოება ამ ორ ქვეყანას შორის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. იგი 1921 წლის 16 მარტს გაფორმდა მოსკოვში. ეს ის დროა, როცა საქართველოს გასაბჭოების პროცესი მთავრდებოდა. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად ცნო თურქეთის დამოუკიდებლობა, უარი თქვა ამ ქვეყნის მიმართ მეფის რუსეთის ყველა განსაკუთრებულ პრივილეგიაზე და დაუტოვა მას ვრცელი ტერიტორია, რომელაც ადრე რუსეთის იმპერიაში შედიოდა. ამავე დროს მხარეები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი თურქეთს საჩუქრად გადასცემდა 10 მლნ მანეთს (ოქროთი) და გაუძლიერებდა მას საომარი საჭურვლით დახმარებას. ამ მოლაპარაკების თანახმად საბჭოთა რუსეთმა თურქეთს მხოლოდ 1921 წელს გადასცა 6,5 მლ. მანეთი (ოქროთი), 33275 შაშხანა, 327 ტყვიამფრქვევი, 58 ათასამდე ვაზნა, 54 საარტილერიო ქვემეხი, 129 ათასზე მეტი ყუმბარა, 20 ათასი აირწინალი და სხვ. 1921 წლის 3 ოქტომბერს თურქეთს გადაეცა ორი სამხედრო-საზღვაო

¹ იხ. ს. ი. კუზნეცოვის დასახ. წიგნი, გვ. 21.

² იხ. ა. რ. იუსუპოვის დასახ. ნაშრ. გვ. 119.

გემი — „უივოი“ და „უუტკი“. თურქეთისადმი რუსეთის დახმარება გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც. 1922 წელს თურქეთს საბჭოთა რუსეთმა გადასცა 3,5 მლნ. მანეთი (ოქროთი) და საომარი საჭურველიც¹.

საინტერესოა როგორ აღიქვამდნენ ამ დახმარებას ქემალისტური თურქეთის მესვეურები და, საერთოდ, როგორ იხსახა იგი თურქულ ისტორიოგრაფიაში. ამაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ჩვენთვის უკვე ცნობილი თურქი ავტორას ალი ფუად ჯებესონის „მოგონებები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ“ (სტამბოლი, 1953).

ავტორი მოგვითხრობს, რომ თურქეთი ეძებდა „ბოლშევიკებისაქენ მიმავალ გზებს“, რისთვისაც ზოგიერთები აუცილებლად მიიჩნევდნენ სომხეთის დაპყრობას, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებების გამო დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე¹ ა და მიწისტრთა კაბინეტს გადაუდიათ სომხეთის ოპერაციის დაწყება. ნაშრომში ციტირებულია ადგილები ქაზიმ ქარაბექარისადმი მუსტაფა ქემალის ერთ-ერთი დეპეშიდან (თარიღი არ არის მითითებული). „სახიფათოდ იქნა მიჩნეული ბოლშევიკებთან თანამშრომლობა მანამ, სანამ მათთან ჩვენი კავშირის პირობები მეტ-ნაკლებად გამოიკვეთება, დადგინდება მასი ძირითადი ხაზები და განისაზღვრება მატერიალური დახმარება, რომელსაც ისინი ჩვენ გაგვიწევენ. მიუხედავად იმისა, რომ წითელი არმია სომხეთისა და საქართველოს საზღვრებთან მოვიდა, მათ ჯერჯერობით დახმარების თაობაზე ჩვენთვის არ მოუმართავთ, თუმცა, სავარაუდოა, რომ ამის საშუალება მათ ექნებოდათ“².

როგორც ვხედავთ მუსტაფა ქემალს თითქოს უკვირს, რომ საბჭოთა რუსეთს ჯერჯერობით მისთვის დახმარება არ უთხოვია, თუმცა წითელი არმია სომხეთისა და საქართველოს საზღვრებთან მოვიდაო (ე. ი. დეპეშა დაწერილია 1920 წლის აპრილის დამლევის, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ). მაშასადამე, თურქეთის დიდი ეროვნუ-

¹ იხ. Документы внешней политики СССР. Т. III, с. 675.

ა. რ. ი უ ს უ პ ო ვ ი ს დასახ. ნაშრ. გვ. 120.

² თანამედროვე უცხოური ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა... (დასახ. რეფერატების კრებული) გვ. 100 (ჯებესონი... გვ. 482, თარგმანი გ. აფხაზაეასი).

ლი კრების მეთაური შესაძლებლად მიიჩნევს, რომ საბჭოთა რუსეთმა შეიძლება მას სთხოვოს დახმარება. მაგრამ რაში? საფიქრებელია, რომ სომხეთისა და საქართველოს გასაბჭოებაში.

„ჩვენი კაბინეტისათვის ნათელია, — ნათქვამია შემდეგ მუსტაფა ქემალის დეპეშაში, — რომ ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, რომ ჩვენი აღმოსავლური საზღვრები რუსეთსა და ისლამის სამყაროს ემიჯნება. სერიოზული მუშაობა ჩატარდება ამ კავშირის აუცილებლად უზრუნველსაყოფად. ვიდრე ბოლშევიკებთან პოლიტიკურ საკითხებზე არ შევთანხმდებით და ერთობლივ მოქმედებებსა და ურთიერთობას არ დავადგენთ, გადამწყვეტ მოქმედებებზე არ გადავალთ. ჩვენ ისიც არ ვიცით როგორ მიიღებენ ასეთ მოქმედებას ბოლშევიკები“.

ძნელია იმის თქმა, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა მუსტაფა ქემალი, როცა ბოლშევიკებთან პოლიტიკურ საკითხებზე შეთანხმების, მათთან ერთობლივ და გადამწყვეტ მოქმედებაზე გადასვლის შესახებ ლაპარაკობდა.

ალი ფუად ჯებესოი წერს: თავისი დამოუკიდებლობის ხსნის მიზნით იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხი ბოლშევიკების ბუნებრივი მომხრე უნდა ყოფილიყო. იმ დროს ბოლშევიკები მთელი თავისი ჯარით ცენტრალურ ევროპაში მოქმედების დაწყებისათვის ემზადებოდნენ. ისინი დაშნაკურ სომხეთსა და მენშევიკურ საქართველოს განიხილავდნენ როგორც მტრებს. შესაძლოა, რომ ისინი კმაყოფილი დარჩებოდნენ სომხეთის ოპერაციით, რომელიც ჩატარდებოდა იმისათვის, რომ შემდგომში თურქეთის დასავლეთის ფრონტს უშუალოდ ბოლშევიკებთან დაემყარებინა მტკიცე კავშირი.

მოგონებებში ნათქვამია, რომ თურქეთის მმართველი წრეების ზოგიერთ წარმომადგენელს ეროვნული პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებლად მიაჩნდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ რომელიმე ძალაზე დაყრდნობა. „აღმოსავლეთთან და რუსეთის რევოლუციასთან დაახლოებაში ისინი ხსნის დიდ იმედს ხედავდნენ“. მათი აზრით, ისლამის სამყაროში რუსეთის რევოლუციის მოდიფიკაციის გზით შექმნილი სოციალისტური ფედერაციის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნებოდა

ბოლშევიკური რუსეთისაგან დახმარების მიღება და ამავე დროს იმპერიალისტურ დასავლეთს, რომელსაც თურქეთის განადგურება სურდა, აზიაში სერიოზული წინააღმდეგობა გაეწეოდა. ამრიგად, თურქეთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დასავლეთის პირისპირ მარტოდმარტო არ იქნებოდა — აღნიშნავს ჯებესოი.

ამ საკითხზე საინტერესოა მოსაზრება ე. წ. „მწვანე არმიის“ გენერალური მდივნის ჰაკი ბეჰიჩ ბეისა, რომელსაც ჯებესოის გადმოცემით უთქვამს: იმ დროს, როდესაც დასავლეთი თურქეთის განადგურების პოლიტიკას ატარებდა, აღმოსავლეთთან და რუსეთის რევოლუციასთან დაახლოება მას ქვეყნის ხსნის დიდ იმედად ესახებოდა. „მე ერთგული ვიყავი იდეისა, — განაგრძობს ის, — რუსეთის რევოლუციის მოდიფიცირების გზით მუსლიმურ სამყაროში სოციალისტური ფედერაციის შექმნის შესახებ. ეს იდეა მუსტაფა ქემალსაც გავუზიარე. ფაშა თითქოს მომხრე იყო. ქვეყნის შიგნით რუსული ბოლშევიზმის მსგავსი მოძრაობის შექმნა დავიწყეთ“. ასეთი ორგანიზაციები იყო აგრეთვე თურქესტანში, ირანში, აზერბაიჯანში. „ჩვენ ამ პოლიტიკაში წარმატებისათვის რომ მიგვეღწია, რუსები დარწმუნდებოდნენ, რომ უმჯობესი იყო ჩვენთან ჰქონოდათ პოლიტიკური ურთიერთობა ან მხარი დაეჭირათ ჩვენთვის, რითაც მხარს დაუჭერდნენ მთელს ისლამის სამყაროში, ვიდრე ცალ-ცალკე პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონოდათ მუსლიმურ ქვეყნებთან“.

მოგონებების ავტორს, თურქეთის დასავლეთის ფრონტის სარდალს, ალი ფუად ჯებესოის 1920 წლის 14 სექტემბერს დეპეშა გაუგზავნა მუსტაფა ქემალისათვის, რომელსაც სთხოვდა ცნობებს ქვეყნის საშინაო მდგომარეობისა და რუსეთთან ურთიერთობის შესახებ. დავიმოწმით რამდენიმე ადგილი მუსტაფა ქემალის პასუხიდან, რომელიც მოყვანილია ჯებესოის წიგნში: „1. მოსკოვში ჩვენი სრულუფლებიანი დელეგაციიდან მიღებული და 13 აგვისტოთი დათარიღებულ მოხსენებებში ლაპარაკია ლენინთან და ჩიჩერინთან რამდენიმე შეხვედრის, ჩვენი მუშაობისა და ბრძოლისადმი სიმპათიის და იარაღითა და საბრძოლო მასალებით დახმარების შესახებ. ნათელი გახდა, რომ ბოლშევიკების ოპერატიული გეგმა ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, პოლონეთის დამარცხებას, შემ-

დეგ კი ყირიმში მყოფი ვრანგელის განადგურებას. ალბათ ამ დრომდე აღმსავლეთში ერთობლივი მოქმედების დაწყება შესაძლებელი არ ყოფილა. იყო საუბარი სომხეთისათვის ჩვენი ქვეყნის ნაწილის შეერთების აუცილებლობის შესახებ. ჩვენი დელეგაცია აღნიშნავს, რომ რუსები საბრძოლო მასალებით ღარიბები არიან და სურთ საქმე მოლაპარაკებებით გააჭიანურონ. ამასთან ერთად გვაცნობებენ, რომ ჯერ არ აქვთ საბოლოო დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ჩვენთან სრულ კავშირს არ დადებენ. დელეგაცია დასძენს, რომ დიდხანს ეძებდნენ ფულის, იარაღისა და საბრძოლო მასალის გაგზავნის საშუალებებს და ბოლოს გადაწყდა, რომ ზღვითაც დაიწყებოდა გაგზავნა. სომხეთთან 10 აგვისტოს დადებული ზავით შახტახტი — ჯულფას რკინიგზის ხაზი მათ სომხებს დაუთმეს. აზერბაიჯანისა და ჩვენი დელეგაციის პროტესტზე ზეპირად უპასუხეს, რომ ეს შეცდომა იყო. გადაწყვეტილებაში მათ ჯერ ცვლილებები არ შეუტანიათ.

მეორე მხრივ ჰალილ ფაშას მეშვეობით ხმელეთის გზით ელჩობა და მათთან ერთად სამი ყუთი ოქრო გამოგზავნეს. ეს დელეგაცია და ფული ერზერუმში ჩამოვიდა და სივასისკენ გაემართა. ოქრო ზოდებითაა და 100 ათასი ლირის ღირებულებისაა.

2. ჰალილ ფაშას ნახჭევანში ჩასვლის შემდეგ წითელი არმიის ნაწილებსა და სომხებს შორის შეტაკება მოხდა. ჰალილ ფაშასაგან მიღებული ცნობებით, წითელი არმიის მეთაურები ძალიან დამწუხრებულები არიან სომხების ძალადობითა და თავდასხმებით და აგვისტოს დამლევისათვის სომხეთზე სალაშქროდ ემზადებიან და ჯარს თავს უყრიან.

3. ამ ვითარებიდან ჩვენ ის აზრი გამოვიტანეთ, რომ ბოლშევიკები ძალიან ღარიბები არიან საბრძოლო მასალებით და ზავი სურთ და პოლონეთთან ომის წარმატებით დასრულების შემდეგ დასავლეთთან შეთანხმებაზე ფიქრობენ. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ჩვენს მეგობრად და ჩვენდამი სიმპათიის მქონედ თავს იმიტომ გვაჩვენებენ, რომ გავლენა იქონიონ ისლამის სამყაროსა და ინგლისზე, თუ იძულებული გახდებიან, ამ გავლენის შესანარჩუნებლად ჩვენ მინიმალურ დახმარებას გაგვიწვევენ და შემდეგ კი დასავლეთთან შეთანხმების შესაძ-

1 ლებლობის შესანარჩუნებლად ჩვენთან ერთად კატეგორიულ გადაწყვეტილებებს არ მიიღებენ.

4. ამავე დროს ბოლშევიკებმა ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკური ორგანიზაციის შესაქმნელად საგანგებო საქმიანობა გააჩაღეს. ბაქოში მათ მიერ გაგზავნილი მუსტაფა სუბჰისა და მისი ამხანაგების მეშვეობით თურქეთის კომუნისტთა გენერალური ცენტრი შექმნეს. მთლიანად ბოლშევიკური იდეების მქონე გულუბრყვილო და არაგულუბრყვილო ხალხი სანაპიროს ყოველ პუნქტში გადმოსხეს და ქვეყნის შიგნითაც ესკიშეპირსა და ანკარაში გაგზავნეს. მათი მიზანია ქვეყნად სოციალური რევოლუციის განხორციელება. ამ შემთხვევაში ქვეყანა უშუალოდ მესამე ინტერნაციონალს, ე. ი. რუსეთს დაუკავშირდება, რის გამოც ბოლშევიკები ყოველგვარი დაპირების და დახმარების საჭიროების გარეშე ჩამოგვიცილებენ ჩვენ და დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობის დროს უფრო ძლიერი პოზიცია ექნებათ. ჩვენი ქვეყნის იდეებისა და რევოლუციის მომხრე, ანდა ამ ფარდის უკან სხვადასხვა მიზნების მისაღწევად მოქმედი ადამიანები, მიუხედავად ამ საფრთხისა, ბოლშევიკთა ორგანიზებას აადვილებენ.

5. ამ ვითარების გამო ჩვენ გადაწყვიტეთ და გავეცით შესაბამისი განკარგულება, რომ უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ხელთ შევინარჩუნოთ ქვეყანა, რა რეფორმაც საჭიროა, მთავრობის მეშვეობით განგახორციელოთ, ანარქიისა და რევოლუციის გზით რუსეთისადმი დამორჩილებას წინ აღვუდგეთ, დავაჩქაროთ მოსკოვში ჩვენი სრულუფლებიანი დელეგაციის მოლაპარაკების დადებითი ან უარყოფითი შედეგებით დასრულება, მივიღოთ რუსებისაგან ყოველგვარი დახმარება, მიუხედავად მისი რაოდენობისა, გავმართოთ სომხებთან ხელსაყრელი ბრძოლა, აზერბაიჯანთან შეერთების ფაქტის წინაშე დაყენების მიზნით რუსების თანხმობას არ დავუკავშიროთ ჩვენი მოქმედებები. ახალ მოხსენებაში, რომელიც დელეგაციისაგან მივიღეთ ტრაპიზონის გზით, ლაპარაკია აღთქმის დოკუმენტის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია ვანის, ბითლისის და შუშის მხარეში სომხებისთვის მიწების გადაცემა. იუსუფ ქემალ ბეი ტრაპიზონში გაიგზავნა, რათა ჩვენთან უშუალო სატელეფონო კავშირი ჰქონდეს და საკითხი მოაგვაროს. შეგვატყობინეს, რომ საბრძოლო მასალები და ფული ზღვით

გამოგზავნეს. ეს ახალი იმედის მომცემი ვითარებაა, რომლის ახრი ნათელი გასდება იუსუფ ქემალ ბეის ჩამოსვლის შემდეგ“.

შემდეგ მუსტაფა ქემალი სწერდა ალი ფუად ჯებესოის: „ქვეყნის შიგნით არსებული კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც უცილობლად ნიშნავს რუსეთის მორჩილებას, თავისი მიზნებით მთლიანად გვეწინააღმდეგება ჩვენ. იძულებული ვართ დავაპატიმროთ და განვდევნოთ საიდუმლო კომუნისტური ორგანიზაციის წევრები... რა თქმა უნდა, კომუნიზმის და ბოლშევიზმის აშკარა მოწინააღმდეგეობა მე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია“.¹

ასეთი იყო ძირითად ხაზებში საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობა, თურქეთისადმი საბჭოთა რუსეთის დახმარება 1920-1922 წლებში. სპეციალურად გამოვყავით ეს წლები, რადგან სწორედ ამ პერიოდის, განსაკუთრებით კი 1920 წლის მეორე ნახევრისა და 1921 წლის დამდეგის რუსეთ-თურქეთის ურთიერთობამაც გარკვეულწილად განაპირობა საქართველოს გასაბჭოების დაჩქარება, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სათაკილო ფორმა.

საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის იმდროინდელი დაახლოება თავისთავად განპირობებული იყო პირველი მსოფლიო ომის შედეგად კავკასიასა და თურქეთში შექმნილი მდგომარეობით, კერძოდ, ამ ომში გამარჯვებული ანტანტის წინააღმდეგ ორი ქვეყნის ბრძოლის ინტერესებით. გარდა ამისა, საბჭოთა რუსეთს სოციალისტური რევოლუციის სფეროს გაფართოების მისწრაფებაც ამოძრავებდა. ამ დიდ პოლიტიკაში რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოც იყო, რასაც ორივე მხარე გრძნობდა, მაგრამ მათს ინტერესებში საერთო და ორივესთვის მისაღები სქარბობდა საწინააღმდეგოსა და დამაპირისპირებელს. თურქეთს თავისი დამოუკიდებლობის აღდგენისა და შენარჩუნებისათ-

¹ ამ წიგნის ზემოციტირებული ადგილების ქართული თარგმანი ეკუთვნის გ. აფხაზავას .იხ.: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის მიერ მომზადებული ზემოდასახელებული რეფერატის კრებული „ისტორია და ხელოვნებათმცოდნეობა (თანამედროვე უცხოური და ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა)“. თბ., 1980, გვ. 100-109.

ვის რუსეთისაგან ფული და იარაღი სჭირდებოდა. იგი ბოლ-
შევიზმისა და რევოლუციის იდეების წინააღმდეგ. აშკარად არ
გამოდინდა, ოღონდ რელიგიური და ეროვნული ტრადიციე-
ბის საფუძველზე მათს მოდიფიცირებას მოითხოვდა. ეს სიტ-
ყვით, საქმით კი ყოველ დონეს ხმარობდა, რომ ეს იდეებო
თურქეთში საერთოდ არ განხორციელდებულყო.

რუსეთს ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთის აქ-
ტიურად ჩაბმა და მისი მეოხებით ამ რეგიონიდან ინგლისის
განდევნა უნდოდა. ამიტომაც შეძლებისდაგვარად ეხმარებო-
და ბრძოლისათვის მზადყოფნა თურქეთს ფულითაც და იარა-
ღითაც. თუმცა, როგორც ვნახეთ, თურქეთს ეს დახმარება,
თავდაპირველად მაინც, საკმარისად არ მიაჩნდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საბჭოთა რუსეთისა და თუ-
რქეთის სახელმწიფოებრივი კავშირი სულ უფრო და უფრო
საგრძნობი გახდა. იმის გამო, რომ კავკასია რუსეთსა და თუ-
რქეთს შუა მდებარეობს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-
ჭებოდა მხარეში ისეთი ხელისუფლების არსებობას, რომელიც
დაბრკოლებას არ შექმნიდა ამ ორი ქვეყნის დაახლოების გზა-
ზე. რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს შეურიგდე ამ აზრს, ფაქ-
ტია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბე-
დიც ამ დიდი პოლიტიკის ლაბირინთებში წყდებოდა.

4. 1921 წლის იანვარი. რატომ მაინცდამაინც ლორე? სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა თვალით დანახული საქართველო

მივუბრუნდეთ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დე-
მოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას 1921 წლის იან-
ვარ-თებერვალში. 1921 წლის 2 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალურ
კომიტეტის კავბიუროს წევრებმა გ. კ. ორჯონიკიძემ და
ს. მ. კიროვმა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს მო-
ხსენება, რომელშიც დაყენებული იყო საქართველოს გასაბ-
ჭოების საკითხი. ეს უკვე მერამდენედ. მაგრამ აღრინდელისა-
გან განსხვავებით კავბიუროს ხელმძღვანელები ამჯერად სა-
ქართველოს გასაბჭოების მიზანშეწონილობის ისეთ მოტივა-
ციას იძლეოდნენ, რომელსაც, მათი აზრით, ადვილად უნდა

დაერწმუნებინა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამ აქციის აუცილებლობაში: საქართველო ადგილობრივი და უცხოური კონტრავოლუციის დასაყრდენია კავკასიაში, გამალებით აგროვებს ძალებს რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის, ხელს უწყობს უცხოელი ინტერვენტების დაპყრობითი გეგმების განხორციელებას და ა. შ.¹ გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ აღმოეჩინათ დახმარება საქართველოს მშრომელებისათვის, რომელნიც, ამტკიცებდნენ ისინი, იბრძოდნენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ამრიგად, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტს აცნობეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხიფათს უშხადებს რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს, მისი დამხობისათვის იბრძვიან საქართველოს მშრომელები, რომლებსაც დაუყოვნებლივ უნდა დავეხმაროთ. მოსალოდნელ საერთაშორისო გართულებებს გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი ამჯერადაც არ უწევდნენ ანგარიშს.

კავბიუროს მოხსენებას ვ. ი. ლენინიც გაეცნო. სავარაუდოა, რომ მან გაზვიადებულად მიიჩნია მოხსენებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მისამართით გამოთქმული ბრალდებანი. ყოველ შემთხვევაში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 12 იანვრის პლენუმმა საქართველოს „დაუყოვნებლივი გასაბჭოება“ მიზანშეუწონლად ცნო და წინადადება მისცა კავბიუროს ეხელმძღვანელა ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ საკითხზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებებით.

და მაინც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დოსიეში“ ამიერიდან სულ უფრო მეტად ჩნდებოდა ზოგი სამართლიანი, უფრო მეტი კი გამოგონილი ბრალდებები 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შესახებ. ყველაფერიდან ჩანდა, რომ დაიწყო ინტენსიური მზადება რუბიკონის გადასალახავად. ამის საშუალებას უკვე საერთაშორისო ვითარებაც იძლეოდა. ახლა მთავარი იყო ვ. ი. ლენინის დარწმუნება(?!) საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აგრესიულ მოქმე-

¹ იხ. ა. ირემიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 366.

დებაში, აგრეთვე იმაშიც, რომ საქართველოს მშრომელები აჯანყებას აწყობდნენ თავიანთი მთავრობის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი საჭირო იყო იმისათვის, რომ რამდენადმე გაემართლებინათ წითელი არმიის შეზოგუნა საქართველოში, ეს აქცია გარე სამყაროს აღქვა როგორც საქართველოს აჯანყებული მშრომელების წინაშე წითელი არმიის მიერ ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდა. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, რომ ვ. ი. ლენინიც უკვე ადვილად იწმუნებს თავს...

1921 წლის 20 იანვარს გ. ვ. ჩიჩერინი სწერდა ვ. ი. ლენინს: „საქართველო ისე გათავხედდა, რომ შეიძლება იძულებული გავხდეთ გავასაბჭოვოთ იგი. თქვენ იცით ამბების თანამომდევნობა: საქართველომ უარი თქვა მთლიანად შეესრულებინა ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ის შეთანხმება, რომ დაებრუნებინა ჩვენთვის მის ნავსადგურში შესული გემები, დააპატიმრა ჩვენი თანამშრომლები, მასობრივ რეპრესიებს მიმართა კომუნისტთა წინააღმდეგ და უარი თქვა შეესრულებინა ჩვენთან ერთად ამ საკითხზე მიღებული შეთანხმება, უარი თქვა სავსებით დავეკმაყოფილებინეთ ბათუმში ჩვენი დროშის შეურაცხყოფისა და ჩვენი კურიერის გაძარცვივ გამო და ა. შ.“¹

გ. ვ. ჩიჩერინის ეს წერილი, რომელიც ზემოაღნიშნულის გარდა საქართველოს საქმეებში „სამხედრო ხასიათის ჩარევის“ მოთხოვნასაც შეიცავდა, ვერ ჩაითვლება საბჭოთა მშვიდობისმოყვარული დიპლომატიის ნიმუშად. თავი რომ დავანებოთ გამოთქმას „საქართველო გათავხედდა“, ბრალდებები, რომლებიც მან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას წაუყენა, თუნდაც ყველა მათგანი სამართლიანი ყოფილიყო, არ იძლეოდა საქართველოს ძალით გასაბჭოების, საქართველოს საქმეებში სამხედრო ჩარევის საბაბს (უფლებაზე რომ არაფერი ვთქვათ).

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ უკანასკნელ დრომდე თითქმის დამკვიდრებული იყო აზრი, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცალმხრივად არღვევდა 1920 წლის 7.

¹ ციტი: გ. ჟვინაის დასახ. სტატიიდან. — გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 11 აგვისტო.

მანის ხელშეკრულებას. მკვლევარები ეყრდნობოდნენ და უშენიშვნოდ იღებდნენ გ. ვ. ჩიჩერინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ს. მ. კიროვისა და სხვათა ხელიდან გამოსულ ტენდენციურ დოკუმენტებს, რომელთა სანდოობას საეჭვოდ არ ხდიდნენ. ანგარიში არ ეწეოდა იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიც ამ დოკუმენტებს დაინტერესებული პოლიტიკური მოღვაწეები ქმნიდნენ. აშკარაა, რომ ისტორიული სინამდვილის დადგენა მხოლოდ ამ დოკუმენტების მიხედვით შეუძლებელია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი წაყენებული ძირითადი ბრალდებები, ჩვენის აზრით, ყველაზე სრულად არის ჩამოყალიბებული ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის საცნობარო აპარატის, კერძოდ, უნიშვნების ავტორების მიერ. „საქართველომ, — აღნიშნავენ ავტორები, — დაარღვია რსფს რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისის დადებული ხელშეკრულება და აკრძალა თავის ტერიტორიაზე ტრანზიტი რსფს რესპუბლიკიდან მომავალი ტვირთისა, თუნდაც ის ყოფილიყო სურსათი სომხეთის დამშეული მოსახლეობისათვის; უარი თქვა დაებრუნებინა რსფს რესპუბლიკისათვის რუსეთის ყველაზე ძვირფასი გემები, რომლებიც მანამდე ვრანგელს ჰქონდა, ხოლო მისი განადგურების შემდეგ საქართველოს ნავსადგურებში შევიდნენ; რეპრესიებს მიმართა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების წინააღმდეგ და შეურაცხყო რსფს რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი, პროვოკაციულად გამოიწვია ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციური გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მხარს უჭერდა ამ გამოსვლებს. ხელშეკრულების ამ დარღვევათა გამო რსფს რესპუბლიკის წარმომადგენლებს არაერთხელ განუცხადებიათ ოფიციალური პროტესტი, მაგრამ საქართველოს მთავრობა ყველა პროტესტს უპასუხოდ ტოვებდა“.¹

ასეთია ის ძირითადი ბრალდებები (გ. ვ. ჩიჩერინის წერილის გავლენა, ცხადია, აქაც იგრძნობა), რომელთა გამო ცდილობენ გაამართლონ საქართველოს ძალით გასაბჭოება. ჯერ ერთი, ვინ დაადგინა, რომ ყველაფერი, რაც აქ არის აღნიშ-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 42, გვ. 646, 291-ე უნიშვნა.

ნული, სინამდვილეს შეეფერება? მაგალითად; ვინ დაიჭერებს, რომ საქართველოს შეეძლო „პროვოკაციულად გამოეწვია“ ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციური გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (ლაპარაკია ანტისაბჭოთა გამოსვლების ინსპირირებაზე და არა ასეთი გამოსვლებისათვის საქართველოს მთავრობის მხარდაჭერაზე, რაც სავსებით დასაშვებია იყო)¹. ან კიდევ ვინ გააკრვია რა მიზეზით არ გაატარა საქართველომ ტვირთი სომხეთში. არც იმის გარკვევას აქვს მნიშვნელობა, თუ რატომ მიმართავენ რეპრესიებს კომუნისტებისა და საბჭოთა საელჩოების თანამშრომელთა მიმართ? განა იმდროინდელ რუსეთში არ აპატიმრებდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, რომელნიც არათუ საქმით, არამედ მხოლოდ სიტყვით ებრძოდნენ არსებულ წყობილებას? განა საქართველოს ხელისუფლები გაბედავდნენ საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთა აბსოლუტურად უმიზეზოდ დაპატიმრებას? ნუთუ საეჭვოა, რომ საბჭოთა საელჩოების დაპატიმრებულ თანამშრომელთა მოღვაწეობაში ნამდვილად იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული, ბურჟუაზიულ სახელმწიფოში დასჯადი ქმედებანი? რატომ არ გადაეცა საბჭოთა რუსეთს ვრანგელის გემები? სხვისი ქონების უაპელაციოდ მისაკუთრება იყო ამის მიზეზი? რატომ ვართმევთ უფლებას ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რა-

¹ შტრ: ნოე ყორღანის შემდეგი აღიარება: „ამავე დროს მეზობლებიც უკუდად გვეპყრობოდნენ. განსაკუთრებით აღსაშფოთებელი იყო აზერბაიჯანის მოპყრობა; მთელთა რესპუბლიკას შეესია ბოლშევიკები, გეტხოვეს დახმარება, ჩვენც გაუგზავნეთ ჯარის ნაწილი ბაქოს გზით, ხოლო ბაქოს მთავრობამ ის განაიარაღა. საქმეზე არ გაუშვა, ხოლო იარაღი თავისათ გამოაცხადა. შეიქნა მიწერ-მოწერა, მექარა, ძლივს-ძლივობით ჩვენი ხალხი უკან მივიღეთ, ბევრი უიარაღოთ. შემდეგ აზერბაიჯანელები თავს იმართლებდნენ: თქვენი ოფიცრები და ჯარისკაცები იარაღს ყიდდნენ გზადაგზა და ამიტომ ამ სისაძაგლეს ბოლო მოუღეთ განიარაღებითო. გამოკვლევამ დაამტკიცა ნაწილობრივ ბრალდება, ასეთი ხულიგნები ერიენ ჯარში, მაგრამ ეს იყო უმცირესობა, რუსის ჯარში ნამსახური ოფიცრების მეთაურობით. საზოგადოთ ჩვენ დაგვლუპა ამნაირმა ოფიცრობამ, მას არ ჰქონდა არავითარი პატრიოტიზმი, ყველაფერს უყურებდა გამორჩენას თვალსაზრისით, ცარცვაედენ სისტემატიურად პოლკებს — ერთი სიტყვით ეს რუსეთთმე ხალხი იყო ნამდვილი რისხვა ჩვენი საქმისათვის“ (ნოე ყორღანია. ჩემი წარსული (მოგონებანი)... გვ. 113-114.

მელიც სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტის დაცვაზეც დებ-
და თავს (სხვა ამბავია, ახერხებდა თუ არა ამას), ეზრუნა თა-
ვის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას
საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმის ზუსტი თარიღი,
უნდა ვიგულისხმოთ, არ ეცოდინებოდა, მაგრამ ასეთი თავ-
დასხმა რომ საერთოდ მოსალოდნელი იყო, ალბათ, ეჭვიც არ
ეპარებოდა. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ რესპუბლიკის სა-
მხედრო უწყება თავდაცვის ზომებსაც იღებდა, თითქოს საზ-
ღვრებიც გაამაგრა, რამდენიმე ასაკის მობილიზაცია გამოც-
ხადდა და ა. შ. მაგრამ ეს იყო მზადება თავდასაცავად და არა
საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის დასაწყებად. აი რას
წერს ჟორდანია ამასთან დაკავშირებით: „ამავე დროს ჩამო-
ვდა რუსეთიდან დელეგაცია სატრანზიტო ხელშეკრულება-
ზე მოსალაპარაკებლად და შესაკრავათ. ეს ფაქტი ამჟღავნებ-
და მოსკოვის ორმაგ პოლიტიკას, ერთი — თვალის ასახვევად,
ხოლო საიდუმლო მზადებას ჩვენს წინააღმდეგ. ან შეიძლება
პოლიტიკა იყო ორნაირი და ორმაგი — ერთნი ცდილობდნენ
მართლა მეზობლური დამოკიდებულების დამყარებას, ხოლო
მეორენი კი დაპყრობას, ანექსიას. ჩვენის ცნობით შემოტევა
უნდა დაეწყოთ დეკემბერში; ვემზადებოდით... საიდუმლოთ
არა თუ მოსკოველთათვის, არამედ ჩვენი ხალხისათვისაც, რომ
მას არ გაეგო ჩვენთან მოსალოდნელი კონფლიქტი და მით
გული არ გაგვეტეხა წინდაწინ. საერთო რწმენა იყო, რომ რუ-
სეთს ვერ გაუძლებდით. მოულოდნელათ დეკემბერში ჩემთან
საუბარი მოისურვა მოსკოვის სამხედრო წარმომადგენელმა
(გვართ მგონი ტოლტოვი) და ეს მამცნო ღენ. ლებედინსკის
პირით. შეხვედრა უნდა ყოფილიყო საიდუმლო, ლებედინს-
კის ბინაზედვე. მივედი დანიშნულ დროს, საღამოს. გავიცა-
ნი წარმომადგენელიც, ვითათბირეთ სამივემ. ლაპარაკში შევა-
ტყვე წარმომადგენელს სრულიად არ სურდა მოსკოვის თავ-
დასხმა, ლებედინსკის ალბათ მასზე ქონდა გავლენა. მან პი-
რდაპირ მითხრა, რომ განძრახვაა თქვენს წინააღმდეგ გამოი-
ლაშქრონ და თუ შეგიძლიათ წახვიდეთ რომელიმე დათმობა-
ზე, რომ ეს არ მოხდეს, მაგალითად, ბოლშევიკი — ტყვეობის
განთავისუფლებათ. მე ვუპასუხე, ჩვენ უკვე წავედით ყოველ-
ნაარ დათმობაზე, ამას მოწმობს სატრანზიტო ხელშეკრულე-

ბა, ხოლო რაც შეეხება დაჰკერილ ბოლშევიკებს, ჩვეულებრივით მათ ვაძევებთ რუსეთისაკენ. დარჩენილთაც იქით გაუყუნებთ, თუ ამას მოსკოვი ოფიციალურათ მოგვთხოვს: საზოგადოთ გეითხრან რა სურთ ჩვენგან, რა მიზეზით ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ, ეგების მოვეწყობით, შევთანხმდებით უეჭველათ ყველა საკითხებზე, გარდა ერთისა — ერის დამოუკიდებლობის და სუვერენოის შექვეცისა. მან ვერაფერი კოცრეტული ვერ წამოაყენა. ვამჯობინე დაშინება და ვუთხარი — კავკასიის ხალხები, იცით ალბათ, უკმაყოფილო არის მოსკოვის რეჟიმით. თუ ამდენ ხანს არ ამდგარან, ამის მიზეზი ვართ ჩვენ — მათ არ უჭერთ მხარს და არ ვენმარებით. მაგრამ ეს განწყობილება შეიცვლება მაშინვე, როგორც კი ჩვენ თავს დაგვესხმებით. აჯანყებებს გავაჩაღებთ ყველგან, თქვენ ზურგს უკან. ამ საბუთმა მასზე იმოქმედა. მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ყოფილა დავალებული მოსკოვიდან მე ვენახე, ვინაიდან თქვა — ეს მართლა სერიოზულია, მოსკოვს ვაცნობებო... გათავდა შეხვედრა უშედეგოთ, ერთი მცირე შედეგით — დეკემბერში არ დაიწყო შემოტევა, გადაიდვა, უეჭველია მოსკოვში კიდევ დავა იყო ამ საკითხზე პაციფისტებსა და ომის მოტრფიალეთა შორის. გადადება ჩვენთვის ხელსაყრელი იყო. გვეძლეოდა დრო მომზადებისათვის“.¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რასაკვირველია, ორპირობდა საბჭოთა რუსეთთან. რაც მართალია, თვალი მას მაინც დასავლეთისაკენ ეჭირა. ამას ყველა გრძნობდა. „მენშევიკური საქართველო რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან გარეგნულად შეთანხმებული იყო, სინამდვილეში კი პროინგლისური პოზიცია ეკავა. საქართველოში მყოფი კომუნისტები მთლიანად დააპატიმრეს. დაშნაკური სომხეთის მთავრობაც ქართველების მსგავსად, ინგლისური ორიენტაციისა იყო“ — აღნიშნავს თურქი დიპლომატი ალი ფუად ჯებესოი.²

გასაგებია ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა რუსეთის მეხოტბე ვერ გახ-

¹ ნოე ეორდანი. ჩემი წარსული (მოგონებანი)... გვ. 119-120.

² თანამედროვე უცხოური ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა... დასახ. რეფერატების კრებული... გვ. 110.

ღებოდა მას შემდეგაც კი, რაც მან საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო. მთავარი მიზეზი ორი ქვეყნის განსხვავებულ-პოლიტიკური წყობა იყო. მენშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ თუკი საბჭოთა რუსეთი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას ბოლომდე დაიცავდა, იმ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობა გარანტირებული იყო. ეს კი ვალდებულს სჯიდა საქართველოს მთავრობას რაც შეიძლება კარგი ურთიერთობა ჰქონოდა რუსეთთან. ამიტომ საქართველოს მთავრობის მხრით დიდი შეცდომა და საკუთარი თავის მტრობა იქნებოდა ისეთი მძლავრი პოტენციური დამპყრობის გაღიზიანება, როგორსაც რუსეთი წარმოადგენდა. საქართველოს მთავრობა იძულებული იყო ეს მუდამ ხსომებოდა. ამის მაგალოდ 1920 წლის მაისის ამბებიც გამოდგება, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალებმა აიძულეს აზერბაიჯანიდან შემოსული წითელი არმიის ნაწილები დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია, შეტევა კი საქართველოს მთავრობის მოთხოვნით აზერბაიჯან-საქართველოს საზღვართან შეაჩერეს, თუმცა საქართველოს სამხედრო წრეების ზოგიერთ წარმომადგენელს, თვით მთავარსარდალს მიაჩნდა, რომ არათუ შეტევის გაგრძელება, არამედ მთელი აზერბაიჯანის დაკავებაც შეიძლებოდა. ამჯერად მნიშვნელობა არ აქვს იმის გარკვევას ცდებოდა თუ არა მთავარსარდალი, რომელიც იქნებ აზვიადებდა კიდევ საქართველოს სამხედრო ძალების შესაძლებლობებს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ მთავრობა არ შეცდა, მან ყველაფერი გააკეთა, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ხელმოწერისთანავე არ დაერღვია, თუმცა მეორე მხარე ამას არ ერიდებოდა.

ამიტომ უალრესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და კრიტიკული თვალით შევხედოთ ყოველგვარ საარქივო თუ ლიტერატურულ წყაროს, რომლის მიხედვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო აქციების, სასაზღვრო ინციდენტების, მით უმეტეს, საომარო ოპერაციების პირველდამწყებების როლში ჩანს (განსაკუთრებით 1920 წლის 7 მაისის შემდეგ).

ასეთ დოკუმენტებს სპეციალური დანიშნულება ჰქონდათ. მათი შემთხვევების ამოცანა ის იყო, რომ სამართლიანი თუ გაპოგონილი ბრალდებებით როგორმე დაემტკიცებინათ საქა-

ათველოს „გათავხედება“ (ამ ტერმინს შემდეგ ლენინურ დოკუმენტშიც შევხვდებით) და გაემართლებინათ მისი „დასჯის“ აქციები — გასაბჭოების მიზნით წითელი არმიის შემოყვანა. ამ უწყებას უნდა მიეცა გარანტია, რომ საქართველოში წინააღმდეგ წამოყენებული ეს ბრალდებები (თუნდაც ყველა მათგანი მართალი ყოფილიყო) მაინც არ აძლევდა უფლებას საბჭოთა რუსეთს წითელი არმიის მეშვეობით ძალით გაესაბჭოებინა საქართველო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის (?) ზემოაღნიშნული ფაქტების საპასუხოდ საბჭოთა რუსეთი უნდა შემოფარგლულიყო მკაცრი საპროტესტო ნოტებზე (ნოტებს გზავნიდა კიდეც), უკიდურეს შემთხვევაში — საქართველოსთან პოლიტიკური კავშირის თუ ურთიერთობის გაწყვეტით, ე. ი. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაუქმებით (დენონსაციით). საბჭოთა რუსეთმა კი უგულვებელყო საერთაშორისო სამართლის ნორმები და საქართველოს მიმართ ძალისმიერი აქცია განახორციელა — წითელი არმიის მეშვეობით დაიპყრო და გასაბჭოა იგი.

მიეცვით მოვლენებს. გ. ვ. ჩიჩერინის წერდას რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. საქართველოს საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად სწორედ იმ უწყების აზრის გათვალისწინება იყო აუცილებელი, რომელსაც გ. ვ. ჩიჩერინი ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ უწყებას უნდა მიეცა გარანტია, რომ საქართველოში წითელი არმიის შეყვანას საერთაშორისო გართულებები არ მოჰყვებოდა. და, აი, 1921 წლის იანვრის მეორე ნახევარში ასეთი გარანტიაც გაჩნდა.

დავიმოწმით დოკუმენტი, რომელიც სამეცნიერო კვლევის სფეროში პირველად პროფესორმა გრიგოლ ქვანიამ შემოიტანა. ეს გახლავთ ი. ბ. სტალინის წერილი, რომელიც 1921 წლის 24 იანვარს, შაბათს, დაეგზავნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს. ი. ბ. სტალინი წერდა: „გთხოვთ პასუხი მაცნობოთ 6 საათამდე.“

ცენტრალური კომიტეტის წევრებს.

წინადადებას გაძლევთ მოიწონოთ ანზ. ჩიჩერინის ხაზა საქართველოს საკითხზე (იხ. ბოლო წერილი) და მისცეთ რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს დირექტივა, რომ

საჭიროა მყისვე შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას კავკასიაში იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა წესით განხორციელდეს სამხედრო ჩარევა. ამავე დროს მისცეთ დირექტივა ამხანაგ ორჯონიკიძეს, რომ საჭიროა აჯანყებულთა გამოსვლების მოწინააღმდეგე საქართველოს გარკვეულ რაიონებში.

24/1 — სტალინი.

ამხ. ტროცკი. კამენევი (მომხრეა, რომ გადაიდოს ოთხშაბათამდე). კრესტინსკი (მხარს უჭერს ოთხშაბათამდე გადაღებას).

ამხ. ლენინი... მომხრეა არ გადაიდოს“.¹

ოთხშაბათამდე საკითხი არ გადადეს, მიუხედავად იმისა, რომ ლ. დ. ტროცკიმ, ლ. ბ. კამენევმა და ნ. ნ. კრესტინსკიმ გარკვეული დრო მოითხოვეს მოსაფიქრებლად. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ორშაბათს, 1921 წლის 26 იანვარს იმსჯელა საქართველოს საკითხზე. დადგენილების პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა. მასში ვკითხულობთ:

„1) დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჰრანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან, ამასთან სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაყინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვავის გატარება.

2) შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი და ამხ. სტალინი.

3) მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის. დაევალოს სარკინიგზო გადაზიდვის უმაღლეს საბჭოს უახლოს ვადაში მოახსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რა შესაძლებლობა გააჩნია

¹ გ. უვანიას დასახ. სტატია. — გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 1 ივლისი.

იმისათვის, რომ გაადიდოს ჭარების გადაყვანა კავკასიაში და კავკასიის ფარგლებში¹.

ვ. ი. ლენინის პროექტი უცვლელად შევიდა პლენუმის დადგენილებაში როგორც პუნქტი „ა“. პუნქტ „ბ“-ში ნათქვამი იყო: „წინადადება მიეცეს კავკასიის ფრონტს დაამუშაოს იმ რეალური გარანტიების საკითხი (საკონტროლო კომისიები და სხვ.), რომლებიც შეგვიძლია დიპლომატიური გზით მოვთხოვოთ საქართველოს მთავრობას, რათა თავი დაეცვათ იმისაგან, რომ საქართველო ეხმარებოდეს დაღესტნისა და ჩაჩნეთის აჯანყებულთ“².

როგორც ჩანს, პლენუმმა არ გაითვალისწინა ი. ბ. სტალინის წინადადება „საქართველოს გარკვეულ რაიონებში“ აჯანყების მომზადების შესახებ. მიზანშეწონილად ჩათვალეს საქართველოსთან ნამდვილი ომის („დაუყოვნებლივი ან მოახლოებული“, მაგრამ მაინც „თუ საჭირო იქნა“) გაჩაღება და აჯანყებულთა დაუხმარებლად მისი გასაბჭოება.

პლენუმიც ადასტურებს, რომ საქართველო „გათავსებულა“, მაგრამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს მარცხ ავალებს გააჭიანუროს მასთან ურთიერთობის გაწყვეტა. მიზანი? საქართველოსთან საომრად აუცილებელი იყო კავკასიის ჭარების შევსება, რასაც დრო სჭირდებოდა.

ყურადღებას იპყრობს პლენუმის დადგენილების ის პუნქტიც, რომლის მიხედვით საქართველო არ უნდა დახმარებოდა დაღესტნისა და ჩაჩნეთის აჯანყებულებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ჩანს, ეს საკითხი სერიოზულად აფიქრებდა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში (1921 წლის იანვარი) ჩრდილოკავკასიელ აჯანყებულთათვის საქართველოსაგან მხოლოდ მორალური მხარდაჭერა იყო მოსალოდნელი, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ყოველი შემთხვევისათვის თავს იზღვევდა.

პლენუმის დადგენილების ეს პროექტი, როგორც სამართლიანად აღნიშნა ისტორიის მეცნიერებრთა კანდიდატმა გელა

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 42, გვ. 288-289.

² იქვე, გვ. 646, 292-ე შენიშვნა.

საითიძემ¹, არაეისტოვს დაფარულსა და საიდუმლოს აღარ წა-
რმოადგენს. იგი გამოქვეყნდა ჟერ კიდევ 1965 წელს, მაგრამ
ჩვენი ისტორიოგრაფია რატომღაც გვერდს უვლიდა, ან სწორ
ინტერპრეტაციას არ აძლევდა მას.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
ბედი ფაქტობრივად რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921
წლის 26 იანვრის პლენუმზე გადაწყდა. დანარჩენი უკვე, რო-
გორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

ახლა მოკლედ იმის თაობაზე, თუ როგორ მოემზადნენ
კავბაურო და მე-11 წითელი არმია საქართველოსთან „დაუ-
ყოვნებლად ან მოახლოებულ“ ომისათვის. რკპ(ბ) ცენტრა-
ლური კომიტეტის 1921 წლის 26 იანვრის მითითებების გან-
სჯარციელებრსათვის უშუალო მზადება იანვრის დამლევსა და
თებერვლის დამდეგს დაიწყო. აქ პირველ რიგში აღსანიშნა-
ვია ზრუნვა ჯარების შევსებისათვის, ომის იდეოლოგიური
მომზადება, საომარი ოპერაციის დაწყების ადგილის შერჩევა
და ა. შ. პირველი ორი შედარებით ადვილი მოსაგვარებელი
იყო. რევოლუციური იდეების შომაჩვენებით ჯარის შევსებაც
და ომის გამართლებაც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. რაც
შევხება საომარი ოპერაციის დაწყების ადგილის შერჩევას, ეს
გარკვეულ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული, რადგა-
ნაც იგი ფაქტობრივად ომის უშუალო საბაბის გამოძებნასაც
წიშნავდა. გამორიცხებულია, რომ ეს უხერხულობა თვით კავ-
ბაუროს ხელმძღვანელობასაც არ ეგარძნო, მაგრამ იქ, სადაც
საქმე — „ძლიერისა“ და „სუსტის“ ურთიერთობას ეხება,
„ძლიერის“ პოზიციებიდან არც ასეთი პრობლემის გადაჭრა
ქრის.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ საქართველოს გარკვეულ რაიონ-
ებში „აჯანყების მოწყობა“ (ი. ბ. სტალინის იდეა) მიზანშე-
უწონლად იქნა ცნობილი (საქმე არ გაირთულეს?!), მაგრამ
აჯანყების იდეას მაინც არ მოეშვნენ და საამისოდ ლორეს
ნეკრალური ზონა შეარჩიეს. რატომ მაინცდამაინც ლორე?

ლორე ბორჩალოს მაზრის ის ნაწილია, რომელიც ერთ-ერთ
თი საბაბი გახდა ანტანტის მიერ 1918 წლის დეკემბერში ინს-

¹ იხ. გ. საითიძე. სათქმელი ჟერ კიდევ ბევრია. — გაზ. „კომუნის-
ტი“ 1989 წლის 1 აგვისტო.

პირიერებული სომხეთ-საქართველოს ომისა. ომი ანტანტისავე ჩარევით დამთავრდა და სადავო საკითხი დროებით ასე გადაწყდა: ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი დაუტოვეს საქართველოს, სამხრეთი — სომხეთს, ხოლო ცენტრალური — ლორეს რაიონი — გამოცხადებულ იქნა ნეიტრალურ ზონად შერეული ქართულ-სომხური ძირეული ადმინისტრაციით. საერთოდ კი სადავო ტერიტორიის გამიჯვნა-განაწილება საერთო შეთანხმების საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო. არ იყო გამორიცხული არბიტრაჟი. 1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ლორეს ნეიტრალურ ზონას 3 თვით მთლიანად დაიკავებდა საქართველოს ჯარი. ამ დროს სომხეთს თურქეთი ებრძოდა და ასეთი გადაწყვეტილება საერთო მტრის შემოტევებისაგან ზონას დაცვის ინტერესებიდან იყო ნაკარნახევი. თუ სამი თვის განმავლობაში საქართველო და სომხეთი ვერ მოახერხებდნენ სადავო ტერიტორიის გამიჯვნას, მაშინ საქართველის ჯარი დატოვებდა ნეიტრალურ ზონას და იქ აღდგებოდა ადრინდელი მმართველობის (შერეული ადმინისტრაცია) სისტემა. ასეთი იყო სომხეთ-საქართველოს 1920 წლის 13 ნოემბრის შეთანხმების ძირითადი პირობა — აღნიშნავს ცნობილი მცნუევიკი მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი სამსედრო მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე.

ნოემბრის დამლევს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მდგომარეობის ბატონ-პატრონი რესპუბლიკაში წითელი არმია გახდა. შეიქმნა ახალი, საბჭოთა მთავრობა, რომელსაც შეეძლო გაეუქმებინა კიდევ საქართველო-სომხეთის ადრინდელი შეთანხმება. სომხეთის საბჭოთა მთავრობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მართლაც განუცხადა პროტესტი და მოითხოვა ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარის გაყვანა. საქართველოს მთავრობამ სადავო ტერიტორიის გამიჯვნის საკითხის მოსაგვარებლად მშვიდობიანი მოლაპარაკება შესთავაზა. მაგრამ სომხეთის მთავრობა რაღაც მიზეზების გამო ავიანურებდა მოლაპარაკებას და პროტესტსაც აღარ აცხადებდა. სომხეთს საბჭოთა მთავრობა ამ საკითხზე, რასაკვირველია, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ეთათბირებოდა. არ არის გამორიცხული,

რომ სომხეთის საბჭოთა მთავრობამ სწორედ კავბიუროს რჩევით განუცხადა პროტესტი საქართველოს მთავრობას. მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ იმავე კავბიუროს ნაზღვივად სურდა ნეიტრალურ ზონაში შექმნილი მდგომარეობის განმუხტვა? სამომავლო გეგმებისათვის მას იქნებ ხელსაყრელადაც კი მიაჩნდა ნებისმიერი გაურკვეველობის შენარჩუნება საქართველოს საზღვარზე მდებარე ზონაში. აქედან ხომ შედარებით ადვილი იყო საქართველოს საზღვრის გადალახვისათვის საბაზის გამოძებნა, ზონაში მყოფი ქართული ჯარის ნაწილების ოკუპანტებად გამოცხადება, მის წინააღმდეგ ადგილობრივ მშრომელთა „აჯანყების“ დაწყებაც და შიდასაქართველოს ტერიტორიაზე მისი განვრცობაც. მერმინდელ მოკლენათა ფონზე ეს ვარაუდი არცთუ ისე უსაფუძვლოდ ჩანს.

ამრიგად, იმის გამო, რომ ლორეს ნეიტრალური ზონა თავისთავად სადავო ტერიტორიას წარმოადგენდა და იქ ბოლო სამი თვის მანძილზე ქართული გარნიზონი იდგა, კავბიურომ საომარი ოპერაციების (იგივე „აჯანყების“) დაწყების ადგილად სწორედ ლორე შეარჩია.

უთუოდ ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარების ყოფნის ოფიციალური ვადა 1921 წლის 13 თებერვალს თავდებოდა. ამ დღის შემდეგ ქართული ჯარი ზონიდან გამოვიდოდა და მაშინ მშრომელთა „აჯანყების“ საბაზიც გაქრებოდა (!?). მაშასადამე უნდა მოესწროთ 13 თებერვლამდე.¹ ე. ი. „აჯანყების“ ადგილის შერჩევამ მისი დაწყების დროც განაპირობა. ერთი სიტყვით კავბიურომ ყველაფერი გაითვალისწინა. ბუნებრივია, იგი ამ საკითხებზე რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტსაც ეთათბირებოდა.

ლორეს ნეიტრალურ ზონაში აჯანყების მომზადება კავბიურომ უშუალოდ დააკისრა სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც ჯერ კიდევ 1920 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში შექმნა „მეამბოხეთა შტაბი“ ყარაკლისში. შტაბისა და ლორეს მთელი შეიარაღებული აჯანყების მზადების პასუხისმგებელ ხელმძღვანელად

¹ ან კიდევ 15 თებერვლამდე, როცა სადავო სასაზღვრო საკითხზე სომხეთ-საქართველოს კონფერენცია უნდა ჩატარებულყო.

გ. კ. ირჯინიკიძის მითითებით დაინიშნა პროფესიონალი რევოლუციონერი, ყოფილი ასოთამწეობი, ბაქოს კონტრა-აქტიური მონაწილე, სომხეთის წითელი არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე, ახალციხელი იოსებ გერასიმეს ძე ლასიანი.¹

და შეუდგა ი. გ. ლაზიანი „საქართველოს მშრომელთა აჯანყების“ მონაწილეს ბორჩალოს მაზრაში მცხოვრები რუსი კოლონისტების სოფლებში: ვორონცოვკა, პრივოლნოე, პოკროვკოე...

აჯანყება 11 თებერვალს დაიწყო. ვნახოთ რა ხდებოდა წინა დღეებში. გრძნობდნენ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები, რომ წილი უკვე ნაყარი იყო და სცადეს მათ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება? ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთი ნოტებს ნოტებზე უგზავნიდა საქართველოს, რომელსაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას დარღვევას აბრალდებდა. იყო კი დამაჯერებელი საქართველოს პასუხები ამ ნოტებზე, ან საერთოდ, აინტერესებდა ვინმეს ასეთი პასუხები? ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, რაშიც დიდ დახმარებას გაგვიწევს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არქივი, რომელზე მუშაობის საშუალებაც, ალბათ, მალე მიეცემათ მკვლევარებს. (ამ საკითხზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნიან დოკუმენტები, რომლებიც დანართის სახით ნაშრომს თან ერთვის).

საინტერესოა, როგორი იყო გასაბჭოების წინა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის, მშრომელების დამოკიდებულება რესპუბლიკის მთავრობისადმი. ცხადია, იგი ერთგვაროვანა არ შეიძლებოდა ყოფილიყო. გლეხობა, (განსაკუთრებით მისი ერთი ნაწილი), რასაკვირველია, ბოლომდე კმაყოფილი არ დარჩა აგრარული რეფორმებით და ადრე, კერძოდ, 1918-1919 წლებში, თავის უკმაყოფილებას ბოლშევიკების მეთაურობით მოწყობილ აჯანყებებით გამოხატავდა. გასაბჭოების წინა პერიოდში იგი დუმდა, ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილებას აქტიურად (იარაღით) არ გამოხატავდა. მუშათა კლასი, ძირითადად, არც ადრე გამოდიოდა მთავრობის წინააღმდეგ, არ

¹ იხ. ა. ირემიძის დასახ. ნაშრ. გვ. 365.

უჩანყდებოდა მას. იგი მხოლოდ თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდა. ფაქტია ისიც, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას წინააღმდეგ აჯანყებების ჩაქრობაში მუშათა რაზმებიც მონაწილეობდნენ. მით უმეტეს, გასაბჭოების წინა პერიოდში მუშათა კლასს მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილება აშკარად არ გამოუმჟღავნებია, დემონსტრაცია, აჯანყება არ მოუწყვია.

დავიმოწმით ორიოდ ადგილი ბოლშევიკ ა. კ. კობახიძის (მირსკის) წერილიდან, რომელიც მან ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს გაუგზავნა.¹

ა. კობახიძე (მირსკი) საქართველოში 1919 წლის დამლევს ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთიდან. მისი მიზანი იყო ბოლშევიკური პარტიის მეზობლ რაზმთა ჩამოყალიბება. იგი გასცნობა საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას და თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს. წერილში აღნიშნულია, რომ მენშევიკები შედარებით სრულად აკმაყოფილებენ საქართველოს მუშათა მოთხოვნებს. ამის საილუსტრაციოდ ა. კობახიძე (მირსკი) წერს: «Характерно, среди подобных мероприятий такое: хлеб белый в частной продаже для остальных граждан стоит 30 руб. фунт, для рабочих же — 4 руб. и вдоволь, а дефицит, получаемый в результате этого мероприятия, приблизительно в 150 миллионов рублей покрывается казной, тоже самое и в отношении других продуктов, мануфактуры и пр.»

რაც შეეხება გლეხობის მდგომარეობას, ა. კობახიძე (მირსკი)² აღნიშნავს: Крестьянство пассивно (аграрная политика груз. меньшевиков... закрепила за крестьянами в частную собственность известную норму земли, а это, в свою очередь, закрепило за меньшевиками поддержку крестьянства) »³.

1 წერილი გამოავლინა და გამოაქვეყნა ფრიდონ სიხარულიძემ. იხ.: გაზ. „სახალხო განათლება“, 1989 წლის 24 მაისი.

2 როგორც ვიცით, ეს ის კობახიძეა, რომელიც საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაში ხელის შეწყობას პირდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.

3 საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგ — სუიციხა), საქართველოს ცაკის ფონდი, აღწ. 96, საქ. 519 — გაზ. „სახალხო განათლება“, 1989 წლის 24 მაისი.

და კიდევ: რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე გ. კ. ორჯონიკიძემ დაადასტურა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გლახობას პირდაპირ გადასახადს არ ახდევინებდა. დავიმოწმით სათანადო აღკვეთილი პლენუმის სტენოგრაფიდან:

«О р д ж о н и к и д з е... Меньшевики не брали налога с крестьян, не успели еще наладить налоговый аппарат, а мы берем, и довольно не маленький.

Троцкий. Во все времена существования?

О р д ж о н и к и д з е. Да, во все времена существования меньшевиков. Жили они имуществом, и очень большим имуществом, оставшимся в Тифлисе от Кавказского фронта. Конечно, если бы мы их не выгнали в 1921 году, они начали бы выколачивать налоги с крестьян, но этого не было при них.

Голос. А косвенные налоги?

О р д ж о н и к и д з е. Косвенные налоги, конечно, сошлись»¹.

რაც შეეხება თავდაზნაურობას, იგი, ცხადია, ვერ დარჩებოდა კმაყოფილი მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებით (სხვა რომ არაფერი, მაშინ გარკვეული რაოდენობა ხომ დაკარგეს), თუმცა ცნობილია, რომ ეს რეფორმები სრულებითაც არ ატარებდნენ რადიკალურ ხასიათს. ცნობილია ისიც, რომ საქართველოს თავდაზნაურობამ ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე მამულების (და არა მარტო მამულების) გარკვეული ნაწილი თავისი ნებით ჩააბარა ქართველ ხალხს (იგულისხმება საქართველოს თავდაზნაურთა კოლექტიური ქონება: სათავაზნაურო სააღრიგმამულო ბანკები თბილისსა და ქუთაისში, კახეთის რკინიგზა, ელექტროსადგური, ქუთაისის ქართული გიმნაზია, სენაკის სკოლა, თავდაზნაურთა მამულები თბილისში, წინამძღვრიანთაქარში, ატენში, ყვარელში, სხვა სოფლებში, ნავთობის რამდენიმე კაბურღილი (მამული) ბაქოში და ა. შ.).

„ჩვენი ნაციონალური აღორძინება, — წერს ნოე ჟორდანიანი, — პირველყოვლისა, მოითხოვდა მთელი ხალხის დარჩ-

¹ შლი ცპა, ფ. 17, აღწ. 2, საქ. 154, ფურც. 10-11.

ტერესებას... არა სიტყვით, პროპაგანდით, არამედ რეალურათ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით. რუსეთს რხეობდა ის იმიტიამ, რომ ის აძლევდა საგარეო მყუდროებას, რასაც ქართველი ხალხი მალე აყენებდა ბატონ-ყმობის და ნივთიერი მდგომარეობის სიდუხჭირეზე... თავისუფალ საქართველოს მისთვის უნდა მიეცა რაღაც მეტი, რომ ის თავის გულში ჩაეკონა. ეს იყო საგარეო მყუდროების გარდა ეკონომიური გაუმჯობესება. სოციალური რეჟიმი მჭიდროთ გადაესკვნა ეროვნულ რეჟიმს. ერთი სიტყვით გლახობის ნაციონალურათ აღზრდა უნდა მომხდარიყო აგრარული რეფორმით. მე მგონია ეს გაიგო თვით მემამულეებმაც. რასაკვირველია, ჩვენ ვყოფილიყავით რუსეთის პირობებში, სადაც ნაციონალური საკითხი არ იდგა და მხოლოდ ეკონომიკა გახდა ბრძოლის საგანი, ცხადია, ჩვენშიც მოხდებოდა ის, რაც ყოველგან მოხდა — მემამულენი აღმართავდნენ ბრძოლის დროშას თავის პრივილეგიების დასაცავათ. მაგრამ რაკი ყველა ნაბიჯი იზომებოდა და იყლინებოდა ნაციონალური მომენტით, მას დაემორჩილა ყველა კლასი და წოდება. დავა აღარ იყო. მთავრობის სფეროში დავა გამოიწვია მხოლოდ ერთმა საკითხმა: რამდენი ვარგისი სახნავ-სათესი მიწა დავეტოვოთ მემამულეს მისი მამულიდან. მე ვიცავდი დიდი მემამულეებისათვის 15 დესიატინას, ნ. ხომერიკი შვიდ დესიატინას. გაიმარჯვა უკანასკნელმა. ჩვენმა სოციალიზმმა ამ სფეროში მიიღო სპეციალური ქართული ხასიათი. ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწები გადავეციტ გლახობას კერძო საკუთრებათ, რაიცა ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ დოქტრინას... ჩვენი ხელმძღვანელი აზრი იყო, საქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას — გლახობას დაენახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა, მისცა ცხოვრების ახალი საშუალებანი. ასე რომ, აგრარული რეფორმა გახდა უალრესათ ნაციონალური რეფორმა ჩვენში. სამაგიეროთ, მუშათა კლასის შრომის ფარგლებში ახალი ვერაფერი ვთქვით, თუმცა აქ იყო ჩვენი სოციალისტური სვინდისის მთავარი სარბიელი. ამის მიზეზია მრეწველობის სისუსტე, სახელმწიფო და კერძო წარმოებათა ბატონობა, სადაც გასაქანი არ იყო. მაინც დაეაარსეთ შრომის კამერა, კოლექტიური ხელშეკრულება, სინდიკატების ლეგალური ფუნქციებით და სხვ. მუშებმა გა-

მოიჩინეს დიდი ნაციონალური და სახელმწიფოებრივი უნარი. ისინი იყვნენ ჩვენი მთავარი ბაზა ბრძოლის ველზე გვარდიის სახით, ეკონომიურ სფეროში სინდიკატების სახით. მთავრობა-სა და სინდიკატებს შორის ერთხელაც არ მომხდარა კონფლიქტი, თუმცა ზოგი მათი მეთაური ძუშათა მასებს გვისისინებდა, განსაკუთრებით კვების მოტივებით. მათ არ აყვა არც პარტია, არც ხალხი“.¹

არა, საქართველოში იდილიური მდგომარეობა როდღი იყო. ეკონომიკურად ყველას უჭირდა. ცალკეულ რაიონებში შიმშილობის ელემენტებიც შეინიშნებოდა. დადმავალი გზით მიდიოდა მთელი სახალხო მეურნეობა, ფინანსებო, ტრანსპორტი, მაგრამ კარგად იცოდნენ, რომ ასეთივე ან უარესი მდგომარეობა იყო მეზობელ რესპუბლიკებშიც. ამ-ს დამდა-სტურებელი იყო თუნდაც ქართული ფული, რომელსაც არნასული ინფლაციის მიუხედავად, უფრო მაღალი კურსი ჰქონდა, ვიდრე საბჭოთა რუბლის (1:100), საბჭოთა აშერბაიჯანისა (1:100) და საბჭოთა სომხეთის (1:150) ფულის ნაშნებს. ქართული ბონების ეს კურსი შენარჩუნებულ იქნა საქართველოს გასაბჭოების პირველ წელსაც.

საქართველოს ეკონომიკურ სიდუხჭირესე მმართველი პარტიის ლიდერებაც მიუთითებდნენ. კიდევ უფრო მოურიდებლად ლაპარაკობდნენ მასზე ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლები, რომლებიც საკმაოდ მოხერხებულად იყენებდნენ ამ მომენტს უმთავრესად სოციალ-დემოკრატიებისაგან შემდგარი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკისათვის. ერთი სიტყვით, საზოგადოება ჩვეულებრივი წესით ცხოვრობდა. იყო წინააღმდეგობებიც, უკმაყოფილებაც, პოლიტიკური კონფლიქტებიც, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაც და ა. შ. მაგრამ ამავე დროს იყო უდიდესი სიხარულიც, რასაც თითქმის მთელი საქართველო (განსაკუთრებით მისი მოსახლეობის ქართული ნაწილი) განიცდიდა. იგი გამოწვეული იყო დიდი ხნის წინათ დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენით. ეს სიხარული ათმენინებდა თავისუფლებას დანატრებულ ხალხს ყოველგვარ გასაჭირს. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულმა სამშვიდობო ხელ-

¹ ნოე ეორდანი. ჩემი წარსული (მოგონებანი)... გვ. 101-102.

შეკრულებამ გაუადვილა უცხოეთის ქვეყნებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და, მართლაც, გასაბჭოების წინა პერიოდში ევროპის სახელმწიფოებმა ზედიზედ იცნეს საქართველო დე იურე.

ასეთ ვითარებაში ნამდვილად გაუგებარია. ვისთვის წერდა, ვის არწმუნებდა ი. ბ. სტალინი 1920 წლის 10 ოქტომბერს, ე. ი. მას შემდეგ, რაც თვით საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რომ „ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთის, პოლონეთის, ფინეთისა და სხვ. ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა მხოლოდ მაცდური მოჩვენებაა, რომელიც ფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების სრულ დამოკიდებულებას იმპერიალისტთა ამა თუ იმ ჯგუფისაგან“.¹

საქართველოსა და სხვა, იმ დროს ნამდვილად სუვერენულ, სახელმწიფოთა მისამართით ერთ ფრაზაში რამდენიმეჯერ ირონიით ნახმარი გამოთქმები: „ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა“ და „უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოები“, ცხადია, ვერ ახასიათებენ ი. ბ. სტალინს, როგორც არარუს ხალხთა ქომავს, კეშმარიტ ინტერნაციონალისტურ მოღვაწეს. ან რა უფლება ჰქონდა საქართველოს აღზევებულ შვილს ასე აბუჩად აეგდო მშობლიური ხალხი, რომელიც იმ უმძიმეს პირობებში მხოლოდ იმით ხარობდა, რომ რუსეთის მიერ 117 წლის წინათ წართმეული ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა.

რატომ მიიჩნევდა ი. ბ. სტალინი საქართველოს დამოუკიდებლობას „მაცდურ მოჩვენებად?“ დამოუკიდებლობის რომელი ატრიბუტი აკლდა საქართველოს? „იმპერიალისტთა ამა თუ იმ ჯგუფისაგან“ ნამდვილად არის დამოკიდებული პატარა სახელმწიფოების ბედი, მაგრამ ეს ამ უკანასკნელთა ბრალი კი არა, უბედურებაა. თვით ი. ბ. სტალინიც ხომ ამ დროს იმპერიალისტური პოზიციებიდან უყურებდა საქართველოს, რომელსაც სწორედ „მოჩვენებით დამოუკიდებლობას“ უმზადებდა მომავლისათვის.

მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ისეთი სეპარატიზმი კი არ ედო საფუძვლად, როგო-

1 ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 4, გვ. 384-385.

რსაც რევოლუციის პირველ წლებში რუსეთის ყოფილი იმპერიის ზოგიერთი რეგიონი (დონი, ყუბანი, ციმბირი და სხვ.) ამჟღავნებდა, არამედ აქ განმსაზღვრელი იყო დიდმპყრობელი ერის მიერ წართმეული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული უფლება, რაც აუცილებლად ჰქონდა საქართველოს, იმისდა მიუხედავად, ნებაყოფლობით იყო შეერთებული რუსეთთან თავის დროსე, თუ ანექსირებული იყო ამ უკანასკნელის მიერ. განსხვავებული ენა, საკუთარი დამწერლობა, უძველესი და უნაკალუსრი ცხოვრება კულტურა, თვით რუსეთზე აღრინდელი სახელმწიფოებრივი ტრადიციები, ინდროინდელი საშინაო და საერთაშორისო რეალობანი და, რაც მთავარია, გარსველი ხალხის მხადყოფნა დამოუკიდებლობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის საბრძოლველად — კიდევ უფრო ამტიკებდნენ ამ უფლებას.

რაც შეეხება იმპერიალისტთა ამა თუ იმ ჯგუფისაგან დამოკიდებულებას, უნდა ითქვას, რომ ვერც ერთმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ ვერ მოასკრება მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება. გერმანელება საქართველოში მთავრობის თანხმობით (თხოვნით) შემოვიდნენ. შემოვიდნენ არა საქართველოს დამოუკიდებლობის გასაუქმებლად, არამედ თურქეთისა და სხვა დამპყობთაგან მის დასაცავად. ცხადია, გერმანია უნაგაროდ არ აკეთებდა ამას და, საერთოდ, კაცმა როგორ უნდა გაამართლოს მშობლიური ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს ჯარის შემოყვანა, მაგრამ, აშკარაა, რომ შექმნილ ვითარებაში უკეთესი გამოსავალი ვერ გამოიძებნა. საქმეში ჩახედულმა კაცმა ისიც კარგად იცის, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების იდეის ერთ-ერთი ავტორი რუსეთის დასუსტებით დაინტერესებული გერმანიაც იყო.

გერმანია-საქართველოს იმდროინდელი ურთიერთობების შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ თუნდაც იმ მოხსენებების მიხედვით, რომლებიც გერმანიის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გერმანიის პარლამენტის 1918 წლის 24-25 ივნისის სესიონებზე გააკეთეს.

დელეგატ (დეპუტატ) ფერენბანის მოხსენებიდან: „საქართველო კავკასიაში ყველაზე მეტად კონსოლიდირებული ქვეყანაა. იგი ყოველთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებ-

ლობისაკენ მიისწრაფოდა. ამჟამად შედარებით სუსტი სახელმწიფოები სომხეთისა და თათართა (აზერბაიჯანის) ცდილობენ საქართველოსთან კავშირით მიაღწიონ დამოუკიდებლობას და შექმნან ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რაც აუცილებელი პირობაა, ამ ქვეყნების თავდაცვის უზრუნველსაყოფად და შიდა საქმეების მოსაწესრიგებლად. გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური აღიარების შემდეგ ჩვენ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ჩვენ ვუსურვებთ საქართველოს სახელმწიფოს, მის მამაც ხალხსა და მდიდარ ქვეყანას ბედნიერ მომავალს. რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენ ვეცდებით გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა მომავალშიც განმტკიცდეს“.

ამონაწერი ფონ ვესტარპის მოხსენებიდან: „...მე მივესალმები გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალურ აღიარებას. ვუსურვებ მას ახლო მომავალში სახელმწიფო წყობილების მოწესრიგებას. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა დამყარდება. მართალია, ამჟამად, გერმანიისათვის საქართველოს მნიშვნელობა განისაზღვრება ძირითადად მისი წიაღისეულით (ნავთობი, სპილენძი, მარგანეცი), აგრეთვე ნაყოფიერი მიწითა და კლიმატური პირობებით, მაგრამ მომავალში წამყვანი მნიშვნელობა მის გეოგრაფიულ მდებარეობას ექნება, როგორც გამავალ გზას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და მის იქით. სწორედ ამ გზით გერმანია უზრუნველსაყოფს თავის მეურნეობას საჭირო ნედლეულით, რასაც მომავალში გერმანიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება“.

ბ. შტრეზემანმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „...მე მინდა შენიშვნა გავუკეთო ბატონ შტატსეკრეტერის გუშინდელ გამოსვლას, თითქოსდა ბათუმი, ყარსი და არდაგანი, ბრესტ-ლიტოვსკის მშვიდობიანი ხელშეკრულებით თურქეთს გადაეცა. ეს არ შეესაბამება სიმართლეს. ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნულ ოლქთა მკვიდრ მოსახლეობას თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაუტოვეს, რათა თავიანთი ბედ-იღბალი თვითონ გადაწყვიტონ. მაგრამ ამავე დროს ბატონმა შტატსეკრეტერმა სამართლიანად აღნიშნა, რომ თურქებმა ხელშეკრულებით დადგინილი, თავიანთი სახელმწიფო

საზღვრები თვითნებურად საკმაოდ დიდ მანძილზე გადასწია. ბატონებო, ჩემი თხოვნაა თუ კონსტიტუციონალიზმი მოლაპარაკება დაიწყება, გამოვიყენოთ ჩვენი ავტორიტეტი, რომ ზემოსწებული ოკუპირებულ ტერიტორია საქართველოს დაუბრუნდეს. ბატონებო, საქართველო განსაკუთრებული ქვეყანაა და სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებულ მდგომარეობაშია. ქართველები კავკასიის მრავალ ხალხთან ერთად ნიჭიერი და შემოქმედი ერანა. იგი შესძლებს გერმანიასთან ღირსეული ურთიერთობის დამყარებას... გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური აღიარება ახლად აღორძინებული საქართველოს სიმტკიცის საწინდარია, იგი გვიხსნავს უკეთესი მომავლის იმედს“.¹

უმაღურობა იქნებოდა იმის დავიწყებაც, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ხელფეხახსნილი თურქეთის გამოლაშქრებამ „გამოიწვია მთელი რაგი შეტაკებებისა იარაღით ხელში, ოსმალეთისა და გერმანიის ჯარებს შორის, რომელნიც ჩვენი ჯარების გვერდით იდგნენ პოზიციებზე. ამან ოსმალეთი შეაჩერა. ამ ბრძოლებში მოკლულ იქნა 14 გერმანელი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი“.²

საქართველოს სუვერენიტეტი არც გერმანელების წასვლის შემდეგ მოსულ ინგლისელებს გაუუქმებიათ. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ძირშივე აღკვეთა საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის შექმნის პირველივე ცდა. ინგლისელები ნამდვილ ოკუპაციას ანხორციელებდნენ ბათუმსა და მის ოლქში (1920 წლის ივლისამდე), რომლის ბედი ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში გადაწყდა საბჭოთა რუსეთსა და

1 „ახალი საქართველო. მემორანდუმი სტატისტიკური ცხრილითა და რუკის სქემით მიხეილ წერეთლისა, აგრეთვე დანართი — ამონაწერი გერმანიის პარლამენტის 1918 წლის 24-25 ივნისის სხდომის ოქმიდან“ (გერმ. ენაზე), გვ. 5-8 (წიგნის გამოცემის წელი და ადგილი არ არის მითითებული. იგი ჩვენს მიერ ციტირებული ადგილების თარგმნითურთ (თარგმანი ქ-ნ ელისო ლომაძისა) გადმოგვცა ბნმა სოლომონ ლეიშვილმა, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებთ).

2 ალექსანდრე ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917—1921 წწ.). — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წლის 22 ივნისი (ალექსანდრე ზაქარიაძე ჯერ ქართული კორპუსის, შემდეგ საქართველოს საველე არმიის შტაბის უფროსად მუშაობდა).

გერმანიას შორის ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს არ შეუწყვეტია ბრძოლა ინგლისის უღლისაგან აჭარის განთავისუფლებისათვის. იგი უმთავრესად პოლიტიკური თუ დიპლომატიური ხასიათისა იყო. უთუოდ ამის შედეგი იყო ისიც, რომ ინგლისელებმა წასვლის წინ აჭარა საქართველოს „დაუტოვეს“. ამავე სახელმწიფოებმა ოფიციალურად იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. უფრო მეტი. დასავლეთის ზოგიერთ დიდ სახელმწიფოს ჯერ რუსეთის სფს რესპუბლიკასთან პოლიტიკური ურთიერთობაც არ ჰქონდა დამყარებული, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა იცნო.

არა, ნამდვილად შეუსაბამო იყო ი. ბ. სტალინის გამოთქმა საქართველოს მიმართ, როცა მას „ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი“ და „უკაცრავად, პასუხია“ სახელმწიფო უწოდა.

ასევე შეუსაბამო და მკრეხელურიც იყო გ. კ. ორჯონიკიძის სიტყვები, რომლებითაც მან საქართველოს დამოუკიდებლობა შეამკო ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეორე კონფერენციაზე:

„...მალე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ორწლისთავს ვიდღესასწაულებთ, 26 მაისი კი მარტოოდენ ისტორიას დარჩება და მასზე შთამომავლობა იტყვის, ამ დღეს ვინმე ხუმარამ „სხვა ხუმარათა სახელმწიფო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ ცნო.“¹

გ. კ. ორჯონიკიძე საბჭოთა რუსეთსაც არ მოერიდა. მას „დაავიწყდა“, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთმაც ცნო.

ი. ბ. სტალინის, გ. კ. ორჯონიკიძისა და ზოგიერთი მათზე მცირე რანგის ქართველ ბოლშევიკთა გამონათქვამების საწინააღმდეგოდ ისტორიული სინამდვილე სხვას გვეუბნება: საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტი ჰქონდა, მისი დამოუკიდებლობა თითქმის მთელმა მსოფლიომ აღიარა, გასაბჭოების წინა პერიოდში გაუმჯობესების ნიშნები დაეტყო საქართველოს ეკონომიკასაც. ამას ხელს უწყობდა სესხის

¹ Вторая партийная конференция коммунистических организаций Закавказья (стеногр. отчет), Тифлис, 1922, с. 23.

მიღება ინგლისიდან, სააბრეშუმო კონცესიები საფრანგეთთან, ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოების მოგვარება იტალიასთან და ა. შ.

„საქართველოს იმ ხანათ ხშირათ აღარებდნენ დემოკრატიისა და სანოქალაქო წესიერების თაზისს ყოფილ იმპერიის ანარქიულ უღაბნოში და უნდა ითქვას, რომ ეს შედარება სავსებით სწორია. ამიტომ იყო, რომ საქართველო წარმოადგენდა იმ უკმათ ყველა დევნილთა, ლტოლვილთა და დამარცხებულთა თავშესაფარს. თურქების მიერ აწიოკებული სომხები და ბერძნები, თათართა მიერ დარბეული სომხები და ამის საპასუხოდ სომეხთა მიერ შევიწროებული მაკმადიანები, რუსთა მიერ დევნილი მთიელები და აზერბაიჯანელ და სხვა მაკმადიანთა მიერ აყრილი რუსები, სამოქალაქო ომში დამარცხებულნი წითელნი რუსნი და იმავე ომებში დევნილნი მათი თეთრნი თანამემამულენი, ერთი სიტყვით ლტოლვილნი და შევიწროებულნი მიუხედავად მათი რწმენისა და სარწმუნოებისა საქართველოში პოულობდნენ მშვიდ თავშესაფარს. და ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით საქართველო დამშეული იყო, ვინაიდან მის ირგვლივ და მის წინააღმდეგ საშინელი ბრძოლა წარმოებდა, როდესაც ოსმალეთი მას თავის მტრად რაცხდა, დიდ ანტანტას თავის მოწინააღმდეგე ბანაკის დამხმარედ მიიჩნდა და ფართულ ზოლშევიკობას სწამებდა, თეთრი რუსეთი იმპერიის მთლიანობის დამრღვევით და კომუნისტების აგენტათ ნათლავდა, წითელი რუსეთი კი კონტრარევოლუციის ბუდედა და დენიკინის მოკავშირეს უწოდებდა, ხოლო ორივე ერთად თანაბრის სისასტიკითა და ვერაგობით საშინელ სასურსათო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ბლოკადის რკალს არტყამდა ირგვლივ და მოუსვენებლივ მუშაობდა მის შიგნიდან ასაფეთქებლად“ — ეს სიტყვებია, ჩვენი მკითხველის ყურს რომ უკვე აღარ ეხამუშება, იმავე გრიგოლ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. ვინ ვინ და მან ნამდვილად კარგად იცოდა საქართველოში იმ დროს არსებული მდგომარეობა. თუმცა ავტორი ვარდისფერი ტონებით ხატავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ პროგრესს, ზოგიერთ აქცენტსაც შეიძლება არასწორად სვამდეს, მაგრამ თუ ფაქტობრივ მდგომარეობას შევისწავლით, ოფიციალურ იდეოლოგიურ დოკუმებსა და სტერეოტიპებს დავძლევეთ, კრიტიკუ-

ლად გავანალიზებთ უცხო ავტორთა ანალოგიურ შეფასებებსაც, დავრწმუნდებით, რომ ზემოაღნიშნული ძირითადად სწორად გამოსატავს ისტორიულ სინამდვილეს, ყოველ შემთხვევაში იგი დიდად არ სცილდება მას.

მოკუსმინოთ უცხოელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, II ინტერნაციონალის ლიდერებს, რომლებმაც საქართველოში იმოგზაურეს 1920 წლის შემოდგომაზე და თავიანთ აზრიც გამოთქვეს მასზე.

ჩხგლისის მუშათა პარტიის ბელადი რამზეი მაკლონალდი გაზეთ „ნეიშენის“ 1920 წლის 16 ოქტომბრის ნომერში წერდა: „ქართველმა სოციალისტებმა შეძლეს ის, რაც ევროპაში სახელმწიფოს სათავეში მყოფმა სოციალისტებმა ვერ შესძლეს; სახელდობრ: სრული პარმონია სოფელსა და ქალაქ შორის. გაატარეს უმტკივნეულოდ, უკონფლიქტოდ მიწის რეფორმა, უძინაწყლო გლეხებს დაურიგეს მიწები, მათ გაატარეს სოციალური კანონმდებლობა, შრომა დაუდეს საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას, მისი დაცვა განისაზღვრა კონსტიტუციით... მოხდა განსაზოგადოება ბუნებრივი სიმდიდრის, დიდ მემამულეთა და საუფლისწულო მიწების... ამავე დროს თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას... მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ვრის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით.

თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიურ აღმშენებლობას, მე იქ რაც ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში“.

ცნობილი ბელგიელი სოციალისტი ემილ ვანდერველდე ჟურნალში „ლე პოპლ“ (ბრიუსელი) 1920 წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „პირველი სოციალისტური მთავრობა“ წერდა:

„ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი მეგობრებში, თუ სად, ევროპის რომელ დიდ ქალაქში შესდგებოდა პი-

რველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქზე თბილისზე? მაშინ სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილებას მშენებლობა — უმაღლესი საფეხური სოციალიზმისა; და ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლებების აღიარებით, მისი სურვილითა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით... ჩვენმა მეგობრებმა, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალურ ფარგლებში ქვემარტივი დემოკრატიული იდეები. აგრარული რევოლუცია მოხდა: ყველა ყოფილ სამეფო გვარეულობას და დიდ მემამულეთა მამულები ჩამორთმეულ იქნა უსასყიდლოდ და დარჩებულნი ღარიბ გლეხობაზე.

1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც მოხდა საქართველოში, არ არის სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალისტების მიერ... შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობასთან. ამაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების უადრეო გონიერება და სიბრძნე... მთავრობას ეკონომიური პოლიტიკა იძლევა დიდ დადებით პერსპექტივებს ქართველ მუშათა კლასის ინტერესების, მთელი ერის ეკონომიური წარმატებისათვის, მაგრამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია თუ საქართველოს არ ექნა საერთაშორისო სტატუსი, უფლება; თუ იგი არ იქნა ცნობილი ყველა სახელმწიფოს მიერ“.

რამდენიმე ადგილი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის პიერ რენოდელის წერილებს სერიიდან, რომლებიც მან გამოაქვეყნა გაზეთ „ლე პროგრე დე უიონის“ 1920 წლის 18, 21, 24, 28 ნოემბრისა და 5, 20 დეკემბრის ნომრებში:

„...უდიდესი შეცდომა რუსეთის რევოლუციონერების ის იყო, რომ მათ გადადევს აგრარული რეფორმის გატარება დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. გლეხობა მოუთმენლად მოელოდა რევოლუციიდან მიწას; ასე იყო ეს რუსეთში. ასეთივე მდგომარეობა იყო კერძოდ საქართველოში. ქართველი სოციალისტები აღმოჩნდნენ უფრო რეალისტები. მათ მაშინ-

ვე აუღეს ალლო მდგომარეობას, და ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმის დროს დაიწყო მისი რეფორმებისათვის მუშაობა. საკმარისი იყო ჩამომართმევი კომისიების შექმნა, მიწების გაზომვის დაწყება და გლეხობის ნდობა წინასწარ დაიმსახურეს ქართველმა სოციალისტებმა, რომლებიც შემდეგ მოექცნენ დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში და დაწყებული რეფორმა დაამთავრეს... მემამულეებს დაუტოვეს თავის საყოფი საარჩო, ჩამორთმეული მიწები გადაეცა უმიწაწყლო გლეხობას. საუფლო-წულო და დიდი მამულეები გადავიდა სახელმწიფოს ხელში და ამავე დროს ბუნებრივი სიმდიდრენი. მოხდა სრული აგრარული რევოლუცია — სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანად. ამაში ქართველმა სოციალისტებმა განიჩინეს გონიერება, ჭკუა და შორსმჭვრეტელობა. გლეხობა ვახდა საიმედო ძალა ახლად დაარსებული დემოკრატიული რესპუბლიკისათვის... მუშათა ინტერესების დაცვა კონსტიტუციით უზრუნველყოფილია; პროფესიული კავშირები დაკანონებულია. შრომის სამინისტრო მოწოდებულია დაიცვას შრომა, შრომის კანონები...“

ცნობილმა კარლ კაუცკიმ 1921 წელს გამოსცა წიგნი „საქართველო, გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა“. მასში ნათქვამია: „რევოლუციამ წაართვა ფეოდალებს მიწები, რომლებიც გადაეცა უმიწაწყლო გლეხებს... ეს იყო არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული რევოლუცია, მაგრამ ნაკარნახევი იყო მოცემული პირობებით და ესაა მნიშვნელოვანი... სწორედ ამით განვსხვავდებით ჩვენ, სოციალისტები უტოპისტ-სოციალისტებისაგან; ვინაიდან ჩვენ ვალიარებთ, რომ სოციალიზმი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოცემულ განსაზღვრულ პირობებში... ქართული მეთოდი ნაციონალიზაციისა თავისუფალია ყოველგვარი დაჩქარებისა და ჩავარდნებისაგან, ვინაიდან ეს მოხდა დემოკრატიული გზით... რევოლუციამ საქართველოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმმართველობა. ეს თვითმმართველობა შეიქმნა ცენტრალისტური ბიუროკრატიული სისტემების ადგილზე“.¹

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ რამზეი მაკდონალდის, ემილ ვანდერჟელდეს, პიერ რენოდელისა და კარლ კაუცკის გამონათქვამები დამოწმებული გვაქვს ბ-5 კარლო ინსარაძის წიგნიდან

მკითხველი ადვილად შეამჩნევს უცხოელი სოციალისტების განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სინამდვილით. ზოგი შეიძლება (არცთუ უსაფუძვლოდ) გაზვიადებულადაც მიიჩნევს მათს შეფასებებს. ჩვენთვის მთავარია იმის აღიარება, რომ ცალკეულ ევროპულ საზოგადო მოღვაწეთა თვალთ დანახული დამოუკიდებელი საქართველო დემოკრატიულ საწყისებზე იყო აგებული, მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა მათს მოწონებას იმსახურებდა.

პოლიტიკურ პროგრესს ერთი შტრიხი მაინც აკლია. ეს განსაკუთრებით კომუნისტების დევნა და რეპრესიები საბჭოთა საელჩოს ზანამშრომლების მიმართ, რის შესახებაც ლაპარაკი იყო რუსეთის სფს რესპუბლიკის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის გამოგზავნილ ნოტებში. საბჭოთა საელჩო თბილისში 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულებას შემდეგ დაარსდა. აქვე გაჩნდა რსფსრ სავაჭრო წარმომადგენლობაც. საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობაში ლეგალურად დაახლოებით ოთხასამდე კაცი (პატარა საქართველოსთვის ეს ციფრიც დამაფიქრებელი იყო) თანამშრომლობდა. თავიანთი საელჩოები ჰქონდათ საქართველოში აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკებსაც. ასე, რომ გასაბჭოების წინა პერიოდში საქართველოს შემოემატა მრავალი ასეული საბჭოთა აგიტატორი, რომელნიც, ბუნებრივია, რესპუბლიკის კომუნისტურად მოქცევას ცდილობდნენ და ამისათვის როგორც ლეგალური, ისე არალეგალური მეთოდებს ფორმებსაც იყენებდნენ. არც ის არის გამორიცხვლი, რომ ზოგიერთ მათგანს, როგორც ეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, სპეციალური ფუნქციაც, თუნდაც სამხედრო-სადაზვერვო ხასიათის სამუშაოს შესრულება ჰქონდა დაკისრებული.

დადასტურებული იქნა მავნებლობის ფაქტებაც: ქართული არტილერიის ცხენების კვება რკინის ნაკრებოთა და საწამლავით, საავიაციო კატასტროფები ადამიანთა მსხვერპლით (და-

პატარა „ოქროს ხანა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918—1921. რადიოდოკუმენტაცია“. მიუნხენი. 1984, გვ. 398—409. წაგნა გადმოგვცა ქ-ნმა ნესტან კირთაძემ, რომელსაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

ღუპა ცნობილი ქართველი ავიატორი მაყაშვილი) და სხვ. თუ მსგავს დანაშაულში ვინმეს ამხელდნენ და სათანადო სასჯელსაც მიუზღავდნენ, ალბათ, უნდა ვალიაროთ, რომ ამის უფლება მენშევიკ-ხელისუფლებს ჰქონდათ. რაც შეეხება უდანაშაულო მოქალაქეთა მიმართ რეპრესიების განხორციელებას, იგი, რაღა თქმა უნდა, დასაგმობია. მაგრამ საკითხავია, ადგილობრივ კომუნისტთა დევნაში ხელგაწაფული ნოე რამიშვილის უწყებაც კი გაბედავდა კომუნისტების ან საბჭოთა საელჩოების თანამშრომელთა დაპატიმრებას მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი კომუნისტური რწმენისა იყვნენ და საბჭოთა საელჩოებში მუშაობდნენ? ეს ხომ საბაბის მაძიებელი მოწინააღმდეგის წისკვილზე წყლის დასხმა იქნებოდა. და მაინც, ეს საკითხი სპეციალური ობიექტური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

5. ი. ბ. სტალინი: „ახლავე შეუბთიე, დასტურია, აიღე ქალაქი...“

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად ამიერკავკასიაში 1921 წლის იანვრის დამლევიდანვე დაიწყეს ზრუნვა მე-11 წითელი არმიის შევსებისათვის. მოსკოვში რეგულარულად იგზავნება ცნობები საქართველოსთან ომისათვის მზადების შესახებ. კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის ვ. ა. ტრიფონოვისა და ფრონტის სარდლის ვ. მ. გიტისის დეპეშაში, რომელსაც ვ. ი. ლენინი იანვრის დამლევის გაეცნო, ლაპარაკი იყო საქართველოს მდგომარეობისა და მე-11 წითელი არმიის დაკომპლექტების აუცილებლობაზე. ვ. ი. ლენინმა აუცილებლად მიიჩნია, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 2 თებერვლის სხდომაზე სპეციალურად ემსჯელათ კავკასიაში ჯარის ნაწილების გაგზავნის შესახებ. 8 თებერვალს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა გ. კ. ორჯონიკიძის მიერ ბაქოდან 6 თებერვალს გაგზავნილი დეპეშა, რომელიც ისევ საქართველოს ეხებოდა და დაამტკიცა ამ დეპეშაზე ვ. ი. ლენინის მიერ მომზადებული პასუხის ტექსტი. მასში განსაზღვრული იყო საქართველოს ბოლშევიკების ხაზი. პოლიტბიურომ დაავალა გ. კ. ორჯონიკიძეს, რომ შეხვედროდა კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს

წევრს ი. ტ. სმილგას და ცენტრალური კომიტეტისათვის მისი ახრიც შეეტყობინებინა¹.

ამ მიმოწერით საქართველოსთან ომის დაწყებას დეტალურებს აზუსტებდნენ, სტრატეგიული ხაზი ადრევე იყო განსაზღვრული. არც იმას უწევდნენ ანგარიშს, რომ უკვე 1921 წლის იანვრიდან საქართველო საერთაშორისო სარბიელზე გავიდა, როგორც ევროპის ქვეყნების მიერ იურიდიულად ცნობილი და აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო. მხადება თებერვლის პირველ დეკადაში დამთავრდა. აზერბაიჯანში, სომხეთში, ყუბანსა და თერგის ოლქში დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი. იმერეთის მეორე ბატალიონის ყოფილი უფროსი, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის მონაწილე აკაკი კვიციანიშვილი უცხოეთში 1966 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების წინაღულებში „ბოლშევიკებმა წინასწარ შეგზავნეს საქართველოს საზღვრებში, სომეხთა სოფლებში თავისი ემისრები, ისინი მოედვნენ სომხურ სოფლებს და იქ შეიტანეს იარაღი. გადაცემული სომხების „წითელი“ არმიის ჯარისკაცები შეიპარნენ სომხურ სოფლებში და თან იარაღიც შეიტანეს“² (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.) და აი, 1921 წლის 11 თებერვალს, ნაშუალამევს, ე. ი. ორი დღით ადრე, ვიდრე ლორეს ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარის ყოფნის ოფიციალური ვადა გათავდებოდა, რუსი კოლონისტების სოფლებში (ვორონცოვკა, პრივოლნოე, პოკროვსკოე და სხვ.) დაიწყო ის ცნობილი „აჯანყება“, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ „საქართველოს მშრომელთა აჯანყების“ სახელით რომაა ცნობილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

სწორედ ეს აჯანყება უნდა გამხდარიყო საბაბი საქართველოში წითელი არმიის შემოჭრისათვის, მაგრამ იგი ნამდვილიც რომ ყოფილიყო და არა ინსცენირებული, მაშინაც ვერანაირი მორალური გამართლება ვერ გამოეძებნებოდა აქაურ აჯანყებულთა დახმარების საბაბით წითელი არმიის მიერ სა-

¹ იხ. В. И. Ленин. Биографическая хроника. Т. 10, с. 54, 87.

² ა. კვიციანიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. — თურნ. „განთიადი“, 1992, № 2, გვ. 119.

ქართველოს ძალაუფლებას. ჯერ-ერთი, იყო კი უფლება-
მოხალისე ვაჭრობის მოწყობა, პრივილეგიული, პოლიტიკური რუ-
სი ან თუნდაც სომხური მოსახლეობის მოწყობის მთელი
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზ-
ნით? ასეთი სურვილიც რომ გასჩენოდა აქაურ მოსახლეობას
და დასახმარებლად მართლაც რომ მიემართა მას წითელი არ-
მიისათვის, მაინც კი საბჭოთა რუსეთის არმიის ამ თხოვნის
შესრულებას არაფერი მორალური უფლება არ ექნებოდა.
არ ექნებოდა იმეტომ, რომ ჯერ-ერთი, ვინ ჰკითხავს ერთი
ქვეყნის (ვითაც, სომხეთის) მოსახლეობას მეორე ქვეყნის
(საქართველოს) გასაბჭოებას და ისიც მესამე ქვეყნის (რუსე-
თის) დახმარებით. მით უფრო, რომ რუსეთს საქართველოსთან
სამშვიდობო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. ასეთი თხოვ-
ნა საბჭოთა რუსეთის არათუ არ უნდა შეესრულებინა, არამედ
უნდა დაეტოვებინა კიდევ მისი ავტორები. ნეიტრალური ზონის
გლახებას შეეძლოთ, რასაკვირველია, აჯანყებულებების საქარ-
თველო-სომხეთის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ლო-
რეს ნეიტრალურ ზონაში დროებით დაბანაკებული ქართული
ჯარის წინააღმდეგ, თუ ეს ჯარი მათ აწუხებდა, ან არც არა-
ფერს უშლიდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო უბრალოდ
არ სურდათ უცხო ჯარის ნაწილების ყოფნა ამ ზონაში. უფრო
მეტად. ნეიტრალური ზონის მოსახლეობას შეეძლო ქართული
მხედრობისაგან ზონის გასანთავისუფლებლად წითელი არ-
მიისათვის ეთხოვა დახმარება, მაგრამ მათი ერთობლივი
ბრძოლა (თუ ეს აუცილებელი გახდებოდა) ნეიტრალურ ზონა-
შივე უნდა დასრულებულიყო და საქართველოს ოფიციალურ
საზღვარს აქეთ აღარ გაგრძელებულიყო. გარდა ამისა, თუ
მართლაც მხოლოდ ზონის ბედი აინტერესებდათ, ხომ შეიძ-
ლებოდა წაეყენებინათ ულტიმატუმში საქართველოს მთავრო-
ბისათვის, რომ ქართულ მხედრობას ვადაზე ადრე დაეტოვე-
ბინა ზონა, ან კიდევ ორი დღე მაინც დაეცადათ, იქნებ საქარ-
თველოს ჯარი თავისით გამოსულიყო ზონიდან. შექმნილ ვი-
თარებაში ის ხომ პირობის დარღვევას ვერ გაბედავდა. არა,
საქართველო ლორეს მთლიანად, ცხადია, ვერ დათმოდა, მაგ-
რამ იგი კვლავინდებურად მშვიდობიანი მოლაპარაკების სა-
ფუძველზე შეეცდებოდა საზღვრების გამიჯვნა-განაწილებას.
არც ერთი სცადეს, არც მეორე. სპექტაკლის უნიჭო სცენარი

უკვე დაწერილი იყო და იგი ბოლომდე უნდა გაეთამაშებინათ.

ლორეში 11—12 თებერვალს დაწყებული ამბები სომხეთში დაბანაკებული წითელი არმიის ნაწილების საქართველოზე თავდასხმა იყო. პირველი ორი დღე მეტად მძიმე აღმოჩნდა საქართველოს მხედრობისათვის, რომლის საგრძნობი ნაწილი ტყვედ ჩაიგდო წითელმა არმიამ. გ. კ. ორჯონიკიძე ატყობინებდა ს. მ. კიროვს, რომ მე-5, მე-7 და მე-8 ქართული პოლკები უბრძოლველად დანებდნენ აჯანყებულებს. სხვათაშორას არც ესაა გამორიცხული (ყოველ შემთხვევაში საქართველოს ჯარის ცალკეულ ნაწილებში დენეტრირობას გამოვლენებზე ნამდვილად შეინიშნებოდა), მაგრამ ექვის თვალთ უნდა შევხედოთ გ. კ. ორჯონიკიძეს იმ ცნობას, რომ წითელი არმიის მხარეზე გადასული მენშევიკური ჯვარდიის „ბევრმა ნაწილმა განაცხადა, საქართველოს რევკომის მთავრობა ჩვენთან უფრო ასლოა, ვიდრე მენშევიკები, რომლებიც თავს შევლიანო“.¹

საქართველოს ჯარის ნაწილების განიარაღების ფაქტს ადასტურებს ი. გ. ლაზიანიც. „...აჯანყების რაიონში, — აღნიშნავდა იგი 1936 წლის 29 ივლისს დაწერილ მოგონებაში, — სხვადასხვა სახეობის იარაღის მენშევიკთა რეგულარული ჯარი 7 000-ზე მეტ კაცი იყო. აჯანყებულთა ძალები კი მეტად პრიმიტიულად შეიარაღებულ 10 000 გლეხს არ აღემატებოდა... 11 თებერვალს ღამით დაიწყო აჯანყება. იმავე ღამის აიღეს ხიდი (იგულისხმება შაგალის ხიდი — ლ. თ.) და მენშევიკთა ჯარი უკანასკნელ კაცამდე ყველა განიარაღეს. 2—3 დღეში აჯანყებულებმა მთელი ზონის მიდამოები დაიკავეს და შულავერამდე (ამჟამად შაუმიანი) მივიდნენ. აქ შეიქმნა საქართველოს რევკომი. მეოთხე დღეს აჯანყებულთა დახმარებასათვის რევკომის მოწოდების პასუხად მოვიდა წითელი არმია“.²

გაზ. „კრასნი ვოინის“ მკითხველებს იმავე ი. გ. ლაზიანმა უფრო დაწვრილებით მოუთხრო ლორეში ქართული მხედრობის თავდაპირველი წარუმატებლობის, კერძოდ, ქართული საჯარისო ნაწილებას განიარაღების მიზეზებზე. „...მთავარი

¹ ა. ი რ ე მ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 377—378.

² მლი ცხა, ფ. 85, აღწ. 1, საქ. 39, ფურც. 5—7.

მნიშვნელოვანი საქმე აჯანყების მიწყობაში, — წერს ი. ლაზიანი, — იყო შავალის ოპერაცია; რაც უნდა დაგვედომოდა, უნდა გადაჩენილიყო შავალის ხიდი, რომელიც დანადგული იყო (ქარაველების მიერ), ამ ხიდს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა; ამ საქმის მოწყობისათვის გაიგზავნა ყოფილი შტაბსკაპიტანი სტეპანიანი, რომელმაც წაიყვანა ბევრი სამხედრო სპეციალისტი. სტეპანიანი და სხვებმა ჩაიცვეს ლტოლვილების ტანისამოსი, მათ გახსნეს შავალში სამიკიტნოები, სავსე ღვინითა, არყითა და კონიაკით. ამით ისინი დაუახლოვდნენ ქართველ ჯარისკაცებს და ოფიცრებს; იყო ქეიფი და დროს ტარება. გაიგეს, როგორი წესით იყო ხიდი დანადგული. მათ გამოიმუშავეს ხიდის ხელში ჩაგდების გეგმა. მერმე, 12 თებერვალს უეცრად დაეცნენ ხიდს, ხელთ იგდეს იგი და მას დაეპატრონენ“¹ (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.).

ა. კვიციანიშვილი ზემოდასახელებულ ნაშრომში იმოწმებს ერთ ადგილს გენერალ ოდიშელიძის მოხსენებიდან, რომელიც ამ ფაქტს ეხება: „რაც შეეხება ათასეულის დაღუპვას (მეხუთე და მერვე ათასეული), ჯარისკაცები და ოფიცრობა ამ ათასეულებისა დაუმეგობრდნენ სომხებს, ქეიფობდნენ მათთან და ბავშვებს უნათლავდნენ; იმავე დროს ნათლიმამები ნათლებს უმზადებდნენ დაღუპვას“², — წერს ოდიშელიძე.

თვით ა. კვიციანიშვილი დასძენს: „შედეგი ამისთანა გულგრილობისა და დაუდევრობისა ბორჩალოს სარდლობის მიერ, განსაკუთრებით კი მისი შტაბის უფროსისა, ის იყო, რომ ნახევრად გაღეშილი ჯარისკაცები და ოფიცრები ორი ათასეულისა, მტერმა დაძინებულნი ხელთ იგდო (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.) და რაც მთავარია, ამის გამო ბამბაკის ხეობა მთლიანად მტრის ხელში ჩავარდა“³.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ადიუტანტს, კოტე იმნაძეს საზღვარგა-

¹ ჟურნ. „განთიადი“, 1990, № 2, გვ. 120.

² იქვე.

³ იქვე.

რეთ გამოქვეყნებულ მოგონებაში მოჰყავს გენერალ ოდიშელიძის შემდეგი სიტყვები: „მთავარი მიზეზი ჩემი გადაყენების მთავარსარდლობიდან შაგალის ხიდთან მიმხდარი მიულოდნელი კატასტროფა იყო... იცით რა მოხდა? მტრის აგენტებმა ლხინი გაუშართეს შაგალის ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს, დაათვრეს. ღამით შაგალის ხიდზე შეუმჩნევლად „მოხსნეს“ ჩვენი დარაჯი, გადმოვიდნენ ხიდი და თოფის გაუსროლელათ ტყვეთა ჩაიგდეს მთვრალი მძინარე თითქმის მთელი ჩვენი ძალები“¹. (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.).

ამაზრუნია ყოველივე ეს. არც კი გინდა კაცს გაიხსენოს ეს გულსატკენი, ერთობ დამაფიქრებელი ფაქტი, მაგრამ რას ვაჩვენებ, იგი დაფიქსირებულია ისტორიულ ქრონიკებში და იქნებ დღესაც ღირდეს მასზე ლაპარაკი, თუნდაც სამომავლო გაკვეთილის გამოსატანად.

ლორეს ამბები მსოფლიოს მოედო. ცნობები ამიერკავკასიიდან მიდიოდა. მათში ლაპარაკი იყო აჯანყებაზე და აჯანყებულებზე. არც ერთი სიტყვა საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმის შესახებ. ლორეს ამბების ასეთი ინტერპრეტაციის ერთ-ერთ პირველწყაროდ უნდა მივიჩნიოთ ი. გ. ლაზიანის დეპეშა, რომელიც „აჯანყების“ დაწყების პირველ დღეებში გაეგზავნა გ. ვ. ჩიჩერინს: „ყარაკლისიდან. 27 70 17 15 ბაქო. მე-11 არმიის რევ. სამხ. საბჭოს. სონხეთის რევიკომს. ერევანი. მოსკოვი. ჩიჩერინს — მხოლოდ ჩიჩერინს. ძლევამოსილად დამთავრებული აჯანყების (გაურკვეველი სიტყვა — ლ. თ.) ამბავი მეხივით გავარდა საქართველოში, აჯანყებულთა მოძრაობის ტალღა ლორედან შეუქცევებელი ძალით მოედო მთელ საქართველოს. ნეიტრალური ზონის წითელი მეამბოხენი მრისხანე ლავად მიექანებიან თბილისისაკენ. მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელიც შეაჩერებდა მშრომელთა ლაშქრის აჯანყების ამ ძლევამოსილ სვლას. დიადი მუშურ-გლეხური რუსეთის წითელი არმია მოვალეა რევოლუციონერ აჯანყებულთა მწკრივებში მყოფი თავისი ფოლადისებური რაჰმე-

¹ კ. იმნაძე. როგორ მოხდა? (ტფილისიდან გორამდე). — „ქართული მწერლობა“, 1990, № 2, გვ. 59 (პუბლიკაცია და შესავალი გუჩუაშარაძისა).

ბი შეუერთოს იმ რწმენასა და სასოებას, რომ წითელი არმია მალე მხარს დაუჭერს მათ და შესცქერის ჩრდილოეთს შეუპოვრად მებრძოლთა აჯანყებული საქართველო. წითელ აჯანყებულთა პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ლახიანი¹.

ამ სტილით, ასეთი „მაღალფარდოვანი“ სიტყვებით შედგენილი დეპეშები ეგზავნებოდა იმ დღეებში ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს, გ. ვ. ჩიჩერინს და სხვებს. ასეთი დეპეშები დღეს საარქივო დოკუმენტებად წარმოგვიდგებიან. სწორედ ისინი შეადგენდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიის ძირითად წყაროთმცოდნეობითს ბაზას ათეული წლების მანძილზე. დღეს, ცხადია, კრიტიკული თვალთ უნდა შევხედოთ მათ.

თეთრი ძაფით იყო ნაკერი ისიც, რომ იმ ხანებში საბჭოთა რუსეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე წითელი არმიისა და საქართველოს ჯარის საბრძოლო შეტაკებებს სომხეთისა და საქართველოს ომად აცხადებდნენ. ასევე იწერებოდა გაზეთ „პრავდაში“:

„საქართველოში. სამხედრო მოქმედება სომხეთის წინააღმდეგ. ლონდონი, 21 თებერვალი (რადიო). „ტაიმსის“ კონსტანტინოპოლელი კორესპონდენტის ცნობით საქართველოსა და სომხეთს შორის სამხედრო მოქმედება იმიტომ დაიწყო, რომ საქართველომ უარი განაცხადა გაეწმინდა ბორჩალოს მაზრა (როსტა)“ — იტყობინებოდა „პრავდა“ 1921 წლის 23 თებერვალს.

ამ ვითომ ეშმაკურად შედგენილი ცნობით „პრავდა“ არასწორ ინფორმაციას აწვდიდა რუს მკითხველს: იუწყებოდა, რომ საქართველო თითქოს სომხეთთან ომობდა და არა წითელ არმიასთან, თანაც ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს საქართველოში მიმდინარე ამბების შესახებ მოსკოვს საკუთარა ცნობები არ გააჩნია და იძულებულია ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ კონსტანტინოპოლელი კორესპონდენტის ინფორმაციას დაეყარდნოს. და ეს იბეჭდება 1921 წლის 23 თებერვალს, მაშინ, როცა წითელი არმიის ნაწილები დაახლოებით ერთი კვირის წინ უკვე თბილისს უტევდნენ. ამ ცნობაში კონ-

¹ მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ: 90, ფურც. 2.

ფლიქტის მიზეზიც არასწორად იყო გადმოცემული. მსგავსი ინფორმაციები „პრავდაში“ იბეჭდებოდა ადრეც. შემდეგაც.

მაინც რატომ ცდილობდნენ, რომ ეს ომი სომხეთსა და საქართველოს შორის ტერიტორიულ ნიადაგზე წარმოშობილ ომად მოენათლათ? იმიტომ ზომ არა, რომ საბჭოთა რუსეთს კონფლიქტში ჩარევის საბაზი მისცემოდა და არბიტრის როლი ეკისრა. მაგრამ საბჭოთა რუსეთს ხომ საქართველოს გასაბჭოება აინტერესებდა და არა ლოკალური ტერიტორიული კონფლიქტის მოგვარება თუნდაც საბჭოთა სომხეთის სასარგებლოდ. ასეთ კონფლიქტებში ჩარევა წითელ არმიას ვერავითარ საბაზს ვერ მისცემდა საქართველოს გასაბჭოებისათვის. ომის პირველ დღეებშივე საბჭოთა მთავრობამ მაინც სცადა გაეთამაშებინა მომრიგებლის როლი.

„საქართველოში. ნეიტრალურ ზონაში მომხდარი აჯანყების შესახებ. ვლადიკავკაი. 14 თებერვალი. თბილისს წარგზავნილმა რუსეთის წარმომადგენელმა ამხ. შეინმანმა საქართველოს მთავრობას შესთავაზა, მომეცით შესაძლებლობა მე თვითონ წავიდე აჯანყებით მოცულ რაიონში აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად. ეს წინადადება საქართველოს მთავრობამ არ მიიღო (როსტა)“ — იტყობინებოდა „პრავდა“ 1921 წლის 18 თებერვალს.

ვთქვათ და მიეცათ ნება არონ შეინმანისათვის გამგზავრებულიყო ე. წ. აჯანყებულებთან. რას იზამდა, მოაგვარებდა კონფლიქტს? საერთოდ აინტერესებდა მას ეს? რასაკვირველია, არა.

ეს ფაქტიც აშკარად მიუთითებს საქართველოს გასაბჭოების სცენარის „ხარვეზებზე“. სამაგიეროდ, მისმა ავტორებმა კარგად გაიანგარიშეს, რომ წითელი არმიის ნაწილებსა და საქართველოს ჯარს შორის მიპდინარე საომარი ოპერაციების სომხეთ-საქართველოს ომად მონათვლას შეეძლო მკვეთრად გაერთულებინა ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ურთიერთობა, რაც, შეიძლება ითქვას, ომის პირველ დღეებში იგრძნობოდა კიდევ.

მას შემდეგ, რაც სომხეთიდან შემოსული წითელი არმიის ნაწილებს ლონემოკრეფილმა ქართულმა მხედრობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია და უკანაც დაახევინა, საქართველოს მეორე საომარი ფრონტი გაუხსნეს აზერბაიჯანში განლაგებულმა

წითელი არმიის ნაწალებმა. ნიშანდობლივია, რომ ამ ოქმაც აზერბაიჯან-საქარაველოს ომად წარმოაჩენდნენ.

მაგრამ სინამდვილე მალე გამოაშკარავდა და ქართველი ხალხისათვის ცნობილი გახდა, რომ ამ ომში არც სომხეთი, არც აზერბაიჯანი არაფერ შუაში იყვნენ. ეს ნათლად დადასტურდა საქართველოში წითელი არმიის შემოჭრიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, როცა თბილისის ქუჩებში ტყვე წითელარმიელები ჩაატარეს და მათს შორის არც ერთი სომეხი ან აზერბაიჯანელი არ აღმოჩნდა. ამ ამბის ზოგიერთი თვითმხილველი დღესაც ცოცხალია, შემონახულია კინოკადრიც.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დასაწყისს ასე აღგვიწერს ნოე ჟორდანიას: „გვექონდა ცნობა, რომ პირველი შეჭოტევა დაიწყება ბორჩალოს საზღვრებთან და მას გამოაცხადებენ აჯანყებათ; ამნაირათ მთელ ომს მოსკოვი ევროპაში გამოიტანს შინაურ ამბოხებათ და მით ხელს დაიბანს. ოდიშელიძეს და ზაქარიაძეს (სამხედრო მოღვაწეებია — ლ. თ.) მოკვციტ სრული „კარტ-ბლანში“ ბორჩალოს გასამაგრებლად; ამავე დროს იქ გავგზავნეთ სომეხი სოც. დემოკრატები საპროპაგანდოთ. მათ მიერ მოტანილი ცნობები არ იყო სანუგეშო, მიტინგებზე სომხის ოპოზიციონერები წინანდებურათ არ გამოდიოდნენ, არავითარ მოთხოვნილებას არ აყენებდნენ, თითქოს დიდათ კმაყოფილნი იყვნენ. ამ გარეგნულ სიწყნარემ ექვში შეგვიყვანა, უეჭველია, იყო რალაც საიღუმლო მზადება და დაპირება. რასაკვირველია, ამ სომხებით დასახლებული მიდამოების შემოერთება იყო დიდი შეცდომა. მაგრამ ჩვენმა სტრატეგებმა ასე გადასწყვიტეს, თავდაცვის სიმაგრეთ დაინახეს ძველებურათ მთა-გორა და არა თვით; მცხოვრებთა სულსკვეთება. მონდა როგორც ველოდით: 11 თებერვალს „აჯანყდა“ ბორჩალოს „სომხები“. გარეკეს ჩვენი ჯარი, დაატყვევეს ბევრი. ერთი სიტყვით, ცნობილი მოულოდნელი სამარცხვინო დამარცხება. მაშინვე დავიბარე ოდიშელიძე და მოვ'ათხოვე ამ სირცხვილის ანგარიში. მან მომცა ასეთი განმარტება: ჯარი დამარცხდა იმიტომ, რომ იყო დანაწილებული, შეერთება ვერ მოასწრეს; გამიკვირდა, შევუტიე — როგორ დანაწილებული, ომისთვის ვემზადებოდით და თქვენ ჯარები დაფანტეთ! მე რა შუაში ვარ, მომიგო, ეს მოახდინა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე ა.ე.

ჩხენკელმა, დეკემბერშიო! გული მომივიდა, ვინ არის ჯარების უფროსი — თქვენ თუ ჩხენკელი თქვა და გამოუცხადე დაუყოვნებლივ გადადგეს ამ დროს ჯარების ნაწილები გამოარბოდნენ ბორჩალოდან და თფილისს უახლოვდებოდნენ. გავმართეთ თათბირები, მთავრობის სხდომა, გადაწყდა კვინიტაძის დანიშვნა მთავარ-სარდლათ. არავითარი სხვა არჩევანი არ შეიძლებოდა. ყველა ამბობდა, რომ ჯარი მას ენდობა, მას გაყვება, ის გაამხნევებს და სხვ. გამოჩნდა სრული უმწეობა ამ მხრით, კაცი არ იყო კანდიდატათ დასასახელებლათ. ყოველ შემთხვევისათვის, გადავსწყვიტე მასთან წინასწარი მოლაპარაკება. შეხვედრისთანავე დაიწყო თავდასხმა უმთავრესათ ოდიშელიძეზე, უწოდა მეტად უზრდელი სახელი, გადავიდა სხვებზე, გამოდიოდა, რომ არავინ არაფრათ არ ვარგა. ომი წინდაწინ წაგებულია, თფილისი უნდა დავსცალოთ, მცხეთაზე გავმაგრდეთ, ერთი სიტყვით — დაუწყობელი, აფორიაქებული საუბარი და პლანები. მე ექვი გამოვთქვი ვიწრო წრეში მის ვარგისობის შესახებ. გვიან იყო, განსაკუთრებით ნაც.-დემოკრატები კატეგორიულათ ითხოვდნენ. დათა ვაჩნაძე დამდევდა და მარწმუნებდა მათი სახელით, კვინიტაძის მეთაურობით გამარჯვების შესაძლებლობაში.

ომი გაჩაღდა: მოსკოვმა ამცნო ქვეყანას რადიოთი საქართველოში აჯანყება დაიწყოვო, ხოლო კავკასიაში კი აცხადებდა — საბჭოთა სომხეთი თავს დაესხა მენშევიკებს და ითხოვს ბორჩალოს სომხეთის შემოერთებასო. ჩვენ ხალხის გასამხნეებლად ამ ვერსიას ჩავაფრინდით, შემდეგ აზერბაიჯანელებიც მივაყოლეთ. ხოლო როცა ტყვეებში რუსებიც მოხვდნენ — ვამბობდით რუსები ეხმარებიანო და სხვ. ეს აგიტაცია სჭრიდა. ხალხი აღშფოთებული იყო, როგორ გვიბედავენ... თავს დასხმასო. ნამდვილი ამბავი — რომ იბრძვის რუსის ჯარი და არა სომეხი და აზერბაიჯანელი ჯერ კიდევ უცნობი იყო ფართე მასისათვის. მით უფრო ეს სჯეროდათ, რომ ომი იყო მხოლოდ სომხეთის საზღვართან. ერთ დღეს მოდის ჩემთან საჩქაროთ გოგიტა ფაღავა და მეუბნება: ეს არის რუსეთის საელჩომ მიიღო საიდუმლო დეპეშა — ხვალ დილიდან გადავდივართ შეტევაზე ფოილოს ხიდიდანო. როგორ იცი? შიფრის გამშიფრავისაგანო. ჩვენი კაცია, წინააღმდეგია მოსკოვის აქ შემოსვლის. ვაცნობე ეს მაშინვე შტაბს, თავდაცვის საბჭოს,

ფოილოს დამცველ ნაწილებს, მოვემზადეთ დასახვედრაჲ. სწორეთ მეორე დღეს, ალიონზე დარწყო შემოტევა ფოილოზე. ახლა აშკარა გახდა რუსეთის გამოლაშქრება“.¹

12 თებერვალს განცდილი მარცხის შემდეგ, როგორც ითქვა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაჲ ლორეში დამატებითი ძალები გაგზავნა. „ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ აჯანყებულთა დასჯას და შევიყვანთ ჩვენს ჯარებს, მაშინვე, როგორც კი დაიწყება დამსჯელი ოპერაციები“ — აცნობებდა გ. კ. ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინს.² გამოდის, რომ ლორეში ჯერ წითელი არმია არ შესულა, მას მხოლოდ მომავალში შეიყვანენ, რათა საქართველოს ჯარმა არ დათრგუნოს აჯანყებულები, რომლებჲაც უკვე ზონაში საბჭოთა ხელისუფლება ჰქონდათ გამოცხადებული. სინამდვილეში იქ წითელი არმია თავიდანვე იბრძოდა, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ დამატებითი ძალების მოზიდვაზე და მართლაც 14 თებერვალს საქართველოს ჯართან საბრძოლველად კიდევ გაიგზავნა კავალერიისტთა დიდი შენაერთი. „დაუყოვნებლივ კონტრდარტყმის“ აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი იმ დებეშაშიც, რომელიც გ. კ. ორჯონიკიძემ, შ. ზ. ელიავამ, და ა. ა. გეგეჭკორმა გაუგზავნეს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს 14 თებერვალს.³

ამავე დღეს, 14 თებერვალს, ვ. ი. ლენინის სახელზე ბაქოდან მოდის იმ დებეშის ასლი, რომელიც სადგ. შაგალიდან 12 თებერვალს გაეგზავნა კავკასიის ფრონტის მე-11 წითელი არმიის სარდალს ა. ი. ჰეკერს. დებეშაში ლაპარაკი იყო ლორეს ნეიტრალურ ზონაში მომხდარი ამბებისა და იქ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ.⁴

1921 წლის 14 თებერვალსვე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ კვლავ იმსჯელა საქართველოს საკითხზე. პოლიტბიურომ დაამტკიცა მე-11 არმიის რევოლუციური

¹ ნოე ეორდანიას ჩემი წარსული (მოგონებანი)... გვ. 120—122 ქართველი ოფიცრებისა და საქართველოს ჯარებ-ს მთავარსარდალის მისამართით ნ. ნ. ჟორდანიას „ჩემს წარსულში“ გამოთქმულ ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნაზე გენერალ ვ. ი. კვინიტაძის პასუხი იხ. ეურნ. „მაცნე“ (ისტორიის სერია) 1990 წლის მე-3 ნომერში.

² ა. ი. რემაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 378.

³ იქვე.

⁴ იხ. В. И. Ленин. Биографическая хроника. Т. 10, с. 119-120.

სამხედრო საბჭოსადმი გასაგზავნი დეპეშის ტექსტი, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ იყო დაწერილი: „ცეკა ჰსადაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაესმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით და იმ პირობით, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრი ყველა მონაცემის სერიოზული განხილვის შემდეგ წარმატების გარანტიას მოგვცემს. გაფრთხილებთ, რომ უპუროდ ვსოვართ ტრანსპორტის გამო, ამიტომ არც ერთ მატარებელს და არც ერთ ვაგონს არ მოგვცემთ. იძულებული ვართ კავკასიიდან ვზიდოთ მხოლოდ პური და ნავთობი. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ პასუხს პირდაპირი მავთულით მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრის, აგრეთვე სმილგას, გიტისის, ტრიფონოვისა და ფრუშკინის ხელმოწერით. ყველა ამ პირთა დეპეშებზე ჩვენი პასუხის მიღებამდე გადაწყვეტი არაფერი წამოიწყეთ. 14/11“.¹

დეპეშაზე ვ. ი. ლენინმა ხელი არ მოაწერა. მას თავისი ხელით დაუწერია: „ცეკას დავალებით კრესტინაჟი.“²

ამ დეპეშის მიხედვით საქართველოში აჯანყებაა. მე-11 წითელ არმიას უფლებას აძლევენ „აქტიურად დაესმაროს“ მას. ვ. ი. ლენინი, პოლიტიკურ ნებას რთავენ მე-11 არმიას დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით. ეს მოთხოვნა მკითხველს არ შეიძლება არ გაუკვირდეს, რადგან, თუ საერთაშორისო ნორმების დაცვა მოვიწოდებდით, მაშინ ამ პირობებში საერთოდ არ შეიძლებოდა თბილისის — საბჭოთა რუსეთის მიერ ოფიციალურად აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქის — დაკავება. სანტერესთა, როგორ შეფასდა საბოლოოდ ეს ოპერაცია, ჩათვალეს, რომ თბილისის აღებისას დატული იქნა საერთაშორისო ნორმები? პოლიტიკურად არ იყო დარწმუნებული, რომ მე-11 არმიას სამხედრო თვალსაზრისით გაუადვილდებოდა თბილისის აღება. ამიტომაც თვლიდა აუცილებლად, რომ რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრმა, აგრეთვე ამიერკავკასიაში მომუშავე სხვა პასუხისმგებელმა მოღვაწეებმა წარმატების გარან-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 50.

² იქვე.

ტია მისცენ პოლიტიკურს. უფრო მეტი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რევოლუციური საბჭედრო საბჭოს წევრები და დეპეშაში ჩამოთვლილი სხვა პირებიც „წარმატების გარანტიას“ ოფიციალურად დაადასტურებდნენ, პოლიტიკურს პასუხის მიღებამდე მათ მაინც არ ჰქონდათ უფლება რაიმე „გადამწყვეტა წამოეწყოთ“.

ფრთხილობდა პოლიტიკურს. იგი ცდილობდა, ერთხელ კიდევ შეემოწმებინა ამ ოპერაციის მიზანშეწონილობა საერთაშორისო თუ სამხედრო თვალსაზრისით. საბოლოოდ იგი მაინც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურს ნებას დაჰყვა და 15 თებერვალს დაამტკიცა მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსათვის გასაგზავნი მეორე დეპეშის ტექსტი, რომელიც აგრეთვე ვ. ი. ლენინის მიერ იყო დაწერილი. „ცეკას მიაჩნია, — ვკითხულობთ ამ დეპეშაში, — რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ადგილობრივი დაცვაა თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისაგან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში. რა თქმა უნდა, ჩვენ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან მოველით ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას, რომელიც იმასაც კი არ მოერიდება, რომ თბილისი აიღოს, თუ ეს საჭირო იქნა სამხედრო მოსაზრებებით ნეიტრალური ზონის ნამდვილი დაცვისათვის ახალი თავდასხმისაგან. იმედი გვაქვს, რომ თქვენ მთელი სერიოზულობით გაითვალისწინეთ ჩვენი გაფრთხილებანი. შეგვატყობინეთ ამბავი ყოველდღე“.¹

ვ. ი. ლენინმა არც ამ დეპეშას მოაწერა ხელი, თუმცა, როგორც ითქვა, ტექსტი მისი დაწერილი იყო. ვ. ი. ლენინს ამ დეპეშაზეც მიუწერია: „ცეკას დავალებით კრესტინსკი“. ნ. ნ. კრესტინსკიმ მართლაც გადასცა ეს დეპეშა მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს, რომელიც სიტყვიერად გააფრთხილა, რომ სამი დღის შემდეგ იგი ელოდება ცნობას თბილისის აღების შესახებ.²

მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი 14

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 50—51.

² ა. ი. რემაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 379.

და 15 თებერვალს გამოგზავნილი დეპეშებაც მხოლოდ 1965 წელს გახდა ცნობილი ფართო მკითხველისათვის. მიზეზი გასაგებია. აკი თვით ვ. ი. ლენინს 14 თებერვლის დეპეშაზე, როგორც ჩანს, მდივნის მისამართით, გაუკეთებია მინაწერი: „არა, ჯობს შეინახოთ უაღრესად საიდუმლოდ 2—3 თვით“¹. მართალია, დოკუმენტი არათუ „2—3“ თვე“, არამედ მთელი 45 წელი ინახებოდა „უაღრესად საიდუმლოდ“², მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ, ალბათ, თვით ვ. ი. ლენინი გრძნობდა გარკვეულ უხერხულობას დეპეშის შინაარსის გამო. ესეც გასაგებია. კაცმა რომ თქვას, როგორ გინდა დაარწმუნო ვინმე, რომ საქართველოში წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციები, მის მიერ თბილისის აღება საჭირო იყო „თეთრგვარდიელთაგან (!)“ ლორეს ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა დასაცავად. ამ ლოგიკით ხომ სტამბოლის აღებაც შეიძლებოდა გაგვემართლებინა.

ი. ბ. სტალინის ფონდში, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება, დაცულია მკითხველი საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი, შეიძლება ითქვას, უნიკალური დოკუმენტი. მას დედნის ენაზე მოგვიყვანოთ, ისევე როგორც ტექსტშია: «Записка т. Орджоникидзе.

Сейчас передам шифрованный ответ Цока, а пока предлагаю в хлаве шуточные дастурна ашге калаки. Сталин. 15.II. 16 час.»³

ამავე საქმეში არის ასეთი ბარათიც: «15/II в 16 ч. 7 мин.

Записка понятна, т. Орджоникидзе говорит, что раньше нужно было Мирзакеян»⁴.

კომენტარება, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

მაშ ასე. 14—15 თებერვალს რკ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ნება დართო მე-11 არმიას აეღო თბილისი. დანმარების თაობაზე საქართველოს რევკომის თხოვნა კი საბჭოთა მთავ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 50.

² სხვათაშორის ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინმა მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე, არა უადრეს 1921 წლის 18 თებერვლისა, ორი ბარათი მისწერა ლ. ბ. კამენევს იმ საიდუმლო ცნობების გაქვდავების თაობაზე, რომლებიც ამიერკავკასიაში არსებულ მდგომარეობას ეხებოდა (იხ. В. И. Ленин. Биографическая хроника, т. 10, с. 140).

³ მლი ცპა, ფ. 555, აღწ. 1, საქ. 2054, ფურც. 1.

⁴ იქვე, ფურც. 2.

რობას 16 თებერვალს გაეგზავნა. ყოველივე ეს ცნობილია საზოგადოებისათვის რეფიციალურად გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით.

ორიოდე სიტყვა თვით საქართველოს რევკომის შესახებ. რეფიციალური ვერსიით იგი „საქართველოს მშრომელთა აჯანყების“ სახელმძღვანელოდ შეიქმნა შულავერში 16 თებერვალს. სინამდელიეში რევკომი საქართველოს მშრომელთა აჯანყებას ვერ უხელმძღვანელებდა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ დროს საქართველოში ასეთი აჯანყება არ მომხდარა. ხოლო იმას, რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა, თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა. უნდა ითქვას ისიც, რომ რევკომის შექმნის მომენტში მისი ზოგიერთი წევრი შულავერში საერთოდ არ ყოფილა. მაგალითად, რევკომის შემადგენლობაში დასახელებული ბუდუ მდივანი იმ დროს თურქეთში მუშაობდა რუსეთის სფს რესპუბლიკის წარმომადგენლად. საქართველოში მომხდარი ამბებისა და იმის შესახებ, რომ იგი შეყვანილი იყო რევკომის შემადგენლობაში, გ. კ. ორჯონიკიძემ მას 1921 წლის 3 მარტის დებეშით შეატყობინა.¹ ასევე არ იმყოფებოდა იმ დროს შულავერში და საერთოდ კავკასიაში რევკომის თვით თავმჯდომარეც კი — ფ. ე. მახარაძე, რომელიც რამდენიმე თვით ადრე მოსკოვში იყო გაწვეული სამუშაოდ.

საქართველოს რევკომმა (იგი შემდეგ რესპუბლიკის მთავრობად გარდაიქმნა) შექმნის დღესვე სთხოვა საბჭოთა რუსეთის მთავრობას დახმარება. ეს იყო მისი საგანგებოდ შექმნის ძირითადი ამოცანა მაშინ. რევკომი კავბიურომ შექმნა. იგი ხალხს არ აურჩევია. ამის გამო უკანონოდ უნდა მივიჩნიოთ პარტიული ორგანოს მიერ დანაშნული რევკომის იურიდიული უფლებამოსილება — მოეწვია უცხო ქვეყნის არმია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ წითელი არმია თავიდანვე მონაწილეობდა „საქართველოს ამბებში“. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს დედებული ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი შეფასებისას ამ მომენტსაც უნდა მოეფინოს ნათელი.

რევკომის წევრთა სიას ი. ბ. სტალინი 17 თებერვალს გაეცნო. ამასთან დაკავშირებით მან¹ გ. კ. ორჯონიკიძეს აცნობა:

¹ მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 139.

„რევკომის შემადგენლობა არ არის კარგი. წინადადებას გაძლევ მიუმატე სიას არაქელა, ცხაკაია, ელისაბედაშვილი, ვინმე თათართაგან და აგრეთვე ფედერალისტთაგან. რევკომს შეუძლია გამოეყოს აღმასკომი 5 კაცის შემადგენლობით. მაგალითად, მასხარაძე, მდივანი, ელისაბედაშვილი, 1 სოპისი, 1 თათარი... ჟორდანიას შეცდომა — მისი მთავრობა შედგენილი იყო თითქმის გურულებისაგან, რის გამოც იგი არ სარგებლობს აღმოსავლეთ საქართველოს თანაგრძნობით. ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ ეს. სხვანაირად რევკომი იკოჭლებს“.¹ რევკომის შემადგენლობასთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინი კიდევ ერთ საგულისხმო შენიშვნას აძლევს გ. კ. ორჯონიკიძეს: „...საპირო იყო რამდენიმე ადგილის დატოვება ფედერალისტებისა და მემარცხენე მენშევიკებისათვის“.²

ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიკიდან ვიგებთ, რომ 1921 წლის 18 თებერვალს მან წაიკითხა და ჩაასწორა კიდევ პროექტი დეპეშისა, რომელიც საქართველოში რსულს სრულფუნქციონირი წარმომადგენლის ა. ლ. შეინმანისთვის უნდა გაეგზავნათ. ა. ლ. შეინმანს ავალებდნენ პროტესტი განეცხადებინა საქართველოს მთავრობისთვის საბჭოთა სომხეთის ნაწილისა და ნეიტრალური ზონის ოკუპაციის გამო.³

18 თებერვალს ასეთი პროტესტი უბრალო დიპლომატიურ სვლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან სწორედ 18 თებერვალს, ნაშუალაქებს, წითელმა არმიამ იერიში მიიტანა არა მარტო თბილისის მისადგომებზე, არამედ სრულიად ახალ ფრონტზეც — მხანადირთან, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის საზღვარსვე. ეს შეტევა მოგერიებულ იქნა, მაგრამ 25 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა, დანარჩენ საქართველოში კი ბრძოლები ამის შემდეგაც გრძელდებოდა.

აქედან გამომდინარე არ შეიძლება ზუსტად მივიჩნიოთ მტკიცება, რომ საქართველოს რევოლუციური არმია და სახალხო გვარდია წინააღმდეგობას არ უწევდნენ წითელ არმიას და ამ უკანასკნელმა თითქოს უბრძოლველად დაიკავა მთელი საქართველო. სინამდვილეში კი წითელი არმიის თავდასხმის შე-

¹ შლი ცხა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 2056, ფურც. 1—2; ა. ირემაძის დასახ. ნაშრ. გვ. 382.

² იქვე, საქ. 2055, ფურც. 1; ა. ირემაძის დასახ. ნაშრ. გვ. 382.

³ იხ. В. И. Ленин. Биографическая хроника, т. 10, с. 134.

დეგად პირველივე ღამეს ნანახი უდიდესი ზარალის მიუხედავად, საქართველოს სამხედრო ძალები მეორე და მესამე დღეს თითქოს წელში იმართებიან, შეტევაზე გადადიან და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ. სასტიკი ბრძოლები გაიმართა სადახლო-კერპილის ხაზზე, გიაურ-არჩისა და სანდარის მიდამოებში, ვაზიანში, სოღანლულში, კოჯორთან, ტაბახმელასთან, კახეთ-ზაქათალას ხაზზე, ოსიაურში, მდ. ბზიფთან, ათონში და სხვ. ეს ბრძოლები ომის შედეგებზე (საქართველოს სასარგებლოდ), ცხადია, ვერ იმოქმედებდნენ. ომი საქართველოს მხრივ თავიდანვე წაგებული იყო. საბჭოთა რუსეთმა მას რამდენიმე მხრიდან შემოუტია: სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან და სოჭი-სოხუმიდან.¹ წითელ არმიას ნაბრძანები ჰქონდა თბილისი 19 თებერვალს აეღო, მაგრამ „თბილისის მისადგომებთან საბჭოთა ჯარი შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. ქართველთა ჯავშანმატარებლებს ძალზე შეუვიწროვებიათ მტრის არტილერია. მათი ორი თვითმფრინავი წარმატებით ბომბავდა საბჭოთა ნაწილებს. მტრის 58-ე ბრიგადამ 19 თებერვალს იაღლუჯის მიდამოებში 530 კაცი დაკარგა. ასე რომ თბილისზე ელვისებური შეტევა ჩაიშალა“².

რამდენიმე ადგილი „მთავარი შტაბის ზოგიერთი კომუნიკე“-დან:

„12 თებერვალს რეგულარული ჯარის ნაწილები სომხეთის მხრიდან მოულოდნელად დაესხნენ თავს ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს ბორჩალოს მაზრაში. ამავე დროს ბორჩალოს მაზრაში მოსაზღვრე მოსახლეობის ნაწილმა, შემდგარმა სომხებისა და რუსებისაგან, მოახდინა აჯანყება და შეუერთდა თავდამსხმელებს, მეორე ნაწილი კი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის დროზე შეგვატყობინა განზრახული თავდასხმის შესახებ. ბეზობდალის მხრით თავდამსხმელები გაყვანტეთ. ვორონცოვკის რაიონში აჯანყება დაძლეულია, შაგალის, უზუნლარის და შინიხის რაიონებში ბრძოლა სწარმოებს.

¹ ნოე ეორდანი ადასტურებს, რომ წითელ არმიას, რომელიც საქართველოს უტევდა სოხუმის მიმართულებით, „რამდენიმე ყუმბარა ესროლა საფრანგეთის ესკადრის უფროსმა დიუმენილმა“ (ნოე ეორდანი. ჩემი წარსული (მოგონებანი)... გვ. 125.

² ციტ: ი. ფუტყარაძე. „არ უნდა დარჩეს „თეთრი ლაქები“. — გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 25 აგვისტო.

13 თებერვალს ჩვენი ჯარები აწარმოებენ ბრძოლებს ვორონოვკის და სადახლოს სამხრეთით...

19 თებერვალი. მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე თბილისის კარებზე. გაათრებულნი ბრძოლა მთელი დამე გაგრძელდა. მტერი უკუგდებული იქნა, მძიმედ დაზიანებული უწყსრიგოდ მირბის, ჩვენ უკან მივდევართ. ჯერ-ჯერობით ხელთ ვივდეთ ათასი ტყვე.

20 თებერვალი. კოჯრის რაიონში ჩვენ ხელთ ვივდეთ ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები. მტრის დევნა გრძელდება. გაგრის რაიონში, მდინარე მესხაღირზე წარმოებს ბრძოლა.

21 თებერვალი. 20-დან 21 თებერვლის დამით მტერმა, ახლად შემატებული ჯარებით გაძლიერებულმა, ორჯერ შემოუტია ჩვენს ნაწილებს კოჯრის რაიონში. ორჯერვე მან მოაღწია ჩვენს სანგრებამდე. პირველი იერიში მოგერიებული იქნა ხელით სასროლი გრანატებით, მეორე კი ხისტით სეტაკებით დამთავრდა. ჩვენი ჯარები, მიუხედავად დიდი დაღლილობისა, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების გამო, ორჯერ გადავიდნენ კონტრშეტევას და მამაცური თავდასხმით უკუაგდეს მტერი. ყველა შემდეგი ცდა მტრისა, შემოეტია ჩვენს ნაწილებსათვის, უკუგდებული იქნა ცეცხლით. დღის მსაათზე 21 თებერვალს მტერმა დაიწყო უკან დახვევა. 20 თებერვალს დაიწყო მტრის შემოტევა ადღერის მსკით.

22 თებერვალი. თბილისის მიდამოებში ჩვენი ჯარები მისდევენ კოჯორთან დამარცხებულ მტერს. მოწინავე რაზმებმა დაიკავეს სოფლები კუმისი და წალასკური. კუმისთან დამით მოულოდნელი თავდასხმით ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის რვა ტყვიამფრქვევი, სამი ოფიცერი და 53 წითელარმიელი. წალასკურთან ყუმბარის და პატრონების ყუთები. კახეთში დაიწყო ადგილობრივი გლეხების ძლიერი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკური კავალერიის წინააღმდეგ. დარიალში მტრის ცდა ჩვენს პოზიციებს მოახლოებოდა, უკუგდებული იქნა.

23 თებერვალი. 22 თებერვალს თბილისის მიდამოებში სიწყნარე იყო. მხოლოდ საღამოს დაიწყო მტრის მცირე ნაწილებს შემოტევა დარიალის მხრით საგარეკოზე. კახეთში გლეხებს პარტიზანული ბრძოლა გრძელდება. დარია-

ლის ხეობაში მტრის შემოტევა უკუგდებული იქნა. გაგრის მიმართულებით მტერმა ძრავალრიცხოვანი ძალებით შემოუტია ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს. ბრძოლები გრძელდება“.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 თებერვლის სხდომაზე ნოე ჟორდანიას განცხადებიდან: „პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენ მტერს გავუმართეთ, იყო 19 თებერვალს დამით. ბრძოლა ხდებოდა დიდ ფრონტზე, დაახლოებით 100 ვერსის მანძილზე. 19-ში დილით გამოიჩინა, რომ ჩვენ შევძელით ცენტრის გარღვევა და მტერი სრულებით დამარცხდა.“

დღეს 21-ს და წინაღობით მოხდა დიდი ბრძოლა მარჯვენა ფლანგზე. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს დიდი გააფთრებით, მტკიცედ და იჩენს დისციპლინას. გასულ ღამით კოჯრის მიდამოებში მდგარ ჩვენს ჯარს თავს დაესხნენ და მოინდომეს გაერღვიათ ერთი ადგილი, რომელიც არ იყო საკმარისად დაცული. აქ მათ დახვდნენ იუნკრები და თქვენი იცით, რომ გაიმართა დიდი ბრძოლა, ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, გრანატებით და ხიშტებით, მაგრამ აქაც მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს. შემდეგ მათ რამდენიმე მალლობი ადგილი დაიკავეს, სადაც ზარბაზნები დადგეს და თბილისს უდიდესი საშიშროება შეუქმნეს. გააფთრებული ბრძოლით ეს მალლობები ჩვენმა გვარდიამ აიღო და გამოიჩინა, რომ მტრის ჯარი შეტევას ვერ უძლებს და უკან იხევს“.

ნოე ჟორდანიას ალიუტანტის კოტე იმნაძის

რ ვ ე უ ლ ი დ ა ნ

„მთავრობის თავმჯდომარე ჩემი თანხლებით ყოველ დღე შედიოდა რამოდენიმეჯერ მთავარ შტაბში, სადაც ეცნობოდა ფრონტის მდგომარეობას. იმ საბედისწერო დღეს, 1921 წ. 24 თებერვალს, რვა საათი სრულდებოდა შტაბში რომ დავბრუნდით. იქ დავგვხვდა შემდეგი პირები: მთავარსარდალი ლენ. კვინიტაძე და შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი... დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა, საკავშირო საინფორმაციო განყოფილებაში რომ შევედი. აქ აპარატები განუწყვეტლივ მუშაობაში იყო. სწორედ იმ დროს მომიხდა აპარატურაში შესვლა, როდესაც ლენ. ჯიჯიას (ვაზიანის ფრონტი) დასრულებული ჰქონდა მთავარ-

სარდლისათვის პატაკის გადმოცემა. ეს პატაკი — რომ ბოლ-
შევიკების ტანკები იძულებული გავხადეთ ჩვენი სანგრები
მიეტოვებინათ, გარღვეული ხაზი აღდგენილია და გვარდიელ-
თა სულისკვეთება მტკიცე — როგორც ფრიად სასიხარულო
ამბავი, მინდოდა რა თვითონ შემეტანა მთავრობის თავმჯდო-
მარისა და მთავარსარდლისათვის, გამოვართვი მიმღებ მხე-
ლარს... და შევუტანე აღნიშნულ პირთ. გაეცნო რა ღენ. ჯი-
ჯიხიას პატაკს ღენ. კვინიტაძე, კვლავ თამბაქოს თამბაქოზე
წევით მიუბრუნდა ისევ კედლის რუქას და ჩაილაპარაკა:
„ვისიო რავენო“... რამდენიმე წუთის შემდეგ უეცრად შემოტ-
რიალდა, თითქოს კედელს მოწყდაო, გაექანა მთავრობის თა-
ვმჯდომარისაკენ და განუცხადა: „...ია ოტსტუბაიუ“, ეს ორი
სიტყვა იქ მყოფთ მეხრებით დაატყდათ თავზე. მთავრობის თა-
ვმჯდომარემ და მის გვერდით მდგომ პოლკ. გედევანიშვილმა
რუქაზე ჩაქინდრული თავი მაღლა ასწიეს და გაუსწორეს მთა-
ვარსარდალს. მთავრობის თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და
გაოცებული გამომეტყველებით შეეკითხა მთავარსარდალს
— როგორ, რა მოხდა... უკან დახევა აუცილებელია?! —
დიხს!... გესმით ასეთი ნაბიჯის პასუხისმგებლობა და ღებუ-
ლობთ ამ პასუხისმგებლობას თავზე? — დიხს... და შეუდგა
ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების დასაბუთებას შემდეგი
სახით: კახეთიდან მოყოლებული ვიდრე მანგლისამდე ფრონ-
ტი 90 კილომეტრით გამიგრძელდა. არამც თუ რეზერვები არ
მყავს დაქანცულ-დაზიანებული ჯარის შესაცვებათ — პირი-
ქით. მთელი რიგი „პუსტიე პროსტრანსტვა“... ამავე დროს
მტრის ცხენოსანი ჯარი დაემვა დილომით და გამოიჩნდა ზურ-
გში. კოჯორით საბურთალოსაკენ მიემართება. ამავე დროს
ვაზიანიდანაც გარს მივლიან. ადვილი შესაძლებელია მტერმა
ავჭალა დაიკავეს და უკან დასახევი გზა მოგვიჭრას. უკან და-
ხევით და მცხეთის ხეობის დაკავებით ფრონტს შევამოკლებ
ორი კილომეტრით. აქ შევძლებ ჯარის გადაჯგუფებას და სა-
თანადო რეზერვის შექმნას. აქვე დავამარცხებ მტერს, კვლავ
დავიკავებ თბილისს. რის შემდეგ საშუალება მომეცემა და-
მარცხებული მტრის დევნისა და სავსებით განადგურებისა...
ათი საათი სრულდებოდა — და დაუმატა: თქვენ განკარგულე-
ბაშია ბატონო თავმჯდომარე ორი საათი. მე ვიწყებ უკან და-
ხევას ღამის 12 საათზე. ...ამ დროს კუთხეში მჯდომი ღენ. ოდი-

შელიძე ადგა და მიუახლოვდა მაგიდას შემდეგი სიტყვებით: — ნება მიბოძეთ, ბატონო, გამოვსთქვა ჩემი აზრი... მან დაახლოებით შემდეგი სთქვა: — ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია უკან დახევა, რადგანაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, თუ რა ფსიქოლოგიურ გამოძახილს ჰპოვებს ეს ნაბიჯი ჩვენს გამარჯვებულს ჯარში. მე ვფიქრობ, მცხეთაში არც ერთი ჯარისკაცი არ გაჩერდება. ამიტომ, თუ ხსნა გვიწერია, ხსნა ისევ იქ არის, იმ პოზიციებზე, რომელიც ჯარს უკავია... როგორ შეიძლება ისეთი დიდი გამარჯვება, რომელიც მთავარსარდალმა იგემა თბილისთან, უკანდახევით სასწორზე დაიდოს, პირიქით, მე მის ადგილზე გადავიდოდი შეტევაზე... და შეტევაზე არა საერთო ხაზით, არამედ ერთგვარი პარტიზანული წესით, — განაგრძობდა ოდიშელიძე, — პარტიზანული შეტევით, რომ მტერს მოსვენება არ მიეცეს... მანამ, სანამ დაუძღვრებული და საკმაოდ შელახული მტერი სავსებით არ მოტყდება. ამავე დროს მოგვისწრებს მოხალისეთა ის ორი ათასეული, რომელიც იმერეთიდან დაძრულა. ისიც უნდა მივლოთ მხედველობაში, რომ მტერსაც არ ჰყავს რეზერვი და არც შესაძლებლობა დამხმარე ძალების მოშველიებისა. დაბოლოს შეტევაზე გადასვლა საერთო ხაზით მტრის სავსებით განადგურებისათვის... თუ სხვა რამ არ გვიწერია, მე ვფიქრობ, უმჯობესია თბილისის წინ სასახლოდ დავიხოცოთო...

მთავრობის თავმჯდომარე შეეკითხა ღენ. ოდიშელიძეს: — აქვს თუ არა მთავარსარდალს უფლება, პირადი გადაწყვეტილებით გადადგას ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი?

— მთავარსარდალის საომარ სტრატეგიულ განკარგულებაში ვერაფერს ჩაერევა, — მიუგო ღენ. ოდიშელიძემ. ამ განმარტების შემდეგ ნოე ჟორდანიამ დასტოვა შტაბი და ჩემი თანხლებით გაემართა სასახლისაკენ. აქ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მოზრდილ ოთახში თავი მოეყარათ დეპუტატთა უმრავლესობას, მისვლისთანავე მთავრობის თავმჯდომარემ სიტყვა აიღო, მან გააცნო დამფუძნებელი კრების წევრთ ჩვენი ჯარის უკან დახევის და თბილისის დატოვების აუცილებლობა იმ სახით, როგორც ეს მთავარსარდალმა გადასწყვიტა და დასძინა, რომ უკანდახევა დაიწყება ღამის 12 საათზე...

ამ ამბავმა საერთო ჩოჩქოლი გამოიწვია დამსწრეთა შორის, პირველი სიტყვა აიღო ვეშაპელმა და გაოცებული შეე-

კითხა მთავრობის თავმჯდომარეს — თუ ვინ გაბედა, ვისი აზრითა დედაქალაქის დატოვება.

— ასეთია მთავარსარდლის ურყევი გადაწყვეტილება, თუ ეს არ მოგწონთ, მას გადავყენებ და თქვენ დაგნიშნავთ, აქ სხვა ვინმეს, ვისაც ინებებთ — მიუგო მთავრობის თავმჯდომარემ.

გახურებულ თავთ თითქოს ცივი წყალი გადაევლო... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, არც ერთი ხმა, არც ერთი კრიტიკა, ვეშაპელიც ჩაქდა...

ფილიპე შარაძის დღიურიდან:

„12 თებერვალი. დილით სტუდენტთა სასადილოში მივდიოდი (აქ იყო სტუდენტთა გამგეობის სამდივნო), გზაში ყველა დაღვრემილი მეჩვენა. ყურადღება არ მივაქციე, სამდივნოში შევედი და მუშაობას შევეუდექი. 11 საათი იყო, სასადილოს დარბაზში გამოვედი. არაჩვეულებრივად მრავალი სტუდენტები იყვნენ იმდროისათვის და ჭგუფ-ჭგუფად ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, — ერთ ჭგუფს შევეუერთდი, — აზერბაიჯანელებს შემოუტყევიათ და წითელ ხიდზე გადმოსულან, თბილისს უასლოვდებიანო, ამბობდა ერთი, მე მითხრეს, სომხები გადმოვიდნენ ხრამზე და წინ მოიწევენო, თქვა მეორემ. მესამემ კიდევ დაუმატა: ამ დილით სამსედრო სამინისტროს ერთმა მოხელემ გადმომცა, რომ შავი ზღვის ნაპირზე შემოგვიტია წითელმა ჯარმაო... სამი საათისთვის სტუდენტობა თავს იყრის უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში... შენობა ველარ იტევს ხალხს. მიტინგი ეზოში გადავიტანეთ. აქ, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერი მამა და მათი უსაყვარლესი ადამიანი ივანე ჯავახიშვილი მათ მიმართავს: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი მე თქვენ დღეს იარაღისკენ მოგიწოდებთ...“

24 თებერვალი ჯანლითა და ზარბაზნების გრიალით გათენდა, ოც ნაბიჯს იქით აღარაფერი სჩანს. ბოლშევიკები სარგებლობენ სიბნელით, ტაბახმელას წინამდებარე ქედებით ხეგებში წითელი კურსანტები ჩამოკეცავენ და მოულოდნელად

ხელჩართულზე გადმოდიან. ბრძოლა ჩაღდება სასტიკი. არც ერთის მხრივ დანდობა... ვაშა და ურა ზარბაზანთ გრიალში ირევა. ხიშტის ძგერასა და კონდახით თხლაშუნში იშვიათად მოისმის წამით დაშორებულ მწკრივების სროლა. იერიშს კონტრიერიში მოსდევს, კონტრიერიშს ახალი იერიში. სიკერპეს სიკერპე და ბრძოლის გახურებულ ჟინს ახალი ჟინი... მოწინააღმდეგე ღირსი ფალავანი გამოდგა. ჩვენები ყოველ მტკაველ მიწას ზედ აკვდებიან... თოვლი გაწითლდა. გვამები მოძრაობას აწნელებენ. ხელჩართული ბრძოლა არა ნელდება... იუნკრები ერთგული არიან ტფილისის ქუჩებში ჩუმად დაღებული ფიცისა „ბოლშევიკები ჩვენს გვამებზე გადმოივლიან...“ გაუმარჯოს საქართველოს! — უკანასკნელად იძახიან გულგანგმირული ახალგაზრდები და მხიარულად ეხუტებიან ცივი გვამებით მშობლიურ მიწას...“¹

საქართველოს ტერიტორიაზე წითელი არმიის საომარი ოპერაციები 1921 წლის მარტის მეორე ნახევარში დამთავრდა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უცხოეთში გაიხიზნა. საფრანგეთში ჩასვლისთანავე მან ასეთი განცხადება გააკეთა:

საქართველოს მთავრობის განცხადება

1921 წლის 19 მარტს საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნებასურვილით მიიღო, იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებინა. ეს იძულება გამოიწვია რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ.

რუსეთის მთავრობამ, რომელმაც ხელი მოაწერა საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებას 1920 წლის 7 მაისს, გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა სამხედრო ძალებით.

1920 წლის დეკემბერში რუსეთის მე-11 წითელი არმიის სარდალს გენერალ ჰეკერს დაევალა მოხსენება წარედგინა, თუ რა სამხედრო ძალები იქნებოდა საჭირო საქართველოს დასაპყრობად. თავის დაწვრილებით მოხსენებაში გენერალი ასა-

¹ მ. რეხვიაშვილი. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი. — თურნ. „განთიადი“, 1990, № 2, გვ. 133-145. მასალები დამოწმებულია კარლო ინასარიძის წაგნიდან: „პატარა „ოქროს ხანა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921 წწ.“ მიუნხენი, 1984.

ბუთებდა, რომ მისი არმია ვერ შეძლებდა მოეხდინა ეს დაპყრობა, თუ ანგორის მთავრობა თანხმობით არ იქნებოდა განწყობილი ამ წამოწყებისა. ბოლშევიკები იძულებულ იყვნენ გადაედვათ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა. მაგრამ დაუყოვნებლივ დაიწყო მათი ჯარების თავმოყრა საქართველოს საზღვარზე. საქართველოს მთავრობის პროტესტი უშედეგოდ დარჩა.

ომის თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობა შეეცადა გამოერკვია მოსკოვის მთავრობის მიზნები ამიერკავკასიაში, მან ითხოვა მისი დაშვება რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე, რომელიც დანიშნული იყო მოსკოვში, გასულ თებერვალში. ეს წინადადებაც უპასუხო დარჩა.

სომხეთთან მოლაპარაკება, რომელიც ამ დროს გასაბჭოებული იყო, სასურველად დამთავრდა. ერევნის მთავრობა დათანხმდა სადავო საკითხები მოლაპარაკებით მოგვარებულიყო ორ ქვეყანას შორის და გადაწყდა მოლაპარაკება შემდგარიყო თბილისში 15 თებერვალს.

მიუხედავად ამისა, 11 თებერვალს მე-11 არმიის რუსულმა ჯარებმა გადმოლახეს საქ. საზღვრები სომხეთის მხრიდან.

შეინმანმა, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა თბილისში, მტკიცედ განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობამ არაფერი არ იცოდა ამ თავდასხმის შესახებ და რომ ეს სომხეთის მთავრობის მოწყობილი იყო.

იმავე დროს საქ. მთავრობამ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება სომხეთის წარმომადგენელ შავერდოვისაგან, რომ სომხეთი სრულიად უცხო იყო ამ თავდასხმაში. ფაქტებმა დაადასტურეს, რომ სომხები არაფერ შუაში არ იყვნენ.

თბილისის მახლობლად წარმოებული ბრძოლების დროს ქართულმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს მტრის მრავალი ჯარისკაცი, მათი დაკითხვიდან გამოიჩვენა, რომ ყველა იყო წარმოშობით რუსეთიდან და ეკუთვნოდნენ მოსკოვის რეგულარულ ნაწილებს.

მაშასადამე რუსებმა და არა სომხებმა შემოუტიეს საქართველოს სომხეთის მხრიდან.

15 თებერვალს მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანის მხრიდან.

16 თებერვალს საქ. მთავრობის თავმჯდომარემ ტელეგ-

ზამით მიმართა მოსკოვის მთავრობას, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისიის თანაშემწემ კარახანმა, რომელიც ტელეგრაფის მეორე ბოლოში იმყოფებოდა, უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე.

მეორე დღეს ჩიჩერინმა საქართველოს შესთავაზა ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან მოლაპარაკებაზე უშუამდგომლობა, საქართველოს მთავრობა დებულობდა ამ წინადადებას მხოლოდ იმ პირობით, რომ რუსეთს ჯარი უნდა გაეყვანა საქართველოდან.

21 თებერვალს ჟორდანიამ მიმართა ჩიჩერინს და სთხოვა მას, განემარტა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის მიზეზები, ეს დეპეშა უპასუხოდ დარჩა. რის შემდეგ ჟორდანიამ მოუწოდა ლენინსა და ტროცკის ამ აშკარა იმპერიალისტური და თავდასხმითი ომის შეწყვეტისაკენ.

ამის საპასუხოდ რუსეთმა სამი ახალი მიმართულებით გაშალა შეტევები საქართველოს წინააღმდეგ, ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზაზე გავლით, მამისონის უღელტეხილიდან ქუჩინისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჭის მიმართულებით. ამგვარად საქართველოს ყოველი მხრიდან შემოესივნენ რუსეთის ჯარები, კერძოდ, მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე-13 არმიები და აგრეთვე ბუდიონის და ჟლობას კავალერიის ნაწილები.

ენთუზიაზმი ქართველი ხალხისა დიდი იყო. არავინ არ ზოგავდა თავს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, იარაღი და ტყვია-წამალი არ მოეპოვებოდათ. საქ. მთავრობა ორი წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ვინმესგან იარაღით დახმარება მიეღო.

ბოლშევიკები კი იყენებდნენ ყირიმის უღევს რესურსებს, ქართული ლაშქრის წინააღმდეგ გზავნიდნენ თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილ ახალ-ახალ ძალებს.

22 თებერვალს ბოლშევიკებს ახალმა ვითარებამ შეუწყობნელი: ანგორის მთავრობამ საქ. მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა არდაგანის და ართვინის ევაკუაციას, საქ. მთავრობას წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლო და თავისი ჯარები გამოიყვანა ამ რეგიონიდან.

მდგომარეობა დღითიდღე რთულდებოდა, ხუთი მხრიდან

გარშემორტყმული საქ. რესპუბლიკა მეტად უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. ქართულ ჯარს განადგურება ემუქრებოდა. საქ. უმაღლესმა სარდლობამ გადაწყვიტა თბილისის ევაკუაცია და უკან დახვევა, რათა მოეხდინა ჯარის კონცენტრაცია ძლიერ პოზიციებზე, ჯარის ყველა ნაწილს მიეცა ბრძანება უკან დახვევისა და რიონის მარცხენა ნაპირზე; ბრძოლის გაგრძელების ბრძანება, ბათუმის, როგორც სამხედრო ბაზის შენარჩუნებით.

25 თებერვალს თბილისი დატოვებულ იქნა ქართული ჯარების ნაწილების მიერ. დაიწყო უკან დახვევა (ბრძოლში ახალ ჯაზზე სამ კვირას გაგრძელდა).

ქართველმა ხალხმა ამ ტრაგიკულ დღეებში კვლავ დაამტკიცა თავისი ერთიანობა და მტკიცედ გადაწყვიტა ბოლომდე ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ფუჟად ჩაიარა ბოლშევიკების აგენტთა ყველა მცდელობამ სახალხო აჯანყებისა და სამხედრო ამბოხების მოწყობის მიზნით. მაგრამ სამხედრო საჭურველს მოკლებული ქართველი ხალხი დიდხანს ვერ გაუძლებდა რუსეთის ამ შემოტევებს.

ანგორის მთავრობის პოლიტიკამ დააჩქარა მისი წინააღმდეგობის დასასრული.

არდაგანის და ართვინის დეკავების შემდეგ ქემალისტურმა მთავრობამ აეწყა საქართველოს, რომ მათ შორის აღარ არსებობდა სადავო საკითხები და საქართველოს მთავრობას შესთავაზა, რათა ბოლშევიკური ჯარები არ შესულიყვნენ ბათუმის პროვინციაში, გაეხსნა მათთვის გზა და შეეშვა ბათუმში, რომელსაც დაიცავდნენ ბოლშევიკებისაგან.

მაგრამ ბათუმში შესვლის შემდეგ თურქებმა განაცხადეს: ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა, მოხდეს ბათუმის და მთელი პროვინციის ანექსიაო და თურქები შეეცადნენ ძალით აეღოთ სახელმწიფოებრივი შენობები და ციხესიმაგრეები. თურქებმა ამავე დროს საქართველოს მთავრობას გაუგზავნეს ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდნენ ქართული ჯარის განიარაღებას. ბათუმში გაჩაღდა ცხარე ბრძოლები ქართველებსა და თურქებს შორის. ქართველებმა თურქები განდევნეს ქალაქიდან, მაგრამ ამ დღიდან ორ ფრონტზე მოუხდათ ბრძოლა, მეორე ფრონტი იყო წითელი არმია. ორი ძლიერი ჯარით გარშემორტყმულ საქართველოს არ გააჩნდა არა-

ვითარი შანსი წარმატებისა. განწირული იყო დასალუპავად.

17 მარტს საქ. მთავრობამ გადაწყვიტა რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლების შეწყვეტა და ჯარის დაშლა, რამაც ბოლშევიკებს გზა გაუხსნა ბათუმისაკენ და მთელი საქართველოს ტერიტორიისაკენ. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობა იძულებული იყო დაეტოვებინა მტრის მიერ დაკავებული ტერიტორია.

პარიზი. 1921 წლის აპრილი¹.

¹ უცხოეთის სახელმწიფოთა მთავრობებისათვის განკუთვნილი ეს გაცხადება ფრანგულ ენაზეა დაწერილი. ამავე ენაზეა იგი გამოქვეყნებული პარიზში 1925 წელს გამოცემულ კრებულში. მისი ქართული თარგმანი (ჩვენს მიერ ნემოციტირებულისაგან განსხვავებით უფრო ვრცელი ვარიანტი) 1969 წელს გამოქვეყნდა გაზეთებში „სამშობლო“ (ივლისი, № 18), და „თბილისის უნივერსიტეტი“ (8 ნოემბერი). თარგმანები შესრულებულია სხვადასხვა სპეციალისტების მიერ, რის გამოც, ბუნებრივია, ვხვდებით სტილურ-რედაქციულ განსხვავებებს. სამწუხაროდ, შეინიშნება თარგმანის ხარვეზებიც. ჩვენ კი მკითხველს შევთავაზებთ მ. რესიაშვილის მიერ ქურნ. „განათიადის“ 1990 წლის №2 ნომერში (გვ. 133-135) გამოქვეყნებული ვარიანტი, რომელიც აღებულია კარლო ინსარაძის წიგნიდან „პატარა „ოქროს ხანა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921. რადიოდოკუმენტაცია“ (მიუნხენი, 1984).

აქვე გვინდა დავიმოწმოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1921 წლის აპრილის განცხადების „ვრცელი ვარიანტის“ დასკვნითი ნაწილი: „ამგვარად, ზემოთ მოტანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ:

1. ქართველი ხალხის ნებასურვილით დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილება გაანადგურა არა ამ ქვეყნის შიგნით არსებულმა ხალხის უმცირესობამ, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ და დემოკრატიული რესპუბლიკა შეცვალა საბჭოთა რუსეთის წეს-წყობილების თარგმნულ გამოკრძალებად.

2. რომ ქართველი ხალხი თავის კანონიერ მთავრობასთან შეკავშირებულ-დარახმებული გმირულად ებრძოდა მტრს და დანებდა მას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურა წინააღმდეგობის გაწვევის ყველა შესაძლებლობა.

3. რომ ბოლშევიკების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელიც იძულებულია დატოვოს მშობლიური მიწა, ინარჩუნებს დამფუძნებელი კრების მიერ მონიჭებულ უფლებამოსილებას, განაგრძობს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და იცავს თავისი ხალხის ინტერესებს ძველამოცილ სახელმწიფოთა წინაშე, რომლებმაც ცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა“ (გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1989 წლის 8 ნოემბერი. პუბლიკაცია ავთანდილ მენთეშაშვილისა).

ასეთი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტრაგიკული დასასრული. მსოფლიოს სანულმწიფიება და ერებმა საქართველოს მთავრობის ეს განცხადება, როგორც იტყვიან, „მიიღეს ცნობად“. მხოლოდ ცნობად...

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება და ძალით გაასაბჭოა საქართველო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინასწარშემუშავებული გეგმა წითელმა არმიამ მხოლოდ თავისი ძალებით განახორციელა, რადგან 1920 წლის ზაფხულიდან საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებები უკვე აღარ ხდებოდა, ქართულ მოსახლეობაში მათი ინსპირირება შეუძლებელი ჩანდა. არაქართველი მოსახლეობაც არ აპირებდა მასინ იარაღის ასხმას. „საქართველოს მთავრობას უჭირს, მაგრამ ქვეყნის წიგნით არ არსებობენ ძალები, რომელთაც შეუძლოთ მისი დამცობა...“¹ — აღნიშნავდა რუსეთის სხვა რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ა. შეინმანი.

**ი. ი. ბ. სტალინი, ლ. დ. ტროცკი, ფ. ე. მახარაძე,
ბ. კ. ორჯონიძიძე და ბ. ბ. ლომინაძე წითელი
არმიის მიერ საქართველოში 1921 წელს
განხორციელებული აქციის შესახებ**

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკურ თუ სამართლებრივ შეფასებას, ვფიქრობთ, დიდად გაგვიადვილებს საქართველოს გასაბჭოებისათვის ბრძოლის პერიპეტებში კარგად გარკვეულ მოღვაწეთა (მაგალითად, ი. ბ. სტალინის, ლ. დ. ტროცკის, ფ. ე. მახარაძის, ბ. კ. ორჯონიძისა და სხვ.) გამონათქვამები, რომლებიც საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ამბებს ეხება (აქ, ცხადია, მთავარია ფაქტობრივი მდგომარეობის ღრმად შესწავლა და მეცნიერული განაალიზება).

დავიწყეთ ი. ბ. სტალინით. 1921 წლის 28 იანვარს, ე. ი.

¹ ციტ: Г. К. Жванцья Великий Октябрь и победа Советской власти в Грузии. თბ., 1957, გვ. 329.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, იგი მოსკოვიდან ასეთ დეპეშას უგზავნის გ. კ. ორჯონიკიძეს:

„ბაქო. ამხ. ორჯონიკიძეს... 28/1, 20-25. შიფრი 50. ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გაწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია (ხანგასმა ჩვენია — ლ. თ.). გადაწყდა აგრეთვე შეეითხვა გაუგზავნონ კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა ძალები დაგვჭირდება კიდევ, რომ უქველად დავამარცხოთ საქართველო (ხანგასმა ჩვენია — ლ. თ.), თორემ ტროცკი ირწმუნება, თქვენს ფრონტზე ჩვენ ერთობ სუსტი ვართო. აუცილებლად ჩემს სახელსე გამოგზავნე ცნობა, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი ძალითა არსებული რაოდენობით. თუ უნდა დავიწყოთ, უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ხელმოწერილი გვექნება ინგლისთან ხელშეკრულება, რაც მოხდება დაახლოებით ერთი-ორი თვის შემდეგ. მე და ილიჩი (იგულისხმება ვ. ი. ლენინი — ლ. თ.) ველით შენგან ზუსტ, გაუზვიადებელ ცნობას. № 1225. სტალინი“.¹

დაახლოებით 13 დღის შემდეგ, ზუსტად კი 1921 წლის 10 თებერვალს, ვ. ი. საბჭოთა სომხეთიდან წითელი არმიის მიერ საქართველოს საზღვრების გადმოლახვამდე 1 დღით ადრე, ი. ბ. სტალინი კვლავ უგზავნის დეპეშას გ. კ. ორჯონიკიძეს:

„ბაქო. ორჯონიკიძეს მოსკოვიდან 10/11, 15-26. შიფრი 50. შეცდომა იყო კავკასიაში დემობილიზაცია არათუ ოცი ათასი, არამედ 20 ჯარისკაცისაც კი. უნდა იცოდეთ, რომ ტრანსპორტი არ გვეყავს. ჯარის თქვენთან გადმოყვანა არ შეგვიძლია. უნდა გამოვზიდოთ პური კავკასიიდან, თორემ აქ პური არ გვეყოფნის. გულმწიფიდად და ყურადღებით განსაჯეთ რა ზომები მივიღოთ ჯარის არსებული რაოდენობის გასაუმჯობესებლად და გამოსაკვებად, ისე რომ მოსახლეობას ტვირთად არ დააწვეს. მაცნობე საჭიროა თუ არა ჯარი საქართველოს გასაბჭოებისათვის და როდის დადგება შესაფერი მომენტი საამი-

¹ მლი ცპა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 2043, ფურც. 1. (აქ და ქვემოთ ი. ბ. სტალინის, ლ. დ. ტროცკის, ფ. ვ. მაზარაძისა და გ. კ. ორჯონიკიძის გამოწვევითა საქართული თარგმანი ეკუთვნის რევზ ბარკალაიას).

სოდ. გვაცნობე ხომ არ შეიძლება ჯარის რაოდენობის გადი-
დება, თუ პეტროვსკიდან ბაქოში ზღვაზე გემებით გადმოვი-
ყვანთ მას. ყველაფერი გულდაჯერებით განსაჯეთ... ზუსტად
მოიფიქრეთ წინადადებანი. გვიპასუხეთ უფრო აკურატულად.
ცეკას პოლიტიბიურო. ცეკა შენ გთხოვს ამ დაშიფრული დე-
პეშის შინაარსი გაცნო სმილგას და მერე მასთან ერთად გა-
მოგზავნო მოსკოვში საერთო პასუხი. მიიღე თუ არა № 1225
დაშიფრული დეპეშა და ყველაფერი გაიგე თუ არა. რატომ
არ არის პასუხი მასზე. № 1226. სტალინი“.¹

რატომღაც გ. კ. ორჯონიკიძემ ამ დეპეშის პასუხიც დაავ-
გვიანა. არადა, მოსკოვში ღელავდნენ. ამიტომაც იყო, რომ
მან მეორე დღესვე ასეთი შეტყობინება მიიღო რსფსრ საგა-
რეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან: „ამხ. სტალინიჲ ეს-
ეს არის ტელეფონით გვთხოვა გვეცნობებინა თქვენთვის შე-
მდეგი: „გუშინ როსტოვის მეშვეობით 1225 და 1226 ნომერი
დაშიფრული დეპეშები გამოგიგზავნეთ. 1226 პოლიტიბიუროს
დავალეხით იყო. შეშფოთებული ვართ თქვენი დუმლით. ვე-
ლით სასწრაფო პასუხს. თუ შიფრი ვერ გაგვთ, მოითხოვეთ
განმეორება. ერთხელ კიდევ ველით პასუხს. 11/2-21 წ. სტა-
ლინი“. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მდივანი
კოტელნიკოვი“.²

გ. კ. ორჯონიკიძის სახელზე 1921 წლის იანვარ-თებერვა-
ლში გამოგზავნილი ეს სამი დეპეშა, უწინარეს ყოვლისა, იმას
მოწმობს, რომ მათი ავტორი, ი. ბ. სტალინი, იმ აქციას, რო-
მელსაც წითელი არმია 1921 წლის თებერვალში განაზო-
ციელებს საქართველოში, „ს ა მ ხ ე დ რ ო ჩ ა რ ე ვ ა ს ა და
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ო კ ე პ ა ც ი ა ს“ უწოდებს. ი. ბ. სტა-
ლინიჲ შესანიშნავად იცის, რომ 1918-1920 წლებში ბოლშე-
ვიკების ხელმძღვანელობით არაერთი აჯანყება მოეწყო საქა-
რთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დასამ-
ხობად, მაგრამ ამას მისთვის არ შეუშლია ხელი, რომ წითელა
არმიის მიერ საქართველოს მომავალ ოკუპაციაზე ელაპარაკა.
მართალია, ასეთ კვალიფიკაციას ი. ბ. სტალინი 28 იანვარს,
ე. ი. 11-12 თებერვლის ამბებამდე რამდენიმე დღით ადრე
იძლევა, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ამ ხნის მანძი-

¹ შლი ცბა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 2029, ფურც. 1.

² იქვე, საქ. 2050, ფურც. 1.

ლზე საქართველოში მშრომელთა არავითარი აჯანყება არ ყოფილა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან საქართველოს კომუნისტებს იმ დროს თვით ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები უკრძალავდნენ აჯანყების მოწყობას, ხოლო სტიქიური აჯანყებანი თავისთავად გამორიცხული იყო. რაც შეეხება ლორეს ნეიტრალურ ზონაში მოწყობილ „აჯანყებას“, ფიქრობთ, სპეციალისტებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ იგი ინსცენირებული იყო და პოლიტიკურ პრობლემაზე სერიოზული მსჯელობისას ანგარიშში ჩასაგდება არ არის.

როგორც ეს დებულები გვიჩვენებენ, 1921 წლის 26 იანვრისათვის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი უკვე დარწმუნდა, რომ საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების საკითხი საბოლოოდ მომწიფდა და რომ იგი ახალ საერთაშორისო გართულებებს არ გამოიწვევს (დაუსჯელად ჩაივლის). ამიტომაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ზრუნავს მე-11 წითელი არმიის შემადგენლობის რაოდენობრივი გაზრდისა და ბრძოლისუნარიანობის ამღლებისათვის (იციან, რომ წინააღმდეგობა შეხვდებათ). კიდევ უფრო საგულისხმოა ის, რომ ამ საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტით უკვე თვით ვ. ი. ლენინიც დაინტერესებულა, ამიერიდან იგი უშუალოდ ხელმძღვანელობს საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოებისათვის მზადებას და მასაც აღარ ეჩვენება უხერხულად ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ წითელ არმიასზე დაყრდნობა. თუმცა, როგორც ვიცით; ვ. ი. ლენინს არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ საქართველოში იმ დროს არსებული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ მას აცნობებდნენ, რომ თითქოს მთელ საქართველოში მშრომელთა აჯანყება მიქინვარებდა და თუ მათ წითელი არმია დახმარების ხელს არ გაუწვდიდა, აჯანყებულ ქართველ მუშებსა და გლეხებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ამოხოცავდნენ. მიუთითებდნენ იმაზეც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ანტანტაც დაესმარებაო. და მაინც, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ძნელია რისამე გადაჭრით თქმა: გულწრფელად იწამა ვ. ი. ლენინმა ამ ინფორმაციის სისწორე თუ მასაც ხელს აძლევდა საქმის ასეთნაირად წარმოდგენა და ამიტომაც თავი აღარ გამოიღო მისი სანდოობის შესამოწმებლად. უკანასკნელი ვარაუდი უფ-

რო საფუძვლიანი ჩანს. აშკარად ირკვევა ისიც, რომ საქართველოს გასაბჭოების საკითხი უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას.

მოვუსმინოთ ლ. დ. ტროცკის, რომელიც მაშინ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და საბჭოთა რუსეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი იყო. ერთობ საინტერესოა მისი აზრი ამ საკითხზე, რომელიც გამოთქმულია საზღვარგარეთ გამოცემულ მის წიგნში — „სტალინი“. ლ. დ. ტროცკი წერს:

„მენშევიკური საქართველო ვერ გაძლებდა. ამას ყველა ხედავდა, მაგრამ გასაბჭოების მომენტისა და მეთოდების ირგვლივ ერთსულოვნება არ იყო. მე ვამბობდი საქართველოში საჭიროა მუშაობის გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი, რათა განვავითაროთ აჯანყება და დასმარება აღმოვეჩინოთ მასმეთქი. მიმაჩნდა, რომ პოლონეთთან დაჯავების და ვრანგელის განადგურებებს შემდეგ საქართველოს მხრე უშუალო საფრთხე არ ვეშუქრება და საქმის დაგვირგვინება შეიძლება გადავდოთ. ორჯონიკიძეს, რომელსაც მხარს უჭერდა სტალინი, დაჩემებუდი ჰქონდა, საქართველოში, სადაც აჯანყება თითქოსდა მომწიფებული იყო, წითელი არმია დაუყოვნებლივ უნდა შეიჭრასო. ლენინი ცენტრალური კომიტეტის ორი წევრის მხარეს იხრებოდა. პოლიტბიუროში საკითხი 1921 წლის 14 თებერვალს გადაწყდა. მე მაშინ ურალში ვიყავი. სამხედრო ინტერვენციამ სავსებით წარმატებულად ჩაიარა და საერთაშორისო გართულება არ გამოუწვევია (ხაზგასმა ჩვენა — ლ. თ.) თუ არ ჩავთვლით ბურჟუაზიული პრესის და მეორე ინტერნაციონალის გაშმაგებულ კამპანიას. მაგრამ საქართველოს გასაბჭოების წესმა მაინც უღიდესი მნიშვნელობა შეიძინა უახლოეს წლებში. იმ რაიონებში, სადაც მშრომელი მასების უმრავლესობა გადატრიალებამდე ასწრებდა ბოლშევიზმზე გადასვლას, მომდევნო სიძნელებს და გაჭირვებას საკუთარ საქმესთან დაკავშირებულ სიძნელებად და გაჭირვებად აღიქვამდნენ. უფრო ჩამორჩენილ (?! — ლ. თ.) რაიონებში კი, სადაც გასაბჭოება არმიის ხელიდან მოდიოდა, პარტიტ, მშრომელ მასებს მომდევნო გაჭირვება გარედან შემოტანილი რევიზის მდღეად მიაჩნდათ. ნაადრევმა გასაბჭოებამ სა-

ქართველოში გარკვეული პერიოდის მანძილზე გააძლიერა მენშევიკები და გამოიწვია ფართო მასობრივი აჯანყება 1924 წელს (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.), — თვითონ სტალინის აღიარებითაც, საქართველო წალმა-უკუღმა უნდა გადახნულიყო.

თავისთავად ქართველი ხალხის თითქმის მთლიანად გლეხური და წვრილბურჟუაზიული შემადგენლობა, რა თქმა უნდა, დიდ სიძნელებებს ქმნიდა. ამას თან ერთვოდა სამხედრო მოულოდნელობის ის წესი, რომლითაც საქართველოს გასაბჭოება მოხდა. ამ პირობებში მმართველ პარტიას მოეთხოვებოდა გარკვევებული სიფრთხილე ქართველთა მასების მიმართ. სწორედ ამან წარმოშვა მწვავე უთანხმოება ლენინსა და სტალინს შორის. ლენინი მოითხოვდა საქართველოში და საერთოდ კავკასიაში მოქნილ, ფრთხილ და მოთმინებითს პოლიტიკას, სტალინს კი მიაჩნდა, რაკი მმართველობის აპარატი ჩვენს ხელთაა, საქმე გაჩარხულიაო. სტალინს აგენტად კავკასიაში ჰყავდა ორჯონიკიძე, ფიცხი და სულსწრაფი კაცი, რომელმაც საქართველო დაამარცხა და რომელსაც ყოველი წინააღმდეგობა პირად შეურაცხყოფად მიაჩნდა.¹

როგორც ვხედავთ, ტროცკი 1921 წლის 25 თებერვლს აქციას სამხედრო ინტერვენციას უწოდებს, თუმცა არ გმობს მას.

საგულისხმოა ისიც, რომ ტროცკის აზრით 1924 წლის აჯანყება საქართველოს ძალდატანებითა გასაბჭოებამ გამოიწვია. ამ აზრს ლ. დ. ტროცკი და მისი ქართველი მიმდევრები ადრეც გამოთქვამდნენ.

ახლა დავიმოწმოთ ერთი ადგილი ფილიპე მახარაძის მიერ 1921 წლის 6 დეკემბერს დაწერილი მოხსენებითი ბარათიდან, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს გადაეცა. იმ დროს ფილიპე მახარაძე საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებული და მოსკოვში გაწვეული იყო. ფილიპე მახარაძე გამოთქვამს რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

¹ Лев Троцкий и Сталин. Том II. Под редакцией Ю. Г. Фельштинского. Chalidge Publications, 1985, с. 48—49.

კავკასიის ბიუროს საქმიანობის შესახებ და სხვათა შორის აღნიშნავს:

„1921 წლის დამდეგს, ე. ი. საქართველოს გასაბჭოების მომენტში, აქ ჩვენი პარტიული ორგანიზაციებმა მდგომარეობა უაღრესად სავალალო იყო... და მოხდა ისე, რომ როცა წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევის მიზნებსა და განზრახვებზე საქართველოში არც ერთმა უჯრედმა კი არა, პარტიას არც ერთმა წევრმაც სრულიად არაფერი არ იცოდა... ამრიგად, გამოვიდა შემდეგი: ჯერ ერთი, საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო, რადგან ამ ქვეყანაში ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს. მეორე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს აღვიღებზე არც ისეთი პარტიული უჯრედები აღმოჩნდა და არც ისეთი პარტიის ცალკეული წევრები, რომელთაც უნარი ექნებოდათ მიაეწყოთ ხელისუფლება, და ცხადია, ამ საქმისათვის მეტწილად ხელი უნდა მოეკიდათ საექვო ან პარდაპირ დანაშაულებრივ ელემენტებს. აი, საღ არის ჩვენი პარველი ცოდვა, აი საღ არის ფესვი ბოროტებისა. აქედან დაიწყო ყველა ჩვენი მარცხი თუ სანახევროდ მარცხი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას მშენებლობის საქმეში. შეიძლებოდა თუ არა ანაზღად მოგვედო ბოლო ყველა ამ შეცდომისა და დეფექტისათვის და სწორი გზი აგველო... უთუოდ შეიძლებოდა, თუ იმთავითვე მოვანერხებდით საქართველოს ცენტრში მტკაცე და ერთიანი ხელისუფლების დამყარებას.

რაც არ უნდა სიძნელეები შეგვხვედროდა, რაც არ უნდა რთული ვითარება ყოფილიყო, ამის მიღწევა შეიძლებოდა. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან რამდენიმე ორგანო გაჩნდა: ერთი მხრივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რევოლუციური კომიტეტი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად იყვნენ ამ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, მეორე მხრივ, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭო და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომლებიც ფაქტობრივად ნამდვილად ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები იყვნენ. ეს უკანასკნელი ორგანოები უმეტესწილად საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური კომიტე-

ტრსათვის შეუტყობინებლად უაპელაციოდ წყვეტდნენ ყველა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხებოდა“.¹

რა შეიძლება ითქვას ამ მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით?

როგორც ვხედავთ, აქ დადასტურებულია, რომ ჯერათი, საქართველოში 1921 წლის თებერვალში არათუ არავითარი აჯანყება არ ყოფილა, არამედ წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის შესახებაც არც ერთმა ადგილობრივ მომუშავე კომუნისტმა არაფერი იცოდა და საერთოდ არც არავინ ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე; მეორე, ფილიპე მახარაძე აღიარებს, რომ საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო; მესამე, თავის თეზისს საქართველოს „გარედან დაპყრობის“ შესახებ ფილიპე მახარაძე იმითაც ასაბუთებს, რომ რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და ნეუტრალმეტე არმიის ხელმძღვანელობა ფაქტობრივად არაფერს ეკითხებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს რევკომს. ყოველივე ეს, ბარათის ავტორის აზრით, კიდევ უფრო აძლიერებდა საქართველოს „გარედან დაპყრობის“ შთაბეჭდილებას და იქცეოდა მომავალ სერიოზულ გართულებათა წანამძღვრად.

ფილიპე მახარაძე საქართველოში 1921 წლის თებერვლის ამბების თვითმხილველი არ არის, რადგან მაშინ მოსკოვში მუშაობდა. საქართველოს რევკომის შემადგენლობაში, რომელიც 1921 წლის 16 თებერვალს შეიქმნა, იგი დაუსწრებლად შეიყვანეს. ამიტომ ზემოციტირებული დებულება, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას რომ ეხება, ცხადია, არ ეყრდნობა თვით ფილიპე მახარაძის, როგორც 1921 წლის თებერვლის ამბების უშუალო მომსწრის შთაბეჭდილებებს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ფილიპე მახარაძეს, როგორც საქართველოს ბოლშევიკების ერთ-ერთ ლიდერს ზუსტი ინფორმაციის დეფიციტი არ ექნებოდა, ალბათ, არც

¹ საქართველოს უახლესი სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ინსტიტუტის არქივი (შემდეგ — სუსპიია), ფ. 2914, აღწ. 2, საქ. 6, ფურც. 1—6.

მოსკოვში ყოფნისას და, მით უმეტეს, საქართველოში დაბრუნების (1921 წლის 6 მარტი) შექმდეგ. ახდენად მის მოსაზრებას ამ საკითხზე (მით უფრო, რომ იგი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების სავალალო მდგომარეობაზე ეხება) მაინც უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სხვათა შორის, ფილიპე მახარაძის ეს მოხსენებითი ბარათი ხელში ჩაუვარდათ მენშევიკებს, რომლებმაც იგი გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ 1922 წლის 24-ე ნომერში გამოაქვეყნეს. ამასთან დაკავშირებით მოხსენებითი ბარათის ავტორს გარკვეული უსიამოვნებაც შეხვდა. იდგა საკითხი მისი პარტიულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მაგრამ, როგორც ჩანს, გამოიჩინა, რომ მას უშუალოდ ბრალი არ მიუძღვის საიდუმლო ინფორმაციის გავრცელებაში და ადვილად გადაარჩა.

ამავე საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო ცნობებს შეიცავს სერგო ორჯონიკიძის მოხსენება, რომელიც მან რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე გააკეთა.

ამ პლენუმზე სერგო ორჯონიკიძეს, როგორც პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელს, თავის მართლება მოუხდა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო, იმის გამო, რომ საქმე აჯანყებამდე მივიდა. სერგო ორჯონიკიძემ მოაგონა პლენუმს, საქართველოში დიდი გავლენა ჰქონდათ და აქვთ მენშევიკებს, რაც კიდევ უფრო ართულებდა მათს წინააღმდეგ ბრძოლასო. თავდაცვის მიზნით სერგო ორჯონიკიძე იძულებულია ჭეშმარიტება აღიაროს. იგი აღნიშნავს: „საქართველოში ჩვენ 1921 წელს შევედით. ჩვენს წინააღმდეგ აღსდგა მენშევიკების მიერ დაშინებული და წაქეზებული თითქმის მთელი მოსახლეობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი გლეხობა და ქართველი მუშები მთელი 20 წლის მანძილზე მენშევიკების პარტიის განუყოფელ გავლენას განიცდიდნენ. ჩვენსა და მენშევიკებს შორის ატეხილი დავა ჯერ კიდევ 1904—05 წწ. მენშევიკთა სასარგებლოდ გადაწყდა (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.), მაშინ,

როცა ამ დროს ჩვენ იქ ათეულები, სულ ბევრი — ასეულები ვიყავით, მენშევიკებს თავიანთ რიგებში პარტიის 15000 წევრი მაინც ჰყავდათ. მაშინ, როცა ჩვენი პარტიის ვერც სტოკჰოლმის, ვერც ლონდონის ყრილობაზე საქართველოდან ვერც ერთი დელეგატის გაგზავნა ვერ მოვახერხეთ, მენშევიკებს თითქმის ორი ათეული დელეგატი ჰყავდათ. ამ დელეგატთა შორის გურიის ორგანიზაციიდან უცვლელად იყვნენ პლენანოვი და აქსელროდი. 1920 წელს მენშევიკთა პარტიის ყრილობაზე, რომელიც ივნისის თვეში გაიმართა, 60 000 წევრი იყო წარმოდგენილი, ქალაქ თბილისსა და თბილისის მაზრაში 12000 მენშევიკი იყო, ჩვენ კი 1921 წელს 500-ზე მეტი არ გვყავდა, ამჟამად კი ლენინური გაწვევის კანდიდატებთან ერთად დაახლოებით 6000 გვყავს, ოზურგეთის მაზრაში (გურიაში) მენშევიკებს 8600 ჰყავდათ, ჩვენ კი 1921 წ. 600—700-ზე მეტი არ გვყავდა, ახლა კი 1200 გვყავს. სენაკის მაზრაში იმათ ჰყავდათ 4000, ჩვენ კი 1921 წელს 600-ზე მეტი არ გვყავდა. ამჟამად კი დაახლოებით 1000 გვყავს. ზუგდიდის მაზრაში იმათ ჰყავდათ 5357, ჩვენ კი 1921 წელს 300—400-ზე მეტი არ გვყავდა, ამჟამად კი 500-მდე გვყავს. სამ მაზრაში — ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებში 1920 წელს მენშევიკებს 18000 წევრი ჰყავდათ, ჩვენ კი 1921 წელს 1600—1700-ზე მეტი არ გვყავდა, ამჟამად კი 2400 გვყავს.

როგორც ხედავთ, ძალთა თანაფარდობა სულაც არ არის ჩვენს სასარგებლოდ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ გურიაში გლეხობა უღარესად შეგნებულია და ყოველი ცოტად თუ ბევრად გავლენიანი და შეგნებული გლეხი რომელიმე პარტიის წევრია — ან მენშევიკია, ან ბოლშევიკია, ანდა კიდევ ესერი. უპარტიო გავლენიან გლეხს გურიაში ძნელად თუ იპოვი. და აი ამ სამნახევარი წლის მანძილზე ჩვენ ვერ მოვახერხეთ გურული გლეხობის გამოსხნა მენშევიკებისაგან, მაშინ როცა საფუძვლიანად და გადაჭრით გამოვისხენით მენშევიკებისაგან თბილისის, ბათუმის, ფოთის და საერთოდ საქართველოს მუშები. და ეს იმისდა მიუხედავად, რომ თბილისის რკინიგზის სახელოსნოები მთელი 20 წლის მანძილზე მენშევიკთა ბატონობის დასაყრდენი იყო. უმთავრესად აქ, ამ სახელოსნოებში ჩამოაყალიბეს მენშევიკებმა

თავიანთი სახალხო გეარდია, რომელიც 1919 წელს აჯანყებულ გლეხებს უსწორდებოდა საქართველოს ბევრ მაზრაში. ისევ ეს მუშები 1921 წელს მასობრივად გამოეხმაურნენ მენშევიკთა მთავრობის მოწოდებას შაშხანით ხელში გამოელაშქრათ ჩვენს წინააღმდეგ, როცა მენშევიკებს შევუტეთ“.¹

ამრიგად, თვით სერგო ორჯონიკიძემაც დაგვიდასტურა, რომ 1921 წელს, როცა წითელი არმია საქართველოში შემოვიდა, მის წინააღმდეგ აღსდგა საქართველოს თითქმის მთელი მოსახლეობა. საგულისხმოა სერგო ორჯონიკიძის ის აღიარებაც, რომ საქართველოში მუშები 1919 წელსა და 1921 წლის თებერვალში იარაღით იცავდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

კიდევ ერთი დოკუმენტი. 1924 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბ. ლომინაძე წერდა: „ჩვენს რევოლუციას [19] 21 წელს საქმის დაწყება იმით მოუხდა, რომ საქართველო წითელი არმიის ხიშტებით დაიპყრო, წითელი არმიისა, რომელიც ქართველმა პატრიოტებმა გარეშე, უცხო ძალად მიიჩნიეს. თვით საბჭოთა რევოლუციას რუსის ჯარის მხრივ საქართველოს ოკუპაციად წარმოგვიდგენდნენ. სწორედ ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ თითქმის 2 წლის მანძილზე მენშევიკთა პარტია, უმთავრესად, საქართველოს ფართო, არა მარტო მესაყუთრე წრეების, არამედ მშრომელთა მასების შელახული ეროვნული გრძნობის ხარჯზე არსებობდა.“²

როგორც ვხედავთ, ბოლშევიკური პარტიის ლიდერები თვით ადასტურებენ, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელთა არავითარი აჯანყება არ ყოფილა და რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მხოლოდ წითელი არმიის მეშვეობით დამყარდა. ამასთან ეს მოღვაწეები თავიანთ აზრს გამოთქვამენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფორმაზე. ი. ბ. სტალინი მას ოკუპაციას უწოდებს, ლ. დ. ტროცკი — სამხედრო ინტერვენციას; ფ. ე. მაზარაძე ოდნავ არბილებს

¹ მლი ცბა, ფ. 17, აღწ. 2, საქ. 154.

² Материалы к политическому отчету ЦК КПГ в III съезду КПГ. Тифлис, 1924, с. 7.

მდგომარეობას და აღნიშნავს, საქართველოში წითელი ჯარაპ შემოსვლამ და საბჭოთა სელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყროვის ხასიათი მიიღო. გ. კორჯონიძის მიერ დაბატულ ფაქტობრივ მდგომარეობას კერთი ტერმინიც მიესადაგება, მეორეც და შესამეც. ბ. ბლომინამ წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის ფაქტი არ დამალა, თუმცა თავისებურად ახსნა იგი.

ამრიგად, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის ამსახველი ფაქტობრივი მასალის ანალიზი მოწმობს, რომ წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო და ქართველი ხალხის უმრავლესობის სურვილის საწინააღმდეგოდ ძალით გაასაბჭოა იგი. ეს დასტურდება ზოგიერთი ბოლშევიკ-ლიდერის აღიარებითაც.

7. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, რასაც ფაქტობრივად ანექსია მოჰყვება

წითელი არმიის მიერ ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს გასაბჭოების აუცილებლობა სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული. გეოგრაფიული მდებარეობა, წიაღისეული, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და ეკონომიკური გზები გადამწყვეტ მნიშვნელობა ანიჭებდნენ კავკასიას სოციალისტური რევოლუციისა და მისი შედროშის — საბჭოთა რუსეთის საშინაო თუ საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის. საქართველო ძალდატანებითი გასაბჭოება აუცილებლად იქნა ძინებული ინტრობაც, რომ ანტაგატს რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად აო გამოეყენებინა იგი. „მართალია ჩვენ ზიანი მივაყუყუტ საქართველოს, მაგრამ უნდა გამოსწორდეს უსათუოდ (რეულიახმება წითელი არმიის ძალებით საქართველოს გასაბჭოება და შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა — ლ. თ.). ჩვენ ვებრძოდით ანტანტის იმპერიალიზმს, რომელიც საქართველოს უკან იყო. ზიანის მიყენება მოხდა ჩვენსა და უნებურად“ — უთქვამს ი. ბ. სტალინს ქართველ სენ-შევიკთა დელეგაციასთან შეხვედრისას 1925 წელს.¹ რო-

¹ სუსპიია, ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 1, საქ. 210, ფურც. 57—58.

გორც ზემოთ ვნახეთ, საქართველოს გასაბჭოების აუცილებლობის დასასაბუთებლად საბჭოთა ლიდერები ანტანტის „კოზირს“ ადრეც იშველიებდნენ. აქ მცირე როლს როდი ასრულებდა აგრეთვე საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ურთიერთდამოკიდებულება, რაც გარკვეულწილად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედზეც მოქმედებდა.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო ისიც, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, როგორც წესი, კლასობრივი პოზიციებიდან უდგებოდნენ და აქედან გამომდინარე, წითელი არმიის მიერ საქართველოს გასაბჭოებას რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდად, განმათავისუფლებელი მისიის შესრულებად და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გზაზე გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევდნენ. მსოფლიო რევოლუციას კი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დღე-დღეზე ელოდებოდნენ. შეიქმნა სპეციალური ორგანო — მესამე ინტერნაციონალი, რომელსაც ზორცი უნდა შეესხა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეისათვის. იხარჯებოდა სახსრებიც, რაც, ცხადია, საბჭოთა რუსეთს უნდა გაეღო. მაგალითად, დღეს პრესაშიც არის დადასტურებული, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად მიღებული პირველი ოქრო გადაეცა კარლ რადეკს, რომელიც გერმანიაში გაიგზავნა რევოლუციის მოსამზადებლად¹. ბოლშევიკებში გაბატონებული იყო აზრი, რომ იმპერიალიზმმა მოჭამა დრო, იგი ჩიხში მოექცა და მზად არის გზა დაუთმოს სოციალიზმს, რომ საბჭოთა რუსეთს წილად ხვდა ისტორიული მისია — იყოს სხვა ხალხთა მხსნელი². ამიტომ რა ვასაკვირია, რომ მ. ნ. ტუხაჩევსკიმ, რომელიც პოლონეთთან ომის დროს ერთ-ერთ არმიას ხელმძღვანელობდა, 1920 წლის ივლისში ხელი მოაწერა ბრძანებას, სადაც ნათქვამი იყო: „ჩვენ ხიშტებით მივუტანთ ბედნიერებასა და მშვიდობას მშრომელ კაცობრიობას. წინ, დასავლეთისაკენ!“³.

წითელი არმიის მეშვეობით მსოფლიო პროლეტარული

¹ იხ. «Наука и жизнь», 1989, № 7, გვ. 46.

² იქვე, გვ. 47.

³ Журн. «Международная жизнь», 1989, № 8, გვ. 130.

რევოლუციის განხორციელების იდეას ბევრი ბოლშევიკი ლიდერი იზიარებდა. კომინტერნის IV კონგრესზე 1922 წლის 18 ნოემბერს, მაგალითად, ნ. ი. ბუხარინი ამბობდა:

„ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ კიდევ ერთ ტაქტიკურ საკითხზე. ესაა წითელი ინტერვენციის უფლების საკითხი. ეს საკითხი ყველა კომუნისტური პარტიის სასინჯი ქვაა, ყველგან გაჰყვირიან წითელი მილიტარიზმის შესახებ. ჩვენ პროგრამაში უნდა დავამკვიდროთ, რომ თითოეულ პროლეტარულ სახელმწიფოს აქვს წითელი ინტერვენციის უფლება (რადეკი ადგილიდან: „შენ პოლკის შეფი ხარ, და ამიტომ ამბობ ასე“) (სიცილი). „კომუნისტურ მანიფესტში“ ნათქვამია, რომ პროლეტარიატმა უნდა დაიპყროს მთელი მსოფლიო, მაგრამ ამას თითის დაქნევით ხომ ვერ გააკეთებ (სიცილი). აქ საჭიროა ხიშტები და შაშხანები. დიახ, წითელი არმიის გავრცელება სოციალიზმის, პროლეტარიატის ძალაუფლების, რევოლუციის გავრცელებაა. ამას ემყარება წითელი ინტერვენციის უფლება იმ პირობებით, როცა იგი მხოლოდ წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით აიძლებს სოციალიზმის განხორციელებას“¹.

მსოფლიო რევოლუციის კონცეფცია, მისი ექსტრემალური გაგებით (ლ. დ. ტროცკი) არ ცნობდა არც სუვერენიტეტის ბურჟუაზიულ პრინციპს, არც ბურჟუაზიულ ხელშეკრულებებს, არც დიპლომატიას, როგორც ასეთს. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად რომ დანიშნეს, სახალხო კომისარიატის თანამშრომლებთან პირველსავე შეხვედრისას ლ. დ. ტროცკიმ განაცხადა, მსოფლიო რევოლუციას არანაირი დიპლომატია, არც ბურჟუაზიული, არც პროლეტარული, არ სჭირდება, რადგან მსოფლიოს მშრომლები საერთო ენას უამისოდაც გამოიხატავენ².

როგორც ვხედავთ, ბევრ იმდროინდელ საბჭოთა ლიდერს თავისებური წარმოდგენა ჰქონდა დიპლომატიაზე, პროლეტარული სახელმწიფოს არმიის უფლებებზე და ა. შ. მემარცხენე რევოლუციური ლოზუნგებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თავისებურად გაგებუ-

¹ Бюллетень IV конгресса коммунистического интернационала, № 14—15. М., 23 ноября 1922 года, стр. 12.

² см. «Международная жизнь», 1929, № 8, стр. 130.

ლი იდეებისადმი ერთგულებას ზოგიერთი მათგანი ფაქტობრივად იქამდეც კი მიჰყავდა, რომ ოფიციალურად აცხადებდა, წითელ არმიას უფლება აქვს უგულებელყოს საერთაშორისო ურთიერთობის ნორმები, სხვა ქვეყანაც დაიპყროს და ყოველივე ამას ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდის მოტივით გავამართლებთო. ე. ი. ფაქტობრივად ისინი, წითელ არმიას უფლებამოსილად მიიჩნევდნენ სხვა ქვეყანაში, პოლიტიკური წყობილებას 'მეცვლის მიზნით გამოუყენებინა ინტერვენციისა („წითელი ინტერვენციის“) და ოკუპაციის მეთოდებიც. აქ გადასწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კლასობრივ პოზიციებს, მოვლენათა კლასობრივი თვალთახედვით განსჯას, რევოლუციურ მესიანობას, რაც იმ წარმოდგენებს ემყარებოდა, რომ პროლეტარული სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო აქციებს სიკეთე მოაქვს არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ „საერთაშორისო პროლეტარიატისა“ და „მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.“ ხოლო თუ რა იყო სიკეთე, ბოროტება, პროგრესული, რეაქციული და ა. შ. ამას თვით საბჭოთა სახელმწიფო განსაზღვრავდა.

ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა სახელმწიფოზე, რომელიც ზოგჯერ ოკუპანტის როლშიც გამოდიოდა, ლაპარაკი იყო საერთაშორისო სამართლის პირველ საბჭოთა სახელმძღვანელოში, სადაც ვკითხულობთ:

„თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ომის სპეციალურად კლასობრივ ხასიათს, არ შეიძლება არამართლზომიერად შევაფასოთ ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლებაც, რომელიც გამოდის როგორც ოკუპანტი, (ხაზგასმა ჩვენი — ლ. თ.), სრულიადაც არ თვლის თავს ვალდებულიად დაიცვას ექსპლუატაციის ხელშეუხებლობა და კაპიტალიზმის ურყეობა დაკავებული ტერიტორიის ფარგლებში.“¹

ეს 1926 წელს ითქვა. 1989 წელს კი საბჭოთა მეცნიერი ე. პოზდნიაკოვი, რომელიც ობიექტურად აფასებს საბჭოთა რუსეთის 20-იანი წლების საგარეო პოლიტიკას, აღნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციის პირველი წლების რევო-

¹ В. А. Коровин, Современное международное публичное право. М.-Л., 1926, стр. 158.

ლუციურმა მესიანობამ ტრანსფორმაცია განიცადა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში იგი სახელმწიფოებრივ მესიანობად იქცა (პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — დერჟავულ ინტერნაციონალიზმად). ეს „ფორშით თუ არა, თავისი აოსით რუსეთის თვითმპყრობელების მესიანობას ჰგავდა, რომლებიც იმპერიის ინტერესებისათვის მარჯვედ იყენებდნენ იმ რუსი ადამიანების ინტერნაციონალურ გრძნობებს, მზად რომ იყვნენ თავი გაეწირათ „თავი-ათი მეგობრებისათვის“.

ამავე ავტორის აზრით, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის „მესიანობაში“ შედუღებული იყო მესიანობის ორი ტიპი — რევოლუციური (ყოველ „მემთხვევაში თავისი ფრაზეოლოგიით) და დიდმპყრობელური (დერჟავული). აასთან ინტერნაციონალიზმის რევოლუციურ იდეებს სწორად იყენებდნენ სახელმწიფოებრივი (დერჟავული) ინტერესების იდეურ დასაბუთებად, ან კიდევ ეს იდეები წარმოადგენდნენ მხოლოდ შირმას სახელმწიფოებრივი თუ დერჟავული ინტერესების დასაფარავად.

მაგრამ „მემარცხენე რევოლუციური ლოზუნგების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების იაეთი უშუალო განოხატულება, როგორცაა, მაგალითად, სწრაფვა — წითელმა არმიამ ბიშტებით მოეტახოს გაითავისუფლება ხარომელებს, სულ უფრო ეწინააღმდეგებოდა გარემოსცველ სინამდვილეს“¹ — აღნიშნავს ე. პოზდნიაკოვი.

მთელი სირთულე იმაში იყო, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესების რევოლუციური ფრაზით დაფარვა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს „იდეოლოგიურ ფარდად“ გამოყენება ზოგჯერ უძნელდება ადამიანებს მოკლენის არსში გარკვევას. „უბედურება ის არის, რომ ბევრს გულწრფელად სწამდა (და ასლაც სწამს) ჩვენი ბევრი სახელმწიფო აქციის ინტერნაციონალური არსი.“²

ყოველივე ეს თავისუფლად შეიძლება მავუსადაგოთ საბ-

¹ «Международная жизнь», 1989, № 5, გვ. 8, 9—10). ე. კოროვინისა და ე. პოზდნიაკოვის ნაშრომებში განვითარებულ დებულებებზე ყურადღება გავვაძახილებინეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებმა ლ. ნ. მატარაძემ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ა. ილეჰსიძემ.

² «Международная жизнь», 1989, № 5, გვ. 10.

ჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას. საქმე ისაა, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დუალიზმმა ამ ურთიერთობაშიც იჩინა თავი. ფაქტია, რომ, ერთი მხრივ, საბჭოთა მთავრობამ მიიღო უაღრესად პროგრესული, დემოკრატიული საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც უდიდესი როლი უნდა შეესრულებინათ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები არარუსი ხალხების ეროვნულ თვითგამორკვევაში. ამ აქტებმა მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე მოახდინეს გავლენა. მათში ახლებურად იყო ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებიც. რაოდენ მნიშვნელოვანია თუნდაც მართო ის, რომ „ზავის შესახებ“ ლენინურ დეკრეტში ანექსიის ცნება ასეა განსაზღვრული: „ანექსია ანუ სხვისი მიწა-წყლის დაპყრობა მთავრობას ესმის საერთოდ დემოკრატიის და განსაკუთრებით მშრომელი კლასების უფლებრივი შეგნების თანახმად როგორც მცირე ან სუსტი ეროვნების ყოველი შეერთება დიდი ან ძლიერი სახელმწიფოსადმი ამ ეროვნების ზუსტად, ნათლად და ნებაყოფლობით გამოთქმული თანხმობისა და სურვილის გარეშე, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის მოხდა ეს ძალდატანებითი შეერთება, აგრეთვე იმის დამოუკიდებლად, თუ რამდენად განვითარებული თუ ჩამორჩენილია ის ერი, რომელსაც ძალდატანებით უერთებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს ან ძალდატანებით აკაევენ მის საზღვრებში. ბოლოს, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ცხოვრობს ეს ერი — ევროპაში თუ შორეულ ოკეანესიქეთა ქვეყნებში.

თუ რომელიმე ერს ძალდატანებით აკაევენ ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში, თუ მას, მიუხედავად მის მიერ გამოთქმული სურვილისა — სულ ერთია, ეს სურვილი გამოთქმულია პრესაში, სახალხო კრებებზე, პარტიათა გადაწყვეტილებებში თუ აღმფოთებით და აჯანყებებით ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ — არ ენიჭება უფლება თავისუფალი კენჭისყრით, შემმოერთებელი ან საერთოდ უფრო ძლიერი ერის ჯარის სრული გაყვანის პირობებში, სრულიად ძალდაუტანებლად გადაწყვიტოს ამ ერის სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმების საკითხი, მისი შემოერ-

თება წარმოადგენს ანექსიას, ე. ი. დაპყრობას და ძალმომრეობას.“¹

ასეთი დეკრეტით, ანექსიის ასეთი მკაცრი დაგმობის შემცველი აქტით ნებისმიერი დემოკრატიული და ჰუმანური სახელმწიფო იამაყებდა. მან მართლაც შეიტანა თავისი წვლილი საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების განვითარებაში.

მაგრამ, მეორე მხრივ, რევოლუციური მესიანობის ერთგული საბჭოთა მთავრობა, რომელიც დარწმუნებული იყო მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გარდუვალობასა და იმავით, რომ ეს რევოლუცია ბედნიერებას მოუტანდა საერთაშორისო პროლეტარიატს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას, თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ზოგჯერ იძულებული ხდებოდა უგულვებლყო მის მიერვე ოფიციალურად გამოცხადებული ცალკეული საგარეო პოლიტიკური აქტები, შეელახა ერთა თვითგამორკვევის უფლება. გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც: ოქტომბრის რევოლუციის შედეგად რუსეთისაგან ზოგიერთი მხარის ჩამოშორებას, ბუნებრივია, მტრულად შეხვდნენ ძალაუფლებას მოკლებული პოლიტიკური პარტიები. ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის აღდგენისაკენ მოუწოდებდნენ რუს ხალხს, რომლის გარკვეული ნაწილი თანაუგრძობდა კიდევ ამ ლოზუნგს. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ თვით საბჭოთა მთავრობაც რუსეთის „დაქუცმაცების“ წინააღმდეგ გამოდიოდა.

ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობაში ზოგჯერ მართლაც იყენებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს სახელმწიფოებრივი ინტერესების „იდეოლოგიურ საფარველად.“

XI არმიის სარდლობაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მის რიგით შემადგენლობას, ზოგიერთ ოფიცერსაც კი, ალბათ გულწრფელად სწამდა, რომ საქართველოში 1921 წელს განხორციელებული აქციით წითელმა არმიამ თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა მოიხადა საქართველოს

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 26, გვ. 288.

მშრომელების წინაშე. დავიმოწმეთ ერთი ადგილს გენერალს
გ. ი. კვინიტაძის დასახელებული წიგნიდან:

„17-ში სალამოს (იგულესხმება 1921 წლის 17 მარტი. —
ლ. თ.) ჩამოხსენებული იქნებოდა, რომ მომახსენეს, მე-11
არმიის პოლიტიკური კომისარი მოვიდაო პოლკოვნიკ
თულაევის თანხლებით. შემოიყვანეს. არასდროს დამავიწყ-
დება ამ ჩია ტანის, გალუული პოლიტკომისრის გარეგნო-
ბა: ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა და თავზე ციმბირული შავი
გრძელბეწვიანი ბოხოხი ეხურა... ერთობ კომიკურ შთაბეჭ-
დილებას ტოვებდა, რაც განსაკუთრებით რელიეფურად მო-
ჩანდა იმ მედიდურობის ფონზე, რომლითაც ლაპარაკობდა
იგი მიმდინარე მოვლენებზე. „მართალია, მთავრობა მი-
დისო?“ — იკითხა მან. — „მერედა რატომ? ჟორდანიას და
გეგეკორს შეუძლიათ დარჩენენ, ჩვენ მოვრიგდებით. რაც
შეეხება რამიშვილს, თავის საგანგებო რაზმიანად გაეცალას
აქაურობას; დანარჩენებს შეუძლიათ დარჩენენ. თურქებს
სურთ ბათუმი დაიკავონ, — განაგრძო მან, — ჩვენ არ და-
ვანებებთ. თუ ძალით მოგვიდომეს წართმევა, ვანანებთ;
ანტანტასაც ვუჩვენებთ სიერს. ასე აღრე იმიტომ ჩამოვედი,
რომ ხვალვე გამოვეცე გაზეთი“, — თქვა მან. — „ზავი ხომ
უკვე დადებულა“. კომიკური შესახედაობის მიუხედავად,
უაღრესად საინტერესო ტიპი იყო. გავგზავნე ოფიცერი, რა-
თა ეკითხა მთავრობისათვის, ისურვებდა თუ არა ამ კომის-
რის მიღებას, თან დავაბარე, არ ინანებთ, ძალზე საინტე-
რესო სანახავია-მეთქი.

თანაშობა შივილე და მთავრობის თავმჯდომარის ვაგო-
ნისაკენ გავუძეხი. შევედო თუ არა, იქ მყოფთ გადავხედე,
მინტერესებდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა. ძლივს
იკავებდნენ თავს, რომ არ გასცინებოდნენ. მივხვდი, რომ
ეფექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დაიწყო სა-
უბარი. კომისარი კვლავ კომიკური მედიდურობით უპასუ-
ხებდა. კარგად მახსოვს, ჰკითხეს, რატომ დაესხითო თავს
საქართველოს. მან კითხვის დამთავრება არ აცალა და თქვა:
„დიახ, რა თქმა უნდა, თქვენ იტყვი, რატომ დავესხით თავს
საცოდავ, პატარა სოციალისტურ საქართველოს ჩვენ, სო-
ციალისტები; ვიცით, ამხანაგო, რომ იტყვი: მაგრამ
თქვენში მოხდა გლენთა და მუშათა აჯან-

ყება და მათ ჩვენ გვთხოვენ დახმარება“ (ხაზგასმა ჩვენია. — ლ. თ.). შემდეგ ე. პ. გეგეჭკორმა კომისარი თავის ვაგონში შეიპატიჟა: „წამობრძანდით, ამხანაგო, დაღლილი იქნებით, ალბათ გეძინებათ“, — უთხრა და წაიყვანა.“¹

შეიძლებოდა თუ არა მოვლენები სხვანაირად წარმართულიყო? ვალიაროთ, რომ ეს გარკვეულწილად მარჩიელობის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ, ალბათ ალტერნატივის გამოორიცხვაც არ იქნებოდა სწორი. ჯერ ერთი, საბჭოთა რუსეთს თავისუფლად შეეძლო შერიგებოდა (დროებით მაინც) ამიერკავკასიის ერთ-ერთი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. არ იყო გამოორიცხული, რომ ქართველი ხალხი თავისი ნებით და ძალებით დაამყარებდა საბჭოთა ხელისუფლებას თუკი უკვე არსებული საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნული, პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური განვითარების გამოცდილება საბოლოოდ დაარწმუნებდა მას საბჭოთა წყობილების უპირატესობაში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრული, სახელშეკრულებო ურთიერთობის ასე გაუმართლებლად შეწყვეტამ შელახა საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტი მსოფლიოს ხალხების თვალში. არც ის არის გასაკვირი, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დიდი სურვილის მიუხედავად ათეული წლების მანძილზე ვერ შეძლო გამოენახა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების რაიმე საფუძვლიანი, დამაჯერებელი გამართლება.

მეორე, რაკილა მაინც გადაწყდა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება, ამ აქციის განმხორციელებლებს მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინათ სისხლისღვრის თავიდან აცილების ყოველგვარი შესაძლებლობა. ძნელია იმის თქმა, თუ პრაქტიკულად როგორ განხორციელდებოდა ეს, მაგრამ, ალბათ, არ იყო გამოორიცხული, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თვითონ აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ოღონდ თავიდან აეცილებინა საქართველოში წითელი არმიის შემოსვლა. ცნობილია, რომ

¹ Г. И. Квини та д з е. Мои воспоминания в годы независимости Грузии. 1917—1921. პარიზი, 1985, გვ. 339 (ციტირებული ნაწყვეტის თარგმანი არჩილ მანჯგალაძისა).

ასეთი შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებული იყვნენ საბჭოთა რუსეთის სათანადო ორგანოები. ეს დადასტურებულა ვ. ი. ლენინის ცნობილ წერილშიც, რომელიც 1921 წლის 2 მარტს გაეგზავნა გ. კ. ორჯონიკიძეს. ეს წერილი სხვა მხრეა-ცაა საინტერესო, ამიტომ მთლიანად დავიმოწმებთ მას: „1921 წ. 2. III. ბაქო. ორჯონიკიძეს. გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით ვთხოვ მათ მაცნობონ — არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა სამ საკითხში:

პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევიაარალოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე არმია.

მეორე: აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ არათუ აზრი არა აქვს ამ წვრილი ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლიც კი გავილოთ, ოღონდ გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა და დავუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა.

მესამე: უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კონპრომისი ბლოკისათვის ყორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული. გთხოვთ პასუხს. ლენინი.„¹ წერილზე ვ. ი. ლენინის ასეთი მინაწერია: „ს ტ ა ლ ი ნ ს.

1 ვ. ი. ლენინი. თხ. ტ. 32, გვ. 189-190.

გთხოვთ გაგზავნოთ, ხოლო თუ რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, მომელაპარაკოთ ტელეფონით. ლენინი“.¹

ნ. ნ. ჟორდანიასთან ბლოკის აუცილებლობაზე ვ. ი. ლენინი ადრეც მიუთითებდა. ჯერ კიდევ 1918 წლის 24 მაისს ვ. ი. ლენინი ს. გ. შაუმიანს სწერდა: „ბაქოს მდგომარეობა ძნელია საერთაშორისო თვალსაზრისით. ამიტომ გირჩევთ სკადრით ბლოკი ჟორდანიასთან. თუ შეუძლებელია, სპორტო-ლავირობა და გადაწყვეტილების გაქვიანება, სანამ არ განმტკიცდებით სამხედრო თვალსაზრისით. სალი გათვალისწინება და დიპლომატია გაქვიანებისათვის — გახსოვდეთ ეს“².

ლოკუმენტები მოწმობენ, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავშიურთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მოსინჯეს ნიადაგი გამოენახათ „მისაღები კომპრომისი ჟორდანიასთან ბლოკისათვის“ (ძნელია თქმა, რამდენად გულწრფელად).

გ. კ. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინის 1921 წლის 2 მარტის წერილის გაცნობისთანავე აუწყა მოსკოვს, რომ საქართველოს კომუნისტები ერთსულოვნად ეთანხმებიან ვ. ი. ლენინის მითითებებს. ვ. ი. ლენინის აღნიშნული წერილი იმავე დღეს, 2 მარტს, პირდაპირი მავთულით გადაეცა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს, პირადად შ. ზ. ელიავას. „ორჯონიკიძემ გთხოვათ, — ატყობინებდა ორჯონიკიძის თანაშემწე მირზაბეგიანი ელიავას, — ლენინის წერილში აღძრული საკითხი განიხილოთ ამხ. ორახელაშვილთან ერთად აქვე, პირდაპირ მავთულთანავე და პასუხი მოგვცეთ აქლავე, სანამ ცეკაში იმსჯელებდეთ მასზე, რადგან მოსკოვი დღესვე ელოდება პასუხს“³.

შ. ზ. ელიავა და მ. დ. ორახელაშვილი აღნიშნავდნენ, რომ ვ. ი. ლენინის მითითებათა გათვალისწინებით საქართველოს კომუნისტები შეძლებენ თავი დააღწიონ შეცდომებს. „ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამხ. ლენინს, — განაცხადეს მათ, — და ვადატურებთ ამხ. ორჯონიკიძის აზრს,

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 189.

² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 41, გვ. 57.

³ მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 247, ფურც. 1.

რომ ჩვენს რაზმებში მეფობს ერთსულოვნება წამოყენებულ კითხვებში... დამოუკიდებელ და თავისუფალ საბჭოთა საქართველოში მისი თავისებური სოციალური სტრუქტურისა და კლასთა ურთიერთობით, ჩვენ სრულიად უარყოფთ შაბლონებს და პირველი დღიდანვე თბილისში შემოსვლისა დავადექით თავისებურ ტაქტიკას, რომელსაც ახლა გვირჩევენ ამხ. ლენინი“¹. შ. ზ. ელიავამ და მ. დ. ორახელაშვილმა აღუთქვეს ვ. ი. ლენინს, რომ ისინი სამშვიდობო მოლაპარაკებას გამართავდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან; აცნობეს ისიც, რომ რევოლუციურმა კომიტეტმა გამოაცხადა ამინისტია, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან მოსალაპარაკებლად რევოლუციური კომიტეტის თანხმობით გაიგზავნა ქართველი ინტელიგენციის დელეგაცია. „შედეგი ჯერ არ ვიცით, — აღნიშნავდნენ ისინი, — მაგრამ ყოველ შემთხვევაში უაზრო ჭიუტობას ჩვენ არ შევწირავთ ცხოველ ინტერესებს მშრომელი მასებისა, რომლებიც იტანჯებიან ომის გაგრძელებით.“²

დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, საქართველოში რომ 1921 წელს შეიქმნა, აუცილებელი გახდა გადამწყვეტი ზომების მიღება ქართველ მოსახლეობასთან წითელი არმიის ურთიერთობის ნორმალიზებისათვის. ამის აუცილებელ პირობად შ. ზ. ელიავას და მ. დ. ორახელაშვილს მიანიშნდათ არმიის ორგანოების „სრული ჩაურევლობა“ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის საქმიანობაში.

მკითხველს ახსოვს ფ. ე. მახარაძის 1921 წლის 6 დეკემბრის წერილი, რომელშიც აგრეთვე დადასტურებულია, რომ გასაბჭოების დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რევოლუციური კომიტეტი, მხოლოდ ნომინალურად იყვნენ საქართველოს უმაღლესი ორგანოები, მთელი ძალაუფლება კი ფაქტობრივად რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავშიუროს, სრულიად რუსეთის ცენტრალურ პროფსაბჭოსა და მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს ხელში იყო³.

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 8 მარტი.

² პლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 246, ფურც. 1—5.

³ სუსპიია, ფ. 2914, აღწ. 2, საქ. 6, ფურც. 1—6.

ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით შ. ზ. ელიავა და მ. დ. ორახელაშვილი ვ. ი. ლენინს აცნობებდნენ: „ჩვენს მიერ მიღებული ზომების გარდა აუცილებელია მოსკოვიდან დაუყოვნებლივ დაუდასტურონ არმიის განსაკუთრებულ განყოფილებას და სხვა დაწესებულებებს, რომ მთლიანად დაემორჩილონ რევკომს და სრული პატივისცემით მოეკიდონ სუვერენულ ორგანოებს: ვეცდებით შევუთანხმდეთ უორდანის და სხვა ქართველ მენშევიკებს და ჩვენი ტაქტიკით საქმეს არ გავაფუჭებთ“¹.

და აი, 1921 წლის 10 მარტს მე-11 არმიის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ მიიღო ვ. ი. ლენინის შემდეგი დეპეშა: „იმის გამო, რომ მეთერთმეტე არმიის ჯარების ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. წინადადება გედღევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, საქართველოს რევკომთან შევთანხმებლად არ მიიღოთ არავითარი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდოთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ მიეცით სათანადო დირექტივა არმიის ყველა დაწესებულებას, მათ შორის განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისგებაში მიეცით ყველა, ვინც ამ დირექტივას არღვევს. გვაცნობეთ ხოლმე დარღვევის ყოველი შემთხვევის ან ადგილობრივ მოსახლეობასთან თუნდაც უმცირესი უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ“².

მოსალოდნელი პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას ისახავდა მიზნად ისიც, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის 17 თებერვალს ი. ბ. სტალინი, როცა საქართველოს რევკომის წევრთა სიას გაეცნო, გ. კ. ორჯონიკიძეს ურჩევდა: „...საჭირო იყო რამდენიმე ადგილის დატოვება ფედერალისტებისა და მემარცხენე მენშევიკებისათვის“³.

1921 წლის 12 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენ-

¹ მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 246, ფურც. 1—5.

² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35, გვ. 506.

³ მლი ცპა, ფ. 558, საქ. 2055, ფურც. 1.

ტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ თუ მენშევიკური და სხვა პოლიტიკური პარტიები ოფიციალურად აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მათი წარმომადგენლები შეიყვანონ რევოლუციური კომიტეტის — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს შემადგენლობაში¹. ძველი ბოლშევიკი ს. ი. ქავთარაძე გვიდასტურებს, რომ საბჭოთა მთავრობის დაეალებით მან პირადად შესთავაზა ნ. ნ. ჟორდანიას დარჩენილიყო საქართველოში².

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ვ. ი. ლენინის 1921 წლის 2 მარტის წერილში მოცემული დირექტივები ბოლომდე არ განხორციელებულა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ იმის გამო, რომ სისხლისღვრა უკვე მოხდა, უარი თქვა ბოლშევიკებთან რაიმე შეთანხმებაზე. ამან კიდევ უფრო დაძაბა პოლიტიკური ვითარება საქართველოში³.

თუმცა ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე საქართველოს სსრ რევკომი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მაინც შეთანხმდნენ. საქმე ისაა, რომ 1921 წლის 17-18 მარტს ქ. ქუთაისში გაიმართა საქართველოს ამ ორი მთავრობის მოლაპარაკება, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს რევკომის რწმუნებულმა მამია ორახელაშვილმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ. მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით. მასში მონაწილეობდა აგრეთვე საბჭოთა რუსეთის მეორე წარმომადგენელი ალექსანდრე სვანიძე.

მხარეები შეთანხმდნენ: 1. მოხდეს დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია საომარი მოქმედებისა, 2. დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციური კომი-

¹ იხ. სუსპიია, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 4.

² შდრ: „მნათობი“, 1966, № 4, გვ. 18.

³ გასაბჭოებული საქართველოს ალტერნატიული განვითარების შესახებ საინტერესო აზრები აქვს გამოთქმული პროფ. გოგი ციციშვილს (იხ. „სახალხო განათლება“, 1989 წლის 15 მარტი).

ტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შევიდეს ბათუმის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრის შემოსევისაგან... 3. არაუგვიანეს ვიდრე 15 მარტისა თანრთვით ქ. ბათომსა, მის რაიონსა და რკინის გზის ლიანდაგზე საჯავახოდან ვიდრე ბათომამდე და საერთოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ამ უქანასკნელის ადმინისტრაცია და ხელისუფლება; 4. რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარები შედიან ბათუმის ოლქში, როგორც მეგობრულად განწყობილი ძალა დემოკრატიული მთავრობის და მის მხედრობისადმი...“¹

იქვე გადაწყდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც უკვე ბათუმში იმყოფებოდა, სპეციალურად გამოგზავნიდა ცარიელ ვაგონებს, რომ რკინიგზით დაჩქარებულიყო წითელი არმიის ნაწილების შეყვანა ბათუმში. ეს აუცილებელი იყო თურქი ასკერებისაგან ბათუმის განთავისუფლების დასაჩქარებლად. თურქეთის ჯარის ნაწილები ბათუმში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით შემოვიდნენ, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ თვით დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადამწყვეტი ზომები თურქეთის ჯარისაგან ბათუმის გასათავისუფლებლად. ამ საკითხის ბოლომდე გარკვევა, რაც ცალკე საუბრის საგანია, შეუძლებელია საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის იმ დროს დადებული ხელშეკრულების გაუთვალისწინებლად. იგი, როგორც ცნობილია, ბათუმის ბედსაც ეხებოდა.

ამ პრობლემას გაკვირთ ვ. ი. ლენინიც შეეხო. პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე (1921 წლის 11 აპრილი), რომელზეც კონცესიების საკითხი განიხილეს, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა: „ერთი ცნობით საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ადრე დადო კონცესია, რომელიც საერთოდ ჩვენთვის მისაღებია. წინასწარ მე მხოლოდ ის შევძელი, რომ დაუკავშირდი ქართველ ამხანაგებს და ვესაუბრე ამხ. ენუქიძეს, სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს, თვითონაც ქართველს, რომელიც იქ იყო და სა-

¹ სუიესა, ფ. 281, საქ. 168, გვ. 12.

ქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დადო ერთი, მართალია, არასაკონცესიო ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ ისინი ჩვენ წინააღმდეგობის გაუწევლად გვაძლევენ საქართველოს 1/6 ნაწილს და ინარჩუნებენ ხელშეუხებლობის გარანტიას.

ამხ. ენუქიძის მონაწილეობით ხელმოწერილ ამ ხელშეკრულების შემდეგ მათ მაინც ამჯობინეს, მიუხედავად ხელშეუხებლობის გარანტიისა, თვითონ ბათუმიდან კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყვნენ, ასე რომ დადებითი მოვიგეთ და უარყოფითიც — ისიც, რომ შვეიციაში ტერიტორია — არა რუსეთისათვის, არამედ საბჭოთა საქართველოსათვის — ბათუმი და მისი მიდამოები, და ისიც, რომ დაეკარგეთ კონსტანტინოპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არცთუ მცირე რაოდენობისა.¹ ამავე გამოსვლაში ვ. ი. ლენინმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას „საბჭოთა გადატრიალება“ უწოდა.²

როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინი ადასტურებს, რომ საბჭოთა მთავრობამ „ხელშეუხებლობის გარანტია“ შესთავაზა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც შესაძლებლობა მისცა წითელ არმიას წინააღმდეგობის გაუწევლად დაეკავებინა ტერიტორია საჯავახოდან ბათუმამდე (მღრ: ვ. ი. ლენინი — „საქართველოს 1/6 ნაწილი“).

ბათუმიდან თურქეთის ჯარის ნაწილები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა განდევნეს. ოპერაციას გენერალი გ. მაზნიაშვილი ხელმძღვანელობდა. ბათუმი და მისი ოლქი საქართველომ შეინარჩუნა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ დიდი სამაჟულიშვილო საქმის წარმატება განაპირობა იმ მტკიცე, სწორმა პოზიციამაც, რომელიც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა კავშიურომ დაიკავეს ამ საკითხში. მთავარი მაინც ვ. ი. ლენინის პოზიცია იყო. ჯერ კიდევ 1921 წლის 9 მარტს, როცა მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის ხელშეკრულების დასადებად მოწყობილი კონფერენცია მიმდინარეობდა

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 42, გვ. 312—313.

² იქვე.

(1921 წლის 16 თებერვალი — 16 მარტი), ვ. ი. ლენინი გ. ვ. ჩიჩერინს სწერდა: „ამხ. ჩიჩერინ! მეტად შეშფოთებული ვართ იმით, რომ თურქები აქიანურებენ ბათუმის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, დროს იგებენ, სანამ მათი ჯარები ბათუმისაკენ მიდიან. ასეთი გაკიანურების საშუალება არ უნდა მივცეთ. განიხილეთ ასეთი ღონისძიება: თქვენ ნახევარი საათით შეწყვეტთ თქვენს კონფერენციას ჩემთან ლაპარაკისათვის, ხოლო სტალინი ამ დროს გულახდილად მოვლაპარაკება თურქეთის დელეგაციას, რათა გაირკვეს საქმე და დღესვე მიყვანილ იქნეს ბოლომდე. ლენინი“.¹

ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრობის ხელშეკრულება 16 მარტს გაფორმდა. მიუხედავად ამისა, ქართულ ჯარს ამის შემდეგაც იარაღით მოუხდა ბრძოლა ბათუმის შენარჩუნებისათვის.

წითელი არმიის მიერ საქართველოს გასაბჭოებას მსოფლიო საზოგადოებრიობა უარყოფითად შეხვდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გამოეყომაგნენ II ინტერნაციონალის პარტიები, პირადად მათი ბელადები, ევროპის სოციალისტური პრესა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო კამპანია. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი 1921 წლის 18 აპრილს გ. კ. ორჯონიკიძეს ატყობინებდა (დღეშეშე ერევანში გაიგზავნა):

„საზღვარგარეთ გააფთრებულ აგიტაციას ეწევიან რსფს რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მარტოვი, წერეთელი და სხვები, საჭიროა, რომ საქართველოს რევკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, რომელშიც უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი, რსფს რესპუბლიკის მშვიდობისმყოფელური როლი, მეორე — საქართველოს მუშათა და გლეხთა და არმიელთა მასების აქტიური და ინიციატივიანი როლი, მასებისა, რომლებმაც დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და, მესამე, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების როლი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს როგორც სომეხ და თათარ, ისე ქართველ აჯანყებულებს თავდაცვის

¹ ვ. ი. ლენინი. ოხზ., ტ. 45, გვ. 65.

მიზნით, საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ, იმ მთავრობისა, რომელმაც თბილისში ჩამოაყალიბა აზერბაიჯანისა და სომხეთის ბურჟუაზიული მთავრობები სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის შიგნიდან ასაფეთქებლად.

გულმოდგინედ აგროვეთ მასალები საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და თან ჩამოიტანეთ მოსკოვში პლენუმზე. ლენინი ი. ა.¹

მასალები, ცხადია, შეაგროვეს. დაიწერა პასუხიც. საქართველოს ძალით გასაბჭოების „გამამართლებელ“ არგუმენტებს დამაჯერებლობა აკლდა (ჩვენ უკვე ვიცით მათი არსი), რაც, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩათ უცხოეთში. დიდი სახელმწიფოები გმობდნენ საქართველოს ოკუპაციას, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, თუ შეიძლება ითქვას, სახელმწიფოებრივი დანხარება, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ იკისრა. საქართველოს საკითხს ეს ქვეყნები საბჭოთა რუსეთთან მათი ურთიერთობის კონტექსტში განიხილავდნენ. სოციალისტური პარტიები, განსაკუთრებით კი, ინგლისის მუშათა პარტია, განაგრძობდნენ საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო აქციებს, მოითხოვდნენ, რომ საქართველოდან გაეყვანათ წითელი არმიის ნაწილები, მოეწყობათ რეფერენდუმი. ყოველივე ამის შესახებ, ცხადია, ინფორმირებული იყო ვ. ი. ლენინიც. სათანადო ცნობებს აწვდიდა მას ინგლისიდან ლ. ბ. კრასინი.

ამასთან დაკავშირებით გვინდა ყოველგვარი კომენტარის გარეშე მკითხველს შევახსენოთ ვ. ი. ლენინის კრდევერთი წერილი, რომელიც ამავე საკითხს ეხება:

„წერილი რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

დებუმა ბრიტანეთის მუშათა პარტიის შესახებ ცხადყოფს კრასინის მეტისმეტ გულუბრყვილობას. ჩემი აზრით, ამჟამად საჭიროა მივიღოთ ორგვარი ღონისძიება: 1) გამოვიდეთ პრესაში მთელი რიგი სტატიებით სხვადასხვა ხელმოწერით და აბუჩად ავიგდოთ ეგრეთწოდებული ევროპის დემოკრატიის შეხედულებანი საქართველოს საკითხზე; 2)

¹ ვ. ი. ლენინი ი. თხ. ტ. 45, გვ. 106.

დაუყოვნებლივ დავავალთ რომელიმე გესლიან ჟურნალისტს დაწეროს ინგლისის მუშათა პარტიის პასუხად არქიტავაზიანი ნოტის პროექტი. ამ ნოტაში უალრესად დაბეჯითებით უნდა იქნეს განმარტებული, რომ წინადადება საქართველოდან ჩვენი ჯარების გამოყვანისა და იქ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ სავსებით გონივრული იქნებოდა და შეიძლებოდა მიგვეჩინა, რომ ეს წინადადება გამოდის ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც არ არიან ჰკუაზე შემოღილნი, ანტანტის მიერ მოსყიდულნი, თუ ის გავრცელდებოდა დედამიწის ყველა ეროვნებაზე; კერძოდ, იმისათვის, რომ ბრიტანეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელებს მივანვედროთ, თუ რას ნიშნავს თანამედროვე იმპერიალისტური ურთიერთობა საერთაშორისო პოლიტიკაში, ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მას მოწყალე თვალთ განიხილოს: ჯერ-ერთი, ინგლისის ჯარების გამოყვანა ირლანდიიდან და იქ რეფერენდუმის მოწყობა; მეორე, იგივე ინდოეთის მიმართ; მესამე, იგივე კორეიდან იაპონიის ჯარების გამოყვანის შესახებ; მეოთხე, იგივე ყველა ქვეყნის მიმართ, სადაც რომელიმე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს ჯარები იმყოფებიან. ნოტაში ზედმიწევნით ზრდილობიანი ფორმით გამოვხატოთ ის აზრი, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც მოსურვებენ ჩაუფიქრდნენ ამ ჩვენს წინადადებებს და საერთაშორისო პოლიტიკაში იმპერიალისტური ურთიერთობის სისტემას, შეიძლება იმდენი უნარი აღმოაჩნდეთ, რომ გაიგონ იმ წინადადებათა „საინტერესო“ ხასიათი, რომლებიც ჩვენ წავუყენეთ ინგლისის მუშათა პარტიას. საერთოდ და მთლიანად ნოტის პროექტი უნდა იყოს არქიტავაზიანი და მეტისმეტად პოპულარული (10 წლის ასაკის ბავშვთა მიხვედრილობის დონე) დაცინვა ინგლისის მუშათა პარტიის იდიოტი ბელადების მიმართ.

ვეურჩევ პოლიტბიუროს განსაჯოს, საჭიროა თუ არა ამ წერილის ასლი გაეგზავნოს კრასინს. პირადად მე მომხრე ვარ. 1921 წ. 27. XII. ლენინი.¹

ერთი კი მაინც უნდა ითქვას. როგორც ვხედავთ, თვით ვ. ი. ლენინს მიაჩნია, რომ საბჭოთა საქართველოს ისეთივე

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 205-206.

ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთთან, როგორც ირლანდიას, ინდოეთს, კორეას — ინგლისთან და იაპონიასთან.

პატივემეულო მკითხველს ალბათ დროა შევაჯამოთ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა. მივცეთ შეფასება წითელი არმიის მიერ საქართველოში 1921 წელს განხორციელებულ აქციას. რა იყო მაინც ის?

იყო ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, რასაც შემდეგ ფაქტობრივად ანექსია მოჰყვა.

წითელი არმიის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში განხორციელებული აქციის ობიექტური შეფასება ოფიციალურად მხოლოდ ამ ბოლო ხანს (80-იანი წლების მეორე ნახევარი, განსაკუთრებით 1988—1990 წწ.) გახდა შესაძლებელი (ლაპარაკია საბჭოთა სინამდვილეზე).

მრავალმა ქართველმა მკვლევარმა უკვე ღია პრესაში აღაზრა საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა, ოკუპაცია თუ ანექსია. ეს აისახა სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა პირველ ყრილობაზე საქართველოდან წარგზავნილ სახალხო დემუტატთა განცხადებაშიც.¹

სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა იაკობ ფუტკარაძემ გაზეთ „კომუნისტში“ 1989 წლის 25 აგვისტოს გამოქვეყნებულ წერილში — „არ უნდა დაგვჩინეს „თეთრი ლაქები“. საქართველოს გასაბჭოების სამართლებრივი შეფასება“ — 1921 წლის 25 თებერვლის აქტს ასეთი იურიდიული კვალიფიკაცია მისცა: „...რუსეთის ფედერაციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელა პირდაპირი აგრესია შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, საბჭოთა წეს-წყობილების ექსპორტირება სამხედრო ოკუპაციის საფუძველზე.“

ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის სესიამ, რომელმაც მოიწონა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის (შეიქმნა 1989 წლის ივნისში) დასკვნა, რომელშიც

¹ იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 31 მაისი. ¹

ნათქვამია: „...საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა — საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოდგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით. ეს აქცია მისგან გამომდინარე შედეგებით პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ანექსია“.¹

ესიამ დაადგინა, რომ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასებინს საკითხი დაისვას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის წინაშე.

ცენტრიდან ჯერჯერობით არაფერი ისმის. ჯერჯერობით... ერთს კი ვიტყვოდით. 25 თებერვალი უკვე ისტორიული ფაქტია. მას ველარავინ შეცვლის და მუდამ მოიხსენიებენ როგორც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთ დრამატულ მომენტს. 25 თებერვალს ერთადერთი ქვეშაირტი შეფასება აქვს: წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობა (მართალია, ქართველთა მონაწილეობითაც). ამ სათაკილო ფაქტის აღიარება და დაგმობა დაგვეხმარება ორივე ხალხს, რუსებსაც და ქართველებსაც, მომავალი ურთიერთობების აგებაში, მის დახვეწასა და სრულყოფაში. სიმართლე 25 თებერვლის შესახებ, საბოლოო ჯამში, ვერაფერ ახალს ვერ მიუმატებს ჩვენს წარმოდგენებს იმ საშინელებებზე, რომლებიც საბჭოთა ქვეყანაში დამკვიდრებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა დაატეხა თავს რუს, ქართველ და სხვა ხალხებს.

გაგებით მინდა მოვეკიდო ალექსანდრე სოლჟენიცინის გამონათქვამს: საქართველო რუსეთმა კი არა ლენინმა დაიპყრო ძალით 1921 წელსო².

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 21 ნოემბერი.

² იხ. А. И. Солженицын. Как нам обустроить Россию. Посыль: пять соображения. Специальный выпуск. Брошюра в газете. «Комсомольская правда». Сентябрь 1990 г., с. 4—5.

ერთი კი ნამდვილია. რუს ხალხთან (როგორც ასეთთან) არავის შეუთანხმებია საქართველოს დაპყრობა. იგი მხოლოდ ფაქტის წინაშე დააყენეს, თანაც მას საქმის ნამდვილი ვითარება დაუმალეს, არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. ალბათ, ამიტომაც არ აღიმაღლა ხმა. ისიც ხომ ფაქტია, რომ ტოტალიტარული რეჟიმის მორჩილნი, ჩვენც არ ვიკლავდით თავს სიმართლის დასადგენად, ზედმეტ გულმოდგინებას, ინიციატივასაც კი ვიჩენდით საქართველოს გასაბჭოების ისტორიის გაყალბებაში. პოლიტიკა ხელს უშლიდა ისტორიას გადაქცეულიყო ნამდვილ ისტორიად.

ახლა? ნუთუ ახლაც დაუძლეველი გვაქვს ის „ისტორიული დისტანცია“, რომელიც ზოგჯერ, ქეშმარიტების დადგენისა თუ აღიარებისათვის არის აუცილებელი? ნუთუ ახლაც ვერ მოვახერხებთ იმას, რომ რუსი და ქართველი ხალხების უფროს თაობათა საერთო უბედურება მომავალი თაობების განხეთქილების ფაქტორად არ ვაქციოთ?

გვჯერა გონიერება გაიწარჩევს. ყალბადგაგებული ინტერნაციონალიზმის ტყვეობაში მყოფი მთავრობის დანაშაული დაგმობილ იქნება. ეს აუცილებელია იმისათვისაც, რომ რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობაში ახალი 25 თებერვალი აღარ გათენდეს.

8. 25 თებერვლის უმძღვობა*

საქართველო 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. მას ჰყავდა ქართული მთავრობა. საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო საბჭოთა რუსეთმაც 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით. საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა დადასტურებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, რომ-

* პარაგრაფი ამავე სათაურით დაიბეჭდა საქ. მეცნ. აკადემიის „მაცნეს“, (ისტორიის სერია) 1990 წლის პირველ ნომერში და გაიკოცა ცალკე ბროშურადაც (იხ. საქ. მეცნ. აკად. „მაცნეს“ (ისტორიის სერია) ბიბლიოთეკა. თბ., „მეცნიერება“, 1990). ამ ნაშრომში ქვეყნდება „მაცნეს“ რედაქციის ნებართვით. იგი საგრძნობლად არის შეკსებული ძურნ. „საქართველოს კომუნისტის“ 1990 წლის მე-9 ნომერში გამოქვეყნებული ჩვენი სტატიის მასალებით.

მელიც 1922 წლის მარტში მიიღეს. ამავე კონსტიტუციამ საქართველოს ტერიტორიასე სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოაცხადა (სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებში მაშინ სახელმწიფო ენაზე მითითება საერთოდ არ იყო). საქართველო, როგორც დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის იურიდიული სტატუსის მქონე ქვეყანა, საერთაშორისო ასპარეზზეც გადიოდა (ცხადია, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კონტროლით). ერთხანს საბჭოთა საქართველოში რუსეთისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფულის ნიშნებთან ერთად ქართული ფულიც (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი ქართული ბონები) ფუნქციონირებდა, ქართული ფულის კურსი ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისა, საქართველოს სს რესპუბლიკას ჰქონდა გერბი, დროშა და ა. შ.

ასე რომ, საბჭოთა საქართველო იურიდიულად, მე ვიტყვოდი, ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობის სტატუსს, მაგრამ ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ ასახავდა რეალურ ვითარებას. იგი „ფორმალური სიმბოლიკა“ იყო (დ. გოგოლაძე). საქართველოდან წითელი არმია არ გაუყვანიათ. მართალია, საქართველოს საბჭოების ყრილობას კომუნისტურმა პარტიამ მიაღებინა გადაწყვეტილება რესპუბლიკაში წითელი არმიის დარჩენის შესახებ, მაგრამ ეს ხომ უმთავრესად საქართველოს კომუნისტების სურვილის გამოხატულება იყო და არა გვაქვს საშუალება დავასკვნათ შეესაბამებოდა თუ არა იგი ქართველი ხალხის უმრავლესობის ნებას (რეფერენდუმი არ ჩატარებულა). საქართველოს კომპარტიაში იმ დროს ორ ათეულ ათასამდე წევრიც არ ითვლებოდა, მაშინ როცა, სხვა პოლიტიკურ პარტიებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო მენშევიკები თავიანთ რიგებში 80 ათასამდე წევრს აერთიანებდნენ*.

წითელი არმიის საქართველოში დარჩენასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს 1921 წლის 29 მარტს ატყობინებდა: „ჩვენ მივიღეთ ნარჩმანოვის, ბუნიათ-ზადეს

* გაზ. „კომუნისტში“ 1989 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნებულ ჩვენს წერილში მენშევიკთა რაოდენობა კორექტურის გამო არასწორადაა მითითებული: 80 ათასის ნაცვლად აღნიშნულია 8 ათასი.

და სერებროვსკის სასოწარკვეთილი დეპეშა. ისინი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ს.რულიად შეუძლებელია მეთერთმეტე არმიის დაბრუნება დამშეულ და გაძარცვულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია დატოვებულ იქნეს საქართველოში და რადაც უნდა დაჯდეს დააჩქარეთ პურის ჩამოტანა უცხოეთიდან საქართველოს კონცესიებზე, მარგანეცზე და სხვ. გაცვლით. სწრაფად მიპასუხეთ. პოლიტბიუროს დავალებით „ლენინი“¹. გ. კ. ორჯონიკიძისათვის ანეთი დეპეშის გავზავნას პოლიტბიუროს წევრებიდან ვ. ი. ლენინის გარდა მხარი დაუჭირეს მ. ი. კალინინმა, ლ. ბ. კამენევმა, ვ. მ. მოლოტოვმა, თავი შეიკავა ლ. დ. ტროცკიმ².

არმიისა და კონცესიების შესახებ ვ. ი. ლენინი მეორედ ღღესაც, 1921 წლის 30 მარტსაც უღებუშებს გ. კ. ორჯონიკიძეს: „ძალიან გთხოვთ უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექციოთ გუშინ აღძრულ საკითხს არმიისა და საქართველოს კონცესიების შესახებ. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ზოგიერთი კონცესია დადო. მთელი ძალღონით უნდა ეცადოთ განაახლოთ ეს ძველი კონცესიები, რაც შეიძლება მალე და ყოველნაირად შეეცადოთ, რომ დაიდოს ახლები, რათა კონცესიების სანაცვლოდ სურსათი ვიწროვოთ. აჩვენეთ ეს საქართველოს რევკომს და სასწრაფოდ მაცნობეთ მათი პასუხი. ლენინი“³.

რით არის საინტერესო ეს დეპეშები? ჯერ ერთი, ვგებულობთ, რომ მეთერთმეტე არმია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ იმდროინდელი აზერბაიჯანის მატერიალური ხელმოკლეობის გამო ეს შეუძლებლად მიიჩნიეს. გაუგებარი რჩება ერთი რამ: მეთერთმეტე არმიას სავსებით უნდა დაეტოვებინა საქართველო? ან კიდევ მას საბჭოთა აზერბაიჯანში უკვე აღარაფერი ესაქმებოდა? ე. ი. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად წითელი არმიის ყოფნა აუცილებელი აღარ იყო? არა. ეს მხოლოდ დეპეშებიდან ჩანს ასე.

მეორე, ვ. ი. ლენინი, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის

¹ ვ. ი. ლენინი. თბ., ტ. 45, გვ. 83-84.

² იქვე.

³ იქვე, 83-84.

პოლიტიკური მიმე სასურსათო მდგომარეობიდან გამოსავალს იმ დროს საქართველონ კონცესიებშიც ხედავდნენ. ეს ამკარად ჩანს ვ. ი. ლენინის სხვა დოკუმენტებიდანაც. 1921 წლის 5 აპრილს ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს სწერდა: „თქვენი პასუხი არასრული და ბუნდოვანია. გთხოვთ, შეიტყოთ დაწვრილებით საქართველოს რეკომისიასგან. პირველი, დაუდასტურა თუ არა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ იტალიელებს კონცესია ტყვარჩელის მაღაროებზე, როდის, როგორია პირობები, მაცნობეთ მოკლედ ტელეგრაფით, უფრო დაწვრილებით წერილით. მეორე, კიათურის მარგანეცის მაღაროების შესახებ: გადაიყვანეს თუ არა მესაკუთრე გერმანელები მოიჯარეთა ან კონცესიონერთა მდგომარეობაზე, როდის, რა პირობებით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ და ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებანი ძალიან სწრაფი იყოს. ამას გიგანტური მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც, ვინაიდან კონცესიები, განსაკუთრებით იტალიასთან და გერმანიასთან, ისევე როგორც საქონლის გაცვლა ნავთობზე, უთუოდ დიდი მასშტაბითაა საჭირო ამ ქვეყნებთან, შემდეგ კი სხვებთანაც.“

გთხოვთ, მაცნობოთ ზოლმე საქართველოს რეკომისიის ღონისძიებათა ამბები. 5/IV. 1921. ლენინი¹.

1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინი აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიულთა რესპუბლიკის კომუნისტებს, სწერდა: „...ეკონომიურად რუსეთი მოწყვეტილი იყო და მნიშვნელოვნად ახლაც მოწყვეტილი რჩება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან; კავკასიას შეუძლია უფრო ადვილად მოაგვაროს „თანაცხოვრება“ და საქონელგაცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან... ეკონომიური მხრივ ყოველნაირად, გაძლიერებით, სწრაფად გამოვიყენოთ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელგაცვლის პოლიტიკაში. ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეოა ოდნავადაც არასრული სია. არის სრული შესაძლებლობა, რომ ფართოდ გაიშალოს კონ-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 45, გვ. 90—91.

ცესიების პოლიტიკა და საქონელგაცვლა საზღვარგარეთ-თან¹.

1921 წლის აპრილში (28-ზე ადრე) ვ. ი. ლენინი რსფსრ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილეს ა. მ. ლეჟავას აცნობებდა: „საქართველო უალრესად მნიშვნელოვანია როგორც რუსეთის საგარეო ვაჭრობის საფარი. ეს მოხერხებულია იტალიისთვისაც, გერმანიისთვისაც, ამერიკისთვისაც.

1) გამონახეთ ჰკვიანი კაცი, რომ იქ გავგზავნოთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან. რაც შეიძლება სწრაფად!

2) ამის შესახებ დაწვრილებით მოელაპარაკეთ სტალინს. დღესვე.

3) მომწერეთ ორიოდ სიტყვა, შედეგები.

საჭიროა ბათუმის გზით საგარეო ვაჭრობის გეგმა (და ფონდი).

საგარეო ვაჭრობის გეგმა არა გაქვთ. ტყუილებრალოდ ჰყრით და ნებას აძლევთ გადაყარონ. ვიომებ თქვენთან.

სურსათისა და სათბობისათვის 1921 წელს. არც ერთი გროში შეტი. აი თქვენ ხაზი. შეადგინეთ გეგმა ამ ხაზის მიხედვით, და ნუ აპყვებით „დაწოლასა“ და „გავლენას“².

მაშასადამე, ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ კაპიტალისტური სამყაროსაგან ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მოწყვეტილი საბჭოთა რუსეთის „საგარეო ვაჭრობის საფარის“ როლი კავკასიას, კერძოდ, საქართველოს უნდა შეესრულებინა; კავკასიას შეეძლო უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოეგვარებინა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან „თანაცხოვრება“ და საქონელგაცვლა. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს გასაბჭოების დაჩქარებას გარკვეულწილად ეს მომენტიც განაპირობებდა.

საქართველოში წითელი არმიის დარჩენაზე ვსაუბრობდით. ეს საკითხი, ბუნებრივია, ქართველი საზოგადოებრიობის მწვავე მსჯელობის საგანი გახდა 1921 წელსვე. თუ საბჭოთა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა (ეს კი ოფიციალური დოკუმენტებით იყო დადასტუ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 398.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 119—120.

ჩებული), მას საკუთარი არმია უნდა ჰყოლოდა. წითელ არმიას კი რესპუბლიკის სახოგადოებრიობის საგრძნობი ნაწილი უცხო ძალად თვლიდა. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები თავიანთ გამოსვლებში > (მშრომელთა კრებებზე, პარტიულ და საბჭოთა ფორუმებზე, პრესაში) თავისებურად ხსნიდნენ, თუ რისთვის შემოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები საქართველოში (მშრომელების წინაშე ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდა), ამასთან არ გამოირცხავდნენ საქართველოდან მათი გაყვანის შესაძლებლობასაც. ასეთ შემთხვევაში გარეშე მომსდურთაგან რესპუბლიკის დაცვა საქართველოს, მუშურ-გლეხურ წითელ არმიას“ უნდა ეკისრა. ასეთი არმიის შექმნა კი იმთავითვე პერსპექტიულად ესახებოდათ.

ქართული წითელი არმიის შექმნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი. მკითხველს ახსოვს, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს მიუთითებდა: „საჭიროა დაუყოვნებლივ შევადაროთ მუშები და უღარბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“.¹

ამ მხრივ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ვ. ი. ლენინის 1922 წლის 13 თებერვლის წერილი გ. კ. ორჯონიკიძისადმი. დავიმოწმოთ იგი მთლიანად:

„ამხ. სერგო!

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს.

უკიდურეს შემთხვევაში, თუ გლეხები წინააღმდეგი არიან, უნდა გატარდეს გადაწყვეტილება თუნდაც უაღრესად ზოგადი სახით: აუცილებლად იქნეს ცნობილი „საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერება, მოვუწოდოთ ხელისუფლების ყველა ორგანოს და მთელ მშრომელ მასებს იმუშაონ ამ საქმეზე“ და სხვ.

მაგრამ საქმით რადაც უნდა დაჯდეს და დაუყოვ-

¹ ვ. ი. ლენინი. თხ., ტ. 32, გვ. 127.

ნებლივ უნდა გავადიდოთ და გავაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია. თავდაპირველად დაე იყოს 1 ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2-3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

შესაძლოა სტალინმა დაუმატოს უფრო ვრცლად შესრულების სამხედრო-ტექნიკურ წესებზე.

მე ვკვრდები საქმის პოლიტიკურ მხარეს: ამის შეუსრულებლობისათვის პარტიიდან გაგაგდებთ მოურიდებლად. აქ ხუმრობა არ შეიძლება. ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია, და როგორც თქვენ პირადად, ისე საქართველოს მთელი ცენტრალური კომიტეტი პასუხს აგებთ ამისთვის მთელი პარტიის წინაშე. ველოდები პასუხს. თქვენი ლენინი. 13/II. ეს ეხება ამხ. სერგოსაც და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრსაც“.

ი. ბ. სტალინის მინაწერი:

„ამხ. ლენინის ნათქვამს ვერაფერს დავემატებ. ვფიქრობ, რომ სერგო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიხვდებიან ამხ. ლენინის მიერ წამოყენებული ღონისძიების მთელ აუცილებლობას. რაც შეეხება საქმის „სამხედრო-ტექნიკურ“ მხარეს, თქვენ ეს ჩემზე და სხვა მოსკოველებზე უკეთ იცით. ი. სტალინი“¹.

გ. ი. ლენინმა ეს წერილი საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის (1922 წლის 25 თებერვალი — 3 მარტი) წინა დღეებში დაწერა. ამ დროს უცხოეთში (განსაკუთრებით ინგლისში) ფართო კამპანია იყო გაჩაღებული წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ. ამ კამპანიას II და II 1/2 ინტერნაციონალთა ბელადები ხელმძღვანელობდნენ. ისინი საქართველოდან წითელი არმიის ნაწილების გაყვანის საკითხს აყენებდნენ.

ქართული წითელი არმიის შექმნით გ. ი. ლენინის ასეთი დაინტერესება, ცხადია, სწორედ ამ კამპანიით იყო განპირობებული. 1922 წლის დაძდეგს ძნელი იყო იმის წინას-

¹ გ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 226—227.

წარ განკვერტა, თუ დროთა განმავლობაში რა სახეს მიიღებდა ეს კამპანია. არ იყო გამორიცხული, რომ იგი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა და ხელს შეუშლიდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან საბჭოთა რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის შედეგად დასუსტებული საბჭოთა რუსეთისათვის. ისიც შეიძლებოდა, რომ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ევროპის სახელმწიფოები იძულებული გამხდარიყვნენ მტკიცე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების წინაპირობად საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოდან წითელი არმიის გაყვანა მოეთხოვათ. თუ საბჭოთა რუსეთს სხვა გამოსავალი არ ექნებოდა და ამ მოთხოვნის შესრულება აუცილებელი გახდებოდა, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ქართულ წითელ არმიას უნდა დაეცვა.

გ. კ. ორჯონიკიძის პირად ფონდში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება, დაცულია ი. ბ. სტალინის შემდეგი წერილი:

რ. ს. ფ. ს. რ.

მუშურ-გლეხური ინსპექციის

სახალხო კომისარიატი

მოსკოვი, პოვარსკაიას ქ. 11

ტელ. 3-01-71:

მეგობრებო!

თქვენ ალბათ უკვე მიიღებდით წერილს საქართველოს წითელი არმიის დიხააც გაძლიერებისა და იმის შესახებ, რომ პოლიტიკურად საჭიროა მივიღოთ სათანადო დადგენილება საქართველოს საბჭოების ეროვნულ ყრილობაზე. i

ამას რომ შეგახსენებთ, გირჩევთ ახლავე მიიღოთ ზომები სულისკვეთების შესაბამისად (საქართველოს წითელი) არმიის გამოყოფა კავკასიის) ცალკე არ(მიის) შემადგენლობიდან, საქ(ართველოს) სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენარჩუნება და სხვ.), თორემ ჩვენ ალბათ პირველი შესაძლებლობისთანავე (როგორც კი შეიქმნება საქ-

(ართველოს) წითელი არმია) საქართველოდან გავიყვანოთ რუსეთის წითელი არმიას.

კომუნისტური სალ(ამით) ი. სტალინი.¹

ეს წერილი 1922 წლის 22 თებერვალს დაიწერა. ამ დროს, როგორც ვხედავთ, ი. ბ. სტალინი არ გამორიცხავდა საქართველოდან წითელი არმიის გაყვანის შესაძლებლობას.

ქართული წითელი არმიის ჩამოყალიბებას საქართველოში რუსეთის წითელი არმიის დარჩენის შემთხვევაშიც დიდი პოლიტიკურ-სააგიტაციო მნიშვნელობა ექნებოდა. ასე რომ, ქართული წითელი არმიის შექმნა და გაძლიერება ყოველმხრივ გამართლებული ჩანდა.

ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად, მიიღო მიმართვა „ქართული წითელი არმიის შესახებ“, რომელშიც ძირითად ამოცანად იყო მიჩნეული ქართული წითელი არმიის უკვე არსებული ბირთვის განმტკიცება. ამავე ყრილობამ, როგორც ითქვა, სოხოვა რუსეთის სფს რესპუბლიკის მთავრობას არ გაეყვანა წითელი არმიის ნ.წილები საქართველოს ტერიტორიიდან.

ქართული წითელი არმიის გაძლიერების შესახებ ვ. ი. ლენინის წინადადება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ 1922 წლის 25 თებერვალს დაამტკიცა².

ახლა ვნახოთ როგორ განხორციელდა პრაქტიკულად ვ. ი. ლენინის ეს დირექტივა.

ქართული წითელი არმიის შექმნას დიდი ხარჯები სჭირდებოდა, რაც საქართველოს მოსახლეობას უნდა გაედო. სირთულეებთან იყო დაკავშირებული არმიის კონტინგენტის შევსებაც. ამას გვაფიქრებინებს ვ. ი. ლენინის ზემოციტირებული წერილის ის ადგილიც, სადაც მოცემულია რჩევა როგორ უნდა მოიქცნენ საქართველოს კომუნისტები იმ შემ-

¹ შლი ცხა, ფ. 85, აღწ. 12, ს. 111, ფურც. 39 (ამ პარაგრაფში არქივებიდან დამოწმებული რუსულენოვანი დოკუმენტების თარგმანი ეკუთვნის რევაზ ბარკალაისს).

² იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., სრ. კრ., (რუს.), ტ. 44, გვ. 588, 170-ე შენიშვნა.

თხვევაში, თუ გამოირკვეოდა, რომ „გლენები წინააღმდეგი არიან“ ქართული წითელი არმიის შექმნისა (?!).

ბევრის მოქმელია ეს დებულებიცი:

„მოსკოვი, კრემლი, ამხ. ლენინს და სტალინს, თბილისი. 23/II-22.

თქვენი წერილი საქ(ართველოს) არ(მიის) თაობაზე მივიღე. თქვენი დავალების შესრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ... თუ თანახმა იქნებოდით დაგეტოვებინათ ჩვენთვის ერთი მილიონი ოქროს მანეთი, თანხა, რომელიც ცკ-ის დადგენილების თანახმად მოსკოვს უნდა გავგზავნო. ეს ჩვენ ყოველმხრივ უზრუნველგვეყოფდა. ამ მილიონის წასადებად უკვე ჩამოსული არიან. მოსკოვიდან მატერიალური დახმარება თუ არ გვექნა, ამოცანის შესრულება შეუძლებელია. გთხოვთ დღესვე მიპასუხოთ, თორემ მილიონი ხვალ უნდა გამოგვგზავნო. № 132. ორჯონიკიძე“¹.

მეორე დღესვე, 1922 წლის 24 თებერვალს ი. ბ. სტალინი გ. კ. ორჯონიკიძეს ატყობინებდა, რომ ქართული წითელი არმიის მატერიალური უზრუნველყოფისათვის „ოქრო სულაც არ არის საჭირო. იგი დანიშნულებისამებრ გააგზავნეთ. ეს ჩემი პირადი აზრია. ოფიციალური პასუხი ხვალ იქნება, რადგან დღეს არ შემძლია გუნება გავუფუჭო ამხ(ანაგებს). სტალინი“².

ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ე. წ. უკლონისტური შემადგენლობა რეგულარულად მსჯელობდა ქართული წითელი არმიის შექმნის პრობლემაზე. 1922 წლის 12 მაისს, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი საქართველოს სამხედრო უწყების მდგომარეობისა და დამოუკიდებელი ქართული წითელი არმიის შექმნის ღონისძიებათა შესახებ (მომხს. ვ. ჯიქია). პრეზიდიუმმა დაადგინა: „დაევალოს მახარაძეს, ქავთარაძეს და ჯიქიას ხვალვე დაუკავშირდნენ პირდაპირი მავთულით რსფსრ-ს და გაარკვიონ, რამდენად შესაძლებელია დამოუკიდებელი საქართველოს წითელი არმიის შექმნა“³.

¹ მლი ცკა, ფ. 85, აღწ. 18, ს. III, ფურც. 40—42.

² იქვე, ფურც. 48.

³ სუსპიია, ფ. 14, აღწ. I, ს. 192, ფურც. 50C.

ეს დადგენილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინმა საკმაოდ მკაცრი წერილი მიწერა საქართველოს კომუნისტებს ქართული წითელი არმიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. რსფსრ ნოაერობიდან დამატებითი ნებართვა თითქოს აღარ იყო საჭირო, მაგრამ როგორც ვნახეთ ეს აუცილებელი გახდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილ სამეულს დაევალა ბოლომდე გაერკვია ქართული არმიის სტატუსი, მოსკოვთან საუბრისას დაეზუსტებინა, იქნებოდა ქართული წითელი არმია სრულად დამოუკიდებელი თუ ნაწილობრივ მაინც უნდა დამორჩილებოდა იგი კავკასიის ცალკე არმიას. მოსკოვთან მოლაპარაკების შემდეგაც საკითხი ბუნდოვნად რჩებოდა.

1922 წლის 17 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა კვლავ მოისმინა ვ. ჯორჯიას მოხსენება ქართული წითელი არმიის შექმნის შესახებ და დაადგინა:

„1. მხედველობაში გვაქვს რა, ერთი მხრივ, სავსებით ხელსაყრელი პირობები წითელი არმიის შესაქმნელად — აღიძრას შუამდგომლობა რკპ (ბ) ცკ-ის წინაშე ნება დართოს ასეთი ფორმირებისა.

2. საქართველოს წით(ელი) არმიის რაოდენობა შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს გავწერთვნათ ვარგისი სამხედრო ვალდებულების ყოველწლიური კონტინგენტი, რაც 12 ათასამდე იქნება, ხოლო ზურგანად არმიას ეყოლება 15 ათასამდე კაცი.

3. საქართველოს წით(ელი) არმიის ორგანიზაცია უნდა დაექვემდებაროს საქართველოს სამხედრო და სანდვაო საქმეთა სახალხო კომისარს, რომელიც ოპერატული და ინსპექციის მხრივ ექვემდებარება კავკასიის ცალკე არმიის რეგულაციურ სამხედრო საბჭოს.

4. იმის გამო, რომ საქართველოს არსებული ბრიგადისათვის მოსკოვი გვაძლევს 5000 ულუფას, აღიძრას მოსკოვის წინაშე შუამდგომლობა, რომ მოგვეცეს დამატებითი ათი ათასი ულუფა საერთოდ საქართველოს წით(ელი) არმიის დასახმარებლად ყველა დანარჩენი კმაყოფის სახეობათა მხრივ.

5. თავის მხრივ საქართველოს კპ ცკ რეალური შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას აღმოუჩინეს საქ(ართველოს) წით(ელ) არმიას საქართველოს სსრ-ის რესურსებიდან ყველა არსებული საშუალებით“.¹

ჯერ კიდევ 1922 წლის 12 ივნისს კავკასიის ცალკე არმიის სარდალმა ა. ი. ეგოროვმა და რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრმა გ. კ. ორჯონიკიძემ ოფიციალურად აცნობეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ არასწორად მიაჩნიათ ქართული ბრიგადის გამოყოფა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობიდან, რასაც ვ. ჯიქია მოითხოვს. თუ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ვ. ჯიქიას მოსაზრებას გაიზიარებს და სათანადო დადგენილებასაც მიიღებს, — აღნიშნავდნენ ა. ი. ეგოროვი და გ. კ. ორჯონიკიძე, — მაშინ იძულებული ვიქნებით „ვაცნობთ ეს რკპ ცკ-ს და რესპუბლიკის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს და მოვისხნათ პასუხისმგებლობა, თუკი ასეთი ზომა საქართველოს ჯარის გახრწნას გამოიწვევს. ამასთან საკითხის ასე გადაჭრისას საჭიროა ძირეულად გადასინჯოთ ზემოთ აღნიშნული შეთანხმება“² (იგულისხმება საქართველოს სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის 1921 წლის 8 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება — ლ. თ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 17 ივნისის დადგენილების შესახებ, ცხადია, აცნობეს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები მიხეილ ოკუჯავა, სერგო ქავთარაძე, ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი და სილიბისტრო თოდრია იმედს გამოთქვამდნენ, რომ სერგო ორჯონიკიძის „განსაკუთრებული აზრი“ ხელს არ შეუშლიდა პრობლემის მოგვარებას³. მოსკოვიდან პასუხიც მიიღეს, მაგრამ საკითხი მაინც გაურკვეველი რჩებოდა. ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1922 წლის 27 ივნისს კვლავ დაადგინა: „იმის გამო, რომ რკპ ცკ-ის პოლიტიურის პასუხი

¹ სუსპია, ფ. 14, აღწ. I, საქ. 192, ფურც. 602.

² იქვე, ფურც. 604.

³ იქვე, ფურც. 603.

ბუნდოვანია, კვლავ ვთხოვთ რკპ ცკ-ს დაგვიჩქაროს საქართველოს კპ ცკ-ის იმ პირველი დეპეშის პასუხი, რომელიც ქართული არმიის საქართველოს დამოუკიდებელ წითელ არმიად გამოყოფას ეხებოდა“.

ამავე საკითხზე საინტერესო ცნობებს ვპოულობთ „ძერჟინსკის კომისიის“ მასალებში. ეს კომისია რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის მიწურულში შექმნა. მას სახეში ფ. ე. ძერჟინსკი ჩაუყენეს, რის გამოც ცენტრალურ წყაროებში ეს კომისია „ძერჟინსკის კომისიის“ სახელით მოიხსენიება. კომისიის ამოცანა იყო შეესწავლა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს (შემდეგ — რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი) და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს შორის იმ დროს არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც, უმთავრესად, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნასა და შენარჩუნებას ეხებოდა. ფაქტობრივად კომისიას უნდა გაერკვია, თუ ვინ იყო მართალი გ. კ. ორჯონიკიძესა და ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“ შორის ეროვნული საკითხის გარშემო ერთობ გამწვავებულ დავაში. წინასწარ ვიტყვი, რომ „ძერჟინსკის კომისიამ“ კავბიურო და მისი ზომბრეები გაამართლა. მასალებს გაეცნო ვ. ი. ლენინიც, რომელიც დაეჭვდა „ძერჟინსკის კომისიის“ დასკვნების საფუძვლიანობაში, მისი მუშაობის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში. მრავალი დოკუმენტი მიგვანიშნებს, რომ ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“, მან ეს რამდენიმეჯერ დაადატურა კიდევ. თუმცა ვ. ი. ლენინმა ვერ მოასწრო თავისი საბოლოოდ ჩამოყალიბებული აზრი ამ საკითხზე ოფიციალურად განცხადებინა მთელი პარტიისათვის.

რამდენიმე სიტყვით ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებსა“ და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის იმ დროს არსებული კონფლიქტის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტიც დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე აგებული ერთიანი პარტიის — რუსეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივ ორგანოებს წარ-

მოადგენდნენ (ამასთან საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისათვის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ზემდგომ ინსტანციად ითვლებოდა), მაგრამ საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების პირველ ორ წელს მათ შორის ნამდვილად მწვავე კონფლიქტი იყო. რამ გამოიწვია იგი? იქნებ იმან, რომ სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო, ხოლო საქართველოს კომპარტიის იმდროინდელი ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომელთა უმრავლესობას ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“ წარმოადგენდნენ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ეს სათაკილო ფორმა მიუღებლად მიაჩნდათ? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ეს მომენტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთაგან, სამწუხაროდ, არავის აწუხებდა. ბევრი მათგანი სწორედ იმ რევკომის წევრი იყო, რომელიც წითელ არმიას შემოჰყვა საქართველოს გასაბჭოებლად (ე. ი. დასაპყრობად). იყო გამონაკლისიც. მაგალითად, რევკომის თავმჯდომარედ მოცხადებული ფილიპე მახარაძე მოსკოვიდან 1921 წლის 6 მარტს ჩამოვიდა საქართველოში, თურქეთში მყოფი ბულუ მდივანი — კიდევ უფრო გვიან (მას, როგორც ითქვა, 3 მარტს აცნობეს, რომ რევკომის შემადგენლობაში იყო შეყვანილი), მაგრამ არც ერთ მათგანს პროტესტი არ განუცხადებია საქართველოს ოკუპაციის გამო. მართალია, ფილიპე მახარაძემ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის 1921 წლის 6 დეკემბერს გაგზავნილ წერილში, როგორც უკვე ითქვა, დაადასტურა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ „გარედან დაპყრობის იერი“ მიიღო, მაგრამ ამის გამო მას და მის თანამოაზრეებს არ დაუწყიათ ბრძოლა პარტიის სამხარეო კომიტეტთან.

კონფლიქტი უკვე გასაბჭოებულ საქართველოში სხვადასხვა საკითხებისადმი (უმთავრესად ეროვნული საკითხისადმი) ორი პარტიული ორგანოს სხვადასხვანაირი დამოკიდებულებით იყო განპირობებული. კერძოდ, პარტიის სამხარეო კომიტეტი აშკარად ველიკორუშულ, ველიკოდერჟაველ პოლიტიკას ახორციელებდა, ეროვნულ საკითხს ადმი-

ნისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით „წყვეტდა“, ანგარიშს არ უწყევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც წინ აღუდგა ამ კურსს, ცდილობდა სიტყვით მაინც დაეცვა საქართველოს ფაქტობრივად არარეალური, მაგრამ ოფიციალურად დეკლარირებული სუვერენიტეტი. საქართველო ხომ 1921 წლის თებერვალში სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა (მიუხედავად ოკუპაციისა). ლაპარაკია საბჭოური წესით გამოცხადებულ სუვერენიტეტზე და არა საქართველოს სრულ პოლიტიკურ თუ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი წევრები მიზანშეუწონლად მიიჩნევდნენ. ასეთი მოთხოვნა მათ არასოდეს წამოუყენებიათ. უფრო მეტიც, 900-იან წლებში ქართველი ბოლშევიკები საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგაც გამოვიდნენ, რასაც, ძირითადად, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულებითა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შენარჩუნების ინტერესებით ამართლებდნენ. არასწორი იყო ქართველ ბოლშევიკთა და საერთოდ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეს პოზიცია — კიდევ უფრო სერიოზული შეცდომა დაუშვეს მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი მეთაურის დიდი ილიას შემოქმედებისა და პრაქტიკული საქმიანობის შეფასებაში. დანაწაულის ტოლფასი ეს შეცდომა მეტად ძვირი დაუჯდა მთელ ქართულ სოციალ-დემოკრატთას, განსაკუთრებით, მის ბოლშევიკურ ფრთას. სათანადო გაკვეთილი მაინც ვერ გამოიტანეს. ილიასადმი ყოვლად გაუმართლებელი მტრული დამოკიდებულება გრძელდებოდა რევოლუციამდე, მის შემდეგაც, თვით 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე¹.

ლაპარაკია იმ ქართველ ბოლშევიკებზე, რომლებიც 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ

¹ აბკერად არაფერს ვამბობთ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელის გ. ბერბიჭაშვილის გაყალბებულ სასამართლო პროცესზე, რომელიც გაიმართა 1941 წლის მიწურულსა და 1942 წლის დამდეგს, რაც რასაკვირველია ცალკე საუბრის თემაა.

ილაშქრებდნენ და ცდილობდნენ დაერაზმათ ქართველი ხალხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დასამხობად, მთავრობისა, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობების გამო იძულებული(1) გახდა კავშირი გაეწყვიტა საბჭოთა რუსეთთან და საქართველოს 117 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღედგინა. საქართველოს სრული დამოუკიდებლობის (საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორების) წინააღმდეგ ქართველი ბოლშევიკები გამოდიოდნენ აშკარად, ოფიციალურად, წერდნენ ამის შესახებ გაზეთებში და ა. შ.

მაშ რა მოხდა 1921—1923 წლებში? შეიცვალეს ვითომ პოზიცია? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი საბჭოთა საქართველოს სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ? რასაკვირველია, არა. მართალია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (მისმა ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტურმა“ შემადგენლობამ) 1922 წლის 15 სექტემბერს ი. ბ. სტალინის „აკტონომიზაციის“ პროექტის საწინააღმდეგოდ საქართველოსათვის „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნება“ მოითხოვა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა მას თავისებურად (საბჭოურად) ესმოდა და თვითონვე ილაშქრებდა იმავე წინააღმდეგ, ვისაც საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სურდა.

ალბათ უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართველ ბოლშევიკთა ეს ჯგუფი, რომელიც საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ რესპუბლიკის ხელმძღვანელ ბირთვის შეადგენდა, იძულებული გახდა ადრინდელზე შედარებით მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებოდა ეროვნულ საკითხს. საქმე ის იყო, რომ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ველიკოდერჟავული კურსი კიდევ უფრო ართულებდა ქართველი ბოლშევიკების მდგომარეობას, რომელიც წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირობებში ისედაც უაღრესად მძიმე იყო. მკითხველმა იცის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ „საქართველოს ხალხის მოღალატეებად გამოაცხადა საქართველოს რევკომის წევრები, რომლებმომოდნენ „რუსეთის საბჭოთა ლაშქართ საქართველ

რესპუბლიკის წინააღმდეგ.¹ შექმნილ ვითარებაში ქართველ ბოლშევიკთა მთავარი საზრუნავი გახდა როგორმე გამოენახათ საერთო ენა ქართველ ხალხთან, განსაკუთრებით, მის ინტელიგენციასთან. მით უფრო, რომ ზოგიერთი ქართული პოლიტიკური პარტია ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებასთან შეურიგებლობისაკენ მოუწოდებდა, ხოლო კომუნისტურ პარტიას, არცთუ უსაფუძვლოდ, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დარღვევასა და, საერთოდ, ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საყვედურობდა.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტურმა“ შემადგენლობამ გადაწყვიტა ეჩვენებინა, რომ მისთვის უცხო არაა ქართული ხალხის ეროვნული ინტერესები; მან გარკვეული გაკვეთილები გამოიტანა წარსულის შეცდომებისაგან, ამჯერად შეეცადა გაეთვალისწინებინა საქართველოს ისტორიული სახელმწიფოებრივი ტრადიციები და თავისივე პარტიულ-იდეოლოგიური დოქტრინის ფარგლებში შედარებით (!) გონივრული ეროვნული პოლიტიკის განხორციელება მოინდო-
მა.

ქართველ ბოლშევიკთა ამ პოზიციაზე არ შეიძლება თავისებური გავლენა არ მოეხდინა იმ ფაქტსაც, რომ სულ რაღაც წლინახევრის წინ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მართალია, ისინი ებრძოდნენ ამ დამოუკიდებლობას, გმობდნენ მას, მაგრამ მათ ხომ კარგად იცოდნენ, რომ ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას (იცოდნენ, მაგრამ, სახალხოდ, ღია პრესაში არ აღიარებდნენ) და არ ურიგდებოდა მის დაკარგვას.

საოკუპაციო რეჟიმს, რასაც კიდევ უფრო ამძიმებდა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ველიკოდერჟავული პოლიტიკა, საქართველო შეიძლება სრულ კატასტროფამდე მიეყვანა. ამას გრძნობდნენ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“, რომლებმაც სცადეს მდგომარეობის განმუხ-

¹ გაზ. „ერთობა“, 1921 წლის 23 თებერვალი.

ტვა. ძვირად დაუჭდათ მათ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან დაპირისპირება, მაგრამ, ბრძოლა, რომელსაც ისინი ამ პერიოდში ეწეოდნენ, უთუოდ სამართლიანი იყო და იგი თითოეული მათგანის ბიოგრაფიის ყველაზე ნათელ და დასაფასებელ ფურცლად უნდა მივიჩნიოთ.

ამიტომაც კეთილშობილურ საქმედ უნდა ჩაითვალოს ამ ბრძოლის ამსახველი მასალების შესწავლა და გაანალიზება, საერთოდ, ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტთა“ იმდროინდელი საქმიანობის ჭეშოვანი შეფასება. უამისოდ გაღარიბდებოდა ჩვენი ისტორია. ლაპარაკია ობიექტურ შეფასებაზე, რაც გამორიცხავს ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნას. უნდა ითქვას სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. ამოსავალ წერტილად, ალბათ, ის უნდა მივიჩნიოთ, რომ პარტიის სამხარეო კომიტეტთან ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების“ ბრძოლა პრინციპულ საკითხებს ეხებოდა (ცხადია, მთლად გამოსარიცხავი არც პირადული მომენტია). მათი პრინციპულობა იმიტაც გამოიხატა, რომ როცა მნიშვნელოვანი საკითხის სასურველ გადაწყვეტას ვერ მიაღწიეს და იგრძნეს, რომ საბოლოოდ დამარცხდნენ, ისინი კოლექტიურად გადადგნენ (თუმცა შეეძლოთ დამორჩილებოდნენ ცენტრის დიქტატს და თავიათი თანამდებობებიც შეენარჩუნებინათ). ეს მოხდა 1922 წლის 22 ოქტომბერს, როცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტურმა“ შემადგენლობამ ოფიციალურად დაადასტურა თავისი გადადგომა.

ახლა მოკლედ იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რამ აიძულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაშდგარიყო.

როგორც ითქვა, რკპ(ზ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უთანხმოება უმთავრესად ამიერკავკასიის ფედერაციას ეხებოდა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი სსრ კავშირის შექმნის შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციას ზედმეტ რგოლად მიიჩნევდა და მოითხოვდა მის გაუქმებას, სსრ კავშირში საქართველოა უშუალოდ შესვლას, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის უკრაინისა და ბელორუ-

სიის ანალოგიური სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭებას. სამხარეო კომიტეტი კი მხარს უჭერდა ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნებას, იმას, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი შესულიყვნენ არა უშუალოდ, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით (არავის აინტერესებდა ქართველი ხალხის აზრი, სურდა თუ არა მას რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის — სსრ კავშირის სტრუქტურაში ყოფნა, მის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით თუ უშუალოდ შესვლა).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არც ერთი პოლიტიკური თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხის გარშემო არ ყოფილა ისეთი მწვავე კამათი, როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლას მოჰყვა. დამახასიათებელია ისიც, რომ დისკუსიის მონაწილეებმა ვერ გამოავლინეს პოლიტიკური დისკუსიის კულტურის სათანადო დონე — აზრთა ჭიდილს, ცხარე დავას, რაც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, ხშირად თან სდევდა დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთლანძღვა, პირადი შეურაცხყოფა, რამაც, კიდევ უფრო გაართულა ისედაც მწვავე პრობლემის გადაწყვეტა.

ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტების განხილვა, აგრეთვე იმის გარკვევა, თუ რატომ იყო მაშინ მიზანშეუწონელი ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნება სამომავლო საქმედ მივიჩნით. ამჯერად დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია ვ. ი. ლენინის ინიციატივით არ შექმნილა, მისი დაარსების იდეა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა და საერთოდ ამიერკავკასიელ მოღვაწეებს ეკუთვნის. ყოველ შემთხვევაში ეს ასე ჩანს ბ. შახტაინსკის, ა. ბეკზადიანის, ა. მიასნიკოვის, მ. ორახელაშვილის, ს. ორჯონიკიძისა და სხვების ხელიდან გამოსული ადრინდელი დოკუმენტებიდან. ვ. ი. ლენინმა 1921 წლის ნოემბერში მხოლოდ მოიწონა კავბიუროს წინადადება. 1922 წლის შემოდგომაზე კი ვ. ი. ლენინი მხარს უჭერს ქართველ

ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ველკოდერჟავული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პარტიაში ერთობ გახმაურებულ „ქართულ საქმეს“, „საქართველოს საკითხს“, ცდილობს დაიცვას ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“ ე. წ. „ინტერნაციონალისტების“, ფაქტობრივად ველიკოდერჟავული პოლიტიკის აბოლოგენტთა შემოტევებისაგან.

სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება წერილები, რომლებშიც ვ. ი. ლენინი მოითხოვს ქართველი ხალხის მიმართ გარკვეულ დათმობებზე წასვლას. დავიმოწმით ერთი ადგილი მისი ნაშრომიდან „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“, რომელიც 1922 წლის 31 დეკემბერს დაიწერა: „და ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, ქართველი ერის მიმართ, ჩვენ გვაქვს იმის ტიპური მაგალითი, სადაც საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას. ის ქართველი, რომელიც უგულვებელყოფს საქმის ამ მხარეს, ათვალწუნებით წამოისვრის ბრალდებას „სოციალ-ნაციონალიზმში“ (მაშინ როდესაც ის თვითონ არის ნამდვილი და ჭეშმარიტი არა მარტო „სოციალ-ნაციონალი“, არამედ უხეში ველიკორუსი დერჟიმორდაც), ეს ქართველი, არსებითად, არღვევს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის ინტერესებს, რადგან არაფერი ისე არ აფერხებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას, როგორც ეროვნული უსამართლობა...“¹.

ყოველივე ეს იმას მიგვანიშნებს, რომ ვ. ი. ლენინმა იცოდა საქართველოში იმ დროს არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების შესახებ (არ შეიძლებოდა ამ სიტუაციის შექმნაში ვ. ი. ლენინს თავისი წვლილიც არ დაენახა), ისიც იცოდა, რომ საქართველო ოკუპირებული იყო წითელი არმიის მიერ (ეს ხომ მისი ხელდასმით მოხდა), რაც ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის უკმაყოფილებას იწვევდა.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 692—693.

ასეთ ვითარებაში რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დაუოკებელი ველიკოდერჟავული პოლიტიკა და მისი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით განხორციელება ცეცხლზე ნავთის დასხმა უდრიდა. ეს საფრთხეს უქმნიდა საოკუპაციო რეჟიმს, საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში. აი, რა აწუხებდა უმთავრესად ვ. ი. ლენინს. აი, რატომ უჭერდა იგი მხარს ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“ (იყო სხვა მიზეზებიც).

ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა“ ერთ-ერთი ლიდერი ბუღუ მდივანი 1921 წლის 25 ნოემბერს იოსებ სტალინს ატყობინებდა, რომ სერგო ორჯონიკიძემ ქართველ კომუნისტებს (იგულისხმებიან ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“) საჯაროდ დასდო ბრალი შოვინიზმში. ბუღუ მდივანი კიდევ უფრო ადრე კავბიუროს შემადგენლობის შეცვლას მოითხოვდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა (მისი უმრავლესობის) და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ურთიერთდამოკიდებულება თანდათან დაიძაბა. გაჩნდა იმის სიმპტომები, რომ ამ ორ პარტიულ ორგანოს შორის ადრიდანვე არსებული არცთუ მაინცდამაინც კოლეგიური ურთიერთობა ამკერად დიდ უთანხმოებაში გადაიზრდებოდა. იწყებოდა დიდი კონფლქტი, რომელიც არა თუ ვერ ჩააქრეს, არამედ უკიდურესად გაამწვავეს. აქ ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი როდი ითამაშა იმანაც, რომ პრინციპულ საკითხზე დავისას ვერც ერთი მხარე ვერ იჩენდა სიღინჯეს, არ თაკილობდა მოწინააღმდეგეთა პიროვნულ შეურაცხყოფას. ბრძოლის ოღიოზური მეთოდების შესარჩევად შორს წასვლა არ სჭირდებოდათ — ამ მეთოდებს უხვად იღებდნენ ბოლშევიზმის არსენალიდან.

სერგო ორჯონიკიძისა და ბუღუ მდივნის ურთიერთობა დღითიდღე უარესდებოდა. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1921 წლის 2 დეკემბრის სხდომის შემდეგი საოქმო ჩანაწერი:

...ბ) ამხ. ორჯონიკიძის განცხადება მოსკოვში წასვლის გადაწყვეტილების თაობაზე

საქ. კპ ცკ აღგენს შეატყობინოს რკპ ცკ-ს, რომ შექმნილ გარემოებათა გამო საქ. კპ ცკ-ს შეუძლებლად მიაჩნია საქართველოდან ამხ. ორჯონიკიძის წასვლა და სთხოვს ამხ. ორჯონიკიძეს რკპ ცკ-დან პასუხის მიღებამდე არ შეასრულოს თავისი გადაწყვეტილება.

ამხ. ორჯონიკიძის განცხადება ამხ. მდივნის სიტყვების გამო, რომ თითქოს საქ. კპ ცკ-ის მთელ შემადგენლობას, 3 წევრის გამოკლებით, ამხ. ორჯონიკიძე კავკასიის „ბოროტ გენიად“ მიაჩნია და საჭიროდ მიიჩნევს მის გაწვევას აქედან.

ცკ-ის 9 აქ მყოფი წევრიდან 8 აცხადებს, რომ არავითარი ურთიერთობა არ აქვთ ამ განცხადებასთან.

დაევალოს სამდივნოს პერსონალურად გამოჰკითხოს ცკ-ის დანარჩენ წევრებს — გამოთქვებს თუ არა მათ მსგავსი მოსაზრება ამხ. ორჯონიკიძის როლის შესახებ¹.

აქ მთავარი ის არის, რომ 1921 წლის დამლევს უთანხმოება უკვე ოფიციალურად დაფიქსირდა. სერგო ორჯონიკიძე მაშინ კავკასიიდან არ გაუწვევიათ. პირიქით, მისი პოზიციები იოსებ სტალინის მხარდაჭერით არნახულად განმტკიცდა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ საქართველოდან სერგო ორჯონიკიძის მოწინააღმდეგე ჯგუფის რამდენიმე წევრი გაიწვიეს. იქამდე კი მთელი წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა დავა.

კამათი განსაკუთრებით გამწვავდა 1922 წლის ოქტომბერში, კერძოდ, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 6 ოქტომბრის პლენუმის შემდეგ. ამ პლენუმმა, როგორც ცნობილია, დაგმო საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ პროექტი და მოიწონა სსრ კავშირის შექმნის ლენინისეული გეგ-

¹ სუსპიია, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 39—40.

მა. ამით, ბუნებრივია, გაიხარეს ქართველმა ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებმა“, მაგრამ მათს უკმაყოფილებას ახლავს იწვევდა, რომ ამავე პლენუმის გადაწყვეტილებით სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ცალ-ცალკე კი არ უნდა შესულიყვნენ, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს რესპუბლიკები (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) მოკავშირე რესპუბლიკათა სტატუსით ვერ ისარგებლებდნენ.

საქართველოსათვის სსრ კავშირში უშუალო შესვლაც ნაძალადევი და თავსმონხვეული იქნებოდა, რადგან ქართველ ხალხს ამის თაობაზე თავისი აზრი არ გამოუთქვამს, მაგრამ რუსეთის ფედერაციაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით შესვლასთან შედარებით (რასაც ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის“ პროექტი ითვალისწინებდა), საქართველოს უშუალოდ შესვლა სსრ კავშირში, თუ ეს უკანასკნელი მართლაც თანაბარუფლებიან რესპუბლიკათა თავისუფალ კავშირად (და არა ტოტალიტარულ და ფაქტობრივად უნიტარულ სახელმწიფოდ) ჩამოყალიბდებოდა, ცხადია, მაინც წინგადადგმულ, პროგრესულ ნაბიჯად ჩანდა. ამიტომ მისთვის ბრძოლაც გამართლებული იყო. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ქართველი ხალხის ბედ-იღბალში იგი ბევრს ვერაფერს შეცვლიდა.

6 ოქტომბრის პლენუმს ვ. ი. ლენინი უშუალოდ არ დასწრებია. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს ფაქტი ასულდგმულებდა ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტთა“ ბრძოლას ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებისათვის, რადგან მიაჩნდათ, რომ, თუ ვ. ი. ლენინი მათს არგუმენტებსა და მოსაზრებებს მოისმენდა, მაშინ იგი თვითონ დააყენებდა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების საკითხს. ეს ვარაუდი არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან ცნობილია, თუ როგორი გულისყურით მოეკიდა ვ. ი. ლენინი ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა“ მოსაზრებებს, თუნდაც „ავტონომიზაციის“ საკითხში.

ოქტომბრის პლენუმის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს პირველი ოფიციალური მსჯელობა ამ საკითხზე 1922 წლის 14 ოქტომბერს

ჰქონდა. ამ დღეს პრეზიდენტმა ფილიპე მახარაძის, სერგო ქავთარაძის, მიხეილ ოკუჯავას, ეფრემ ეშბას, პარმენ საბაშვილისა და კოტე ცინცაძის მონაწილეობით (ესწრებოდნენ აგრეთვე მიხა ცხაკაია, მიხეილ ჩიხლაძე, ბესო კვიციანი და არტემ კვიციანი) განიხილა კომისიის მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ და დაადგინა: „წინადადება მიეცეს კომისიას ამხ. ამხ. ოკუჯავას, ქავთარაძის, ეშბასა და კვიციანის შემადგენლობით ცკ-ის პრეზიდენტის შემდეგი სხდომისათვის დასამტკიცებლად წარმოადგინოს მოტივირებული განცხადება რკპ ცკ-ისათვის თხოვნით, რომ საქართველოზედაც გავრცელდეს დებულება საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოში უკრაინისა და ბელორუსიის დამოუკიდებელი შესვლის შესახებ“.

სპეციალური მსჯელობა გამართა ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის 1922 წლის 19 ოქტომბრის გაფართოებულმა პლენუმმა, რომელსაც 101 კაცი ესწრებოდა. პლენუმმა მოისმინა თბილისის კომიტეტის ბიუროსა და სერგო ორჯონიკიძის ცნობა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 ოქტომბრის პლენუმის დადგენილების შესახებ. აი, რას ვკითხულობთ პლენუმის საოქმო ჩანაწერში:

„ამხ. ცინცაძე. რკპ ცკ-ის დადგენილება სრულებითაც არ სცილდება საქ. კპ ცკ-ის თვალსაზრისს. რკპ ცკ-ის პლენუმზე ჩვენმა აზრმა გაიმარჯვა. 7-10 ამხანაგის გაწვევა დიდი ხანია გადაწყვეტილია, ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ გაწვევისა, მაგრამ საქ. კპ ცკ-ს ვთხოვეთ თვითონ მოეხდინა ეს გადაჯგუფება.“

ამხ. ოკუჯავა. მთელ ცკ-ს უპირისპირებს ლენინს. მხოლოდ ლენინის გენიალურმა გონებამ აღნიშნა ცკ-ის პლენუმის მიერ საკითხის არასწორი გაგება. ეროვნული საკითხის პირველმა კომისიამ (სტალინი, ორჯონიკიძე და მიასნიკოვი) გადაწყვიტა გამოეყენებინა ავტონომიზაცია, მაგრამ ამხ. ლენინმა გადაჭრით მოითხოვა დამოუკიდებელ რესპუბლიკათა კავშირი. ამხ. ლენინს აზრი უდავოდ იხრება ცალკე რესპუბლიკათა ფედერაციისაკენ, ვინაიდან რკპ ცკ-ის ბოლო და-

1 სუსპია, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 193, ფურც. 283.

დგენილების არსიც ისეთია, რომ იქ გაიმარჯვა ეროვნულ-რესპუბლიკური და არა ეკონომიკური ნიშნის მიხედვით აგების თვალსაზრისმა. რაც შეეხება ამიერკავკასიის ფედერაციას, ის არ არის სიცოცხლისუნარიანი, ამავე დროს ცალკე რესპუბლიკები — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი — ცოცხალი ორგანიზმებია, ბუნებრივი წარმონაქმნებია.

ამხ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ს საჭიროდ მიაჩნია გაეცნონ ამხ. ბუღუ მღივნის მოსაზრებას ამ საკითხზე და თხოულობს წაიკითხონ წერილი ამხ. ს. ქავთარაძისადმი, რადგან მღივანი მოსკოვში ამტკიცებდა, რომ ის ყველაფერში ეთანხმება რკპ ცკ-ის დადგენილებას.

ამხ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე კითხულობს ბუღუ მღივნის წერილს, სადაც ნათქვამია, რომ დამოკიდებულება მათდამი, ე. ო. საქართველოს დელეგატებისადმი, რკპ ცკ-ის პლენუმზე დერჟიმორდული იყო და მხოლოდ ამხ. ლენინის გამოჩენამ განმუხტა ვითარება და შეცვალა ლოიალური განწყობილებით. ლენინიც თავის წერილში ბრალს დებს პლენუმს, რომ „ეელიკოდერკავული“ იყო. ინფორმაციის სწორ მიწოდებაზე უკვე ველაპარაკე ცინცაძეს, ღუმბაძესა და ოკუჯავას.

ამხ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. ჩვენ არა ვართ გაერთიანების წინააღმდეგი, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ქართველ ხალხს, რომლის წინაშეც პასუხს ვაგებთ. მთელი საქმე მიდგომაა. ფრთხილად უნდა მივუდგეთ, ერთი დაკვირვებით კი არ უნდა გადავწყვიტოთ, ვინაიდან ჩვენ ვერ უზრუნველყოფთ სიმშვიდეს ამ საკითხის ფორსირებული გატარების შემთხვევაში. ამიერკავკასიის სამხარეთო კომიტეტს კი ჰქნებით უნდა სვლა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია — ესაა გვაში, ვინაიდან ხელოვნური გზითაა შექმნილი და თქვენ ვერ მოახდენთ მის გაღვანიზაციას. ასეთივე ამბავი დაემართა ამიერკავკასიის კომისარიატსაც, რომელიც იმავე მიზეზით დაიფანტა. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა — ეს არის ბიუროკრატიული აპარატის შექმნა.

ამხ. ე შ ბ ა ს წინადადება: „რკპ ცკ-ის 6 ოქტომბრის დადგენილებას მივესალმებით, საშუალებას ვაძლევთ საქ. კპ ცკ-ს იშუამდგომლოს რკპ ცკ-ის წინაშე, რათა შეცვლილ იქნეს დადგენილების პუნქტი სსრკ-ში არა ამიერკავკასიის ფე-

დერაციის, არამედ უშუალოდ რესპუბლიკების, კერძოდ საქართველოს შესვლის შესახებ“¹.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ე. ეშბას „უკლონისტურ“ წინადადებას პლენუმის მონაწილე 101 კაციდან მხოლოდ 27-მა დაუჭირა მხარი. ეს ფაქტი ძნელად ასახსნელია. პლენუმის მონაწილენი ხომ უმთავრესად ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი კომუნისტები იყვნენ. მაშ რატომ უნდა წასულიყვნენ ისინი სსრ კავშირში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უშუალო შესვლის წინააღმდეგ? კიდევ მეტი. პლენუმის მონაწილეთა უმრავლესობამ 62 კაცმა (ზოგმა თავი შეიკავა, ან საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში) ე. ეშბას წინადადების უარყოფით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ფაქტობრივად საკითხის დაყენებაც კი აუკრძალა. რაში იყო საქმე? რატომ მიიჩნიეს ეს ნაციონალიზმად? ნუთუ პლენუმის მონაწილეთა უმრავლესობას არ ანადვლებდა ის, რომ შექმნილ ვითარებაში უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკები ოფიციალურად უფრო მაღალ სახელმწიფოებრივ სტატუსს იღებდნენ, ვიდრე საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი? რა დაშავდებოდა, თუ ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც მოითხოვდნენ სსრ კავშირში უშუალო შესვლას და მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსს? რატომ გახდა ეს ძნელად გასაგები? განა ეს საკითხის არაინტერნაციონალური გადაწყვეტა იქნებოდა? არ ჰყოფნიდათ ეროვნული თვითშეგნება? არ უწყობდნენ რასა იქმოდნენ? იქნებ იმიტომ, რომ ბრმად ენდობოდნენ ან ვერ გაბედეს დაპირისპირებოდნენ იოსებ სტალინს, სერგო ორჯონიკიძეს, ალექსანდრე მიასნიკოვს და სხვებს, რომლებიც ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნებას მოითხოვდნენ. არც იმას გაუწიეს ანგარიში, რომ პლენუმის ზოგიერთი მონაწილის მტკიცებით ვ. ი. ლენინი არ უნდა წასულიყო საკითხის გადასინჯვის წინააღმდეგ. მკაცრი რეპრესიების შიშისათვის მაშინ, ვფიქრობთ, საფუძველი არ არსებობდა. იქნებ თანამდებობათა დაკარგვისა შეეშინდათ? რა კუთხითაც უნდა მივუდგეთ, გამართლებას ვერ მოვუნახავთ პლენუმის მონაწილეთა უმრავლესობის პოზიციას. თუ, რასაკვირველია,

¹ სუსპიია, ფ. 17, აღწ. 1, საქ. 108, ფურც. 26.

„გამართლებად“ არ მივიჩნევთ იმას, რომ აუცილებელი იყო ჩემდგომი პარტიული ინსტანციის დადგენილებისადმი დამორჩილება. მაგრამ საკითხის დასმის წინააღმდეგაც რომ წავიდნენ?

თბილისის კომიტეტის პლენუმზე ფ. მახარაძის, მ. ოკუჯავასა და კ. ცინცაძის გამოსვლები ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა მეორე დღესვე, 20 ოქტომბერს. ეს გამოსვლები სამხარეო კომიტეტის პლენუმმა პარტიული დისციპლინის უხეშ დარღვევად მიიჩნია. ამისათვის ფორმალური საფუძველი, რასაკვირველია, არსებობდა. საქმე ისაა, რომ ფ. მახარაძე, მ. ოკუჯავა და კ. ცინცაძე თავიანთი წინადადებით დაუპირისპირდნენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებებს, რომელთა თანახმად, როგორც ითქვა, ამიერკავკასიის რესპუბლიკები სსრ კავშირში უნდა შესულიყვნენ არა ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. სამხარეო კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ ფ. მახარაძის, მ. ოკუჯავასა და კ. ცინცაძის (განსაკუთრებით პირველი ორის) გამოსვლები თბილისის კომიტეტის პლენუმზე წარმოადგენდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დისკრედიტაციას. ნ. ნარიმანოვის წინადადებით ამ მუშაეებს სასჯელიც („პარტიული გაკიცხვა“) დაადეს, ხოლო ს. ქავთარაძეს დაავალეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისთვის ჩაებარებინა ის წერილი, რომელიც მას ბუდუ მდივანმა გამოუგზავნა მოსკოვიდან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 ოქტომბრის პლენუმის შემდეგ, საზღვარგარეთ გამგზავრების წინ (ითქვა, რომ ამ წერილმა მისი შინაარსის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ იგი წაკითხულ იქნა თბილისის კომიტეტის პლენუმზე დაკარგა „კერძო წვრილის ხასიათი“)¹. ბუდუ მდივანმა ეს წერილი ს. ქავთარაძეს 1922 წლის 8 ოქტომბერს გამოუგზავნა. იგი მრავალმხრივ საინტერესოა და მთლიანად დავიმოწმით:

„ძვირფასო სეროიჟა! ცკ-ის პლენუმის დადგენილებით ქემალთან (იგულისხმება ქემალ ათა-თურქი, თურქეთის მთავ-

¹ სუსპიია, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 145, ფურც. 20.

რობის თავმჯდომარე — ლ. თ.) უნდა გავემგზავრო. საბოლოოდ უნდა დავადგინოთ, საით უძიხნებს ქვეალი და რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, თუ ის სერიოზულად გადაწყვეტს მოელაპარაკოს ანტანტას. არ ვიცი, შევძლებ თუ არა ყოველივეს გამორკვევას, მაგრამ საქართველოში მუშაობისათვის დაახლოებით ორ თვეს დავკარგავ. შემდეგ კი მოაწვევს რუსეთის საბჭოების ყრილობაც. ალბათ მეც მომიწვევს მონაწილეობა, კვლავ დროის დაკარგვა და ა. შ.

თანდართული დოკუმენტებიდან (დაბრუნებისას ისინი უნდა ჩამაბარო) გაიგებ რა ფაზები გაიარა ჩვენმა საკითხებმა. თავდაპირველად (ულენინოდ) გვირტყამდნენ დერჟიმორდულად, დაგვცინოდნენ, შემდეგ კი, როცა ჩაერია ლენინი ჩვენთან შეხვედრისა და სრული ინფორმაციის მიღების შემდგომ, საქმე კომუნისტური გონიერებისაკენ შემობრუნდა.

ფინანსურ საკითხში — კურსი გაუთანაბრდა ქართულ ბონს. ურთიერთობის საკითხში (იგულისხმება საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობა — ლ. თ.) — ალიარეს ნებაყოფლობითი კავშირი თანასწორუფლებიანობის საწყისებზე და ამის შედეგად სულისშემხუთველი ატმოსფერო ჩვენს წინააღმდეგ გაიფანტა. პირიქით, ცკ-ის ჰლენუმზე თავს დაესხნენ ველიკოდერჟავნიკებს — ასე ილაპარაკეს ბუხარინმა, ზინოვიევმა, კამენევმა და სხვ. პროექტი, რასაკვირველია, ლენინს ეკუთვნის, მაგრამ შემოიტანეს სტალინის, ორჯონიკიძისა და სხვათა სახელით, რომლებმაც მყისვე შეცვალეს ფრონტი.

თან ვურთავ თვით ლენინის ხელით დაწერილ ბარათსაც, რომელსაც კამენევს უგზავნის. კამენევი განუწყვეტლივ სწერდა კბილმტკივან ლენინს ურთიერთობათა საკითხზე კამათის მსვლელობის შესახებ.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჰირადად არ შემიძლია მოგახსენო ამ საკითხის ირგვლივ კამათის შესახებ, მაგრამ საინტერესოა, რომ კამათი გრძელდებოდა 3 საათს — ეს გასაოცარია პლენუმისათვის, სადაც საკითხები კინემატოგრაფიული სისწრაფით წყდება.

კამათმა ცხადყო, რომ ცკ-ის გარკვეული ნაწილი პირდაპირ უარყოფს ეროვნული საკითხის არსებობას და მთლიანად დაავადებულია ველიკოდერჟავული ტენდენციებით. მაგრამ ეს ნაწილი ისე გაასილაქეს, რომ მალე ვერ გამოძვრე-

ზიან სოროდან, სადაც ისინი ლენინმა შერევა. მის განწყობილებას გაიგებ მისი წერილიდან (იგულისხმება ვ. ი. ლენინის ცნობილი: „ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას...“ (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ, ტ. 33, გვ. 438 — ლ. თ.), რომელიც წაიკითხეს სხდომის ბოლოს, ძლივს გამოვართვი კამენევს.

ჰო, ატმოსფერო ცოტა განიმუხტა, მაგრამ შეიძლება კვლავ დაიძაბოს, თუ ძალას ვერ ვუჩვენებთ და თუ კარგად ვერ დავაყენებთ ინფორმაციის საქმეს. ამაზე ველაპარაკე კოტეს (იგულისხმება კოტე ცინცაძე — ლ. თ.) და მიშას (იგულისხმება მიხეილ ოკუჩავა — ლ. თ.); ვილაპარაკეთ ბევრი, ალბათ, უკვე გიამბეს. სერიოზულად უნდა მოვემზადოთ და მთელი ძალა მოვცვაოთ როგორც აპიერკავკასიის ყრალობისათვის, ისე სრულიად რუსეთის ყრალობისათვის. ბუღუ. მოსკოვი“.¹

როგორც ვხედავთ, ბუღუ მდივანი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგაც არ ურიგდება შექმნილ მდგომარეობას და ახალი ბრძოლისაკენ ნოუწოდებს თავის თანამოაზრეებს. თვითონ საზღვარგარეთ გაემგზავრა. მართალია, ბუღუ მდივანს უკვე ჰქონდა თურქეთში დიპლომატიური მოღვაწეობის გარკვეული გამოცდილება, მაგრამ ამ პერიოდში მისი საქართველოდან „გაწვევა“, საფიქრებელია, „ქართული ოპოზიციის“ შესუსტებასაც ისახავდა მიზნად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ფილიპე მახარაძის, ეფრემ ეშბას, მიხეილ ოკუჩავას, პარმენ საბაშვილის, სერგო ქავთარაძის, კოტე ცინცაძის, ალექსანდრე გეგეჭკორის, ლადო ღუმბაძის (ესწრებოდა როგორც საქ. კპ ცკ-ის წევრი) და სხვათა მონაწილეობით 1922 წლის 20 ოქტომბერს დაადგინა, რომ გაიგზავნოს მოსკოვში კომისია (დელეგაცია) მალაქია ტოროშე-

¹ მლი ცპა, ფ. 5. აღწ. 2, საქ. 26, ფურც. 29. დოკუმენტი გადმოგვცა პროფ. გ. ყვანიამ, ჩისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნით. იგი შემოკლებით გამოქვეყნებულია ს. ხარმანდარიანის წიგნში „ლენინი და აპიერკავკასიის ფედერაციის შექმნა“, ერევანი. 1969, გვ. 347—348 (რუს.) და გ. ყვანიას წიგნში „ერაყთ წოდებული ნაციონალ-უკლონიზმის შესახებ“, იბ., 1990, გვ. 45—46.

ლიძის, კოტე ცინცაძისა და ეფრემ ეშბას შემადგენლობით, რომელსაც უნდა აღედგრა შუაქდგომლობა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რათა „სსრ კავშირში ბელორუსიისა და უკრაინის დამოუკიდებლად შესვლის დებულება გავრცელებულიყო საქართველოსზეც“.¹

ეს დადგენილება, რომელიც ფაქტობრივად პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირდაპირი გამოწვევა იყო, ძვირად დაუჯდათ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“. სულ მალე მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში იმავე შემადგენლობით მორიგ სხდომებს ველარ გამართავს. -მას არ დაითხოვენ, არც დაშლიან, მაგრამ ორი დღის შემდეგ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი თვით ჩაიდენს ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში გაუგონარ აქციას — იგი გადადგება.

საქმე ის არის, რომ ამ დროისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დაპირისპირება უკიდურეს წერტილამდე მივიდა, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1922 წლის 20 ოქტომბრის პლენუმზე მომხდარმა ამბებმა. ამ პლენუმზე სერგო ორჯონიკიძემ შოვინისტებად მონათლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები (ფილიპე მახარაძე, მიხეილ ოკუჯავა, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე და სხვ.) იმის გამო, რომ სამხარეო კომიტეტის დადგენილების საწინააღმდეგოდ მათ გაბედეს და სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლა მოითხოვეს. სამხარეო კომიტეტის პლენუმზე გადაწყდა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან მიხეილ ოკუჯავას მოხსნის საკითხი.

კოტე ცინცაძემ, სერგო ქავთარაძემ, ფილიპე მახარაძემ, ლადო დუმბაძემ, სილიბისტრო თოდრიამ, ეფრემ ეშბამ და პარმენ საბაშვილმა, განაწყენებულებმა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მოქმედებით, განსაკუთრებით, სერგო ორჯონიკიძის უხეშობით, გადაწყვიტეს ინფორმაცია

¹ სუსპიია, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 193, ფურც. 322.

მიეწოდებინათ ვ. ი. ლენინისათვის. ამ მიზნით ისინი 20 ოქტომბერსავე, გვიან ღამით, პირდაპირი მავთულით დაუკავშირდნენ მოსკოვს და „განსაკუთრებით მნიშვნელოვან და გადაუდებელ საქმეთა“ გამო აპარატთან გამოიძახეს ლ. ბ. კამენევი, ნ. ი. ბუხარინი და ა. ს. ენუქიძე. ვ. ი. ლენინთან პირდაპირ დალაპარაკებას მოერიდნენ (გვიანი დრო იყო: მოსკოვთან საუბარი შეწყდა ღამის 2 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით, ე. ი. ფაქტობრივად 21 ოქტომბერს).

ი. ბ. სტალინს გვერდი აუარეს. ეს არ იყო შემთხვევითი. მათ კარგად იცოდნენ, რომ ი. ბ. სტალინი ამ პერიოდში მთლიანად და სავსებით იწონებდა პარტიის ამიერკავკასიის სამსარეო კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის პოზიციას, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნას სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის შესახებ. ამდენად სერგო ორჯონიკიძის წინააღმდეგ გალაშქრება ფაქტობრივად იოსებ სტალინის წინააღმდეგ გამოსვლაც იყო. ამიტომაც არ ჰქონდათ ი. ბ. სტალინის იმედი, გრძნობდნენ, რომ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“ ვ. ი. ლენინთან კეთილ სიტყვას არ შეაწევდა. რაც შეეხება ლ. ბ. კამენევსა და ნ. ი. ბუხარინს, მათი მეტი ნდობა ჰქონდათ, მიაჩნდათ ისინი ველიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ მებრძოლებად და ბუდუ მდივნის პოზიციის მხარდამჭერებად (ამის საფუძველს სერგო ქავთარაძისადმი ბუდუ მდივნის ზემოთ ციტირებული წერილიც იძლეოდა).

აპარატთან ა. ს. ენუქიძე გამოცხადდა. მანვე მიიღო ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინისათვის გადასაცემად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოთ ჩამოთვლილი 7 წევრის (კოტე ცინცაძე და სხვ.) ხელმოწერილი ბარათი, რომელიც გ. კ. ორჯონიკიძის ლანძღვა-გინებას შეიცავდა. ბარათში ნათქვამია: „საქართველოს გამოუვალი მდგომარეობა გვაიძულებს შეგაწუხოთ. გთხოვთ გადასცეთ ამბ. ლენინს: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი და თქვენი აბსოლუტურად ავტორიტეტული გადაწყვეტილება ბოლოს მოუღებს იმ ანარქიას და რღვევას, რომელიც ამჟამად კატასტროფულ ხასიათს ღებულობს. ორჯონიკიძის ღვითნებობას საზღვარი არა აქვს... დაიწყო საქართველოს

კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დარბევა. ოკუჩავა მოხსნილია, ჩვენ ვერავითარ პასუხისმგებლობას ვერ ვიღებთ ჩვენს თავზე, რის შესახებაც ხვალ განვაცხადებთ ცკ-ის პლენუმზე. ერთი სიტყვით, საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში არასოდეს არ ყოფილა ისეთ სახიფათო მდგომარეობაში, როგორც მოცემულ მომენტში. ყველაფერი ეს მოხდა ორჯონიკიძის წყალობით“¹.

20 ოქტომბრის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. ა. ს. ენუქიძემ, ბუნებრივია, 21 ოქტომბერს დილითვე გადასცა ლ. ბ. კამენევსა და ნ. ი. ბუხარინს თბილისიდან პირდაპირი მავთულით მიღებული ბარათი. მას გაეცნო ი. ბ. სტალინიც, რომელმაც იმავე დღეს (15 საათზე) უღებუშა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, პირადად გ. კ. ორჯონიკიძესა და მ. დ. ორახელაშვილს, რომ რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ა. ს. ენუქიძის მეშვეობით მიიღო „უკლონისტების ბარათი“².

ეს „უკლონისტების ბარათი“, უფრო ზუსტად მისი ტონი (უმთავრესად გ. კ. ორჯონიკიძის ლანძღვა), მოსკოვში არ მოიწონეს, ზოგიერთი გაღიზიანდა კიდევ. იგი ოფიციალურად დაკმეხს თვით ვ. ი. ლენინმა, ლ. ბ. კამენევმა და ნ. ი. ბუხარინმა.

ბარათის ავტორებს მიაჩნდათ, რომ მათი ინფორმაციის შემდეგ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი დაგმობდა ორჯონიკიძის შეცდომებს, გაიციხავდა მას, არ დაუშვებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომას და ამით კონფლიქტიც ამოიწურებოდა. ეს ასე არ მოხდა: რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი, რასაკვირველია, ჩაერა საქმეში, მაგრამ კონფლიქტს მაინც არაფერი ეშველა. ეს ჩაჩევა ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სასარგებლოდ მოხდა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „ბარათი“ მისი ავტორების ტაქტიკური შეცდომა გამოდგა. მან არათუ ვერ განმუხტა დაძაბული მდგომარეობა, არამედ კიდევ უფრო გაამწვავა იგი. „ბარათი“ საბედისწერო აღმოჩნდა არა მარტო მისი ავტორებისათვის,

¹ ციტ.: ს. ხარმანდარიანის დასახელებული წიგნის მიხედვით, იხ. გვ. 351.

² იქვე, გვ. 352.

არამედ იმ ბრძოლისთვისაც, რომელსაც ეს ჯგუფი ეწეოდა რესპუბლიკის შედარებით მაღალი სახელმწიფოებრივი სტატუსის მოსაპოვებლად (ლაპარაკია რესპუბლიკის საბჭოთა სუვერენულ უფლებებზე იმდროინდელი ბოლშევიკური გაგებით და არა ნამდვილ დამოუკიდებლობაზე, ნამდვილ სუვერენიტეტზე, რასაც, ვიმეორებთ, ისევე გაურბოდნენ „ნაციონალ-უკლონისტები“, როგორც ყველა სხვა ბოლშევიკი).

საქმე ის არის, რომ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს სსრ კავშირში საქართველონ უშუალოდ შესვლისათვის ბრძოლაში ვ. ი. ლენინის, ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინის იმედი ჰქონდათ. ამ მოღვაწეთა ზოგიერთ იმდროინდელ გამონათქვამებს თუ გავიხსენებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „უკლონისტების“ ვარაუდი არცთუ ისე უსაფუძვლო იყო. მაგრამ ერთია ვარაუდი, ხოლო სხვაა ის რეალური ვითარება, 20—22 ოქტომბერს რომ შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ვ. ი. ლენინის, ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინის საპასუხო დეპეშებმა იმედი გადაუწურეს „უკლონისტებს“ (ამ დეპეშათა შინაარსი საზოგადოებისათვის ცნობილია), ამიტომაც გადადგნენ ისინი.

მდგომარეობა კვლავ დაძაბული რჩებოდა. რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა რამდენიმე კომისია გამოგზავნა საქართველოში. დაგროვდა მეტად საინტერესო დოკუმენტური მასალა, რომლის ანალიზიც სამომავლო ამოცანად და ცალკე საუბრის თემად მივიჩნით („უკლონისტებს“ საუბარი ისედაც გაგვიგრძელდა) და ახლა „ძერჟინსკის კომისია“ მივუბრუნდეთ.

„ძერჟინსკის კომისია“ ქართული წითელი არმიის მშენებლობის საკითხებზე არსებული უთანაშობებრივად დაინტერესდა. ქართველი ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“ ბრალს დებდნენ გ. კ. ორჯონიკიძესა და მის მომხრეებს, რომ მათ არ მოინდომეს ნამდვილი ქართული წითელი არმიის შექმნა. „ჩვენ ნებას არ გვრთავდნენ ჩამოგვეყალიბებინა არმია და საქართველოს ამ რაცხვმრავალ ნაციონალისტებს წითელი არმია აღევნინეს როგორც საოკუპაციო არმია“, — განუცხადა ლევან აღნიაშვილმა კომისიას¹.

¹ მლიცა, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 30.

უთანხმოებას იხიცი იწვევდა, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით (1921 წლის ნოემბერი) ამიერკავკასიის საშვივე რესპუბლიკაში სამხედრო საქმის ხელმძღვანელობა (ყველა დარგში) მთლიანად გადაეცა რუსეთის სფს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ეს გადაწყვეტილება მიზანშეუწონლად მიიჩნიეს და მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოს სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის უკვე გაფორმებული იყო სამხედრო კონვენცია, აღძრეს შეამდგომლობა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობიდან ქართული წითელი არმიის ნაწილების გამოყოფის თაობაზე. „ნაცვლად საქართველოს წითელი არმიისა გამოგვივიდა საქართველოს ნომრიანი ბრიგადა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობაში“, — აღნიშნავს ლ. აღნიაშვილი კომისიისათვის 1922 წლის 7 დეკემბერს წარდგენილ მოხსენებით ბარათში¹.

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უსაფუძვლოდ ჩათვალა საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიული და სამხედრო ორგანოების თხოვნა და დაამტკიცა ამ საკითხზე გ. კ. ორჯონიკიძისა და ა. ი. ეგოროვის (კავკასიის ცალკე არმიის სარდალი) დასკვნა, რომლის თანახმად მიზანშეუწონლად იქნა მაჩნეული კავკასიის არმიიდან ქართული ბრიგადის გამოყოფა, საქართველოს სსრ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მისი გადაცემა. ამასთან დაკავშირებით გ. კ. ორჯონიკიძე ი. ბ. სტალინს ატყობინებდა: „ჩემი მხრივ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ საქართველოს ცკის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის ჩაშლას იწვევს, რადგან თუ სამხედრო საკითხში არ იქნა ნაწილისა და სარდლობის ერთობა, სხვა საკითხებზე ლაპარაკიც არ ღირს.“²

ერთი სიტყვით, ქართველი ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების“ აზრით, საქართველოს უნდა ჰყოლოდა თავისი წითელი არმია, რომელიც ცალკე კავკასიის არმიას დაემორჩილებოდა მხოლოდ ოპერატიულ და საინსპექციო დარგებში.

¹ მლი ცპა, ფ. 5. აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 22, 30.

² იქვე, ფურც. 30.

ბარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი კი ეყრდნობო-
და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტორს და მოითხოვ-
და შეექმნათ ქართული ბრიგადა ან ღივიზია, რომელიც ყვე-
ლა დარგში დაემორჩილებოდა ცალკე კავკასიის არმიას (ეს
ასეც გაკეთდა).

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის სფს რეს-
პუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკას შორის 1921
წლის 8 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება ითვალისწი-
ნებდა ამ ორი რესპუბლიკის სამხედრო უწყებათა გაერთიან-
ებას, ე. ი. საქართველოს სსრ სამხედრო საქმეთა სახალხო
კომისარიატის გაუქმებას¹.

იმავე ლ. აღნიაშვილმა „ძერჟინსკის კომისიას“ განუცხა-
და: „ქართულ ნაწილებს ბოლო დრომდე ჰქონდათ ეროვნუ-
ლი განმანხვეველებელი ნიშნები — ქვეით ჯარს ნაბდის
ქუდეები ეზურათ, ცხენოსნებს — სვანური. ახლა არმიის სარ-
დალმა ბრძანა, ყველა ქართველმა ბუდიონის ქუდი დაიხუ-
როსო... ეს კარგი მასალაა შოვინიზმის გასავითარებლად...
მეფის რეჟიმის დროსაც კი ეროვნულ პოლკებს ნება ჰქონ-
დათ ეროვნული ტანსაცმელი ეტარებინათ“².

საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის ყოფილმა თავმ-
ჯდომარემ კ. მ. ცინცაძემ (ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტი“)
„ძერჟინსკის კომისიას“ უამბო საგანგებო კომისიის ჯარებში
არსებულ მდგომარეობაზე. დავიმოწმით რამდენიმე ადგილი
მისი გამოსვლიდან: „შემდეგ ამიერკავკასიის საგანგებო კო-
მისიის ჯარების მოწყობის საკითხზე საშინლად შევეტაკეთ
მე და ამიერკავკასიის საგანგებო კომისია, მე და ადგილობ-
რივმა ორგანიზაციამ დავიჩემეთ, საგანგებო კომისიის ჯა-
რებში ადგილობრივი ელემენტი უნდა შედიოდესო“.

„რაზმებში ადგილობრივი მოსახლეობიდან არც ერთი
კაცი არ იყო... მთელმა ჩემმა ჰაპანწყვეტამ ამ მხრივ ფუჭალ
ჩაიარა. მე ჩემი პასუხისმგებლობით შევუერთე რაზმებს რამ-
დენიმე ათეული ქართველი... ნაწილებში ამიერკავკასიის სა-
განგებო კომისიის ჯარების მეთაურები და უფროსები მათ
ისე ეპყრობოდნენ, რომ ყველა გაღებურტირდა... ჯარების

¹ მლი ცპა, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 72.

² იქვე, ფურც. 77.

უფროსმა ივანოვსკიმ ბათუმში დეპეშა გამომიგზავნა, სამარინიდან შევსება მივიღეთ 1345 კაცი ველიკორუსი და მაცნობე რამდენი კაცით გვირდებათ შევსება, ამასთან ეროვნული ელემენტი გაითვალისწინეთ. დეპეშაში განმარტებული იყო, თუ ვინ უნდა დაგვეთხოვა ბატალიონიდან, მათ შორის ყველა ქართველი“.

„ამისთვის მე ნაციონალისტად მომნათლეს... ვინ დაითვლის, რამდენი ასეთი შეცდომა მოსდიოდათ იმ ამხანაგებს, ვინც ადგილობრივ პირობებს არ იცნობდა“.

„გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში მთელი საქმისწარმოება და ადგილებთან ურთიერთობა რუსულ ენაზე იყო“.

„ბათუმის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ხრუცკიმ განაცხადა: ახლა ისეთი კურსია აღებული, რომ საგანგებო კომისიიდან ყველა ქართველი შეიძლება დაითხოვო“.

„თბილისის ბევრ დაწესებულებაში რუსული ენა შემოაქვთ, რკინიგზაზე რუსული ენა შემოიღეს“.

„თბილისს მოკალათებული ძველი შავრაზმული ჩინონიკობა ყველა მოვლენას ისეთ შეფასებას აძლევს, რომ საქართველოს ბოლო მოედო, ერთიანი განუყოფელი რუსეთი იქნებაო“¹.

დავუმატოთ რამდენიმე ადგილი ამავე კომისიის სხდომაზე ფ. ე. მახარაძის გამოსვლიდან:

„ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ლედორი სახკომსაბჭოს გამოცემულ ყველა დეკრეტს აუქმებს“.

„ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობას რესპუბლიკათა ყრილობის გვერდის ავლით იწვევენ. ამით რესპუბლიკათა ცაკებს სამუშაოს არიდებენ და ფიქციად აქცევენ“.

„ამიერკავკასიის ფედერაციის სამოკავშირეო საბჭო მოითხოვდა, რომ საქართველოში მისი დადგენილებები არა საქართველოს სახკომსაბჭოს და ცაკის, არამედ უშუალოდ სამოკავშირეო საბჭოს სახელით განეხორციელებინათ. ზოგჯერ სამოკავშირეო საბჭოს განკარგულებას საქართველოს ცაკს და სახკომსაბჭოს ისე უგზავნიდნენ, რომ სამოკავშირეო

¹ მლი ცპა, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 77—78.

წაბკოს თავმჯდომარის კი არა, პრეზიდიუმის თუნდაც ერთი წევრის ხელმოწერაც კი არ ჰქონდა¹.

ვ. ი. ლენინი ნაშრომში „ეროვნებათა საკითხისათვის“ ანუ „ავტონომიზაციის „შესახებ“ მიუთითებდა: „უნდა შემოვიღოთ უმკაცრესი წესები ეროვნული ენის ხმარების შესახებ ჩვენს კავშირში შემავალ სხვაეროვნებიან რესპუბლიკებში და განსაკუთრებით გულმოდგინედ შევამოწმოთ ეს წესები. ეჭვი არ არის, რომ სარკინიგზო სამსახურის ერთიანობის საბაზით, ფისკალური ერთიანობის საბაზით და სხვ. ჩვენში, ახლანდელი ჩვენი აპარატის არსებობისას, ჰეშმარიტად რუსული თვისების უაშკარავი ბოროტმოქმედება (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.) იპოვის გზას.²

სწორედ „ჰეშმარიტად რუსული თვისების ბოროტმოქმედების“ გამოვლენას გმობდნენ ქართველი ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“, რაც აშკარად ჩანს „ძერჟინსკის კომისიის“ მასალებიდანაც. სხვათა შორის ვ. ი. ლენინის მიერ გამოყოფილმა სამუშაო ჯგუფმა (ლ. ა. ფოტიევა, მ. ი. გლიასერი და ნ. პ. გორბუნოვი) საკითხების მიხედვით დაალაგა „ძერჟინსკის კომისიის“ მასალები და ვ. ი. ლენინისთვის წარსადგენ „მოხსენებაში“ განყოფილება, რომელშიც თავმოყრილი იყო კ. მ. ცინცაძისა და ფ. ე. მახარაძის ზემოაღნიშნული გამონათქვამები, ასე დაასათაურა: „ჰეშმარიტად რუსული თვისების ბოროტმოქმედების „ზოგიერთი ნიმუში“³.

ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტთა“ ხელიდან გამოსულ დოკუმენტებში ბევრი სხვა მსგავსი ფაქტებიცაა მოყვანილი (რაც აგრეთვე ცალკე საუბრის თემაა).

საბოლოო ანგარიშით ქართული წითელი არმია, როგორც ასეთი, არ ჩამოუყალიბებიათ, ფაქტობრივად შეიქმნა მხოლოდ რამდენიმე ქართული საჯარისო შენაერთი, რომლებიც შემდეგ, მოგვიანებით საერთოდ გააუქმეს.

ეს რაც შეეხებოდა სუვერენული სახელმწიფოს ისეთ ატრიბუტს, როგორიცაა არმია. ახლა ორიოდ სიტყვა საქართვე-

¹ შლი ცა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 78.

² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 36, გვ. 694—695.

³ შლი ცა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 77.

ლოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის რეალური სტატუსის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რესპუბლიკის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად ითვლებოდა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე აგებული რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყო და მისი საოლქო ორგანიზაციის უფლებებით სარგებლობდა, ამდენად მას მხოლოდ იმის გაკეთება შეეძლო, რის უფლებასაც რკპ(ბ) მისცემდა. პარტია, ვერც რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობა თავიანთ საქმიანობაში რეალურად დამოუკიდებელი ვერ იქნებოდნენ. თუმცა, შექმნილ ვითარებაში საქართველოს კომუნისტებს ეს საკვებით ბუნებრივად მიაჩნდათ. ურიგდებოდნენ ამას ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებიც“, რომელთაც საქართველოს სრული დამოუკიდებლობა არასოდეს მოუთხოვიათ.

ბუნებრივი იყო ისიც, რომ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა საკვებით დამოუკიდებლად სვით კავბიუროსაც არ შეეძლო. ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდანაც, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან, თუ როგორ არჩევდა კავბიურო, მაგალითად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას.

1922 წლის 8 თებერვალს გ. კ. ორჯონიკიძემ ასეთი დებეშა გაგზავნა მოსკოვში:

„მოსკოვი, კრემლი. რკპ ცკ-ს, ასლი ამხ. ლენინს და სტალინს. თბილისი. მ. 11—22.

საბჭოების ყრილობა 25/11 გაიხსნება. ამასთან დაკავშირებით დება მდივანის — სახკომსაბჭოს თავმჯდომარის საკითხი. ვეარაუდობდით გადაგვენაცვლებინა (იგი) სამოკავშირეთ საბჭოში. საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დარჩენაზე ის უარს ამბობს და არც შეიძლება მისი დატოვება ამ პარტკონფერენციამდე. ვაყენებთ მახარაძის კანდიდატურას. პარტიაში ეს კანდიდატურა ყველაზე პოპულარულია. სხვა დანარჩენი კანდიდატურები შეიძლება გავიდეს მხოლოდ რკპ ცკ-ის დადგენილებით... (ხაზგასმა ჩვენია, — ლ. თ.). გთხოვთ,

სასწრაფოდ გვაცნობოთ მოაჩნია თუ არა ცკ-ს შესაძლებლად მახარადის კანდიდატურის დამტკიცება... ორჯონიკიძე¹.

ორი დღის შემდეგ, 1922 წლის 10 თებერვალს გ. კ. ორჯონიკიძე კვლავ ატყობინებს მოსკოვს: „25-ში მოწვეულია საქართველოს საბჭოების ყრილობა. დადგება საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის საკითხი. თვითონ ბუდუ კატეგორიულად უარზეა. არც მისცემენ მოსვენებას სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. წამოაყენებენ მახარადის კანდიდატურას და ალბათ ერთხმად გავა. დანარჩენი კანდიდატურები ყველა იხსნება. ფილიპეს კანდიდატურა შეიძლება მოიხსნას მხოლოდ რკპ ცკ-ის დადგენილებით (ხაზგასმა ჩვენი. — ლ. თ.). მაგრამ თავმომხვევთ არ გაახარებენ. გენუიდან ბუდუს დაბრუნების საკითხი ფორმალურად შეიძლება გავაჟიანუროთ, მაგრამ შესაძლოა ამ ხნის მანძილზე ფილიპე მოადგილედ წამოაყენონ. რა ვქნათ? ბუდუს გამგზავრებასა და შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ნაზარეტაიანის გამოწვევა ზედმეტი ხდება. ამიტომ გთხოვ ნუ დაიყინებ ამას, ანდა, თუ საშველი არაა, ეს საკითხი ყრილობამდე გადავდოთ.

ეს დღეებია რუსული მანეთის კურსი საშინლად დაეცა — 50—60%. მიზეზი ჭერ არ არის გარკვეული. სვანიძე ამას იმიტომ ხსნის, რომ ჩვენი ფულის ნიშნები დიდი რაოდენობით მოზღვავედა. ერთობ ცუდი მდგომარეობაა. პური 17 ათასიდან 45 ათასამდე გაქვირდა. ყველანი... ჭანდაბის იქით წასულან. გთხოვთ მიპასუხოთ. ორჯონიკიძე².

1922 წლის 14 თებერვალს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, პირადად გ. კ. ორჯონიკიძეს აცნობეს:

„14.II—22 წ. ფილიპეს კანდიდატურა არასერიოზულად მიმაჩნია. ფილიპე ყოველთვის საშუალო ტიპის ლიტერატორი იყო და კვლავაც ასეთად რჩება. ის არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება არც პოლიტიკური ხელმძღვანელი, არც ორგანიზატორი, არც პრაქტიკული მოღვაწე. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ასეთი კაცის დაყენება საქმის ინტერესების მოშლას ნიშნავს. ფილიპეს შეიძლება ჩააბარო გავთი, უურნალი ან

¹ მლი ცკა, ფ. 85, აღწ. 18, ს. III, ფურც. 20.

² იქვე.

უკიდურეს შემთხვევაში საქართველოს ცაკის თავმჯდომარის პოსტი. ეს მე ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე ვთქვი. ეს შენც აღიარე ორახელაშვილთან ერთად, როცა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან ფილიპეს გადაყენებას მოითხოვდით. ამას იტყვის ყველა, ვინც ფილიპეს იცნობს. ნაზარეტიანზე მე უკვე ვთქვი, მოსახსნელია-მეთქი ვფიქრობ, რომ ჭორიკანებისა და მოლაყებების კიდევ მთელი ჯგუფი უნდა მოეხსნათ. მიიღეთ თუ არა მოსკოვიდან მოწოდება? მგონია, მანეთის კურსის დაცემა რუსეთის ფულის მოზღვავებით აიხსნება, რაც პორტო-ფრანკოთია გამოწვეული. დასკვნა ნათელია. სტალინი¹.

ამ დებეშებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა ის, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის შენახებ ქვემდგომი პარტიული ორგანო ზემდგომს ეთათბირება. აქ მთავარი იმის დადასტურებაა, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოში ნებისმიერი კანდიდატურა შეიძლება დაამტკიცონ. და ეს ხდება არა მარტო პარტიაში, არამედ მთავრობაშიც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის რეალური სტატუსი ანუ განსაზღვრა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც 1921 წელს ჩატარებულ ერთ-ერთ თათბირზე ა. მ. ნაზარეტიანის საპასუხოდ განაცხადა: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უფლებები უთანაბრდება არა საგუბერნიო კომიტეტის, არამედ საოლქო კომიტეტის უფლებებს, ეს კი სხვა რამეა“².

შემცირდა თუ არა საქართველოს ისტორიული ტერიტორია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ?

უნდა ითქვას, რომ ქარველი საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით კი საქართველოს პოლიტიკური პარტიები ამ მხრივაც გარკვეულ პრეტენზიებს უყენებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც თავის მთავრობას უცხოეთში არ

¹ მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 18, ს. 111, ფურც. 37.

² მლი ცპა, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 220—224.

გაპყვა და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა, წერდა: „დაიპყრეს თუ არა საქართველო, მაშინვე შეუდგნენ მის განაწილებას. ოსმალეთს მიეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი შავშეთ-ერუშეთ-არტაანი — ფოცხოვით. სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც მიუტკრეს საქართველოს მიწა-წყლის საგრძნობი ნაწილი. სომხეთს მიეცა ეგრეთწოდებული ნეიტრალური ზონა ალავერდის მადნითა და ქარხნებით, ხოლო აზერბაიჯანს სიღნაღისა და ტფილისის მახრების ნაწილები ყარაიას ველის აღმოსავლეთ ნახევრითა და დავით გარეჯის რაიონით... რუსეთმა თვითონაც მიიჭრა და მიიზომა საქართველოს ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. სახელდობრ, გაგრის ოლქის დასავლეთი ნახევარი ცივი წყალიდან მდინარე ფსოუმდე. ესე იგი, დაარღვია ის საზღვარი, რომელიც 7 მაისის ხელშეკრულებით დაუდო საქართველოს“¹.

უცხოეთში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი ალ. მანველიშვილი აღნიშნავს: „ის მხარე, რომელიც ბოლშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს, შეიცავს:

ართინის ოლქს: —	3,339 კვ. კილ;	მოსახ. —	61.000
ფოცხოვის თემს: —	588	— „ — „ — „ —	15.000
არტაანის ოლქს: —	5.137	— „ — „ — „ —	56.000
ოლთისის ოლქს: —	3.051	— „ — „ — „ —	32.000
სულ:	— 12.115	— „ — „ — „ —	164.000

გარდა აღნიშნული მხარეებისა ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ აღმოსავლეთითაც. სახელდობრ, ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3812 კვ. კილომეტრი და ზაქათალას ოლქი 3.564 კვ. კილომეტრი.

ამგვარად, ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19.491 კვ. კილომეტრის სივრცე“².

1 გ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე (ხელნაწერი), გვ. 270.

2 ალ. მანველაშვილი. საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938, გვ. 18. მოსახლეობის რაოდენობა ავტორს 1916 წლის სტატისტიკური მონაცემებით აქვს დადგენილი.

გასაბჭოების შემდეგ საქართველომ, მართლაც, დაკარგა კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი. ქართული მიწები თურქეთს გარდა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებსაც გადაეცა. დრო იყო მეტად რთული, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მდგომარეობა — მძიმე. მათი სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის აუცილებელი იყო სასაზღვრო საკითხის მოგვარება. დამოუკიდებლობის წლებში ამ საკითხს ზოგჯერ იარაღითაც „წყვეტდნენ“. გასაბჭოების შემდეგ კი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სასაზღვრო გამიჯვნა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების საფუძველზე ხდებოდა. თუმცა იგი ხშირად ქცეულა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებს შორის მწვავე კამათის საგნად, როცა ზოგი ისტორიულ პრინციპს ანიჭებდა უპირატესობას, ზოგიც — ეთნიკურს. ცხადია, ანგარიში უნდა გაწეოდა საკითხის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარეს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია, რომლის სხდომები იმავე წლის 25—27 ივნისს მიმდინარეობდა ქ. თბილისში.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: კიროვი (თავმჯდომარე), სვანიძე, თოდრია (საქართველოს სსრ წარმომადგენლები), გუსეინოვი, გაჯინსკი, რასულ-ზადე, ომარ ფაიკი (აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენლები), ბეკზადიანი (სომხეთის სსრ წარმომადგენელი). ხელთა გვაქვს ასლი კომისიის სხდომათა საოქმო ჩანაწერისა, რომელიც სომხეთის სსრ წარმომადგენლის მდივნის ვ. მურადიანის მიერ არის შედგენილი. დავიმოწმეთ ერთი ადგილი ამ დოკუმენტიდან. იგი კომისიის 25 ივნისის სხდომას ეხება: „სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ბეკზადიანს, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის მარტში დადებული ხელშეკრულება. — ლ. თ.) სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რესურსებიანად — უმდიდრესი მარილის და ქვანახშირის მალარობები და ყარსის, სარიყამიშის, ოლთის და

ყავიზმანის ტყიანსაძოვრებიანი რაიონები... გარდა ამისა, ამ ბოლო ომის წყალობით ლტოლვილთა რაოდენობა 410 ათასამდე ავიდა. მათ ადგილი უნდა მიეუჩინოთ, მიწა უნდა მიეცეთ და მშვიდობიანი შრომა დაეუბრუნოთ. ქვეყნის ასეთი მდგომარეობა უთუოდ მეტად მძიმე მდგომარეობად, ის კი არადა კრიზისულ მდგომარეობადაც კი უნდა მივიჩნიოთ, ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და სხვა ფონდები — სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომ იგი როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებს არსებობას. ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეკზადიანს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეპრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხანაგებმა მრასნიკოვმა და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხანაგ ქართველებსა და თათრებს გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისთვის, ერთხელ და სამუდამოდ უაღრესად გულწრფელი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გულისთვის დაგვთანხმდნენ გარკვეული ტერიტორიების დათმობას, ამასთან კომპაქტური სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში¹.

სომხეთის მძიმე მდგომარეობას რომ ახასიათებდა, ა. ბეკზადიანი სიმართლეს ამბობდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სომხეთს, მართლაც, ყველაზე მეტად უჭირდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, სასიცოცხლო მნიშვნელობის ტერიტორიის დაკარგვით იყო განპირობებული.

ამიტომ შექმნილ ვითარებაში საბჭოთა სომხეთის ხელმძღვანელობა ტერიტორიულ დათმობებს ითხოვდა საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან. ამ რესპუბლიკებს მან კონკრეტული წინადადებითაც მიმართა. მაგალითად, საქართველოს მიმართ სომხეთის პრეტენზია ასეთი იყო: „ახალქალაქის მაზ-

¹ სომხეთის სსრ ორსმცსა, ფ. 128, აღწ. I, ს. 1420, ფურც. 15. (დოკუმენტი გამაცნო პროფესორმა ს. ხარბანდარიანმა, რუსეთისა და მდლობას მოვასხენებ).

რა სომხეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს (მოსახლეობის 72% სომხობაა), ამასთან ამ მაზრაში უნდა ჩაერთოთ ორი სომხური სოფელი: მოლიტი და ყიზილ-კილისი, რომლებიც ტაბაწყურის ტბის ჩრდილოეთითაა არჯევანის ქედამდე. ამასთან აღნიშნულ რაიონს უნდა გამოაკლდეს ხიზაბავრის ქართულ-მოსახლეობიანი უბანი“¹.

აშკარაა, სომხეთის წარმომადგენელი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნისათვის ზრუნავდა და ანგარიშს არ უწევდა საქართველოს მდგომარეობას. ვერ ვიტყვით, რომ იგი არ ცნობდა ამ მიწებზე საქართველოს ისტორიულ უფლებას, ისტორიაში კარგად ერკვეოდნენ. ყველასათვის იყო ცნობილი, თუ როგორ, როდის და ვისი ხელისშეწყობით გაჩნდა ახალქალაქის მაზრაში სომეხთა კომპაქტური დასახელება. შეუძლებელი იყო იმის უარყოფაც, რომ ახალქალაქის მაზრა სავსებით კანონიერად იყო მოქცეული საქართველოს შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, სომხეთის დელეგაციამ მაინც მიიჩნია შესაძლებლად ასეთი თხოვნით მიემართა საქართველოსათვის. თხოვნა არავის ეკრძალება, მაგრამ საგულისხმოა, რომ საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა ზედმეტად ინტერნაციონალისტმა მესვეურებმაც კი იგი მიუღებლად მიიჩნიეს. „გამიჯვნის შემოთავაზებული ვარიანტი ამხანაგი ქართველი დელეგატებისთვის მიუღებელია და ისინი პოლიტიკური მოსაზრებით აყენებენ იმ საკითხს, რომ არ დაიშვას რაიმე ტერიტორიების ჩამოჭრა“ — ნათქვამია იმავე საოქმო ჩანაწერში.

ამრიგად, საქართველოს დელეგაცია მოითხოვდა, რომ ახალქალაქის მაზრაში უცვლელად დაეტოვებინათ არსებული მდგომარეობა (სტატუსქეო). საოქმო ჩანაწერში ვკითხულობთ:

„ამხანაგ კიროვსაც მიაჩნია, რომ პოლიტიკური მოსაზრებით ამჟამად კრინტიც კი არ უნდა დაეძრათ ტერიტორიების ჩამოჭრაზე, რის გამოც ახალქალაქის მაზრის საკითხი სომხეთის დელეგაციის ამ წინადადებაში სრულიად იხსნება“².

კომისიის 25 ივნისის სხდომაზე საქართველოსა და სომხე-

¹ სომხეთის სსრ ორსმცსა, ფ. 128. აღწ. I ს. 1420. ფურც. 15.

² იქვე.

თის წარმომადგენლებს მსჯელობა ჰქონდათ ლორეს ნეიტრალურ ზონაზეც. სომხეთის წარმომადგენელი მოითხოვდა ეს ზონა მთლიანად სომხეთს გადაეცესო. საქართველოს დელეგაცია კი წინადადებას იძლეოდა, რომ „ნეიტრალურ ზონაში მოეწყოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა და ხაზით მთ. პალუტლიბაში, მთ. ვარტიკეხი, მთ. შახალამი, შემდეგ მდინარე დებედ-ჩაის გაყოლებით აკორის სოფლებამდე, მთ. გუტანკარი, მთ. ლეჯანი, ადგილი დაიბატლი, მთ. აიღარბეკ, მთ. აპაკლუ, სოფ. ალექსანდროვკა, სოფ. კამენკა, სოფ. გერგერი (რუსული სოფლებია) ბეზობდალის მთამდე (მწვერვალამდე 2 კილომეტრით აქეთ) გაიყოს ორ სექტორად — აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად. ამხანაგი ქართველები უარყოფენ ჩამოჭრის პრინციპს და ამავე დროს ნეიტრალურ ზონას — სადავო რაიონს, ყოფენ ორ ნაწილად, ნებაყოფლობით უარს ამბობენ სომხეთის სასარგებლოდ მის აღმოსავლეთ სექტორზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სომხურია, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვენ მეორე სექტორს, რომელშიც შედის უდავოდ სომხეთის ტერიტორიიდან შემდგარი რაიონი შერეული სომხურ-რუსული მოსახლეობით (ამასთან ფართობი სომხეთისათვის დატოვებული სექტორის ოდენაა). მეორე საკითხზე დელეგაციებმა მეგობრულ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და საკითხი ღიად დატოვეს“¹.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შინა საზღვრების განმსაზღვრელი კომისიის მეორე სხდომა 1921 წლის 26 ივნისს გაიმართა. კომისიის წევრებს გარდა მას გ. კ. ორჯონიძე, მ. დ. ორახელაშვილი და შ. ზ. ელიავაც დაესწრნენ. სხდომაზე ამ სამი იმ დროს გავლენიანი ქართველი მოღვაწის მიწვევა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო. იმედოვნებდნენ, რომ მათი ავტორიტეტი ხელს შეუწყობდა სადავო საკითხების უმტკივნეულოდ მოგვარებას, რაც წინა დღეს ვერ მოხერხდა. მიუუბრუნდეთ გ. მურადიანის მიერ შედგენილ ოქმს:

„კომისია გადადის მორიგი საკითხის — საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის გავლების საკითხის განხილვაზე. მცირედი კამათის შემდეგ ორივე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სადავო საკითხზე — ზაქათალის ოლქისა

¹ სომხეთის სსრ ორსმცსა, ფ. 128, აღწ. 1, ს. 1420. ფურც. 15.

და ყარაიაზის უბნის საკითხზე შემდეგი მოდუსი შეიმუშავეს: პოლიტიკური მოსახრებებით აზერბაიჯანის სსრ პრეტენზიას არ აცხადებს, რომ აღნიშნული რაიონები მას შეუერთონ, მაგრამ მოითხოვს, საქართველომ იურიდიულად ცნოს და დაუმტკიცოს თათარ გლეხებს, რომ მათ უდავოდ უფლება აქვთ ფაქტობრივად ისარგებლონ იმ მიწებით (საძოვრებითა და სხვა სავარგულებით), რომლებსაც მეფის და მენშევიკების რეჟიმის დროს ფლობდნენ. ამასთან საქართველო პოლიტიკური ძალაუფლების გარდა ყველა სხვა ძალაუფლებას მთლიანად ანიჭებს მოსახლეობას და ვალდებულებას კისრულობს არავითარი განკარგულება არ გამოსცეს კაზახის გვერდის ავლით. იმ მიწების ზუსტად გაზიჯენისათვის, რომლებითაც აზერბაიჯანელმა გლეხებმა უნდა ისარგებლონ, ინიშნება საგანგებო შერეული კომისია¹.

საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლები ამ სხდომაზე განაგრძობდნენ მოლაპარაკებას ლორეს ნეიტრალური ზონის შესახებ. ოქმში ვკითხულობთ: „იმის წყალობით, რომ ამხ. კიროვმა ჩამოჭრის საკითხი სავსებით მოხსნა და კომისიის მუშაობა იფარგლება მხოლოდ და მხოლოდ არსებული საზღვრების გასწორებით ან, უფრო სწორად, გამოსწორებით, ამხ. ბეკზადიანი აყენებს კონკრეტულ წინადადებას — კომისიამ მუშაობა შეწყვიტოს და საზღვრების ყველა საკითხი გადატანილ იქნეს ამიერკავკასიის კონფერენციაზე, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გაიმართოს. წინადადება არ მიიღეს. ნეიტრალური ზონის საკითხზე ამხ. ქართველებმა ახალი წინადადება წამოაყენეს: სომხეთის აღმოსავლეთი სექტორი სომხეთს დარჩეს, დასავლეთ სექტორში კი მოეწყოს რეფერენდუმი, ამასთან არ უნდა იყოს რაიმე წინასწარი აგიტაცია ამა თუ იმ მხარის... სასარგებლოდ. სომხეთის დელეგაცია დაეთანხმა ამ წინადადებას, როგორც უკიდურეს დათმობას“².

საქმეს თითქოს კარგი ბირი უჩანდა, თითქოს მოინახურეს პუბლიკებისათვის მისაღები მოდუსი, მაგრამ საბოლოო შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა, რაც აშკარა გახდა კომი-

¹ სომხეთის სსრ ორსმცსა, ფ. 128, აღწ. 1, ს. 1420. ფურც. 15.

² იქვე.

სიის მუშაობის მესამე დღეს (27 ივნისის სხდომაზე). „საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგაციებმა ერთმანეთს გუშინდელი შეთანხმების თაობაზე კონკრეტიზებული დადგენილებები წარუდგინეს, მაგრამ აზერბ(აიჯანის) წარმომადგენელთა მიერ ნახმარი იმ გამოთქმის გამო, რომ „ადგილებზე მთელი ხელისუფლება ყარაიაზელ გლეხებს უნდა გადაეცესო“, ამხანაგმა ქართველებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს და მხარეთა კამათმა გაჭიანურების ხასიათი მიიღო, რასაც გარკვეული შედეგები არ მოსდევს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამხ. კიროვი იძულებული გახდა სხდომაზე მოეწვია შეთანხმების დამსწრე ამხანაგები ორჯონიკიძე და ორახელაშვილი. მან აღნიშნა, რომ მუშაობას და ერთ პარტიაში შემავალ ამხანაგებს შორის გამართულ კამათს უკიდურესად არასასურველი და არასასიამოვნო ხასიათი აქვს და კატეგორიულად განაცხადა, დაუშვებელია კომისიაში მომხდარი ამბებიო, სახელდობრ, ის, რომ წინა დღეს გარკვეულ შეთანხმებამდე მისული მხარეები მეორე დღეს გამოთქმის ფორმის გამო მკვეთრად დაშორდნენ ერთმანეთს. საჭიროდ მიმაჩნია ვაცნობო ეს კაებიუროსო. ორახელაშვილის მოსვლის მერე გაუგებრობა გაირკვა და აზერბაიჯანის დელეგაციის მიერ შემუშავებული დადგენილება მიიღეს, ოღონდ „მთელი ძალაუფლება“ გაასწორეს ასე: „მთელი ძალაუფლება გარდა პოლიტიკურისა“. ამას ისიც დაემატა, რომ გამიჯვნის კომისიაში კაებიუროს წარმომადგენელიც მიიწვიეს. შემდეგ წაიკითხეს ნეიტრალური ზონის საკითხზე საქართველოს დელეგაციის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი, საიდანაც ჩანს, რომ ამხანაგმა ქართველებმა რაიონს, სადაც რეფერენდუმი უნდა მოეწყოს, მიუმატეს უდავოდ სომხური ტერიტორიის რაიონი (ჯელალ-ოღლი-გერგერი და სხვ.) მაშინ, როცა ახალქალაქის საკითხი პოლიტიკური მოსაზრებით და ვითომდა მომენტის მოთხოვნით მათვე განზე გადადეს. სომხეთის დელეგაციის ბობოქარი პროტესტის მიუხედავად ამხანაგმა ქართველებმა მაინც კატეგორიულად დაიჩემეს თავიანთ მოთხოვნათა მიზანშეწონილობა, რასაც საფუძვლად იმას უდებენ, რომ აღნიშნული უდავო რაიონი ერთ დროს ხელთ უგდია მენშევიკებს (არსებითად ეს გახდა უმთავრესი საბაზი ლორეს უკანასკნელი აჯანყებისა) და როგორც თბი-

ლისის გუბერნიის ნაწილი, უდავოდ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაა. სომხეთის დელეგაცია იძულებული ხდება მკვახედ უპასუხოს ამას, უარს აცხადებს მსგავს ატმოსფეროში მოლაპარაკების გაგრძელებაზე და სადავო საკითხები გადასაწყვეტად კავბიუროში გადააქვს. სხდომა შეწყდა¹.

კომისიის სხდომათა საოქმო ჩანაწერებში, რა თქმა უნდა, მოთხრობილია იმის შესახებაც, თუ როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკება სადავო ტერიტორიულ საკითხებზე სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს შორის. ჩვენ თავს ვიკავებთ ამ მასალის კომენტირებისაგან. კომენტარი არც ზემოციტირებულ მასალებს სჭირდება... ყველაფერი ნათელია. საოქმო ჩანაწერებში, ვფიქრობთ, სწორად არის გადმოცემული თითოეული სადავო ტერიტორიული საკითხისადმი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულება.

მაშასადამე, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შინა საზღვრების განმსაზღვრელმა (დამდგენმა) კომისიამ საკითხს საბოლოო გადაწყვეტა რკპ(ბ) კავბიუროს მიანდო. კავბიუროს გადაწყვეტილება სავალდებულო იქნებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიებისათვის. და აი, 1921 წლის 7 ივლისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ ი. ბ. სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოსა და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. კავბიუროს სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სახალხო კომისრები ა. სვანიძე და ა. მრავიანი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთის სს რესპუბლიკას. რაც შეეხება ახალქალაქისა და ხრაჟის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის დასკვნა შემდეგ კვლავ კავბიუროს პლენუმს უნდა განეხილა².

ლორეს ნეიტრალური ზონის, ახალქალაქისა და ხრაჟის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის საკითხზე კავბიუროს

¹ სომხეთის სსრ ორსპცია, ფ. 128, აღწ. 1, ს. 1420, ფურც. 15.

² С. В. Хармандарян. Ленин и становление Закавказской федерация. 1921—1923, Ереван, 1969, с. 110.

დადგენილების თანახმად 1921 წლის 16 ივლისს იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად შექმნილმა პოლიტიურომ (არსებობდა 1921 წლის ივლის-აგვისტოში). მთლიანად დავიმოწმოდ პოლიტიუროს ოქმის ის ნაწილი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება:

ოქმის 1

საქ. კპ ცკ-ის პოლიტიუროს სხდომისა. 1921 წლის 16 ივლისი. ესწრებოდნენ: ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, მ. ორახელაშვილი.

- დღის წესრიგი: 1) ნეიტრალური ზონის საკითხი
2) ახალქალაქისა და ხრამის რაიონების საკითხი

მოისმინეს:	დაადგინეს:
1. ნეიტრალური ზონის შესახებ	1. დადასტურდეს რკპ ცკ-ის კავებუროს დადგენილება საბჭოთა სომხეთისათვის ამ ზონის გადაცემის შესახებ (წიარი დაუჭირეს მახარაძემ, ორახელაშვილმა, აწრ. მდივანმა მიაჩნია, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია კავებუროს დადგენილებით. ასე რომ არ იყოს, იგი მისწავლილად ჩათვლიდა მასწავლებლის გამოკითხვას (პლენუმისთვის)).
2. იმის შესახებ, რომ ახალქალაქის და ხრამის რაიონები გადაეცეს საბჭოთა სომხეთს გადასახლება-დასახლების ფონდისათვის	2. პოლიტიკური მოსაზრებებისა და იმის საფუძველზე, რომ ახალქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან არის დაკავშირებული, ამანაგი სომხების წინადადება მუდებლად ჩართა-ლის ¹ .

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1921 წლის 3 აგვისტოსაც მოუხდა ამ საკითხებზე მსჯელობა. მისი პოზიცია ნათლად ჩანს ამ დოკუმენტიდანაც:

¹ სუსპიია, ფ. 14, აღწ. I, ს. 5, ფურც. 41.

საქართველოს კვ ცკ-ის პლენუმის სხდომისა. 1921 წ. 3 აგვისტო. ესწრებოდნენ: ცკ-ის წევრები ამხ. ამხ. ორახელაშვილი, ოკუჯავა, ნაზარეთიანი, მახარაძე, მდივანი, ცინცაძე, ელიავა, ქავთარაძე, ტოროშელიძე, თუმანოვი, დუმბაძე. წევრებს გარდა ესწრებოდნენ: სოლოვიანი, რთველაძე, ლეგრანი, კალაძე, კანდელაკი, მ. ორახელაშვილი, ფიგატნერი, ლოდობერიძე. სხდომა გაიხსნა საღამოს 8 ს. 45 წ.

მოისმინეს:	დაადგინეს:
<p style="text-align: center;">• • •</p> <p>4) ნეიტრალური ზონის შესახებ</p>	<p>1) დადასტურდეს პოლიტიკურის დადგენილება (იგულისხმება საქართველოს კვ ცკ-ის პოლიტიკურ — ლ. თ.), რომელსაც საფუძვლად უდევს კავშიურის დადგენილება, რომ ნეიტრალური ზონა გადავიდეს სომხეთის შემადგენლობაში.</p> <p>ხმა მისცა 5-მა, წინააღმდეგი იყო 4.</p> <p>2) იმის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის განხილვის დროს კავშიურში არ ჰქონიათ საქართველოს კვ ცკ-ის აზრი, ეთხოვოს კავშიურის ხელახლა განხილვის ეს საკითხი. თავის მხრივ ცკ-ს საჭიროდ მიაჩნია რეფერენდუმის მოწყობა აღნიშნულ ზონაში.</p> <p>ხმა მისცა 5-მა, წინააღმდეგი იყო 5. (ცკ-ში გამართული კენჭისყრის შედეგები ეცნობოს კავშიურის).</p>
<p>5) სომხეთისა თ ვ ი ს ახალქალაქისა და ხრამის რაიონების მიერთების შესახებ</p>	<p>დადასტურდეს პოლიტიკურის დადგენილება იმის შესახებ, რომ ამხ. სომხებს უარი ეთქვათ სომხეთის სსრ-თვის ახალქალაქის და ხრამის რაიონების დათმობის წინადადებაზე¹.</p>

¹ სუსპიია, ფ. 14, აღწ. I, ს. 7, ფურც. 1.

როგორც ვხედავთ, ლორეს ნეიტრალური ზონის საკითხში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის პოზიციასზე, საქართველოს დელეგაციისათვის (სვანძე, თოდრია) ადრე მიცემულ დირექტივებზე და პარტიული დისციპლინის წესით დამორჩილებოდა ზემდგომი პარტიული ორგანოს — კავბიუროს გადაწყვეტილებას.

როგორ გადაწყდა ზაქათალის საკითხი? ამ ისტორიული ქართული მიწის შემოერთებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყო, რასაც წარმატება არ მოჰყოლია. წარუმატებლად დამთავრდა იგი საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. ეჭვს გარეშეა, ამაში გარკვეული როლი შეასრულა „დიდმა პოლიტიკამ“, რაც მუსულმანური აზიისადმი საბჭოთა ქვეყნის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას ეფუძნებოდა.

1921 წლის ივლისის დამდეგამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა მაინც იმედოვნებდნენ, რომ ლორეს ნეიტრალური ზონა და ზაქათალის ოლქი საქართველოს გადმოეცემოდა. ამას ისინი, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გადაწყდა ლორეს საკითხი. 5 ივლისს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციათა კონფერენციაზე გაირკვა, რომ ზაქათალა აზერბაიჯანის შემადგენლობაში რჩებოდა და ეს ოფიციალურადაც უნდა ყოფილიყო დეკლარირებული. წინასწარ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების რეკომთა თავმჯდომარეებმა ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა¹. 1921 წლის 15 ნოემბერს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრების თაობაზე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ რეკომის თავმჯდომარემ ბუღუ მდივანმა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მუხტარ გაჯიევმა. ცოტათი ადრე, 1921 წლის 6 ნოემბერს ბუღუ მდივნისა და ალექსანდრე მიასნიკოვის მიერ ხელმოწერილ იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვით და-

¹ კ. შელია. ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ხელისუფლების პირველი დონისძიებანი საქართველოში, თბ., 1980, გვ. 49.

დგინდა საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების სა-
ხელმწიფო საზღვარი. ამ ოფიციალური შეთანხმებით ხორცი
შეესხა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს გადაწ-
ყვეტილებას სომხეთის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში
ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონის, ხოლო აზერბაიჯანის
სს რესპუბლიკის შემადგენლობაში ზაქათალის (როგორც ით-
ქვა, შეთანხმება მიღწეულ იქნა საქართველოსა და აზერბა-
იჯანის დელეგაციათა კონფერენციაზე) დატოვების შესახებ.

გასაბჭოების პირველ წლებში საქართველოს ტერიტო-
რიული ცვლილებების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქ-
მნის მომდევნო გვერდზე დამოწმებული ცხრილი, რომელიც
შედგენილია საქართველოს სსრ სახალხო მკურნეობის აღ-
რიცხვის სამმართველოში 1937 წელს ოქტომბრის რევოლუ-
ციის 20 წლისთავთან დაკავშირებით*.

ეს ცხრილიც¹ ადასტურებს ბატონ რეზო თაბუჯაშვილის
ნათქვამს: „მეზობელი აღარ დაგვრჩია ჩვენი მიწა რომ არ რგე-
ბოდაო“. გარკვეული ტერიტორიული ცვლილებები საქართვე-
ლოში შემდეგაც ხდებოდა. მაგალითად, პილენკოვო (ამჟამად
განთიადი) ერმოლოვკათი (ამჟამად ლესელიძე) 1929 წელს
საქართველოს სს რესპუბლიკას .გადმოეცა². აქვე უნდა შევ-
ნიშნოთ, რომ 1921—1928 წწ., აგრეთვე მომდევნო წლებში
საქართველოს მიერ დაკარგული ტერიტორიის მოცულობისა
თუ მოსახლეობის რაოდენობის შესახებ სხვადასხვა წყა-
როში ოდნავ განსხვავებულ ცნობებს ვხვდებით. მათი და-
ზუსტება, აგრეთვე ცხრილში დასახელებული დოკუმენტების
(ამიერკავკასიის სს რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის და-
დებული ყარსის ხელშეკრულება, ამიერკავკასიის სს რესპუბ-
ლიკათა რევკომების დეკლარაციები და შეთანხმებანი, ამი-
ერკავკასიის სფსრ და სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრუ-
ლებელ კომიტეტთა დადგენილებანი) კრიტიკული ანალიზი
კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ისტორიულ ცოდნას.

* ამ მასალის მოძიებაში დახმარებისათვის მადლობას მოვასხენებ
პროფესორ ფარნაოზ ლომაშვილს, დოცენტ ენვერ თვარაძეს და საქარ-
თველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დი-
რექტორს ლევან დალაქიშვილს.

¹ სუიკსა, ფ. 334, აღწ. 12, საქ. 118, ფურც. 28.

² З. В. Ашхабадзе. Очерки этноической истории абхазского на-
рода. Сухуми, 1976, с. 124.

საქართველოს რესპუბლიკის იმ ნაწილებს მოსახლეობის და ფართობის ოდენობა, რომლებიც გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს, სომხეთის სსრ-ს, რსფსრ-ს და თურქეთს 1921-დან 1928 წლამდე, აგრეთვე აღნიშნული რესპუბლიკების იმ ნაწილებს, რომლებიც საქართველოს სსრ-ს გადაეცა დროის ამავე პერიოდში

№	ადგილის დასახელება	ფართობი კვ. კმ-ობით	მოსახლეობის რაოდენობა	ვის გადაეცა	აქტი, რომლის ძალითაც მოხდა ადგილის გადაცემა	სტატუსი
1.	ყოფ. ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მუკახელა, ბორჩხა და მაკრიალი)	936,15	16380	თურქეთს	ყარსის 1921 წ. ხელშეკრულება	აზერბაიჯანის რესპუბლიკის
2	ართვინის ოლქი	3388,82	56186	"	"	"
3	არდაგანის ოლქი	5644,74	85868	"	"	"
4	ვორონცოვ-ლორეს რაიონი (ბორჩალოს მაზრის სამხ. ნაწილი)	2367,44	37600	სომხეთის სსრ-ს	საქართველოს რევკომის 1921 წ. დეკლარაცია	სომხეთის სსრ-ს
5	ზაქათალის ოლქი	3993, 8.	92608	აზერბაიჯანის სსრ-ს	"	"
6	გარეჯის ველი და ქვემო ყარაიასის სექტორი (თბილისის მაზრასა)	658,89	მოახლო. არ არი.	"	"	"
7	ელდარი (სიღნაღის მაზრისა)	546,69	"	"	"	"
8	ლოკალავარის ქედის ჩრდ. ფერდობი (ბორჩხალოს მაზრა)	207,94	"	სომხეთის სსრ-ს	საქ. სსრ და აზ. სსრ რევკომების შეთანხმება და ამიერკავკასიის ცაკის გადაგვნილება	სომხეთის სსრ-ს
9	პილენკოვო (აფხაზეთი)	268,15	3500	რსფსრ-ს	"	"
10	მელხესტი და ცეკარო (დუშეთის მაზრისა)	166,78	1600	"	"	"
11	წინა შინდორი (ალაზნისპირა ველი, ზაქათალის მაზრისა)	188,44	მოსახლეობა არ არის	საქართველოს სსრ-ს	სსრკ ცაკის 1927 წ. დადგენილება	სსრკ
12	ჩაიბა ყელა, უაზახის მაზრისა)	132,66	"	"	"	"

დ ე ნ ე რ თ ი

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკურ და სახარტოლებრივ შეფასებას გარკვეულწილად გავვიადვილებს დოკუმენტები და მასალები, რომლებსაც დანარჩონი სახით ვთავაზობთ მკითხველს. მათს გამოვლენაში, არქეოგრაფიულ დამუშავებასა და გამოსაცემად მომზადებაში დანმარებრისათვის მადლობას მოგახსენებ მ. თიბალაშვილს, ა. ბარკალაია-გუკასიანს, ე. ნაბახტეველს, ზ. ევანას, რ. დოლონაძეს.

საერთოდ, საშურ საქმედ უნდა მივიჩნიოთ რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის სრულად ანსახველი დოკუმენტებისა და მასალების კრებულის გამოცემა. იგი შესაძლებლობას მოგვცემს „მოვუხამინოთ ორივე მხარეს“. რაც შეეხება ამ დანართში შეზღუდული რაოდენობით გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და მასალებს, მათ, დაგვეთანხმება მკითხველი, ვრცელი მეცნიერული კომენტარები სჭირდება, რის შესაძლებლობასაც ამჟერად, სხვადასხვა მიზეზის გამო, მოკლებული ვართ. ვიმედოვნებთ, კომენტარის როლს გარკვეულწილად წინამდებარე ნაშრომიც შეასრულებს. გარდა ამისა, ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი ზოგიერთი საბუთი თავისთავად გააღვიძებს სპეციალისტთა ინტერესს ნაშრომში აღძრული ამა თუ იმ საკითხისადმი.

გარკვეულ მოსაზრებათა გამო, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ თარგმნის შემთხვევაში შეიძლებოდა ზოგიერთი ნიუანსი დაკარგულიყო, დოკუმენტებსა და მასალებს ვაქვეყნებთ ორიგინალის ენაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

1918 წლის მაისის 26

Акт независимости Грузии от 26 мая 1918 г.*

На протяжении многих веков Грузия существовала как независимое и свободное государство.

В конце XVIII века Грузия, окруженная со всех сторон врагами, по собственной воле присоединилась к России с тем условием, что Россия была обязана защищать Грузию от внешних врагов.

В ходе великой революции в России создалась такая внутренняя ситуация, что весь военный фронт был полностью распушен, и русская армия покинула Закавказье.

Рассчитывая лишь на собственные силы, Грузия и вместе с ней Закавказье взяли на себя ведение всех своих дел и создали соответствующие для этого органы. Но в результате действий внешних сил был подорван союз народов Закавказья. Сегодняшнее состояние грузинского народа непременно требует создания собственной государственной организации, с помощью которой Грузия сможет спасти себя от захвата внешней силой и создать твердую основу для независимого развития.

Согласно вышензложенному, Национальный Совет Грузии, избранный 22 ноября 1917 года Национальным съездом Грузии, сегодня заявляет:

*. №№ 1—8 და 35 დოკუმენტები უცვლელად არის აღებული წიგნობან «Оккупация и фактическая аннексия Грузии. О политической и правовой оценке нарушения договора между Грузией и Советской Россией от 7 мая 1920 года. Документы и материалы». შემდგენელი ა. მენთეშაშვილი, რედაქტორი ა. სურგულაძე. გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1990, გვ. 52—86, 3—29.

1. Отныне грузинский народ — носитель суверенных прав, и Грузия — полноправное независимое государство.

2. Политическая форма независимой Грузии — демократическая республика.

3. В международных войнах Грузия — государство постоянного нейтралитета.

4. Грузинская Демократическая Республика желает наладить добрососедские отношения со всеми членами международного сообщества, особенно с приграничными государствами и народами.

5. Грузинская Демократическая Республика в пределах своих границ обеспечит всем гражданам равные гражданские и политические права, независимо от их национальной принадлежности, вероисповедания, социального положения и пола.

6. Грузинская Демократическая Республика предоставит возможность свободного развития всем национальностям, живущим на ее территории.

7. До проведения Учредительного собрания управлением всей Грузии руководит Национальный Совет, который будет дополнен представителями национальных меньшинств. Временное правительство ответственно перед Национальным Советом.

№ 2

მობხენება, რომელიც საქართველოს დელეგაციამ
წარუდგინა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას
(პოლიტიკური მოთხოვნები, საზღვრები)

1919 წლის მარტის 14

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპეშა რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში სომხეთის სსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლისათვის გაგზავნილი ნოტის ტექსტით სომხეთის მხრიდან საქართველოზე რეგულარული საჭარისო ნაწილების თავდასხმის შესახებ.

1921 წლის თებერვლის 12

Копия

Москва. Полномочный представитель Грузии

Сообщается для сведения следующая нота, посланная нами 12 февраля за № 1115 полномочному представителю АССР: ночью 11 февраля регулярные войсковые части со стороны Армении произвели неожиданное нападение на наши передовые посты через Безобдал у станции Шагалы и селения Шиних Борчалинского уезда. Мое правительство рассматривает это нападение как вероломную и никакой фактической обстановкой неоправдываемую агрессивность в отношении Грузии в

то время, когда правительство последней, твердо стоя на позиции мирного сотрудничества с соседними республиками, несколько раз предлагало Армении ликвидировать все спорные с нею вопросы путем соглашения, и когда в результате шагов, предпринятых нами в этом направлении, наркоминдел Бекзадян официальной телеграфной нотой от 29 декабря 1920 г., подтвержденной личными переговорами, во время своего пребывания в Тифлисе дал заверение в готовности своего правительства приступить к переговорам по урегулированию вопросов, связанных с Борчалинским уездом. Сообщая вам о вышензложенном, я от имени своего правительства выражаю самый энергичный протест и ставлю вас в известность, что вся ответственность за могущие разрастись события в полной мере ложится на организаторов этого нападения. Одновременно с этим прошу вас срочным порядком известить меня об отношении представляемого вам правительства к этому злостному намерению вызвать новое кровопролитие и о тех мерах, какие им будут приняты с целью пресечения этого вызова к войне. Примите уверение в совершенном почтении.

Заминოდელ Сабхатарашვილი

სცსსა, ფონ. 1866, აღწ. 1, საქ. 9, ფურც. 204. დამოწმებული პირი.

№ 23

რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის გ. მახარაძის დეპეშა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კ. საბახტარაშვილს რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინისათვის მის მიერ გაგზავნილი ნოტის ტექსტით სომხეთის მხრიდან საქართველოზე რეგულარული საჯარისო ნაწილების თავდასხმის შესახებ და გ. ჩიჩერინის საპასუხო ნოტა.

1921 წლის თებერვლის 12, 15

Телеграмма

Сообщаю для сведения следующую ноту, посланную мной наркоминдел Чичерину 12 февраля за № 333 и ответ Чичерину от 14 февраля за № 11/254: Народному комиссару иностранных дел гражданину Чичерину. Мое правительство телеграммой от 12 сего февраля сообщило мне, что в ночь с 11-го на 12-е сего месяца регу-

лярные войсковые части произвели нападение со стороны Армении на грузинские передовые посты через Безобдал у ст. Шагалы и у селения Шиних Борчалинского уезда, причем к моменту сообщения бой у селения Шиних еще продолжался.

Принимая во внимание союзные отношения, связывающие Российскую и Армянскую республики, а также то, что все неразрешенные между Грузией и Арменией вопросы должны быть рассмотрены имеющей состояться в ближайшем будущем грузино-армянской конференцией, прошу сообщить мне, для срочного оповещения о том моего правительства, какие меры приняты Российским правительством к прекращению этого, ничем не вызванного со стороны Грузии, кровопролития и к предотвращению в будущем подобных нападений на Грузию, всегда стремившуюся к мирному разрешению всех возникающих между нею и соседними народами недоразумений.

Ввиду серьезности и неотложности изложенного выше вопроса, мое правительство крайне заинтересовано в возможно более быстром выяснении точки зрения в нем Российского правительства, а потому прошу немедленно сообщить мне просимые разъяснения, ибо всякое промедление в получении от вас по настоящему ответа, помимо тяжелых последствий, каковыя подобное промедление может за собой повлечь, не может быть истолковано моим правительством иначе, как нежеланием Российского правительства содействовать мирному разрешению возникающих между союзными с Россией государствами и Грузией вопросов и солидарностью в данном случае Российского правительства с образом действий нападающей на Грузию стороны. Прошу принять уверение в моем уважении и преданности.

Полномочный представитель Грузии Махарадзе

Господину Махарадзе—дипломатическому представителю Грузинской республики.

Милостивый государь. В ответ на ваш запрос считаю долгом сообщить, что ваши заявления относительно якобы произведенных нашей армией нападений на грузинские войска не соответствуют действительности. По имеющимся у нас сведениям в оккупированной грузинскими войсками части Армянской республики и нейтральной зоне вспыхнуло восстание против грузинской оккупации. Само собою ясно, что единственный способ

ликвидировать эти осложнения заключается в соглашении между грузинским и советским армянским правительствами. Не могу не напомнить вам о том, что я вам, со своей стороны, указывал на ненормальное положение, созданное грузинским наступлением на Армению. Ввиду того, что я обращал ваше внимание на эту ненормальность, последствия таковой ни в малейшей мере не могут быть возлагаемы на нашу ответственность, а исключительно на ответственность, создавшего эту ненормальность вашего правительства.

Пользуюсь этим случаем, милостивый государь, чтобы просить вас принять уверение в моем глубочайшем уважении и совершенной преданности. Г. Чичерин.

სსსსა, ფონ. 1866, აღწ. 1, საქ. 9, ფურც. 169. დაუმოწმებელი პირი.

№ 24

წითელი არმიის საკავალერიო ნაწილის უფროსის დ. ულობას დეპეშა მე-11 არმიის მთავარსარდალს ა. ბეკერს და კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრს გ. ორჯონიკიძეს საქართველოს ჯარის მიერ თურქი ასკერებისაგან ქ. ბათუმის განთავისუფლებისა და ბათუმში წითელი არმიის საკავალერიო ნაწილის შესვლის შესახებ.

1921 წლის მარტის 19

დეპეშა ბათუმიდან. 1921 წლის 19 მარტს, 22 საათსა და 55 წუთზე, № 2. მე-11 არმიის მთავარსარდალს, კავკ[ასიის] ფრონტის სამხედრო-სარევოლუციო საბჭოს წევრს ორჯონიკიძეს.

ჩემდამი რწმუნებული ნაწილები შევიდნენ ბათუმში 1921 წლის მარტის 19-ს, 17 საათსა და 18 წუთზე.

ქედასთან და აჭარის წყალთან მიახლოებისას ქემალისტების სარდლობამ ყოველივე ღონე იხმარა რამდენიმე საათით ჩვენი წინსვლა შეეჩერებინა, ვითომდა გაუგებრობის მიზეზით. ქალაქ ბათუმის ქუჩებში ბრძოლა არისო. მიუხედავად ამისა, ქალაქ ბათუმის დასაქერად წინ გავუშვი კავალერია და გზა და გზა ჩვენ გვხედებოდნენ თავზარდაცემული ქემალისტები. ზოგი მათ შორის იყო დაჭრილი, დაკითხვიდან გამოირკვა, ვითომ მათს თავს ესხმიან ფრანგები, ინგლისელები და ქართველები, ხოლო ქალაქს ყუმბარებს ესვრიან კრეისერები-

დან, როდესაც მოწინავე ნაწილებმა ქალაქს მიადწიეს, მე პარლამენტორები გავგზავნე. მათი უკან დაბრუნებისას გამოირკვა, რომ საქართველოს ჯარის იმ ნაწილებს, რომელთაც საბჭოთა მთავრობა ეცნოთ, საშინლად დაუმარცხებიათ ოსმალები, რომელთაც განუზრახავთ ქალაქის დაკავება.

ნაწილის უფროსი ელობა

გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 22 მარტი.

№ 26

ნაწევები გ. ი. ურატაძის წიგნიდან

«Образование и консолидация Грузинской демократической республики».

(მიუნხენი, 1956, გვ. 110—112)*

11 февраля 1921 года советские войска вторглись в Грузию со стороны Борчало. Представитель Московского совета народных комиссаров в Тифлисе Шейнман официально заявил, что Москве ничего не известно об этом нападении, которое будто бы является действием армянского коммунистического правительства. А представитель советской Армении Шавердов уверял, что Армения не принимает участия в этом наступлении и что она готова разрешить мирным путем все спорные вопросы, имеющиеся с Грузией!

15 февраля тот же Шейнман получил из Баку информационную телеграмму от командующего XI армией: «Решено перейти Рубикон. Действуйте соответственно с этим решением».

В тот же день части XI армии перешли границу Грузии со стороны Азербайджана.

В первый же день наступления советских войск в глухой деревне Шулавери, расположенной у самой границы советской Армении, из давно высланных из Грузии коммунистов, которые теперь находились среди наступающих советских войск, был создан «Грузинский Совнарком», который сейчас же обратился к Красной армии с просьбой о «помощи». В Тифлисе заседало Грузинское учредительное собрание, которое, узнав об этом,

*) იბეჭდება უცვლელად.

единогласно объявило поименно всех членов этого «совнаркома» вне закона как предателей родины.

16 февраля Грузинское правительство пытается войти в переговоры с Москвой по прямому проводу, но Москва отказывается от переговоров. Тогда председатель правительства пытается спестись с представителем Грузии в Москве, но безуспешно, так как большевики, под предлогом порчи провода, отказываются вызвать его к аппарату. На следующий день комиссар по иностранным делам Чичерин, притворяясь, что ничего не знает о падении Советской армии на Грузию, по радио предлагает посредничество Москвы между Грузией и Арменией. Грузинское правительство принимает предложение при условии, что Москва уведет свои войска с грузинской территории. Но ответа на это не последовало. Между тем военные действия продолжались.

Народная гвардия и грузинская армия в первые дни мужественно отбросили все атаки неприятеля на Тифлис, несмотря на то, что уступали последним и численностью, и в вооружении.

На все предложения прекратить войну Москва отвечала наступлением в новых направлениях: по Военно-грузинской дороге, со стороны Владикавказа, через Мамисонский перевал, в сторону Кутанса, и по побережью Черного моря со стороны Сочи, Грузия была таким образом окружена со всех сторон: против нее действуют XI армия, части IX и XII армий, не считая отрядов кавалерии Буденного и Жлобы.

Наплыв добровольцев позволил Грузинскому правительству увеличить силы сопротивления, но не хватало оружия, чтобы вооружить всех. Не хватало снарядов, тогда как красные полки в изобилии были снабжены всеми необходимыми средствами.

23 февраля правительство Анкары в ультимативной форме потребовало от Грузинского правительства эвакуацию грузинских войск из Ардагана и Артвина. Не имея возможности противопоставить достаточные силы турецкому наступлению на этом фронте, правительство принуждено было увести войска из этих городов, заявив энергичный протест против поведения турков. Между тем военное положение становилось все более и более критическим. Грузинская республика вела борьбу в слишком неравных условиях. Ее армии грозила опасность быть окруженной и уничтоженной, несмотря на героизм солдат. Тогда Верховное командование Грузинской армии решает эвакуировать Тифлис, отвести вой-

ска и сконцентрировать их на сильных позициях. 25 февраля Тифлис был эвакуирован грузинскими войсками.

Только на третий день осмелился «Шулаверский Совнарком» войти в оставленный грузинскими войсками город. Но это не помешало ему сообщить: «Всем, всем, всем! Восставший грузинский народ изгнал правительство Жордания. Столица Грузии — Тифлис в руках восставших».

Начальник же оккупационной армии Орджоникидзе восторженно доносил Ленину: «Восставший грузинский рабочий класс, заняв Тифлис, установил советскую власть».

Грузинские войска, окруженные со всех сторон войсками двух милитаристских государств — большевистской России и Турции — осуждены были на гибель без малейшей надежды на успех.

17 марта Грузия решает прекратить борьбу на берегу Риона и распустить армию. Это решение открывает большевикам дорогу на Батум. Когда советская кавалерия подошла к Батуми на расстоянии 16 верст, турецкое командование потребовало от Грузинского правительства передать ему город Батуми и попыталось занять его военной силой. Грузинское правительство не только отказало в этом, но приказало генералам Мазняшвили и Цулукидзе защитить город от новых завоевателей, что и было выполнено. Это был последний акт грузинской драмы.

17 марта в Батумском городском самоуправлении под председательством Н. Чхендзе состоялось последнее заседание Учредительного собрания, которое приняло следующее постановление:

- 1) Приостановить временно действие Конституции.
- 2) Реорганизовать правительство, сократив его число до четырех, а именно: Н. Н. Жордания, Е. П. Гегечкори, Н. В. Рамишвили и К. П. Канделаки.
- 3) Предложить правительству выехать в Европу для продолжения борьбы против оккупации за восстановление суверенитета и независимости Грузии.

18 марта правительство Учредительного собрания Грузии покидает Батуми, и через несколько часов советские войска вступают в город.

ნაწევრები ვ. თევზაძის მოგონებებიდან „ქართველი ოფიცრის ჩანაწერები“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. „მაცნეს“ ბიბლიოთეკა. ისტორიის სერია. „მეცნიერება“, თბ., 1990, გვ. 40—53).

... თუ არა ვცდები, ვგონებ, 1920 წლის აპრილში ბოლშევიკები ომის გამოუცხადებლივ შემოიჭრნენ ჩვენ საზღვრებში აზერბაიჯანისა და სომხეთის მხრიდან.

მთავრობამ მაშინათვე დანიშნა მთავარსარდლად გენ. კვინიტაძე და დაიწყო მწვავე ომი ბოლშევიკებთან. საბედნიეროდ ამ ომს ჩვენ კარგად მომზადებული დაეხვდით. მობილიზაცია დროზე ჩატარდა. ჯარში შეუპოვარი სულისკვეთება სუფევდა. ბოლშევიკებმა ვერსად ვერ გადმოლახეს ჩვენი საზღვრები. ამ დროს ისინი პოლონელებთან ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი და იმედი, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში მყოფი ჯარებით საქართველოს დაძლევდნენ, არ გაუმართლდათ. სულ მოკლე ხანში ბრძოლები შეწყდა და დაიწყო საზავო მოლაპარაკება. დაისვა საკითხი საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური, კეთილშეზობლური ურთიერთობის დამყარებისა და ყველა სადავო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შესახებ.

1920 წლის მაისის დასაწყისში დაიღო საზავო ხელშეკრულება. მისი ძალით რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, უარს ამბობდა ყველა უფლებებზე საქართველოსადმი, რომლებიც მეფის რუსეთს ჰქონდა. ცნო ჩვენი საზღვრები საბჭოთა რუსეთთან და პირობას დებდა არ ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში. დანიშნულ იქნენ წარმომადგენლები საქართველოში, მოსკოვში და ბოლშევიკური რუსეთისა თბილისში. ძნელი ასაწერია ხალხის ენთუზიაზმი, რომელიც გამოიწვია რუსეთის განდევნამ საქართველოს საზღვრებიდან და ასეთმა ხელსაყრელმა მისიამ...

შეიქმნა თუ არა ხელსაყრელი პირობები, ხელახლად შეუდგნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისა და ჩაყლაპვის საქმეს; საამისო მომზადებას აშკარად და მოურიდებლად აწარმოებდნენ ბოლშევიკური წარმომადგენლის თბილისში ჩამოსვლის დღიდანვე.

ეძებდნენ თავიანთ მომხრეებს და იმგვარად მიჰყავდათ საქმიანობა, რომ ხალხის უკმაყოფილება გამოეწვიათ ხელისუფლებისადმი, ეკონომიურ სიძნელეებში გამო, ასეთი მათი მოღვაწეობა ხალხზე ზეგავლენას არ ახდენდა, მხოლოდ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში* აიყოლიეს მცირერიცხოვანი გლეხობა. ოსეთში მათ საწინააღმდეგოდ საჩქაროდ გაგზავნილ იქნა გვარდიის ათასეულები და ჯარის ნაწილები გენ. მაზნიაშვილის თაოსნობით. რამდენიმე დღის განმავლობაში აჯანყება ჩაქრობილ იქნა და ისევ მშვიდობა დამკვიდრდა. პოლონეთთან ომის დამთავრებისთანავე მიზნად დაისახეს საქართველოს მოსპობა. დაიწყეს ჯარის დაჯგუფება ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსეთის 100 კაციდან შემდგარი მისია შეუდგა დივერსიულ მუშაობას...

1920 წლის შემოდგომაზე ხელში ვიგდეთ და ფოტოგრაფზე აღებეჭდეთ ბოლშევიკური XI ლაშქრის სარდლის ლევანდოვსკის გეგმა დამტკიცებული ჩრდილო კავკასიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ძალთა უფროსის გეკერის მიერ და ამ ტერიტორიათა კომისრის ორჯონიკიძის მიერ. გეგმა ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საქართველოს ლიკვიდაციას, მიმართულებებს და ძალთა შემადგენლობას, რომლითაც უნდა დასცემოდნენ საქართველოს. საჩქაროდ შეიკრიბა თავდაცვის საბჭო. გადაწყდა საჭირო ზომების მიღება აქტიური წინააღმდეგობის გასაწევად, მობილიზაციის მოხდენა ჯარისა და გვარდიის ნაწილებში, დანიშნეს სარდლები ცალ-ცალკე მიმართულებისათვის. მდგომარეობა უღრმესად გამწვავებული იყო. არ ვიცოდით, როდის დაიწყებდნენ მოქმედებას ბოლშევიკთა ჯარები. გეგმაში მოქმედებათა დაწყების დღე დანიშნული არ იყო. მუდმივ კავშირში ვიყავი ჩვენ ქვეყანაში მოვლენილ ატაშეებთან, გერმანიისა და საფრანგეთის ატაშეები გულმხურვალედ თანაგვიგრძნობდნენ. მახსოვს, თურქეთის ატაშეს გენ. შტაბის პოლკოვნიკის, ქემალ ფაშას ენთუზიაზმი, რომელიც ჩემთან მეგობრულ ურთიერთობაში იყო, ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს და საერთოდ კავკასიის ერთა არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოსმალებისათვის, რადგან წარმოადგენენ ბუფერს რუსეთსა და თურქეთს

* ავტორი გულისხმობს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

შორის, რომლის მხრივ თურქეთს არა ერთი სიმწარე უწევნევია და მათთან უშუალო კავშირი ჯობია არ გვექონდესო.

გენ. შტაბის უფროსის განკარგულებით და თავდაცვითი საბჭოს დასტურით, ხელში ჩაგდებული აგრესიის გეგმის რამდენიმე ცალი გადაწერეს და საიდუმლო დოკუმენტის სახით დაურიგეს კეთილად განწყობილ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. ალბათ, ეს დოკუმენტი დღესაც ინახება ამ სახელმწიფოთა არქივებში. აი საბუთი, რას ნიშნავს ბოლშევიკების მიერ ხელმოწერილი საზავო დოკუმენტი, რომლითაც ცნობენ დამოუკიდებლობას, საზღვრებს, ამ სახელმწიფოს შინაურ საკითხებში ჩაურევლობის პირობას დებენ და პირდებიან კეთილმეზობლურ ურთიერთობას. მერე კი შთანთქავენ მას ყოველგვარი ეთიკის გარეშე, თითქოს დადებული ხელშეკრულება სრულიადაც არ არსებულებო.

ბოლშევიკთა თავდასხმის მოლოდინში განუწყვეტელი მზადება წარმოებდა. დაიწყო საფორტიფიკაციო მშენებლობები ცალ-ცალკე მიმართულებაზე და ჯარების განაწილება. მობილიზებულ ჯართა კვება. მათი დაბინავება მომავალი მოქმედების რაიონებში. დიდ ბრუნვას მოითხოვდა და, ცხადია, მეტად აფერხებდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ნორმალურ ცხოვრებას, რომელსაც უამისოდაც მრავალი სიძნელეების გადალახვა სჭირდებოდა.

მიღებულ იქნა ზომები ბოლშევიკთა მისიის თვალ-ყურის სადევნებლად და მათი წამოწყებების დასაწყისშივე აღსაკვეთად, თანაც სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ბოლშევიკები არ გაგვეღიზიანებია და ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ჩვენ ხელთ იყო მათი დაწვრილებითი გეგმა მომავალი სამხედრო მოქმედებისა.

დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა. დაღამებამდის ვისხედით და თვალყურს ვადევნებდით მათ მოქმედებას. საქრო იყო დროის დადგენა, როდის გადმოვიდოდნენ შეტევაზე. როგორც მახსოვს, საოპერაციო გეგმა ხელთ ვიგდეთ სექტემბრის ბოლოს. დრო გადიოდა და ბოლშევიკების შემოტევაზე არაფერი ისმოდა. დადგა ზამთარი, რომელიც აფერხებს სამხედრო მოქმედებებს; ისიც კი ვიფიქრეთ გეგმა ფიქტიური ხომ არ არისო. ჩვენი ჯარები კი ადგილზე იდგნენ და მზად იყვნენ დარტყმის მისაღებად.

ბოლშევიკთა გეგმა მოქმედების შემდეგ მიმართულებებს ითვალისწინებდა.

— ჩრდილო დასავლეთიდან გაგრა-სოხუმისკენ. ამ ფრონტისთვის უფროსად დაინიშნა გენ. ართმელაძე; ჩრდილოეთიდან მამისონის უღელტეხილით, რაკი აქ ვიწრო და ძნელი გამოსასვლელი გზა იყო და დიდი ერთეულების მოქმედება მოსალოდნელი არ იყო, ამ მიმართულების დაცვა მიენდო სასაზღვრო ნაწილების უფროსს; ჩრდილოეთიდან ვლადიკავკაზდარიალის ხეობის მიმართულებით უფროსად დაინიშნა გენ. წერეთელი; აღმოსავლეთიდან კახეთის მიმართულებით უფროსად დაინიშნა გენ. ახმეტელი; სამხრეთ დასავლეთიდან ბორჩალოს მიმართულებით სომხეთიდან უფროსად დაინიშნა გენ. იოსებ გედევანიშვილი. როგორც ზევით მოვიხსენიე თადარიგში მყოფი და დიდ სამხედრო გამოცდილებას მოკლებული; სამხრეთიდან ახალციხე არდაგანის რაიონში უფროსად დაინიშნა გენ. გულუხიძე; ბათუმის რაიონში უფროსად დაინიშნა გენ. მდივანი.

თუმცა ბოლშევიკების გეგმაში ოსმალეთის შემოტევაზე არაფერი იყო ნათქვამი, გვექონდა ცნობები, რომ საქართველოს მხრივ მძლავრი წინააღმდეგობის მოლოდინში იძულებული იქნებიან შეუთანხმდნენ ოსმალეთს თანამოქმედების შესახებ და სამაგიეროდ თავაზობდნენ არდაგანისა და ბათუმის რაიონებს, რომლებზეც ბოლშევიკებმა უკვე ბრესტის ხელშეკრულებით ცნეს მათი უფლებები.

ამნაირი იყო ჩვენი მდგომარეობა ბოლშევიკების შემოტევის მოლოდინში.

სამუშაო ბევრი გვექონდა. მოდიოდა ცნობები რომ ჩვენსა და აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრებთან იკრიბებოდა სამხედრო ერთეულები ცენტრალური რუსეთიდან. ბევრი ცნობა მოგვდიოდა აზერბაიჯანიდან, რომელიც განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ბოლშევიკების ოკუპაციით, რომ ბოლშევიკთა სამზადისი საქართველოზე თავდასასხმელად ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ ცნობებს ვაწვდიდი კეთილად განწყობილ უცხო ქვეყანათა წარმომადგენლებს თბილისში. ვთხოვდით იარაღისა და სამხედრო მასალის მოწოდებას, ჯარის რიცხვის გადიდებისა და საერთო მობილიზაციის ჩასატარებლად.

მანსოვს, ერთ დღეს გენ. შტ. უფროსმა ზაქარიაძემ დამი-

ბარა თავისთან და ამერიკული მანქანით, რომელიც კავკასიის ფრონტის დროიდან გადაჩა, გავემგზავრეთ ფრონტის დასათვალიერებლად ბორჩალოს მიმართულებით, წითელი ხიდისკენ, სადაც გადიოდა მდინარე ხრამის მიდამოებში აზერბაიჯანთან ჩვენი საზღვარი. თავდაცვის პოზიციები მოწყობილი დაგვხვდა ალაგ-ალაგ შიგ ჩაყენებული ჯარებით. ვუმზერდით იქიდან ბოლშევიკების მოდარაჟეთა და ჯართა ნაწილების პოზიციებს. შევიარეთ ჩვენი ოფიცრის არჩილ ედიგარის მამის მამულში, რომელიც საზღვრის პირას იყო. გავიგეთ იქ, რომ ჯართა კონცენტრაცია ჩატარებულა განჯასა და სომხეთში ჩვენი და აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრის შესართავთან. ეს ცნობები მაიორ არჩილ ედიგარის მტკიცებით, სრულიად სწორი და მართალი იყო, რომ ეს ცნობები მიაწოდეს მათ ოჯახის გასაფრთხილებლად მრავალმა კეთილგანწყობილმა ნაცნობ-ნათესავმა, რომლებიც საზღვრის იქით ცხოვრობდნენ. ედიგართა ოჯახი — ქართველ მუსულმანებს ეკუთვნოდა და აზერბაიჯანთა წრეში მრავალი გულშემატკივარი ჰყავდათ. გაიცა ბრძანება საგანგაშო მზადყოფნისა, მობილიზაციის დაჩქარებისა და ასე მიდიოდა დრო. დადგა 1920 წლის ზამთარი. ზოგი ფიქრობდა, რომ ბოლშევიკთა შემოტევას ადგილი არ ექნება. ცნობები კი ვლადიკავკავიდან გვარწმუნებდნენ, რომ ბოლშევიკთა შემოტევა უსათუოდ იქნება და ისიც მოკლე ხანში. დრო მიდიოდა. მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა. ჯაფა ბევრი გვქონდა... ხელში გვივარდებოდა მრავალი ცნობა ბოლშევიკთა* საქართველოს დასაპყრობად. მახსოვს, 11 თებერვალს უწყობდნენ ბენეფისს მოსკოვის დრამატული თეატრის ცნობილ არტისტს, გვარი არ მახსოვს, რუსთაველის პროსპექტზე ქართულ დრამატულ თეატრში. მისი არჩევით იდგმებოდა სუმბათაშვილის დრამა „სამშობლო“, რომელიც ქართულ სცენაზე ხშირად იდგმებოდა. დიდად პატრიოტული ნაწარმოებია, მოგვიტხრობს სპარსელების მიერ ტყვედ წაყვანილ დედოფალზე და ქართველ გმირზე, რომელიც მტრის ბანაკში გადავიდა. თეატრი სავსე იყო მაყურებლებით, მეც, ნაცნობებთან ერთად, დავესწარი ამ წარმოდგენას. წარმოდგენამ საუცხოოდ ჩაიარა. მშვენივრად შეასრულა თავისი როლი, მობენეფისე ქალმა. გაუმართეს დიდი ოვაცია და მიუძღვნეს მრავალი საჩუქარი და ყვავილები. წარმოდგენის შემდეგ

* ასეა ტექსტში.

ნაცნობებთან ერთად წავედით რესტორანში, რომელიც იქვე თეატრის სარდაფში იყო და დავბრუნდი სახლში. გახდაც ვერ მოვასწარი, რომ დამირეკეს ტელეფონით. რეკავდა შტაბის მორიგე ოფიცერი. დაიწყაო — ჩემ შეკითხვაზე თუ რაშია საქმე. გიგზავნით მანქანას და ახლავე მობრძანდით შტაბში. სახლში აღარ დავბრუნებულვარ თბილისის დატოვებამდის. შტაბში გავიგე, რომ 11/12 თებერვლის დამეს ბოლშევიკები გადმოვიდნენ შეტევაზე ბორჩალოს რაიონსა და სამხრეთით სანაინის მიმართულებიდან. თავდასხმა სანაინიდან მომხდარა უცაბედად და ჩვენი ჯარები სადახლოსკენ იხევენო. ბორჩალოსთან მოულოდნელობას ადგილი არა ჰქონია და ცხარე ბრძოლები მიმდინარეობსო; სხვა მიმართულებებიდან თავდასხმაზე ცნობები არ მოგვდიოდა, მდგომარეობა სამხრეთით სადაც ჯართა სარდლად გენ. გედევანიშვილი იყო, გამოურკვეველი იყო. ნაწილი ჩვენი ჯარისა ტყვედ ჩავარდნილიყო. საუბედუროდ, ვერც გენ. გედევანიშვილი და ვერც მისი შტაბის უფროსი ჩემი ამხანაგი გენ. შტაბის პოლკოვნიკი ძაგანია ვერ გამოდგნენ მოვლენების ღირსებაზე მდგარნი. გვაცნობებდნენ, რომ გამოარკვევენ მდგომარეობას და მიიღებენ ზომებს ბოლშევიკთა და სომეხთა თავდასხმის უკუსაგდებად. ოღონდ ეს გამოარკვევა დიდხანს გრძელდებოდა. სამხედრო საბჭოს მთავარსარდლად იმ დროს გენ. ოდიშელიძე იმყოფებოდა, გამოცდილი გენერალი, ყოფილი კავკასიის ფრონტის უფროსის თანაშემწე. მისი წამოწყებები ომის დაწყების დღიდანვე არ იყო სწორი და ახლა დაეინებით გამოჩნდა. გაება მდგომარეობის გამოარკვევასა და ცალ-ცალკე მოქმედებაში შემოსულ მტერთან, სათანადოდ არ შეაფასა მოქმედება სადახლოს მიმართულებით, ეს კი დიდ საფრთხეს ნიშნავდა თბილისისათვის; აკლდა მომთხოვნელობა ცალ-ცალკე უფროსებისადმი და თვით გენ. გედევანიშვილისადმი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სადახლოსა და ბორჩალოს რაიონში შექმნილი მდგომარეობისა. დაკმაყოფილდა ადგილობრივი ნაწილებით მტრის განდევნის მოთხოვნით. მოქმედება წარმოებდა პატარ-პატარა ნაწილებით და ხშირად უშედეგოდ. 16 თებერვალს სამხედრო საბჭომ მოხსნა ის თანამდებობიდან და მთავარსარდლად გენ. კვინიტაძე დანიშნა. მინდა აქ დავახასიათო გენ. კვინიტაძის პიროვნება. პირველად მას გენ. შტაბის კაპიტნის ხარისხშია

შევხვდი თაილისის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1914 წელს დავაშთავრე. ტაქტიკას გვასწავლიდა. ჩემზე მისმა პიროვნებამ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართულად იყო გამოწყობილი ფაფახში, ქართულ წალებში, მოკაცულა ხმლით. მეტად ენერგიული, მოხდენილი და სიმპათიური. ტაქტიკას ის ჩვენ კლასს არ ასწავლიდა, ოღონდ, I კურსიდან II-ზე გადასვლისას ჩვენი კლასების ტაქტიკის გამოცდებს ის აწარმოებდა. მე სამხედრო ხელოვნების ენთუზიასტი არ ვყოფილვარ, სკოლაში შემთხვევით მოვხვდი. სამხედრო ხელობაზე წარმოდგენაც არ მქონდა, არც ჩემ ნათესავთაგან ყოფილა ვინმე მხედრად. ერთი სიტყვით, სამხედრო ხელობის სრულიად უეცი ვიყავი. ამ მიზეზების გამო პირველ კურსზე სწავლას ასე უგულოდ ვექცეოდი. ჩემით კმაყოფილნი არ იყვნენ და იმასაც მოველოდი, რომ სკოლიდან გამაგდებდნენ და სადმე პოლკში მიკრავდნენ თავს; ჩემი ბოძაშვილი ალიკ ჩხიკვიშვილი, რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა, მეუბნება მარიგებდა ან სუსტი შედეგების გამო შორეულ ჩანეთის საზღვარზე მიგავლენენ ოფიცრად და იქ მისასვლელად ტაშკენტიდან 300—500 ვერსი აქლემზე ჯაყჯაყი დაგვირდება. იქ კი ველურ გარემოში ან გალოთლები ან თავს მოიკლავო. მე კი სამხედრო ხელობა გულთან არ მიმქონდა და პირველ კურსზე, გარდა ტაქტიკისა, ყველა საგანში სუსტი ნიშანი მქონდა. მხოლოდ ტაქტიკაში, არ ვიცი რატომ 12 ნიშნიანი სისტემით 11 მქონდა.

ტაქტიკას გვასწავლიდა გენ. შტაბის კაპიტანი საველიევი. ნიჟიერი და სიმპათიური ოფიცერი, სიმართლე რომ ვთქვა, არც კი ვიცოდი რაში იყო საქმე, მაგრამ ტაქტიკის ამოცანებს მეუბნება წესიერად ვასრულებდი. ტაქტიკის გამოცდაზე გენ. შტაბის კაპიტანმა კვინიტაძემ ამოცანა მომცა რუკაზე. ბევრი დაფიქრება არ დამჭირებია. სწრაფად წარუდგინე ჩემი აზრი და განვსაზღვრე დავალებები ცალ-ცალკე ერთეულისათვის. კვინიტაძე განცვიფრებული იყო ჩემი პასუხით და უმაღლესი შეფასება მომცა. ეს იყო პირველი შეხვედრა კვინიტაძესთან, შემდეგ ერთმანეთს შევხვდით 1919 წ. სომხებთან ომში, როდესაც მის შტაბში ვიყავი ფრონტზე. მასთანვე ვიყავი შტაბში ახალციხეში ოსმალებთან ომის დროს, აგრეთვე 1920 წელს ბოლშევიკებთან პირველი ომის დროს და, ბოლოს, უკანასკნელი ომის დროს ბოლშევიკებთან 1921 წელს.

გენ. კვინიტაძის მთავარსარდლად დანიშნულა დიდად გამა-
ნარა, რადგან მას დიდად ვაფასებდი. სიამოვნებას მგვრიდა
მასთან შტაბში მუშაობა.

გენ. კვინიტაძე დიდად პოპულარული იყო საქართველოში.
იგი ყველა ომში, რომლებსაც საქართველო მისი მთავარსარ-
დლობით აწარმოებდა (1918—1921 წ.) გამარჯვებული გამო-
დიოდა. მახსოვს, როდესაც საბჭოს მოწვევით შემოვიდა შე-
ნობაში და მე დავუხვდი შემოსასვლელში, მომესალმა, გამა-
ნარა ისევ ერთად ვიმუშავებთო. სახე უბრწყინავდა, ეტყობა
კმაყოფილი იყო, რომ მას კვლავ მთავარსარდლად იწვევდნენ
ასეთ გადამწყვეტ მომენტში. მდგომარეობა ფრონტებზე მძი-
მე იყო. ბრძოლები დღე და ღამე მიმდინარეობდა. პირობები
მალ-მალე იცვლებოდა. ცნობები დროზე არ მოდიოდა. მსხვერ-
პლი დიდი გვექონდა, ოღონდ არც მოწინააღმდეგეს აკლდა და-
ნაკარგი. მრავალი ტყვე გვივარდებოდა ხელში. გენ. კვინიტაძე
ენერგიულად შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. ნა-
წილების მოწესრიგებას. მისი მიზანი იყო, არ მოეშვა მტერი
დედაქალაქამდე. ფრონტი სამ ნაწილად გაანაწილა, გადააყენა
ზოგიერთი სარდალი, დანიშნა ახლები, რომლებზედაც იმედს
ამყარებდა დანაკარგის დასაბრუნებლად. მარჯვენა ფრთას
კოჯრის რაიონში სარდლობდა გენ. ანდრონიკაშვილი. თუ არა
ვცდები მის განკარგულებაში იყო ოთხი ჯარის პოლკი, ოთხი
გვარდიის ათასეული, საპიორთა ათასეული, შესაბამისი რაო-
დენობის არტილერია და სამხედრო სკოლა, რომელმაც შემ-
დგომ ბრძოლებში დიდი გმირობა გამოიჩინა და უკვდავო
თავის ღვაწლი ბოლშევიკებთან 1921 წლის ომში. შუა ნაკვეთი
სამხრეთით მდინარე მტკვრამდის მიენდო გენ. მაზნიაშვილს,
დიდად პოპულარულ, ენერგიულ და გამოცდილ მხედარს. მის
განკარგულებაში იყო დაახლოებით სამი ქვეითა პოლკი, სა-
საზღვრო ათასეული. დედაქალაქის ტყვიამფრქვევთა ათასეუ-
ლი, ორ დივიზიონამდის არტილერია, ჯავშნოსან მანქანათა ნა-
წილები, ჯავშნოსანი მატარებელი. ფრონტის დანარჩენი მარ-
ცხენა ფრთაზე მოყოლებული მტკვრიდან მიენდო გვარდიის
გენ. ჯიჯინას. მის განკარგულებაში იყო: სამი მძლავრი ათა-
სეული სათანადო არტილერიით და მარცხენა ფრთაზედ გვარ-
დიის ცხენოსანი ესკადრონით. თბილისს მომდგარი მტერი,
ჩვენი პოზიციების წინ, სამხრეთით და აღმოსავლეთიდან დი-

დად აღემატებოდა ჩვენ ძალებს. დაახლოებით შედგებოდა ის 7 ქვეითა ჯარის დივიზიის, 3 ცხენოსანთა დივიზიის, მძლავრი და რიცხობრივი არტილერიის ნაწილებისაგან, ჯავშნოსან მანქანათა ერთეულების, 5 ჯავშნოსანი მატარებლისა და სომეხთა დივიზიისაგან, რომელიც სამხრეთით მოქმედებდა.

მძიმე ბრძოლები თავიდანვე მიმდინარეობდა ყველა მამართულებით, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავე მიიღეს მათ 18 თებერვლიდან, როდესაც მტერმა ხელთ იგდო წითელი ხილი და რკინიგზა მტკვარზედ. ხილი, მართალია, ჩვენ მიერ აფეთქებული იყო, ოღონდ იმდენად არ იყო დაზიანებული და მტერმა მოახერხა მისი სწრაფი შეკეთება და ჯავშნოსანი მატარებლის გამოყენება.

გამწვავებული ბრძოლები დღე და ღამე მიმდინარეობდა. სწორად, მიდიოდა ხელჩართულამდის. მტერს ძალთა დიდი უპირატესობა ჰქონდა, დაყინებით ცდილობდა ფრონტის გარღვევას, მაგრამ ჩვენი ჯარები მედგრად იცავდნენ პოზიციებს და ურყევად იდგნენ ადგილზე. მოგერიებითი პოზიციების დაძლევა მტერმა ვერსად შეძლო. 18-22 თებერვალს მტრის მთავარი შემოტევა შუაში, გენ. მაზნიაშვილის ნაკვეთზე მოქმედდა, მუდამ უშედეგოდ. მახსოვს, 11 თუ 23 თებერვალს გამომიძახა გენ. კვინიტაძემ და ღია, ბრეზენტით დახურული მანქანებით გავემართეთ კახეთისაკენ ჩვენი მარცხენა ფრთის დასათვალიერებლად. აქ უფროსად გენ. ჯიჯიხია იყო თავისი გვარდიელებით. წინა დღეს, მტრის ძლიერი შემოტევის შემდეგ, დატოვეს პოზიციები და გადმოინაცვლეს კახეთის რკინიგზის ლიანდაგის სამხრეთით და აღმოსავლეთით. ჯანლიანი დღე იყო. ციოდა, სუსხიანი ქარი ქროდა. გენ. ჯიჯიხიას რკინიგზის ჩიხში მივაგენით. იქვე იყვნენ გვარდიის შტაბის წევრები. მთავარსარდალი გაეცნო მდგომარეობას, გამოიკითხა მიზეზი გუშინდელი უკანდახევისა და შეეკითხა შეძლებს თუ არა ახლად დაჭერილი პოზიციების შენარჩუნებას. პასუხად გენ. ჯიჯიხია დაპირდა, რომ არამც თუ შეინარჩუნებს, შეტევაზედაც გადავა, რადგან ამ ამინდში მათი ჯავშნოსანი მანქანები საშიში არ არიანო. მთავარსარდალმა ნება დართო შეტევაზედ. სწორედ ამ დროს მოგვადგა სატვირთო მატარებელი, რომელიც თბილისში ბრუნდებოდა. კვინიტაძემ გააჩერა მატარებელი. ჩავსხედით სოღანლულისკენ წასასვლელად. მძლოლს უბრძანა

იქ გამოცხადებულიყო მანქანით. ციოდა, ვიყინებოდით, ბოლ-
თაჲ ვარტყაძლით განუწყვეტლივ ვაგონში გასათბობად. გენ.
კვინიტაძემ შემომჩივლა: „მეშინია შეტევის მაგერ ჭიჭინიამ
უკან არ დაიხიოს და არ შეგვიქმნას უხერხული მდგომარეო-
ბა“-ო: ალბათ, კარგად იცნობდა ჭიჭინიას. მე კი მისი გამბე-
დაობა გაგრის ფრონტზე მქონდა შემოწმებული დენიკინელებ-
თან ოპის დროს. გენ. კვინიტაძის ექვი გამართლდა. მტერმა
მარცხენა ფრთაზე ცხენოსანთა ერთეულებით შეუტია და ამით
ავკალა-მცხეთას დაემუქრა. ეს კი ნიშნავდა ჩვენ ზურგში
მოქცევას და დასახევი გზის გადაჭრას.

მდგომარეობის გამოსარკვევად მთავარსარდალმა გენ. შტა-
ბის პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი გაგზავნა მანქანით
ლილოში, სადაც ჩვენი ცხენოსანთა ბრიგადაც იდგა. მეორე
დღეს 24 თებერვალს პოლკ. გედევანიშვილი დანაღვლიანებუ-
ლი დაბრუნდა. როგორც ჩანდა, ბევრს ვერაფერს მიაღწია და
ვერც მდგომარეობა გამოარკვია რიგიანად. მტერი შემოტევას
ყველგან განაგრძობდა. საფრთხე გაგვიჩნდა მარჯვენა ფრთა-
ზედაც, კოჯრის მხრიდან. იქაც გამოჩნდა კავალერია. იქ, გენ.
ანდრონიკაშვილი ფრთხილობდა, მშვენივრად განაგებდა თა-
ვის საქმეს და იოლად უმკლავდებოდა ყველა შემოტევას სა-
იმედო ნაწილების და, განსაკუთრებით, გმირული სამხედრო
სკოლის და სამი ნაცვალი ასეულის შემწეობით. არაერთხელ
გადასულან ისინი უკუიერიშხედ. უწარმოებიათ ხელჩართული
ბრძოლები და უკუუგდიათ მტრის გამალებული შემოტევა.
აღტაცებით და გულის ფანცქალით შეჰყურებდა მათ გმირო-
ბას მთელი ქართველი საზოგადოება: 23—25 თებერვალს მწვა-
ვე ბრძოლები მიმდინარეობდა. მტერმა უკანასკნელი მარაგი
შეიყვანა ბრძოლებში, ბაქოს პოლიტრუკთა და კურსანტთა
ჩათვლით. მტერი ჩქარობს თბილისის დაპყრობას, აშინებს მამ
უკმაყოფილება, რომელიც ჩნდება ოკუპირებულ სომხეთსა
და აზერბაიჯანში. მთავარი ცდები ფრონტის გარღვევისა ახლა
ჩვენ მარჯვენა ფრთაზე, გენ. ანდრონიკაშვილის ნაკვეთზე
გადააქვს. მთელი 24 თებერვლის დამე და 24-ის დღე გამწა-
რებული ბრძოლები წარმოებს. ოღონდ, შედეგს ვერსად ვერ
აღწევს, ერთი ფეხითაც არ იწევენ უკან თავდადებული მეტრ-
ძოლები. შუა ნაკვეთსაც გენ. მაზნიაშვილისას ცოტა წარუმა-
ტებლობა აქვს მარცხენა ფრთაზე, მაგრამ საერთოდ, თავის

პოზიციებზე ურყევად დგას. მხოლოდ გენ. ჭიჭინიას ნაკვეთზე, შეტევის მაგიერ, უკან დახევას აქვს აღილი.

25* სალამოს ჩვენი მდგომარეობა არ იყო სანუგეშო. მტერი თბილისიდან თითქმის ყველა მიმართულებით 10—12 კმ მანძილზე იმყოფებოდა. მართალია, დაწვრილებითი ცნობების მიღება ნაკვეთის უფროსთაგან აღვილი არ იყო, მაგრამ ცხადად იმჩნეოდა ყველგან მოწინააღმდეგის რაცხობრივი უპირატესობა და, რაც მთავარია, მათი 6 დივიზიამდე ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც ორივე მხრიდან მოქმედებდა, გზის ჩაკეტვით გვემუქრებოდა. პოლკ. გედევანიშვილის დაბრუნებამ თებერვლის 25-ში, დიდად დაგვაფიქრა. ის დღისით დანაშნულ იქნა ფრთაზედ მოქმედ ჯართა უფროსად. მისი არასრული შეფასებით მტერი მარცხენა ქვეითა ჯარისა და არტალერის გარღვევით გვემუქრებოდა. ამას დაერთო გენ. ანდრონიკაშვილის ცნობა, რომ მტრის ცხენოსანთა ჯარი შემჩნეულია კოჭრის მხრიდან და რომ ის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოემართება და ამ მხრიდან თბილისის მოჭრას შეეცდებოდა. მთავარსარდალმა მაშინათვე მიიღო ზომები ამ მიმართულებით სინამდვილის გამორკვევისა. გაგზავნილმა მხვერავმა ნაწილებმა ამ მიმართულებით საფრთხე არ დაამტკიცეს. ამ მეტად მძიმე მდგომარეობაში მთავარსარდალს არავითარი მარაგი არ გააჩნდა (რადგან ახალციხიდან მოხსნილმა ორმა ქვეითმა პოლკმა დროზე ვერ მოაღწია), გადაწყვიტა დაეტოვებინა თბილისი, დაეხია მცხეთამდე და იქ ჩაეკეტა მისადგომი აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მიმართულებებიდან (საქართველოს სამხედრო გზაზე). სასწრაფოდ მოიწვიეს თავდაცვის საბჭო. თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ შეკითხვაზე, არის თუ არა სხვა გამოსავალი, მთავარსარდალისაგან პასუხად მიიღო, რომ არავითარი მარაგი აღარ ჰყავს, ორივე მხრივ გზას გვიჭრიან მტრის ცხენოსანი ერთეულები, იძულებული ვიქნებით ბრძოლა თბილისში ვაწარმოოთ ხალხსა და ქვეყანას მოწყვეტილებმა. ამ ვითარებაში სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ და იძულებული ვარ უკან დახევის ბრძანება გავცეო. თავდაცვის საბჭომ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. აუწერელია მწუხარება, რომელიც ყველა იქ მყოფმა განიცადა. თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა განუწყვეტელი ბრძოლები. მიუხედავად ძალთა უპირატესობისა მტერი წინ ვერ მოიწევდა. გეყავდა

მრავალი ტყვე, მტერს ვაყენებდით საგრძნობ ზიანს. საზოგადოების სულისკვეთება სანიმუშო იყო და ასეთ ვითარებაში ვტოვებდით სატახტო ქალაქს. სატახტო ქალაქის დატოვებას ომის დროს, მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, შეუძლია ჩაუკლას საზოგადოებას ბრძოლის უინი.

მთავარსარდალს სწადდა ძალები შეეჯგუფებინა მტრის მოქმედების მთავარ მიმართულებაზე. გადაენაცვლა მცხეთოსა და ხაშურის რაიონებში და გადასულიყო იქიდან შეტევაზე მტრის ცოცხალი ძალების მოსასპობად. ნამუაღდევეს შტაბი ადგილის გადანაცვლებისათვის ემზადებოდა; ღამის 24 საათზე სპეციალური, მთავარსარდალის მატარებლით მცხეთისკენ ან ხაშურისკენ უნდა გავმგზავრებულიყავით. სათანადო განკარგულებები მომავალი გადაჯგუფებისათვის გადაეცათ თბილისის ფრონტზე მოქმედ ჯარსაც.

მახსოვს ეს 24/25 თებერვლის ღამე. ვისარგებლე შემთხვევით და მანქანით სახლში შევიარე, რომ საჭირო ნივთები წამელო და გამოვმშვიდობებოდი დედას, ბიძას და ჩემ უმცროს ძმას. ნახევარი საათი თუ დავრჩი სახლში; მეტი დრო არა მქონდა. მთავარსარდალი და შტაბის უფროსი 10 საათზე გამგზავრებულყვენენ სადგურზე. მანქანა მუდმივ მოძრაობაში იყო, სადგურზე ყველა შტაბის ოფიცერი უნდა მიეყვანა. მახსოვს ჩემი მეგობარი მიტო გოცირიძე, შტაბის კანცელარიის უფროსი და მე უკანასკნელი მივედი. ჩავედით დაბლა მანქანის მოლოდინში. ჩვენთან 3 ერისკაცი მოვიდა. ერთი მათგანი სერგო ქავთარაძე* იყო, ბოლშევიკი. მას მე ვიცნობდი. გაეგო, რომ შტაბს ვტოვებდით. ვუთხარი, რომ შტაბში აღარავინ არის და შეუძლიათ შენობის დაცვაზე იზრუნონ. მადლობა მითხრეს და ჩვენ გავწიეთ სადგურისაკენ. მატარებელში დადლილს მაშინვე ჩამეძინა. გათენებისას ზარბაზნიდან განსროლილი ყუმბარის ხმამ გამაღვიძა მცხეთის სადგურზე, სადაც ჩვენი მატარებელი გაჩერებულიყო. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს შემთხვევითი გასროლა იყო ჯავშნოსანი მატარებლის ზარბაზნიდან, რომელიც მცხეთა-თბილისის ლიანდაგს ზვერავედა.

ჯართა გადაჯგუფება გრძელდებოდა. მტერი არ აგვდევნებია. ჯარები მშვიდად მოემართებოდნენ. ცნობები, ვითომც მარცხენა და მარჯვენა მხრიდან მტრის კავალერია მოიწვედა,

* ასეა ტექსტში.

ყალბი გამოდგა. დახვეისას ჩვენ ნაწილებს ბრძოლები არ უწარმოებია. შეიძლება თითო-ორი ცხენოსანი თუ შეამჩნიეს, თორემ დიდი ერთეული უბრძოლველად როგორ დატოვებდა უკანდამხვე ჯარს.

მცხეთასთან მთავარსარდალმა არ მოისურვა პოზიციების დაკავება. გადაწყვიტა დაეხია ხაშურამდის და იქ უკეთეს მოგერიებით პირობებში გამაგრებულიყო სურამის უღელტეხილზედ, საიდანაც ხელსაყრელი პირობები იყო მარჯვენა ფრთის მტკვარზე დაყრდნობით. მცხეთიდან ხაშურში მიმავალი მთავარსარდლის მატარებელი გორში გაჩერდა. აქ შევამოწმეთ დამხვეი ჯარის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ჯარი იხევდა წესიერად. ნაშუადღევს ჭოგრიტით შევამჩნიეთ, რომ მთებთან ეშვებოდა მტრის ერთ ცხენოსან ესკადრონამდის. გორში ცხოვრობდა ბიძაჩემი მეჭი, თავისი ცოლით, ცნობილ მწერალ მაროთი, რომელიც გამოდიოდა „გარიყულის“ ფსევდონიმით. გამოვემშვიდობე იმ იმედით, რომ მოკლე ხანში ისევ შევხვდებოდით. საუბედუროდ, ესე არ მოხდა.

მთავარსარდლის მატარებელი ხაშურის სადგურზე გაჩერდა. ჩვენმა ჯარმა დაიკავა პოზიციები ხაშურსა და სურამის რაიონში. ამასობაში მოვიდა ორი ქვეითა პოლკი თავისი არტილერიით, რომლებიც გარდა არდაგანისა მოვხსენით ოსმალეთის საზღვარს იმ იმედით, რომ ოსმალები არ შემოგვიტევენ. მეორე დღეს ჯარები უკუიერიშზე გადადიოდნენ მარჯვენა ფრთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მარცხენასი კავკასიის მთებზე დაყრდნობით. პირობები შეტყვისათვის მეტად ხელსაყრელი იყო.

ვმორიგეობდი შტაბში. ვიჭექი მთავარსარდლის სალონში ტელეფონთან. ნაშუადღევს დარეკა ტელეფონმა. ცნობა მივიღე. ლაპარაკობდა გენ. კონიაშვილი, რომელიც გენ. ჭიჭიხიასთან ერთად გვარდიაში მსახურობდა. მთხოვდა მომეხსენებინა მთავარსარდლისათვის, რომ გვარდიელებმა დაადგინეს არ შეუტიონ, შტაბი და ჯარი იშლება და მათზე ზეგავლენის საშუალება არა მაქვსო. მოახსენეთ ეს მთავარსარდალს და მეც ამ წუთშივე მოვდივარ მასთან პირადად მოსახსენებლადო. მაშინათვე გავადვიძე შტაბის უფროსი და მთავარსარდალი და მოვახსენე ტელეფონით მიღებული ცნობა. ძნელი აღსაწერია მთავარსარდლის აღელვება. ამ მოულოდნელმა ცნობამ მოთმინებიდან გამოიყვანა. იმდენი შრომა ჩატარდა უკუიერიშის

მოსამზადებლად; აქ შესანიშნავი გარემოცვის პირობებში გამარჯვება ნათელი იყო, რის შემდეგ თბილისის უკან დაბრუნებას ვერაფერი ვერ შეაჩერებდა. გვარდიელების სამარცხვინო გაქცევამ ჩაშალა ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა. სწორედ მათ უნდა მოესდინათ მთავარი დარტყმა დაჯგუფების მარცხენა მხრიდან.

ცოტა ხნის შემდეგ გენ. ზაქარიძე თავის ვაგონში გავიდა, გენ კონიაშვილი ჭერ არ მოსულიყო. მთავარსარდალი მეტად ლელავდა. „აბა, თევზაძე, თავის მოკვლა და დამრჩენია, არა? — მომმართა სევდიანი ხმით. შეეწუხდი ძალიან. ვგაძნობდი რა აზრები უტრიალებდა ამ დროს თავში სარდალს. ის ზომ სამეწლის განმავლობაში უძლეველად მართავდა საქართველოს თავდაცვის საქმეს. ზედიზედ მოიგო 3 ომი სამ მეზობელთან — სომხებთან, თურქებთან და ბოლშევიკებთან — ახლა კი დამარცხება ელის. ვცადე დამშვიდება. გვაქვს კიდევ ხელსაყრელი მოგერიებითი პოზიციები, ჭერ ყველაფერი არ არის დაკარგული, გამარჯვების იმედი არ უნდა დაკარგოთ-მეთქი, მაგრამ ამის მიღწევა აღვილი აღარ იყო. შავი ზღვის პირდაპირ ასეთი ხელსაყრელი პოზიციები აღარ არსებობდა.

შემოვიდა გენ. კონიაშვილი და დაიწყო სახალხო გვარდიის გინება, რომლის შექმნაზედ იგი 1917 წლიდან მოღვაწეობდა. აქ უნდა აღვნიშნო, რომ სახალხო გვარდიას სასახელო წუთებიც ჰქონდა, როგორც მაგ.: თბილისის არსენალის დაკავება 1917 წელს და რამდენიმე მცირე მნიშვნელობის მოქმედება ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში. საერთოდ კი მისი არსებობა აფერხებდა საქართველოს ჯარის მოწყობას. მის რიგებში ჩაინთქა საუკეთესო და გამოცდილი ნაცვლები. მათ ჯარში ჩაწერას უშლიდა ის გარემოება, რომ გვარდიაში ნაცვალთა ჯამაგირები აღემატებოდა ჯარის ნაცვლებისას. უარყოფითი მოვლენა გვარდიაში ისიც იყო, რომ მათი შტაბები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ უფროსის მიერ ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას; ეს კი ეწინააღმდეგებოდა უფროსის მიერ ერთეულთა მართვას ბრძოლის დროს. აქ მოქმედებათა გადამწყვეტი და პასუხისმგებელი მხოლოდ უფროსი უნდა იყოს...

არ იყო სხვა გამოსავალი. საჭირო შეიქმნა ჯარების სამტარდიისაკენ დახვევა, სადაც ჯვარედინდებოდნენ მამისონის უღელტეხილისა და ვაგრა-სოხუმ-ოჩამჩირეს გზები. მტერი

აქტივობას არ იჩენდა, ისე რომ ჯარჯა შეუფერხებელივ აზვე-
უნენ დასავლეთისაკენ.

რაკი დაინახეს ბოლშევიკთა უპირატესობა ქართულ ჯა-
რებზე, თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ ახალციხესა და ბა-
თუმის მიმართულლებით. ოსმალებისათვის უფრო ხელსაყრელი
იყო მათსა და რუსეთს შუა ბუფერული სახელმწიფოს არსე-
ბობა, ოღონდ, თუ რუსები საქართველოს ტერიტორიას დაე-
უფლებოდნენ, საჭიროდ ცნობდნენ რუსეთთან საზღვარი თა-
ვისი ტერიტორიიდან წინ წაეწიათ. მით უმეტეს, რომ ბრესტის
ტრაქტატით რუსეთმა ამაზე თანხმობა განაცხადა. მთავარსარ-
დლის მატარებელმა მდ. ძირულასკენ გადაინაცვლა, სადაც უნ-
და დაჰხვედროდნენ ბოლშევიკთა ჯარებს. ოღონდ სურამის
ქედის დასავლეთით ნიადაგი არამარტო მთიანი იყო, ხშირა-
ტყეებითაც იყო დაფარული, ეს კი აძნელებდა ნაწილთა შო-
რის კავშირის გაბმას და მოითხოვდა დიდ ძალებს, რაც ჩვენს
განკარგულებაში არ იყო. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის
განკარგულებით გვარჯია დაშლილ იქნა ხაშურის რაიონში
უკუიერიშის ბრძანების შეუსრულებლობას გამო. სურამის
მთებიდან გვარდიის დაშლილი ნაწილები უწესრიგოდ მიემარ-
თებოდნენ დასავლეთისაკენ. მტერმა მდევარი ნაწილები ამოქ-
მედა აღმოსავლეთიდან სურამის უღელტეხილიდან და ცხენო-
სანი ნაწილებით ბორჯომ-ახალციხე, ხულო-ბათუმის მიმართუ-
ლებით. ეს ნიშნავდა ჩვენი მარჯვენა ფრთის შემოვლას და
ზურგში მოქცევას. მთავარსარდალმა გადაწყვიტა დაეკავებინა
პოზიციები სამტრედიასთან, რიონზე დაყრდნობით. ეს შესაძ-
ლებლობას ქმნიდა ჯარების გამოყვანისა მამისონისა და სო-
ხუმ-გაგრის მხრიდან.

მთავარსარდლის მატარებელი გადავიდა სამტრედიაში. შტა-
ბი ხელმძღვანელობას უწევდა ჯარების გადაჯგუფებასა და
პოზიციების დაკავებას. მახსოვს, ვისარგებლვ შემთხვევით და
ვინახულე ჩემი ოჯახის წევრები, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ.
საწყალი დედაჩემი აღშფოთებული იყო. გრძნობდა, რომ ჩვენს
სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა ემუქრებოდა. მე
ვუთხარი, რომ იძულებული ვიქნები საზღვარგარეთ წავიდე,
რადგან ჩემი თანამდებობის გამო გენერალურ შტაბში არ და-
მინდობენ-მეთქი. გამოვემშვიდობე საყვარელ დედას და ოჯა-
ხის წევრებს და დავბრუნდი მატარებელში. მეორე დღესაც
სამტრედიაში დავრჩით, ოღონდ მე საშუალება არა მქონდა

ოჯახში წასვლისა. ასე, რომ ჩემი გამომშვიდობება ოჯახის უკანასკნელი ნახვა იყო. ჩემს დას ნინას გაეგო, რომ ჯერ ისევ სადგურში ვართ. მინახულა. მომიტანა სადილი. ესეც მასთან უკანასკნელი შეხვედრის წუთები იყო. საშუალო ძმა მიხეილი მე-5 ქვეით პოლკში მსახურობდა, ცნობები მის შესახებ არა მქონია.

სოხუმიდან და გაგრიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ ვიხევდით ბათუმისაკენ. აქ უკვე ხელსაყრელი პირობები პოზიციის დასაკავებლად აღარ იყო. ბათუმში იმ დროს იმყოფებოდა ჩვენი მთავრობა და უმრავლესობა დამფუძნებელი კრების წევრებისა. ამასობაში ოსმალებმა შემოუტყეს ჩვენ მცირე ნაწილებს, დაიკავეს არდაგანის, ახალქალაქის რაიონები და მოიწვედნენ ახალციხისაკენ. ოსმალებმა დაიკავეს აგრეთვე ართვინის რაიონი და მოიწვედნენ ბათუმისაკენ. როდესაც მთავარსარდლის მატარებელი უახლოვდებოდა ბათუმს უკვე ისმოდა არა მარტო ზარბაზნების, არამედ თოფების სროლაც. ბათუმში მოხდა პრეზიდენტ ნოე ჟორდანიასა და მთავარსარდლის გენ. კვინიტაძის შეხვედრა. აქ დადგენილ იქნა შეწყვეტილიყო ბოლშევიკებთან ბრძოლა (რაკი მათ ველარ ვუმკლავდებოდით), დაგვედო მათთან შეთანხმება და საერთო ძალებით გაგვედევნა ოსმალები, რომლებიც უკვე ბათუმს უახლოვდებოდნენ. გაგზავნილ იქნენ ბოლშევიკთა ჯარების სარდლობასთან რწმუნებულები, რომელთაც შეიმუშავეს საერთო მოქმედების გეგმა ოსმალების ასალაგმავად.

მშვენიერად მახსოვს ბოლშევიკების ჯართა წარმომადგენლების ჩამოსვლა ბათუმში. შემოყვანეს მთავარსარდლის ვაგონში საერთო გეგმის შესამუშავებლად ოსმალეთის წინააღმდეგ. მეტიმეტად მწვავე ზეგავლენა მოახდინა ჩემზე ამ წუთმა: მთავრობისა და მთავარსარდლის ეს აქტი გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომ გვსურდა ბოლშევიკებს დაეკავებინათ საქართველოს მთელი ის ტერიტორია, რომელიც მას ეკუთვნოდა ბოლშევიკების შემოსევამდის, ე. ი. 1921 წლის 11 თებერვლამდის და რომელიც ცნობილი იყო როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის მიერ. საუბედუროდ, თურქების მიერ მარტოში დაკავებული ქართული მიწები ართვინისა და არდაგანის რაიონებში თურქებმა არ დააბრუნეს და დღესაც მათ უკავიათ. ამნაირად, ბოლშევიკებმა დაიკავეს მთელი საქართველო. ჩვენმა მთავრობამ წინასწარ შეათანხმა საფრანგეთისა და ინ-

გლისის წარმომადგენლებთან გახიზნის საკითხი მთავრობას დამფუძნებელი კრების წევრების და ჯარის ნაწილებისა, რომლებიც სახლში ვერ დარჩებოდნენ სამსახურებრივი პირობებისა და ბოლშევიკთა საწინააღმდეგოდ გაწეული მუშაობის გამო.

მთავარსარდალმა და შტაბის უფროსმა გენ. ზაქარიამ ერთოდ შეადგინეს ოფიცერთა და ნაწილთა სია, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა გახიზნულიყვნენ.

№ 27

ნაწყვეტები ნ. მათიაშვილისა და მ. კვლიაშვილის მოგონებებიდან „იუნკრები“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. „მაცნეს“ ბიბლიოთეკა. ისტორიის სერია. „მეცნიერება“, თბ., 1990, გვ. 11—20).

... 1921 წლის 11 თებერვალს გათენებისას საყვირის განგაშით მშვიდად მიძინებული სკოლა* ფეხზე წამოყარეს. სწორედ იმ დროს დარაჯად ვიდექი სკოლის ალყაფის კარებთან. მივირბინე მორიგე ოფიცერთან, რომ გამეგო საქმის ვითარება. სანაინსა და ბორჩალოს მაზრებში ჩვენ სანაპირო ჯარებს თავს დასხმია სომხების ჯარი და ამის გამოა განგაშით.

მოკლე ხნის განმავლობაში სკოლა თავისი დამხმარე ერთეულებით დანიშნულ ადგილზე მოეწყო, მეც იმათ შევუერთდი.

სკოლის ზურგში ცოტა მოშორებით ნაცვალთა ათასეული ეწყობოდა. წოწოლა ფაფახდახურულმა პოლკ. ჩხეიძემ პატაკი ჩაიბარა, ერთეულები დაწვრილებით შეამოწმა. ნაკლოვანების შევსების ბრძანება გასცა და დაახლოებით 10 საათზე ტაბახმელისაკენ გაგვიძღვა: გზა მიხაილოვის გამზირით, ვერის ხიდით, რუსთაველის გამზირით კოჯრისკენ მიემართებოდა. წინ ცხენზე ამხედრებული პოლკ. ჩხეიძე მიგვიძღოდა თავისი მცირე ამალით, მას სამხედრო ორკესტრი მოსდევდა და მერე — ჩვენ.

საიდან გაიგო თბილისის საზოგადოებამ, რომ სწორედ ამ დროს სკოლა ფრონტზე მიდიოდა. ქუჩები სავსე იყო ხალხით,

* იგულისხმება თბილისის იუნკერთა სკოლა.

გლისის წარმომადგენლებთან გახიზნის საკითხი მთავრობის დამფუძნებელი კრების წევრების და ჯარის ნაწილებისა, რომლებიც სახლში ვერ დარჩებოდნენ სამსახურებრივი პირობებისა და ბოლშევიკთა საწინააღმდეგოდ გაწეული მუშაობის გამო.

მთავარსარდალმა და შტაბის უფროსმა გენ. ზაქარიამც ერთად შეადგინეს ოფიცერთა და ნაწილთა სია, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა გახიზნულაყვნენ.

№ 27

ნაწყვეტები ნ. მათიაშვილისა და მ. კვალაშვილის მოგონებებიდან „იუნკრები“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. „მაცნეს“ ბიბლიოთეკა. ისტორიის სერია. „მეცნიერება“, თბ., 1990, გვ. 11—20).

... 1921 წლის 11 თებერვალს გათენებისას საყვირის განგაშით მშვიდად მიძინებული სკოლა* ფეხზე წამოყარეს. სწორედ იმ დროს დარაჯად ვიდექი სკოლის ალაყაფის კარებთან. მივირბინე მორიგე ოფიცერთან, რომ გამეგო საქმის ვითარება. სანაინსა და ბორჩალოს მაზრებში ჩვენ სანაპირო ჯარებს თავს დასხმია სომხების ჯარი და ამის გამოა განგაშით.

მოკლე ხნის განმავლობაში სკოლა თავისი დამხმარე ერთეულებით დანიშნულ ადგილზე მოეწყო, მეც იმათ შევუერთდი.

სკოლის ზურგში ცოტა მოშორებით ნაცვალთა ათასეული ეწყობოდა. წოწოლა ფაფახდახურულმა პოლკ. ჩხეიძემ პატაკი ჩაიბარა, ერთეულები დაწვრილებით შეამოწმა. ნაკლოვანების შევსების ბრძანება გასცა და დაახლოებით 10 საათზე ტაბახმელისაკენ გაგვიძღვა: გზა მიხაილოვის გამზირით, ვერის ხილით, რუსთაველის გამზირით კოჭრისკენ მიემართებოდა. წინ ცხენზე ამხედრებული პოლკ. ჩხეიძე მიგვიძღოდა თავისი მცირე ამალით, მას სამხედრო ორკესტრი მოსდევდა და მერე — ჩვენ.

საიდან გაიგო თბილისის საზოგადოებამ, რომ სწორედ ამ დროს სკოლა ფრონტზე მიდიოდა. ქუჩები სავსე იყო ხალხით,

* იგულისხმება თბილისის იუნკერთა სკოლა.

დიდებით და პატარებით, მშობლებით, თანამგრიძობით, ნათსავეებით. თოფები სმენაზე გვექონდა მხარზე აყუდებული. მწყობრის სიზუსტის მოთხოვნილებები საშუალებას არ გვაძლევდა თავი მიგვებრუნებინა და საზოგადოების განწყობილება გავგენაწილებინა. შიგადაშიგ თვალების მიტრიალებით თუ ვხედავდით რა ხდებოდა ირგვლივ. ერთი ასეთი გახედვისას ჩვენ მასწავლებელ ვასილ ბარნოვს მოგვკარი თვალი. თავჩალუნული, მიწას მიჩერებული, ღრმად ჩაფიქრებული, ჭალარაწყვირანი, სათვალეებიანი, მიჰყვებოდა აზვირთებულ ტალღას. მისი დანახვა ჩვენთვის ჯანლიან დღეში მზის გამოჩენას უდრიდა. რას ფიქრობდა? ალბათ, ერთი მხრივ, გული დარდით ეცვებოდა საქართველოს ავბედობის გამო და ეამაყებოდა, რომ მისი აღზრდილი მხედრები სამშობლოს დასაცავად მიემართებოდნენ. გავცდით ვერის ხიდს. გავედით რუსთაველის გამზირზე, მარცხნიდან რომელიღაც მაღალი შენობის მოაჯირიდან ხმამაღალი მოწოდება გაისმა. ვიღაც „შოთა რუსთაველის“ პარტიაში ჩასაწერად ეპატიეებოდა საზოგადოებას. რამ გაასულელა? ასეთ მომენტში რა დროს პარტიაში ჩაწერააო, პასუხობდნენ ირგვლივ.

მისი მოწოდებისთვის, ცხადია, ყურადღება არავის მიუქცევია. ბოტანიკური ბაღის დასაწყისთან პოლკ. ჩხეიძემ დასვენება ბრძანა. ახლა-ღა მიეცათ საშუალება გამცილებლებს და მახლობელ ნათესავეებს გულში ჩაეკრათ თავისი მახლობელი იუნკრები და გამომშვიდობებოდნენ ზოგიერთს სამუდამოდ.

მზე ჩასვლაზე იყო თოვლით დაფარულ კოჭრის მალლობზე რომ ავედით. მაშინათვე პოლკ. ჩხეიძის მითითებით პოზიციების დაკავებას და მოწყობას შევეუდეთ. საქმე არც ისე ადვილი იყო. ციოდა. თოვლით დაფარულ, ღრმად გაყინულ მიწის სანგრებად და ძნელ მისადგომ პოზიციებად გადაქცევა დიდ ჯაფას მოითხოვდა. ჩვენ მესამე ოცეულს მარცხენა ფრთაზე მოხვდა პოზიციები. თვალწინ მალლობს ამოფარებული ტაბახმელა იყო, მარცხნივ სოლანლულისკენ დაქანებული ფერდობი. ოცეულს განაგებდა ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი და მისი თანაშემწე, უფროსკურსელი იუნკერი გელაშვილი. ჩვენ მარჯვნივ პოზიციები დაიკავა პირველმა ოცეულმა, ლეიტენანტ თოიძის თაოსნობით.

ღამდებოდა. გვიბრძანეს ადგილების დაკავება, დარაჯების

ტაბახმელის ამბების მოგონებისას ყველა და ყოველთვის იუხვერთა სკოლის თავგანწირვას, უდრეელოობას, მოვალეობის პირნათლად შესრულებასა და გმირობას იხსენიებენ. ყველა ეს სიმართლეა, ოღონდ სიმართლის დარღვევა იქნებოდა, რომ ყველა ამაში სკოლის უფროსის პოლკ. ჩხეიძის ღვაწლი დაგვევიწყებინა. ყველაფერი რაც ტაბახმელაზე ხდებოდა, მისი ხასიათის სიმტკიცეს, მდგომარეობის სწორი შეფასების, შესაბამისი განკარგულების დროზე გაცემის შედეგი იყო. ჩვენ მხოლოდ მის ჩანაფიქრსა და ბრძანებას უზადოდ ვასრულებდით. ბრძოლის პირობები კი იუნკრებს ადვილი არა ჰქონდათ, ჯერ ერთი, ეს 20—23 წლის გამოუშუშავი ახალგაზრდები დაკაცებული და ომისთვის მომზადებულნი არ იყვნენ. არც ტანსაცმელი გააჩნდათ ამინდის შესაფერი, საზაფხულო სამოსელზე თხელი, წყლის გაუმტარი, სითბოს მოკლებული ხელოვნური იტალიური ქსოვილისგან შეკერილი პალტოები გვეცვა. ჩვენ ტანსაცმელში (ცხვრითა და მატყლით მდიდარ ქვეყანაში), ერთი ღერი მატყლიც არ ერია. დღისით სანგრებში ყოფნისას ტანსაცმელი წყლით იყლინებოდა, ღამით ფიცრებად იყინებოდა და იარაღის მოხმარებასა და მოძრაობას გვიძნელებდა, ოღონდ გულში იმდენი ძალა შეგვწევდა, რომ ამ სიძნელეებისთვის ანგარიში არ გაგვეწია და მტრის ყოველ მოძრაობას დროზე და შესაფერად შევხვედროდით.

მოკლედ ჩვენ სულისკვეთებაზე ვერავითარი სიძნელე ვერ მოქმედებდა და ვერ გვასუსტებდა. სიკვდილზე არც არვის გვიფიქრია და არც შეგვშინებია.

ზუზუნებდნენ ტყვიები, წიოდნენ ირგვლივ ხელყუმბარები და ჭურვთა ნამსხვრევები, ჩვენ კი სანგრებში ჩამალვას სანგრების პირას ფეხზე დგომას ვარჩევდით. შიგა და შიგ ჯანლი რომ ჩამოწვებოდა წრე შეგვიკრავს და სიმღერა და ცეკვა წამოგვიწყია. ძნელია მოიგონო ყველა სიმღერა, რომელიც გვიმღერია ომის გარემოცვაში. ზოგი კი დამამახსოვრდა: „ქარაოველო, ხელი ხმალს იკარა“, „ჰე, მუმლი და მუხასაო“, „ომში წასვლა მას უხარის“, „რად გინდა ქალი ლამაზი“, „გაფრინდი შაგო მერცხალო“, „სულ არ წავალ მაგ სოფელში“.

ამას მოჰყვებოდა საცეკვაო სიმღერები და რამდენიმე მოცეკვავის ცეცხლოვანი ლეკური. შორიდან რომ მოეკრა ყური

ვისმეს, რას იფიქრებდა რომ ყველაფერი ეს გაჩაღებული ბრძოლების დროს ხდებოდა.

ამნაირი ცეკვა-სიმღერა შემდეგში ხაშურშიც გაგვიმართავს. აქ მთავარსარდლის მატარებელი იღვა და ჯარებს ახალი შეტევისათვის ამზადებდა. მტკვრის იქით ნაპირიდან ტყვიამფრქვევის სროლის ხმა მოდიოდა. ჩვენ რკინიგზის სადგურსა და მატარებელს ვიცავდით. სათანადო რიცხვის დარაჯების განწესების შემდეგ დანარჩენებმა კონცერტი გავმართეთ. ჩვენთვის ეს არც არავის უთხოვია და არც აუჟრძალავს. რა ვიცოდით, რომ სწორედ ამ დროს ჩვენი სათაყვანებელი მთავარსარდალი, ძველ, ცნობილ მხედართმთავართა დარი, ახლადფეხადგმულ საქართველოს სამი ომი რომ მოუგო ცხოვრებაში, უმძიმეს ტრაგედიას განიცდიდა. ...

